ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

# პირთა ანოტირებული ლექსიკონი

# V

მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს:

**დარეჯან კლდიაშვილმა, ნანა მშვიდობაძემ,
გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ**

ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა

**მზია სურგულაძემ**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მადლობას უძღვნის
ბატონ მინდია ყიფიაშვილს მატერიალური თანადგომისთვის

ნინამდებარე ტომით სრულდება „პირთა ანოტირებული ლექსიკონის" ხუთტომეულის პუბლიკაცია. მისი საშუალებით მკითხველი გაეცნობა შუასაუკუნეების საქართველოში გავრცელებულ გვარსახელებს და ცალკეულ ისტორიულ პერსონებს, რომელთა შესახებ არსებული ინფორმაცია ამოკრებილია XI-XVII საუკუნეების ისტორიული საბუთებიდან. V ტომში შესული გვარსახელები განწყობილია ანბანურ-ქრონოლოგიური რიგით ყ-ჰ ასოებზე. დაინტერესებული მკითხველი შეძლებს ნიგნში მოიძიოს მასალები შუასაუკუნეების საქართველოს იმ დიდგვაროვანთა სახლებზე (შანშიაშვილები, ჩხეიძეები, ჩოლაყაშვილები, ციციშვილები, ჯავახიშვილები, ჯაყელები, ჯორჯაძეები და სხვ.), რომლებსაც მუდამ წამყვანი პოზიციები ეკავათ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ტომში შესული ცნობები მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის შუასაუკუნეების ქართული საზოგადოების სოციალურ და ეთნიკურ შემადგენლობაზე, მათ საქმიანობაზე, განსახლების ადგილებსა და დემოგრაფიულ ვითარებაზე.

ISBN 978-99940-59-78-2 (ტომეულის)
ISBN 978-9941-9415-4-2 (V ტომი)

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2015.

# ყ

**ყაბარიშვილი ბეროა** – ჰყავს: შ ვ ი ლ ი შერმაზან, ძ მ ა – დათუა. მიჰყიდა ბერ ყორღანაშვილს ერთი დღის მიწა შიმშილაანთ უბანში (1693 წ. ახლო. 1450-16/98).

**ყაბარიშვილი დ[ა]თუა** – ძ მ ა ყაბარიშვილ ბეროასი, იხ.

**ყაბარიშვილი შერმაზ[ა]ნ** – შ ვ ი ლ ი ყაბარიშვილ ბეროასი, იხ.

**ყაბაშვილი იოსებ** – მ ო წ მ ე [არჩვაძის] მიერ ელყაზარაშვილისათვის მიცემული მამულის დაგირავების წიგნისა (1700 წ. ახლო. Hd-14565ა).

**ყაბაშვილი (ვარ. ყაბასშვილი) მარტია** – ნ ა ც ვ ა ლ ი. მ ო წ მ ე შაიკა შიხაშვილის მიერ ყორხმაზ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII-XVIII სს. მიჯნა. 1450-4/254).

**ყაბაშვილი შალომა** – მ ო წ მ ე [არჩვაძის] მიერ ელყაზარაშვილისათვის მიცემული მამულის დაგირავების წიგნისა (1693 წ. ახლო. Hd-14565ა).

**ყაბულაანთ ავეტისა** – მ ო წ მ ე ბახორაანთ ასატურასშვილ მამაჯანას მიერ მუშმუშისათვის მიცემული ბაღის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. III. 9. 1450-23/159).

**ყადამაშვილი გასპარა** – სამღერეთს მცხოვრები. მ ი ს ნაცვლად ზაალ [ციციშვილს] ერგო ლამაზა თოროზაშვილი მამულით (1651 წ. ახლო. 1450-37/175).

**ყადახაშვილი პაპუნა** – თორტიზაში მცხოვრები. მი ს ი მიწა ესაზღვრებოდა ბახუტა გოჩიაშვილის მიერ გარსევან ქარუმიძისათვის მიყიდულ მიწას (1691 წ. Ad-1536).

**ყადიასშვილი** – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა თამაზ ხეჩუასშვილის მიერ დათუნა მელიქსათაშვილისათვის თურმანიჩში მიყიდულ მიწას (1692 წ. IV. 1450-10/37).

**ყადიაშვილი ამირა** – შ ვ ი ლ ი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

**ყადიაშვილი ბეჟუა** – შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

**ყადიაშვილი ბიძინა** – შვილიშვილი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

**ყადიაშვილი დაეითა** – შ ვ ი ლ ი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

**ყადიაშვილი დაეითა** – მ ო წ მ ე შაყუბათა ბეროაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. IX. 30. Hd-14179).

ყადიაშვილი დავითა – მ ო წ მ ე სეხნია შემაზასშვილის მიერ პაპუა [ზარათაშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. V. 10. Sd-620).

ყადიაშვილი დემურა – შ ვ ი ლ ი ყადიაშვილ ეჯუბასი, იხ.

ყადიაშვილი [ეჯუბა] – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

ყადიაშვილი ეჯუბა – შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

ყადიაშვილი-ეჯუბაშვილი დემურა – შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

ყადიაშვილი-ეჯუბაშვილი შავერდა – შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

ყადიაშვილი ზუბია – მ ო წ მ ე ბახუტა შატბერაშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. X. 10. Sd-179).

ყადი[ა]შვილი ზუბია – მ ო წ მ ე შიო შოშიაშვილის მიერ მაქია [ნანუჟაშვილისათის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. I. 10. 1450-10/164).

ყადიაშვილი ივანა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

ყადიაშვილი მანთაშა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

ყადიაშვილი სარუხანა – შ ვ ი ლ ი ყადიაშვილ ნატურასი, იხ.

ყადიაშვილი შავერდა – შ ვ ი ლ ი ყადიაშვილ ეჯუბასი, იხ.

ყადიაშვილი ნატურა – ქვემო ბოლნელი. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ამირა, დავითა, [სარუხანა]; ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი და ძ მ ი ს წ უ ლ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი: მანთაშა, ივანა, [ეჯუბა], შავერდა, დემურა; შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი: ბიძინა, ჯიმშიტა, ეჯუბა, ბეჟუა. მ ი ჰ ყ ი დ ა ზა[ა]ლ იაგულიაშვილს ვანქში თავისი ნასყიდი სანისქვილე და ჭალა (1670 წ. 1450-9/151).

ყადიაშვილი ჯიმშიტა – შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ყადიაშვილ ნარუტასი, იხ.

ყადიმალაშვილი მაჰმადა – ყორჩიბაშის თაბუნის წევრი. ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა მეფის უკან შეიარაღებული დგომა მეჯლისის დროს (XVII ს. 90-იანი წწ. Ad-620).

## ყადინასშვილი // ყადინაშვილი

ყადინაშვილი – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა სომხითის მელიქ ავთანდილის მიერ სოიბათიასაულ ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიყიდულ მიწას (1688 წ. XII. 6. 1450-10/18).

[ყადინაშვილი] აბაზა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყადინაშვილ დავითასი, იხ.

ყადინასშვილი დავითა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყადინაშვილ დავითასი, იხ.

ყადინაშვილი დავითა – ჰყავს ძ მ ე ბ ი: ოჰანა, სარუხანა; ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: აბაზა, დავითა; ბიძაშვილი – ვათოა. სოიბათიასაულ ბაინდურ გოგიბაშვილს მ ი ჰ ყ ი დ ა ორი დღის მიწა (1685 წ. III. 3. 1450-7/26); ი ყ ი დ ა უცნობი პირისაგან თურმანისძის მიწა (1682 წ. III. 1. 1450-9/32); იგია სომხითის მელიქის, ავთანდილის ყ მ ა; მ ო წ მ ე სომხითის მელიქ ავთანდილის მიერ სოიბათიასაულ ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. 1450-10/18).

ყადინაშვილი ვათოა – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ყადინაშვილ დავითასი, იხ.

ყადინაშვილი ოჰანა – ძ მ ა ყადინაშვილ დავითასი, იხ.

ყადინაშვილი სარუხანა – ძ მ ა ყადინაშვილ დავითასი, იხ.

ყაენაძე ყაენა – მ ო წ მ ე ბაგრატ მეფის მიერ თემნა ყიფიანისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა ([1455-1478 წწ.] Sd-731).

ყავარდელაშვილი ოჰანა – მ ა ს, დომენტი თბილელის ბრძანებით, ანანია ქიტუასშვილმა მ ი ჰ ყ ი დ ა სახლი ხატისაშვილის და პეტრეს სახლებამდე (1690 წ. X. 27. Hd-13130).

ყავარდელი–ილარიონისშვილი არდაზიანდი – დვანელი. მ ო წ მ ე პაპუნა ფავლენისშვილის მიერ ზაალ იორამისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. V. 9. 1450-31/220).

ყაველინაშვილი ბალდასარა – მ ო წ მ ე გოჭილოდ[აა]ნთ-ბაისოლულაშვილ დავითას გაყრისა მის ძმისშვილებთან (1684 წ. VII. 1. 1450-50/206).

ყავილაძე ტატა – მ ო წ მ ე პაატა ჯომარდიძის მიერ გოგია ბითაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1622 წ. 1450-25/85).

ყავლაძე – ხ უ ც ე ს ი . მდივანბეგმა პა[ა]ტა [ერისთავისშვილმა] შეუთვალა ფარსადანს, პასუხი მოეთხოვა ყავლაძისათვის მიბარებული ბიჭების გამო ([1695-1697 წწ.] Qd-268).

ყავლაძე დათია – მ ო წ მ ე და შუაკაცი ხოსიტას მიერ თამაზასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. VI. Hd-5266).

ყავლაძე დემეტრე – მ ო წ მ ე ხოსიტას მიერ თამაზასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. VI. Hd-5266).

ყავლიასშვილი – კარშაგარს მცხოვრები. მამულით წილში ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537-1538 წწ.] VIII. 16. 1450-11/112).

ყავრიშვილი – ი გ ი ედავებოდა თაყა და დურმიშხან ბარათაშვილებს წილში ნარგებ ყმებზე – ზესელ იოვანეზე და მის ძმებზე. მარიამ დედოფლის გადაწყვეტილებით სადავო ყმები ბარათაშვილებს დარჩათ ([1675-1682 წწ.) 1450-2/142).

ყავრიშვილი გიორგი – ხელმწიფის ყაფიჩი. მ ო წ მ ე წინა-საგარეჯოელთა მიერ ჭავჭავაძეებთან მიწებზე დავის გამო დადებული ფიცის წიგნისა (1654 წ. I. 2. 1449-2658).

ყავრიშვილი იორამ – მ ო წ მ ე მღვდელ თევდორე ქურდრეგველაშვილის მიერ ზურაბ ლარაძისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. XII. 1. 1450-10/119).

ყავრიშვილი პაპუნა – მ ო წ მ ე სეხნია მახვილაძის მიერ პაპია ჭყოპიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1619 წ. Ad-1857).

ყაეხანა[ს]შვილი დათვია – მ ო წ მ ე მისტანა შალიკაშვილის მიერ სულხან და მგელია გუდაძეებისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1601 წ. 1448-1493).

ყაზა[ა]ნთ ავთანდილა – იხ. ყაზუასშვილი ავთანდილა

ყაზა[ან]თ ბეჟანა – მ ო წ მ ე თაყინა, საფარა, ბეჟაინა, ქ[ა]იხოსროვ და როსტომ [მირიმანისშვილებს] შორის აბანოს ხარჯის შესახებ დავის გარიგების წიგნისა (1690 წ. XI. 2. Qd-650).

ყაზა[ა]ნთ ბეჟუა – მო წ მ ე ასატურ ხუბიარასშვილის მიერ სოლრუაანთ მამიჯანასშვილ ფასუასათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. X. 15. 1450-5/182).

ყაზ[აან]თ ვახტანგ – ძ მ ა ყაზ[აან]თ შაჰყულასი, იხ.

ყაზ[აან]თ მარქარა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყაზ[აან]თ შაყულასი, იხ.

ყაზ[აან]თ ოვანეზა – ბ ა ზ ა ზ ი. მ ო წ მ ე ყაზ[აან]თ შაყულას მიერ მამასახლისის ძმის, შაჰპარუნასათვის მიცემული ქულბაქის ნასყიდობის წიგნისა (1649 წ. XII. 1. 1450-22/106).

ყაზ[აან]თ ფიბინა – ძ ე ყაზ[აან]თ შაყულასი, იხ.

ყაზ[აან]თ შალვა – ძ ე ყაზ[აან]თ შაყულასი, იხ.

ყაზა[ა]ნთ შალვა – ამოვარდნილი. მ ი ს ი კერძი დარბაზის ორი წილი და ორი ოდა შაჰნავაზ მეფემ უწყალობა ასატურა ხუბიარასშვილს (1669 წ. 1448-5208).

ყაზ[აან]თ შაყულა – ჰყავს: ძ მ ა ვახტანგ; ძ მ ი ს წ უ ლ ი მარქარა; შ ვ ი ლ ე ბ ი : ფიბინა და შალვა. მამასახლისის ძმებს: შაჰპარუნას, ბეჟუას, ზალინას და ავთანდილს მ ი ჰ ყ ი დ ა წყაროსთან ქულბაქი, რომელიც ტერსარქისა ვართანაშვილისა და საჰნანაათ ასატურაშვილ უმეკას ქულბაქებს შუა მდებარეობდა (1643 წ. XII 1. 1450-22/106).

ყაზამფარა – ი ა ს ა უ ლ ი. მოხსენიებულია საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების დაფთარში (XVII ს. II. ნახ. Hd-1365).

ყაზანა – ახლდაბაში მცხოვრები. წილში ერგო ლეონ თურქისტანიშვილს (1646 წ. III. 12. 1450-18/89).

ყაზანა – ჰავს ძ მ ა დათუნა. პაპუა, გუგუნა და ვარაზა გერმანოზიშვილებს დავა ჰქონდათ ყ ა ზ ა ნ ა ს გოგოზე. თუ დათუნა დაიფიცებდა, ყაზანა ჩემთან გაყრილი არ არისო, მაშინ გოგო პაპუას ვარაზასთვის უნდა დაეთმო. თუ ვერ დაიფიცებდა, სამივეს დარჩებოდა (1688-1703 წწ.] Sd-557 ა).

ყაზანასშვილები – აკაურთას მცხოვრებნი. მამულით წილად ხვდნენ იოთამ ბარათაშვილს ([1537-1538 წწ. VIII. 16. 1450-11/112).

ყაზანასშვილი ძამანა– აბელიაში მცხოვრები, ერთი კომლი, გლეხი. ი გ ი ყაფიჩიბაშმა დოლმაზ გოგიბაშვილმა ვანქს მდებარე მამულში გუცვალა ოთარ, პაატა და ვარაზ ბარათაშვილებს (1653 წ. Hd-14664).

ყაზანბეგასშვილი ფირუა – მ ო წ მ ე სუხია მუსლისშვილის მიერ მურადასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. XII. Hd-11048).

ყაზარა – მცხოვრები ცოვრეთს. მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] VIII. 16. 1450-11/112).

ყაზარა – გორუმს მცხოვრები. ი გ ი მამულით წილად ერგო [თურქისტანიშვილს] მისი ძმის, ანუზას სანაცვლოდ (1626 წ. 1450-50/83).

ყაზარა – ზემო ბოლნისს მცხოვრები. ი გ ი შესწირა თეიმურაზ მეფემ მანგლისის ღმრთისმშობლის ეკლესიას (1630 წ. 1449-1776).

ყაზარა – ძ მ ა სამწევრისის მამასახლის იაგ[ა]ნასი, იხ.

ყაზარა (ვარ. ტერ-ყაზარა) – მ ო წ მ ე: ზუბიტა ფირუაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. IV. 1450-1/112); თაყა ასანბეგიშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. 1450-1/113); რამაზ ყორღანაშვილის მიერ თავის განაყოფ როსტომისათვის მიცემული ყმების, ვენახის და მიწის ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. Qd-2022); შერმაზან ხუციშვილის მიერ ბეჟან ყორღანაშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობოის წიგნისა (1683 წ. I. 4. 1450-7/64); რევაზ ყორღანაშვილის მიერ როსტომ [ყორღანაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. V. 1448-2941); თამაზ ბარათაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. XI. 12. 1450-1/95); დოლმაზ ზურიკაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. VI. 18. 1450-1/104); ხუდავერდა ალიხანაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. IX. 1450-1/58).

ყაზარა – მ ო წ მ ე ყაფლან ყაზარაშვილის მიერ დოლმაზ შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. V. 1. Hd-9285).

ყაზარა – მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი ზაზუას მიერ მამულა იმაშაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. 1450-51/83).

ყაზარა – ბეჟან [მირიმანაშვილის] ყ მ ა. ცხოვრობდა მელქოას სახლებს შუა. ბეჟანმა ი გ ი მიჰყიდა მელქოას შეილ გასპარას (1692. I. 21. 1450-7/121 ბ).

ყაზარა – [პაპუა] მამასახლისის ბიძა. მ ო წ მ ე დუშია გოგიბაშვილის მიერ ფარემუზ გოგიბაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1694 წ. IV. 7. 1450-6/36).

ყაზარა – მ ო წ მ ე ყალანდარ და შიოშ თუმანიშვილების მიერ სარქისა ხითარისშვილისათვის მიცემული თამასუქის გაბათილების პირობის წიგნისა (1696 წ. VI. 28. Sd-482).

ყაზარა – ჭალას მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა. საამილახვროს დავთრის მიხედვით ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII. ს. II. ნახ. 1448-5032).

ყაზარაშვილი – მ ო ქ ა ლ ა ქ ე. მ ო წ მ ე არაქელა თაროზაშვილის მიერ მანთაშა ხუთლუბულაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1573 წ. 1450-48/148).

ყაზარაშვილი – სობისს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა. საამილახვროს დავთრის მიხედვით მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

ყაზარაშვილი – ამილახვრის ყ მ ა. მოხსენიებულია საბუთის ფრაგმენტში (XVII-XVIII სს. მიჯნა. Hd-4493).

ყაზარაშვილი ალავერდა – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ყაზარაშვილ ყაფლანისა, იხ.

ყაზარაშვილი ამირხეთა – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ყაზარაშვილ ყაფლანისა, იხ.

ყაზარაშვილი ბაისოლულა – პატარძეულში მცხოვრები, გარეჯის მონასტრის ყ მ ა ონოფრე [მაჭუტაძის] წინამძღვრობის დროს ([1690-1733 წწ.] Ad-421).

ყაზარაშვილი ბერი – საამილახვროს დავთრის მიხედით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა შუბით ლაშქრობა ([XVII ს. II ნახ. 1448-5032]).

ყაზარაშვილი (ვარ. ელ-ყაზარაშვილი) ბერიკა (ვარ. ბერია) – პაატა არჩვაძეს მ ი ს თ ვ ი ს გირაოდ მიუცია ნაფუძრები, რაშიც უნდა გადაეხადა ექვსი მარჩილი, ორმოცდახუთი კოდი პური, თხუთმეტი კოდი ფეტვი და ერთი ხარი (1700 წ. Hd-1465-ა); ნაფუძრები, რომლებიც არჩვაძეებს მისთვის ჰქონდათ მიგირავებული, შემდეგ ზა[ა]ლ წინამძღვრისშვილს მისცეს გირაოდ (1700 წ. Hd-14565ბ).

ყაზარაშვილი გიგუა – ახრისს მცხოვრები. ხუცია ყანჩაელის ყ მ ა. საამილახვროს დავთრის მიხედვით მისი კომლიდან ოთხ კაცს ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

ყაზარაშვილი თამაზ – შ ვ ი ლ ი ყაზარაშვილი ყაფლანისა, იხ.

ყაზარაშვილი იარაჯნა – გორინჯუკს მცხოვრები. საუფროსოდ ერგო დავით [თურქისტანიშვილს] (1626 წ. 1450-50/70).

ყაზარაშვილი ივანა – ყურს მცხოვრები, ერთი კომლი. საამილახვროს დავთრის მიხედვით ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

ყაზარაშვილი მურადა – მ ო წ მ ე დურმიშა დათუაშვილის მიერ მამუკასათვის მიცემული სახლის ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1659 წ. IV. 15. 1448-1087).

ყაზარაშვილი ნურალა – პატარძეულში მცხოვრები, ონოფრე [მაჭუტაძის] წინამძღვრობის დროს იყო გარეჯის მონასტრის ყ მ ა ([1690-1733 წწ.] Ad-421).

[ყაზარაშვილი] სალმახანა – ქვემო ბოლნისის მამასახლისი, ბიძაშვილი ყაზარაშვილ ყაფლანისა. მოწმე ყაფლანა ყაზარაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. V. 1. Hd-9285).

ყაზარაშვილი სიყმია – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ბერუა, დათუნა. ი ყ ი დ ა ბეროა ლაშხიშვილისაგან მისი მკვიდრი მამული ([664-1675 წწ.] 1450-35/37).

ყაზარაშვილი უმეკა – ახრისს მცხოვრები, ხუცია ყანჩაელის ყ მ ა. საამილახვროს დავთრის მიხედვით ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

ყაზარაშვილი ყაზარა – გორინჯუკს მცხოვრები, წილში ერგო ლეონ თურქისტანიშვილს (1646 წ. III. 12. 1450-18/89).

ყაზარაშვილი ყაფლან – ქვემო ბოლნელი მამასახლისის, სალმახანას ბიძაშვილი. ჰყავს ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ე ბ ი: ამირსეთა, ალავერდა; შ ვ ი ლ ი თამაზ. ემართა დოლმაზა შანშ[ი]აშვილის თეთრი, რის საფასურადაც მევალეს მიჰყიდა თურმანიძაში მდებარე ერთი დღის მიწა სუთაშვილის მიწის საზღვრამდე (1681 წ. V. 1. Hd-9285).

ყაზახა – მ ო წ მ ე მერაბ აბაშიშვილის მიერ პაპუნა არეშიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1654 წ. 1448-2928).

ყაზახაშვილი ბარათა – ეცოს მცხოვრები. ჰყავს ძ მ ა პაპუნა; ძმასთან ერთად მ ო წ მ ე ა დავით ბარათაშვილის მიერ სეხნია არეშისშვილისათვის მიცემული ტყის და მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. 1450-4/13).

ყაზახაშვილი პაპუნა – ძ მ ა ყაზახაშვილ ბარათასი, იხ.

ყაზია – დმანისს მცხოვრები. ი გ ი ქონებით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537-1538 წწ.] VIII. 16. 1450-11/112).

ყაზინაშვილი – ვარაზა გერმანოზიშვილმა მდივანბეგ ვახტანგ [ბარათაშვილ]-ორბელიშვილის შვილებს: ერასტის, ყაფლანს და სხვებს რევაშენში მიჰყიდა თავისი მკვიდრი მამული – ერთი მთელი ყ ა ზ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს საკომლო ([1685-1703 წწ.] Sd-2293).

ყაზნარასშვილი – იოთამ ბარათაშვილს წილად ხვდა [დარბასჭალაში] ყაზნარასშვილის სოფლის ნახევარი ([1537-1538 წწ.] VIII. 16. 1450-11/112).

ყაზუასშვილი (ვარ. ყაზა[ა]ნთ) ავთანდილა – მ ე ლ ი ქ ი. აქვს ბეჭედი სპარსული ლეგენდით (1696 წ. Sd-482, 1448-2946). მ ო წ მ ე: ყალანდარ თუმანიშვილის მიერ სარქისა თუმანიშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა თამასუქის გაბათილების შესახებ (1696 წ. VI. 28. Sd-482); ალამურაანთ გასპარას მიერ მერაბ ფუნდუასშვილისათვის მიცემული ქულბაქის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. IX. 24. 1448-2946).

ყაზ[უ]ასშვილი ბერი – შ ვ ი ლ ი ყაზუასშვილ პაპუნასი, იხ.

ყაზუასშვილი გოგია – რუისელი. წილად ხვდა ქაიხოსრო [ციციშვილს] ([1664-1673 წწ.] 1448–5042).

ყაზ[უ]ასშვილი დათუნა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყაზუასშვილ პაპუნასი,იხ.

ყაზ[უ]ასშვილი დემეტრა – შ ვ ი ლ ი ყაზუასშვილი პაპუნასი, იხ.

ყაზ[უ]ასშვილი ივანა – შ ვ ი ლ ი ყაზუასშვილ პაპუნასი, იხ.

ყაზუაშვილი პაპუნა – იხსენიება „მახსოვარ კაცად" გიორგი სააკაძესა და ფარეიძეს შორის მიწაზე დავის გარიგების საქმეში (1680 წ. Ad-1017).

ყაზ[უ]ასშვილი პაპუნა – ჰყავს შვ ი ლ ე ბ ი : შიო, ივანა, დემეტრა, ბერი; ძ მ ი ს წ უ ლ ი დათუნა. მ ი ჰ ყ ი დ ა მამუკა გურგენიძეს მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა მის საკუთარ მიწას და კვეზერელის ბაგას (1681 წ. 1448-272).

ყაზ[უ]ასშვილი შიო – შ ვ ი ლ ი ყაზუასშვილ პაპუნასი, იხ.

ყათაშვილი – ჯანაზ[ი]ანს მცხოვრები. მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537-1538 წწ.] VIII. 16. 1450-11/112).

ყაიბულა – სარიქიფოს ქ ი ლ ი ბ დ ა რ ი და სასახლის თ ა ვ ლ ი დ ა რ ი. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი ალავერდა და მაჰმადყული. როსტომ მეფემ მ ა ს უწყალობა ავლაბარში ყმები – ამოანა ზალიკაშვილი შვილებით და მამულით და ამოუკვეთა სამეფო გადასახადი, გარდა სათათრო საურისა (1654 წ. 1448-547).

ყაიბულა – სუფრაჯმა იმამყულიბეგმა აბანოების უბანში მ ა ს თ ა ნ საამხანაგოდ და მ ი ს მამულში ააშენა აბანო. აბანოს ხარჯის 15 თუმანი ყ ა ი ბ უ ლ ა მ გადაიხადა. იმამყულიბეგმა მ ა ს მისცა პირობის წიგნი შემოსავლის გაყოფის შესახებ (1666 წ. XI. 2. 1450-11/109)].

ყაიბულა – მ ი ს ი სახლის უკანა მხარეს ესაზღვრებოდა ყამაზა[ან]თ შაჰპარუნასშვილ თამაზას მიერ აბესალამა[ან]თ ფასინასათვის მიყიდული დუქნებისა და სახლის ადგილი (1686 წ. X. 6. 1448-1084).

ყაიბულა – მ ი ს ი ქულბაქის მეზობლად ბაინდურა შერგილასშვილმა გოშპარაანთ გასპარას მიჰყიდა ქულბაქი ([1689-1693 წწ.] Hd-13011).

ყაიზიშვილი (ვარ. ყიზიასშვილი) ნინიკა – რეხელი. ჰყავს შ ვ ი ლ ი შალვა; მ ი ჰ ყ ი დ ა მანუჩარ თუმანიშვილს და მის ძმისწულებს ზემო რეხისკენ, [ბ]ეთლემის ქვასთან მდებარე მიწა, რომელიც ხელთუბნისაკენ წერეთელასშვილის და ამირას მიწებს ესაზღვრებოდა (1670 წ. II. 20. Sd-48).

ყაიზიშვილი შალვა – შ ვ ი ლ ი ყაიზიშვილ ნინიკასი, იხ.

ყაითმაზა – მ ი ს ი მიწა ესაზღვრეოდა ზაქუმ [ზაქუმისშვილის] მიერ ალავერდა იაგულაშვილისათვის მიყიდულ სვიმონა[ა]ნთ ერაპეტაანთ ახოს (1699 წ. V. 10. 1450-9/119).

ყ[ა]ითმაზაშვილი – ჯანბანუმ დედოფლის მიერ ჭრემში ყ [ ა ] ი თ მ ა - ზ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მიცემული წყალობის წიგნი იხსენიება გორჯასპ [ბარათაშვილისათვის] მიბარებულ სამამულე წიგნების ნუსხაში (1691 წ. XI. 12. Sd-1931).

ყაითმაზაშვილი – პა[ა]ტა [ორბელიშვილთან] სამამულე დავის გარიგებისას ჭრემში ყაფლან [ორბელიშვილს] არგუნეს ყ ა ი თ მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ([1646-1658 წწ.] Hd-14284).

ყაითმაზაშვილი – ცოვრეთში მ ი ს ი მამული ეკუთვნოდა [ბარათაშვილს] (XVII ს. ბოლო. 1450-33/286).

ყაითმაზაშვილი (ვარ. ყაითმაზიშვილი) გიორგი – შ ვ ი ლ ი ყაითმაზიშვილ თამაზისა, იხ.

ყაითმაზაშვილი გიორგი – მ ო წ მ ე ყორხმაზ კახაბრიშვილის მიერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. II. 6. 1450-16/4).

ყაითმაზაშვილი გიორგი – ჰყავს [ძ მ ა ] ოთარ. ზემო ბოლნისში ფარემუზ შანშიაშვილს მ ი ჰ ყ ი დ ა მელიქ ავთანდილისაგან ნასყიდი ორი დღის მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა დოლმაზაშვილის [მიწას] და ბოლნელის ხოდაბუნს. დ ა მ წ ე რ ი ა ამ ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. ბოლო მეოთხ. 1450-9/29).

ყაითმაზაშვილი (ვარ. ყაითმაზიშვილი) ზავრად – შ ვ ი ლ ი ყაითმაზაშვილ თამაზისა, იხ.

ყაითმაზაშვილი (ვარ. ყაითმაზიშვილი) თამაზ – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ნარიმან, რამაზ, ზავრად, გიორგი. შაჰნავაზმა მას ამოუკვეთა საბალახე ოთხას სულ სახასო ცხვარზე (1668 წ. V. 1450-268).

ყაითმაზაშვილი თამაზა – ყაფლანიშვილთა ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი. თამაზ ყაფლანიშვილთან ერთად მონაწილეობდა იოთამიშვილებსა და დოლენჯიშვილებს შორის დავის გარიგებაში სასახლეზე და მიწებზე (XVII ს. 70-80-იანი წლები. 1450-38/26).

ყაითმაზაშვილი (ვარ. ყაითმაზიშვილი) ნარიმან – შვ ი ლ ი ყაითმაზაშვილ თამაზისა, იხ.

ყაითმაზაშვილი ნარიმანა – მ ო წ მ ე შიოშ ბარათაშვილის მიერ მდივანბეგ ვახტანგ [ბარათაშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. VII. 1. Hd-13106).

ყაითმაზაშვილი ოთარ – [ძ მ ა ] ყაითმაზაშვილ გიორგისა, იხ.

ყაითმაზაშვილი (ვარ. ყაითმაზიშვილი) რამაზ – შ ვ ი ლ ი ყაითმაზაშვილ თამაზისა, იხ.

ყაისარა – ი ყ ო მოფიცარი პაპუა, გუგუნა და ვარაზა გერმანოზიშვილების ყმა-მამულზე დავის გარიგებისას ([1688-1703 წწ.] Sd-577ა).

ყალაბა– კრეფას მცხოვრები. მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537-1538 წწ.] VIII. 16. 1450-11/112).

ყალაბეგა – მ ი ს ი მიწის საზღვრამდე მიჰყიდა ფინეზამ პაპია გოგიბაშვილს მიწა (1675 წ. II. 24. 1450-5/42).

ყალაბეგა – ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] სუხიტა. პაატა ჯვახიშვილმა ვალში მისცა სახლი და მიწა, რომელიც ასევე ვალში ჰქონდა მიღებული სუხიტას და ყალაბეგასაგან (XVII ს. I ნახ. 1450-53/112).

ყალაბეგ[აან]თ (ვარ. ყალიბეგაანთ) დინიბეგა – 1683-1688 წწ. მ ო წ მ ე: ოთამაანთ შაროას მიერ ბაბანაანთ პაპოასათვის მიცეული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. VIII. 22. 1448-5336); ყამაზაანთ თამაზას მიერ აბესალამაანთ ფასინასათვის მიცემული დუქნებისა და სახლის ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1686 წ. VI. 1448-1089).

ყალაბეგა[ან]თ დინება – მ ო წ მ ე ფარლოა[ა]ნთ ელიზბარასშვილ პაპას მიერ თავისი ბიძის, მერაბისათვის მიცემული წისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. I. 11. 1450-14/73).

ყალამაშვილი გაბრიელა – მ ო წ მ ე ქიშვარ თუმანიშვილის მიერ ხუცეს ტერ-ასატურა პარვართაშვილისათვის მიცემული მიწის შეწირულების წიგნისა (1482 წ. Hd-8711ბ).

ყალამაშვილი გრიგოლ – მ ო წ მ ე ქიშვარ თუმანიშვილის მიერ ხუცეს ტერ-ასატურა პარვართაშვილისათვის მიცემული მიწისა და ქულბაქის გაცვლის წიგნისა (1482 წ. Hd-8711ა).

**ყალანდარ** – მ ო წ მ ე ესტატეს მიერ თავის განაყოფ ფარსადანისათვის მიცემული ვენახის გაცვლილობის წიგნისა (1665 წ. Qd-195).

**ყალანდარ** – მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. მ ო წ მ ე შაიკა შიხაშვილის მიერ ყორხმაზ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII-XVIII სს. მიჯნა. 1450-4/254).

**ყალანდარისშვილი//ყალანდარიშვილი**

**ყალანდ[ა]რიშვილი** – ნოჯისხევს გაღმა მ ა ს უყიდია მამული, რაზედაც სუიმერნელი ხიმშიაშვილებს ედავებოდა (XVI ს. Ad-1791).

**ყალანდარისშვილი აფრასიონ** – მ ო წ მ ე გოსტაშაბ ბარათაშვილსა და ოსიყმა ბუღულაშვილს შორის ამლივის და ბუღულეთის საზღვარზე დავის გარიგების წიგნისა (XVI ს. Hd-1568).

**ყალანდ[ა]რისშვილი იოსება** – ენაგეთს მცხოვრები. რევისა და არეშისშვილის სანაცვლოდ წილად ერგო ხოსია [ბარათაშვილს] (1640 წ. 1450-11/85).

**ყალანდაძე** – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა ნადირა მეტრეველის მიერ ალხაზ მაჩაბლისათვის სისხლის საფასურად მიცემულ მიწას (1691 წ. Hd-10399).

**ყალარდოიშვილი** – ყანობელი. ალექსანდრე მეფის ბრძანებით მ ა ს ხევი მძევლად აძლევს გერგეტის საყდრიშვილებს (1439 წ. II. 20. A-1085, 1-15).

**ყალოაანთ აკოფა** – მ ო წ მ ე ქაიხოსროვაანთ ოჰანას მიერ თავის ბიძაშვილ ქაიხოსროვაანთ ასლამაზასათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. IV. 20. 1448-275).

**ყალოასშვილი გასპარა** – ხ ო ჯ ა. მ ო წ მ ე გოჭილოდ[აა]ნთ ბაისოღულაშვილ დავითას გაყრისა თავის ძმისშვილებთან (1684 წ. VII. 1. 1450-50/206).

**ყალუაანთ** (ვარ. **ყალუანთ**) **სუთინაშვილი მელქუა** (ვარ. **მელქოა**) – და მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე: მელიქ ელანას შვილის, როსტომ [მირიმანაშვილის] მიერ ჭაჭასშვილ-მელქუასშვილ გასპარასათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. I. 13. 1450-7/121); ალამურაანთ გასპარას მიერ მერაბ ფუნდუასშვილისათვის მიცემული ქულბაქის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. IX. 24. 1448-2946); ასატურ ხუბიარასშვილის მიერ სოღრუაანთ მამიჯანასშვილ ფასუასათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. X. 15. 1450-5/18); სარქისა და გასპარა ხითარასშვილების გაყრის წიგნისა (1699 წ. III. 1. Ad-954); შიუაანთ ასლამაზას მიერ შიუაანთ ზალინასათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. IV. 1. 1448-276), შაჰუა[ა]ნთ გოგინასშვილ ავთანდილის მიერ ხუდუა[ა]ნთ გრიქორასშვილ ასლანისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. IX. 15. Hd-1698); არაქელა, არუთინა და გიორგი ალავერდაშვილების გაყრის წიგნისა (1699 წ. IX. 16. 1450-11/41).

**ყამაზაანი//ყამაზაშვილი**

**ყამაზაშვილი** – მისგან ნასყიდი ვენახი ქვემო ნიქოზში ბოქაულთუხუცესმა ელიზბარ დავითიშვილმა უბოძა პაპუნა მახვილაძეს (1656 წ. Sd-605).

**[ყა]მაზაშვილი აბესალამა** – აზნაურ ნიჟარაძისეული გლეხი, მაღლაკში მცხოვრები. ბაგრატ მეფეს იგი ნიჟარაძისგან შეუსყიდია და გელათის წმინდა გიორგის საყდრისათვის შეუწირავს. ეკისრა გამოსაღები: ოცი თეთრი, ოცდაათი დიდი კოკა ღვინო, ღომი ორი ნათხალი და ერთი ურემი, ერთი სამაჭრობო საკლავი, ორი ქათამი, სამი კოკა ღვინო, ერთი ბატკანი, ორი თეთრი სამარხო (1545 წ. VI. 12. Hd-11201).

**ყამაზა[ან]თ აკოფა** – ძმისწული ყამაზა[ან]თ შაპპარუნაშვილ თამაზისი, იხ.

**ყამაზ[აან]თ ალიხანა** – მოწმე აბესალამა[ან]თ ყორხმაზაშვილ ბეჟოას მიერ ფასინასათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. III. 30. 1448-1103).

**ყამაზა[ან]თ ბეჟინა** – მოწმე აბესალამაანთ ბეჟოას მიერ ფასინასათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. III. 30. 1448-1103).

**ყ[ა]მაზაანთ ბეჟუა** – მოწმე აბესალამა[ა]ნთ მურადაშვილ ხოჯინას მიერ ბატონისშვილ აშოთანისათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. VII. 1450-5/87).

**ყამაზა[ან]თ ზალინა** – მოწმე ბეროა ბაინდურასშვილის მიერ ქალაქის მოურავ [მანუჩარისათვის] მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. XII. 1. Hd-13696).

**ყამაზაანთ მურადაშვილი ალიყული** – მოწმე ზურაბა ხუდადაშვილის მიერ ჩითახაანთ მირველასშვილ ფარსადანასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. IV. 19. 1450-57/5).

**ყამაზაშვილი პაპუა** – შუა ბოლნისში მცხოვრები. გიგოლა ფირველაშვილთან ერთად მან გიორგი ყაფლანისშვილს მიჰყიდა ბერუა ყუგაზაშვილის ვენახის გასწვრის მდებარე ხოდაბუნი შემაზასშვილის ვენახამდე (1676 წ. IV. 10. Hd-6083).

**ყ[ა]მაზაშვილი რამაზა** – ქვემო ნიქოზს მცხოვრები. იგი მამულით უბოძა ნაზარალი–ხანმა პაპუნა ფანეელიშვილს (1689 წ. XI. 16. 1448-53).

**ყამაზ[ან]თ შაყულაშვილი ამირა** – მოწმე მახარა მგელიაშვილის მიერ ფირშავათ ამაზაშვილ პაპუასათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. VIII. Sd-767).

**ყამაზა[ან]თ შაყულაშვილი სოლთაყულა** – მოწმე მახარა მგელიაშვილის მიერ ფირშავა[ან]თ ამაზაშვილ პაპუასათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. VIII. Sd-767).

**ყამაზა[ან]თ შაჰპარუნა** – მ ი ს ი ქულბაქი ესაზღვრებოდა სარუხა[ა]ნთ ხოსინას მიერ ქაფანაკა[ა]ნთ ფარსადანასათვის მიყიდულ ქულბაქს (1672 წ. Sd-754).

**ყამაზა[ან]თ შაჰპარუნაშვილი ავთანდილ** – ძ მ ა ყამაზაანთ შაჰპარუნაშვილ თამაზასი, იხ.

**ყამაზა[ან]თ შაჰპარუნაშვილი თამაზა** – ჰყავს ძ მ ა ავთანდილ, ძ მ ი ს წ უ ლ ი აკოფა. მ ი ჰ ყ ი დ ა აბესალამათ ფასინას დუქნები და სახლის ადგილი (1686 წ. X. 6. 1448-1089).

**ყ[ა]მ[ა]ზაშვილი ხეჩიკა** – შუა ბოლნისს მცხოვრები. ი გ ი მამულით დედოფალმა უბოძა ალიხანა იაგულასშვილს (1658 წ. ახლო. 1450-9/132).

**ყ[ა]მაზაშვილი ხოხონა** – ქვემო ნიქოზს მცხოვრები. ი გ ი მამულით უბოძა ნაზარალი-ხანმა პაპუნა ფანჯელიშვილს (1689 წ. XI. 16. 1448-53).

**ყანბარისშვილი** – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა დოლმაზა ზურიკაშვილის მიერ ბერუა დაირასშვილისათვის მიყიდულ მიწას (1690 წ. II. 1450-53/210).

**ყანგიშერაშვილი პაატა** – მ ო წ მ ე ბასილა დედაბრიშვილის მიერ თარხან გიორგისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. V. 11. 1450-33/224).

**ყანდიაშვილი** – ქორდს მცხოვრები. ლუარსაბ მეფემ ი გ ი მამულით შესწირა სვეტიცხოველს მალაქიას კათალიკოსობის დროს ([1532-1534 წწ.] 1449-1647).

**ყანდიაშვილი** – ვანელი. მ ო წ მ ე დავით აბაშისშვილ-ბარათაშვილის მიერ მეშარბათე სეხნია არეშისშვილისათვის მიცემული ტყის და მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. 1450-14/13).

**ყანდიაშვილი** – მ ა ს შეუძენია სველნეთში ქვათახევის ყმის თანიას მიერ თვითნებურად გაყიდული მიწა სამ სხვადასხვა ადგილას ([1700 წ.] 1449-1869).

**ყანდიაშვილი დათუნა** – ჰყავს გ ა ნ ა ყ ო ფ ი მღვდელი პავლე, ძმ ი ს წ უ ლ ე ბ ი: მირზა, თამაზა. დაკარგულასშვილ-მახარასშვილებს: გიორგის, საბა მღვდელს, შოშიტას და დარჩიას მიჰყიდა გარმელში ერთი დღის მიწა (1690 წ. I. 29. Hd-4083).

**ყანდიაშვილი თამაზა** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყანდიაშვილ დათუნასი, იხ.

**ყანდიაშვილი მირზა** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყანდიაშვილ დათუნასი, იხ.

**ყანდიაშვილი პავლე** – მ ღ ვ დ ე ლ ი. გ ა ნ ა ყ ო ფ ი დათუნა ყანდიაშვილისა. იხ. მ ო წ მ ე დათუნა ყანდიაშვილის მიერ გიორგი დაკარგულასშვილ-მახარასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. I. 29. Hd-4083).

**ყანდინა** – მ ე ქ ვ ა ბ ე. მ ო წ მ ე პაპუნა შატბერასშვილის მიერ ასატურა გულიშამბარასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. 1450-49/119).

**ყანდინაშვილი აბაზა** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყანდინაშვილ დავითისა, იხ.

ყანდინაშვილი ბეჟოა – შ ვ ი ლ ი ყანდინაშვილ მერაბისა, იხ.

ყანდინაშვილი ბიძინა – ქვემო ბოლნისს მცხოვრები. ჰყავს [ს ა ხ ლ ი - კ ა ც ე ბ ი ]: ჯიმშიტა, ეჯუბა. ნაზირ ბაინდურ [შანშიაშვილს] ჯერ დაახსნევინა და შემდეგ მ ი ჰ ყ ი დ ა ურნაშენში არაქელას მინის გვერდით მდებარე შიოშაური ორი დღის მინა (1688 წ. III. 17. 1450-7/11).

ყანდინაშვილი გრიქორა – შ ვ ი ლ ი ყანდინაშვილ მერაბისა, იხ.

ყანდინაშვილი დავით – ჰყავს ძ მ ა: ოჰანა, სარუხანა, ძ მ ი ს წ უ ლ ი აბაზა, ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ვათოა. მ ი ჰ ყ ი დ ა ბაინდურ გოგიბაშვილს ორი დღის მიწა, რომელიც ადრე დავითის პაპას და გოგიბაშვილებს დაახსნევინა (1685 წ. III. 3. 1450-5/56).

ყანდინაშვილი ეჯუბა – [ ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ყანდინაშვილ ბიძინასი, იხ.

ყანდინაშვილი ვათოა – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ყანდინაშვილ დავითისა, იხ.

ყანდინაშვილი მერაბა – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი : ბეჟოა და გრიქორა. მირზაანთ მამოას უბანში ყანყუზა[ან]თ მირაქასაგან ი ყ ი დ ა ჯანჯულაზაშვილის და ნაზარა დულალაშვილისაგან შენაძენი სახლები, რომლებიც ესაზღვრებოდა მეჩახჩურე ნაზარას და მეკუპრე ზურაბას შვილის, ბეროას სახლებს (1686 წ. VII. 24. 1448-2944).

ყანდინაშვილი ოჰანა – ძ მ ა ყანდინაშვილ დავითისა, იხ.

[ყანდინაშვილი] ოჰანა – ქვემო ბოლნელი, ბიძინა ყანდინაშვილის გ ა ნ ა - ყ ო ფ ი . მ ო წ მ ე ბიძინა ყანდინაშვილის მიერ ბაინდურ შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. III. 17. 1450-7/11).

ყანდინაშვილი სარუხანა – ძ მ ა ყანდინაშვილ დავითისა, იხ.

ყანდინაშვილი ჯიმშიტა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ყანდინაშვილ ბიძინასი, იხ.

ყანდუა – მ ო წ მ ე ზაზუას მიერ მამულა იმაშაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. 1450-51/83).

ყანდუასშვილი ნასყიდა – მ ო წ მ ე ოთანა მაისურაძის მიერ ზაზა ქარუმიძისათვის ვალის გადახდის თაობაზე მიცემული პირობის წიგნისა (XVII-XVIII სს. მიჯნა. Qd-3696).

ყანდუაშვილი ნურალა – მ ო წ მ ე: ოღულა ხუციშვილის მიერ დათუნა ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1663 წ. I. 1450-16/110); დათია ფირიაშვილის მიერ ეჯუბა ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1664 წ. V. 8. 1450-19/4).

ყ[ა]ნდურალ – ჰყავს შ ვ ი ლ ი ფარსადან. ჩავიდა ახალქალაქში, სადაც გიორგი მიურავისშვილს მისცა ყმობის პირობა (1663 წ. ახლო. Hd-2589).

ყანდურ[ა]ლ – მ ი ს ი მამასახლისის ხელით მიუბარებიათ პაატას და პავლეს ბიძინა პარკაძისათვის ხატი ([1688-1724 წწ.] გსიემ 7636/9).

ყანდურალაშვილი – მძოვრეთში მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი სახლ-კარით ერგო ედიშერს ([1688-1703 წწ.] Hd-1636).

**ყანდურალაშვილი ამირა** – მ ო წ მ ე თაყინა ჯუტ-არაქელაშვილის მიერ ეპისკოპოს ტერ-ანდრიასა და ტერ-ფარსელ თუმანიშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1612 წ. Hd-1567).

**ყანდურალაშვილი ბეროა** – მძოვრეთში მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო ედიშერს ([1688-1703 წწ.] Hd-1636).

**ყანდურალაშვილი შამირანა** – მღვდელ მახარე ელისაბედაშვილისაგან ი ყ ი დ ა მამული, რომელიც ესაზღვრებოდა სოკოხევს, ხიცია[ა]ნთ გზამდე და ფელიკაშვილის მიწამდე (1686 წ. III. 1. 1448-2948).

**[ყანდურალიშვილი] ამირა** – შ ვ ი ლ ი [ყანდურალიშვილ] ფარსადანისა, იხ.

**ყანდურალიშვილი დავით** (ვარ. დავითა) – 1666-1693 წწ. გორელი. მ უ შ რ ი ბ ი / / ს ა ლ ა რ ო ს მ უ შ რ ი ბ ი (1681-1690 წწ. 1450-1/101, Sd-44, 1450-28/8, Ad-984, 1450-1/91, Sd-43, Qd-6918, 1450-52/108. Hd-2753, 1450-27/201,14/50); ნაზარალიხანის კარის მ დ ი ვ ა ნ - მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი (1693 წ. 1450-14/50). შ ვ ი ლ ი [ყანდურალიშვილ] ფარსადანისა, იხ. ძ მ ი ს წ უ ლ ი [ყანდურალიშვილ] ფირალისა (1672-1681 წწ. 1450-16/3, Hd-10204, 1450-1/101). მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი: ფრიდონ [ყორღანაშვილის] მიერ გიორგისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. XII. 15. 1450-16/3); დურმიშხან ფალანხოსრომვილის მიერ ზაალ ბარათაშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა(1679 წ. III. 15. Hd-10204); ბეჟან საააკაძის მიერ როსტომა ყორღანაშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. VI. 17. 1450-1/101); ბეჟან [თუმანიშვილის] მიერ ზურაბ [თუმანიშვილისათვის] მიცემული ნაზვრევის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. II. 17. Sd-44); ბაინდურ ელიარასშვილის მიერ ფარსელ არღუთაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. XI. 26. 1450-28/8); შალვა ფავენელისშვილის მიერ ყალანდარ თუმანისშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. I. 1. Ad-984); თამაზ ბარათაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. XII. 2. 1450-1/91); ბეჟან თუმანიშვილის მიერ თავის ბიძაშვილ ყალანდარისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. VII. 8. Sd-43); ნაზარალიხანის მიერ გივი, შიო და მანუჩარ თუმანიშვილებისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1689 წ. III. 30. Qd-6918); პაატა დათუკასშვილის მიერ ასატურა ბეჟანისშვილისათვის მიცემული თავნასყიდობის წიგნისა (1689 წ. XII. 1450-52/108); ფარსადან ციცისშვილის მიერ ბებურ ვაჩნაძისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. I. 22 Hd-2753); ნაზარალიხანის მიერ თარხან გიორგი [სააკაძისათვის] მიცემული მამულის წყალობის წიგნისა(1691 წ. 1450-27/201); ნაზარალიხანის მიერ გურამ გურამიშვილისათვის მიცემული გლეხების წყალობის წიგნისა (1693 წ. 1450-14/50).

[ყანდურალიშვილი] ფარსადან – ძმა ყანდურალიშვილ ფირალისა, იხ. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ამირა, დავით და ყანდურალი. შაჰნავაზმა მ ა ს გაუთარხნა გორში, ურნყავში და ბადაბეთში მდებარე მამულების ნყალობა, უნყალობა აგრეთვე გორის პირდაპირ, ურნყავში, მისი ყმების მიერ მოხნული მინის დღიურზე ერთი კოდი ღალა (1666 წ. III. 30. Qd-2745).

ყანდურალიშვილი ფირალ (ვარ. ფირალბეგ) – 1630-1681ნნ. გორელი. სვიმონ მეფის კარის მ დ ი ვ ა ნ - მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი (1630 წ. 1450-12/107, 1448-598), როსტომ მეფის კარის ს ა ლ ა რ ო ს მ უ შ რ ი ბ ი (1636-1680 ნნ. Hd-14601, Hd-14602, Ad-1030, Qd-1672, 1450: 22/67, 50/71, Hd-14415, 1450: 21/40, 22/61, 1449-1000). კარის მწ ე რ ა ლ ი (1652წ. Hd-1805), ხელმნიფის ს ა ლ ა რ ო ს მ წ ე რ ა ლ ი (1655წ. 1450-10/27), სალაროს მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი (1648-1657 ნნ. მატ. 252. N4. ქრ. II, 461-464), შაჰნავაზის კარის მ დ ი ვ ა ნ ი / მ დ ი ვ ა ნ - მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი (1660-1663 ნნ. Hd-2627, 13026, 2433, 1450: 31/135, 6/91, 1449-564, Sd-621, 1448-1033, 1450-11/75), მ დ ი ვ ა ნ ი (1660, 1664 ნნ. Hd-8054, 1450-48/146). ჰყავს ძ მ ა [ყანდურალიშვილი] ფარსადან, იხ., (1652 წ. Qd-1972), ბ ი ძ ა [ყანდურალიშვილ] დავითისა, იხ. მ ა ს უნყალობა როსტომ მეფემ ბადაბეთში მამული (1652. Qd-1972); [როსტომ] მეფემ ი გ ი მამულით შესნირა ეჩმიაძინის მონასტერს (1657წ. I, 15, მატ. 252, N4 I); მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ს ი ღ ე ბ დ ა: მანუჩარ და პაპუნა ციციშვილების სასისხლო დავის გარიგებაში (1640 წ. VI. 21. Ad-1030), გივი ზევდგინიძესა და სუიმონს შორის სასისხლო დავის გარიგებაში (1652 წ. Hd-1805); დ ა მ წ ე რ ი: სვიმონ მეფის მიერ ქაიხოსრო ბარათაშვილისათვის მიცემული მამულის ნყალობის ნიგნებისა (1630 წ. I, 27. 1448-598; 1630 წ. IV. 22. 1450. 12/107), [სვიმონ მეფის] მიერ პაპუნა ბარათაშვილისათვის მიცემული მამულის ნყალობის ნიგნისა (1636 წ. VIII, 25. Hd-14601), როსტომ მეფის მიერ: მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული საბეჭდავის სარგოს ნყალობის ნიგნისა (1638 წ. VII. 2. Hd-14602), ბეჟან თულაშვილისათვის მიცემული მამულის თარხნობის ნიგნისა (1641 წ. VIII. 10. Qd-1672), იავანგულიაანთ სულხანისათვის მიცემული ადგილის ნყალობის ნიგნისა (1645 წ. VI. 20. 1450-22/67); პაპუნა თბილელაშვილისათვის მიცემული თარხნობის ნიგნისა (1647 წ. V. 7. 1450-32/283), ლევან თურქისტანიშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნყალობის ნიგნისა (1647 წ. IX. 5. 1450-50/71), სვეტიცხოვლისათვის ბოძებული გარეჯის უდაბნოების და უკანა და ნინა საგარეჯოს თემების შენირულების ნიგნისა (1648, ქრ., 2, 461-464); თუმანიანთ მამუკაშვილების ყმების ხუდადა, ყაზარა და პაპია აშანმაშანაშვილებისათვის მიცემული თარხნობის ნიგნისა (1649 წ. III. 24. Hd-13143), თარხან იორამ სააკაძისათვის მიცემული ყმა–მამულის ნყალობის ნიგნისა (1654 წ. V, 28. Hd-14415); ქიტია მოლოდინაშვილის მიერ ზურაბ ლარაძისათვის მიცემული მინის ნასყიდობის ნიგნისა (1655 წ. XI. 15. 1450-10/127); ივანგულაანთ ბაინდურას მიერ ხოჯა ბებუთასათვის მიცემული ნაიონჯარის ნასყიდობის ნიგნისა (1658 წ. II. 4. 1450-22/61), შაჰნავაზის მიერ

დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული თარხნობის წიგნისა (1660 წ. I. 26. Hd-2627), ხოსიტა თუმანიშვილის მიერ მანუჩარ [თუმანიშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1660 წ. IV. 6. Hd-8054); შაჰნავაზის მიერ: მირიან ქამალაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1661 წ. IV. 16. Hd-3026), ბოქაულთუხუცეს როჭიკ შალიკაშვილისათვის მიცემული ყმების სითარხნის წიგნისა (1661 წ. VI. 4. 1450/135), დონდარა ეჯუბაშვილისათვის მიცემული ნასოფლარის წყალობის წიგნისა (1661 წ. XII. 18. 1450-6/91), ეინალ მირიმანაშვილისათვის მიცემული ყმების წყალობის განახლების წიგნისა (1661 წ. XII. 27. 1449-564); მესტუმრე დონდარა [ეჯიბისშვილისათვის] მიცემული ყმამამულის წყალობის წიგნისა (1662 წ. Sd-621); პაპუნა გოსტაშაბისშვილისათვის მიცემული კოხნარში საცილობელი მამულის წყალობის წიგნისა (1662 წ. VI. 27. Hd-2533); სვეტიცხოვლისათვის მიცემული ბაჟის შეწირულობის წიგნისა (1662 წ. V. 25. 1448-1033); ხოსია ბარათაშვილისათვის მიცემული ყმის და მამულის წყალობის წიგნისა (1663 წ. IV. 22. 1450-11/75), უცნობი პირისათვის მიცემული ყმების წყალობის წიგნისა (1663 წ. IV. Hd-15061); მოწმე: ბეჟან ზაქუმიშვილის მიერ ხოსროვა დალალაშვილისათვის მიცემული წისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1664 წ. 1450-48/146); ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა: იგი როსტომ მეფეს გაუგზავნია თავის სახასო სოფელ სამწევრისში, სადაც ფირალს „ხელი აღუმართავს" (1655 წ. 1450-6/30); როსტომ მეფის ბრძანებით მან ოთხად გაყო ნახიდურის მიწა, რომლის ერთი მეოთხედი – დაუთაანთ ვენახის გვერდით მდებარე – მეფემ ყაფიჩ ხოსია ნარიმანისშვილს უწყალობა (1657 წ. I. 5. 1450-21/40), მეორე მეოთხედი ხოსია ნარიმანისშვილს მისცა (1658 წ. მატ. 252 3 II); ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა: როსტომ მეფეს ურნაშნელებისათვის მათ მიერ ადრე გაყიდული და მითვისებული მიწები იმ რიგად უწყალობებია, როგორც ეს ფირალს განუსაზღვრავს (1656 წ. 1450-10/58), გიორგი მეფის მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიცემულ ურნაშენის მიწების დამტკიცების წიგნში ნათქვამია, რომ იგი როსტომ მეფეს გაუგზავნია სამწევრისელთა და ბოლნელთა შორის სადავო ურნაშნური მიწების „გასასინჯად" (1680 წ. X. 10. 1449-1000).

[ყანდურალიშვილი] ყანდურალ – შ ვ ი ლ ი [ყანდურალიშვილ] ფარსადანისა, იხ.

ყანყუზარა[ან]თ ესტატე – შ ვ ი ლ ი ყანყუზარა[ან]თ მირაქასი, იხ.

ყანყუზარაა[ნ]თ მირაქა – მ ო წ მ ე ბახორაა[ნ]თ ასატურასშვილ მამაჯანას მიერ მუშმუშისათვის მიცემული ბაღის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. III. 9. 1450-23/159).

ყანყუზარაა[ნ]თ მირაქა – შ ვ ი ლ ი სულხანასი, ჰყავს შ ვ ი ლ ი ესტატე. მ ი ჰ ყ ი დ ა მერაბ ყანდინაშვილს მირზა[ან]თ მამოას უბანში მდებარე ჯანჯულაზასშვილისა და ნაზარა დულულაშვილისაგან ნასყიდი სახლები, რომ-

ლებიც ესაზღვრებოდა მეჩახჩურე ნაზარას და მეკუპრე ზურაბასშვილ ბეროას სახლებს (1686 წ. VII. 24. 1448-2944).

**ყანყუზარაა[ნ]თ სულხანა** – მ ა მ ა ყანყუზარაა[ნ]თ მირაქასი, იხ.

**ყანჩაელი** – ჰყავს ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ოთარ. პაპუნა მამაცაშვილის ნაცვლად ი გ ი ყოფილა „შეგდებული მოფიცარი" დავით და ელიზბარ დავითიშვილების სამამულე დავის გარჩევისას ნამორაძეებთნ (XVII ს. შუა ხანები. Sd-775).

**ყანჩაელი გოსტაბ** – ლუარსაბ მეფემ ი გ ი უწყალობა ამილახორ ბარზი [ზედგინიძეს] (1609 წ. III. 10. Ad-1202).

**ყანჩაელი ვაჩა** – ჰყავს შ ვ ი ლ ი კიკო. გაბრიელ კოკოშვილს მ ი ჰ ყ ი დ ა ტყე იკორთის მონასტრის, დავითისშვილის, ბეთლემაშვილის და დათუა ფანტელაშვილის სასარეებამდე. მიჰყიდა აგრეთვე ეკლესიის მამულის „დიდი ნვერი", წმინდა ნიკოლოზის საყდარი და ყანჩაელის სასაფლაო (1599 წ. IX. Qd-8877).

**ყანჩაელი (ვარ. ყანჩიელი, ყანჩელი) იოსებ** – 1682-1699 წწ. შიომღვიმის წინამძღვარი (1682 წ. 1449-1876; შმმის, 82), სამთავნელი წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი (1692-1699 წწ. Ad-1251, Hd-2142,1553). მ ი ს ი წინმძღვრობის დროს ახალციხელმა გლეხმა ანტონაშვილმა ყმად შესწირა თავი შიომღვიმის მონასტერს (1682 წ. შმმის, 82); მ ა ნ გოგინა ანტონაშვილს მისცა რუ, რის სანაცვლოდ დააკისრა ბეგარა – ყველიერის ხუთშაბათს თითო ლიტრა სანთელი (1682 წ. 1449-1876); ი გ ი დასწრებია ამილახორთა სახლიკაცობის რიგის დადგენისათვის მოწვეულ ბჭობას (1693წ. Hd-2142); მ ო წ მ ე:· კათალიკოს [იოანე] დიასამიძესა და გივი ამილახორს შორის სამამულე დავის გარიგების წიგნისა (1692 წ. V. 3 Ad-1251), თექთუმან თექთუმანიძის მიერ ზაალ ქარუმიძისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. Hd-1553).

**ყანჩაელი კვიპრიანე** (ვარ. კუიპრიანე) – სამთავნელი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი. მ ო წ მ ე თექთუმან თექთუმანიძის მიერ ზაალ ქარუმიძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. Hd-1553).

**ყანჩაელი კიკო** – შ ვ ი ლ ი ვაჩა ყანჩაელისა, იხ.

**ყანჩაელი (ვარ. ყანჩელი, ყანჩიელი) მელქისედეკ** – [1630] – 1658 წწ. შიომღვიმის წინამძღვარი ([1630]-1658 წწ. შმმის, 79-81, 1449-1875, 1874, 1563-ბ). ჰ ქ ო ნ დ ა ს ა მ ა მ უ ლ ე დ ა ვ ა: დემეტრე ამილახვრისშვილთან, შემდეგ მოდავე მხარეები შერიგებულან ([1630-1658 წწ.] შმმის. 79), ნაცვალაშვილთან მამულების საზღვრებზე. დავის გარიგების შედეგად სადაო საზღვრები გაივლო გოჩას და სესიას სახლებამდე. ნაცვალაშვილს ეპატია ყანჩიელის ვალი – 30 კოდი პური და 1 ხარი (1654 წ. ახლო. 1449-1874); მ ი ს ი თ ხ ო ვ ნ ი თ: [როსტომ მეფემ] შიომღვიმის მონასტერს განუახლა სხალტბის და ნასტაგისის თარხნობა ([1642-1651 წწ.] შმმის, 81. მინაწ. 2), როსტომ მეფემ გაათავისუფლა შიომღვიმის მონასტერი საურისაგან და იქ გაიჩინა ალაპი (1658 წ. შმმის, 80-81); ქინძარაში მცხოვრებ დემეტრე ძაბახიძეს ასაშენებლად მისცა ულუმპიას

მიერ მღვიმისათვის შეწირული პარტახტი ვენახი (1654 წ. 1449-1875); მ ა ს მოსწონებია გივი ამილახორის მარანში ქვევრი, რომელიც ამილახორს მისთვის უბოძებია, ამის გამო დაანესა გივი ამილახორის სახლზე ჟამისწირვა (1658 წ. 1449-1536).

ყანჩაელი პაპუა – მ ი ჰ ყ ი დ ა ფეროზაშვილს ერთი გოგო 160 მარჩილად (1654 წ. II, 468).

ყანჩაელი ხუცია – საამილახვროს დავთრის მიხედვით ჰყავს ყმები: გიგუა და უმეკა ყაზარაშვილები, მურადა ფირალაშვილი, როსებაშვილი და რენელი ბოგანო. ყველას ევალებოდა ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

ყანჩელები (ვარ. ყენჩელები) – ამილახორის ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. მონაწილეობას იღებდნენ ქსნის ერისთავ ელიზბარსა და ამილახორს შორის სამამულე დავის გარიგებაში (1659 წ. Hd-2113).

ყანჩელი ბეჟან – შ ვ ი ლ ი ყანჩელ ბიძინასი, იხ.

ყანჩელი ბიძინა – თელეთის მ ო უ რ ა ვ ი. მ ო წ მ ე იოთამ ამილახვრის მიერ ამირასლან შარუაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1639 წ. VI. 8. 1450-51/241).

ყანჩელი (ვარ. ყანჩაელი) ბიძინა – ბეჟან ამილახორის „კაცი". ამილახორმა ი გ ი ავთანდილ ჩიკოტიძესთან ერთად გააგზავნა კათალიკოს ქრისტეფორესთან სოფლებს – ზერტეთსა და კუარხითს შორის საზღვრებზე დავის გასარიგებლად (1639 წ. Qd-1387ა).

ყანჩელი ბიძინა – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ბეჟან, ოთარ,ზაზა; ძ მ ა პაპუა; ძ მ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი: დათუნა, ზურაბ; გ ა ნ ა ყ ო ფ ე ბ ი: თამაზა, ხუცია, დათუნა და გივი. ბეჟიტა შანასშვილთან და მის შვილებთან, აგრეთვე გიორგი უგანაძესა და მის ძმისწულებთან ერთად თავის ბატონებს, გივი ამილახორს და ყორჩიბაშ დემეტრეს მ ი ს ც ა პ ი რ ო ბ ა ტყვის გაუსყიდველობის შესახებ (XVII ს. II ნახ. Hd-2150); პაპუნა ყანჩელთან ერთად იყო მ ო წ მ ე გივი ამილახვრის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ. Hd-2111).

[ყანჩელი] გივი – გა ნ ა ყ ო ფ ი ყანჩელ ბიძინასი, იხ.

ყანჩელი დათუნა – ძ მ ი ს შ ვ ი ლ ი ყანჩელ ბიძინასი, იხ.

[ყანჩელი] დათუნა – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ყანჩელ ბიძინასი, იხ.

ყანჩელი ზაზა – შ ვ ი ლ ი ყანჩელ ბიძინასი, იხ.

ყანჩელი ზურაბ – ძ მ ი ს შ ვ ი ლ ი ყანჩელ ბიძინასი, იხ.

ყანჩელი თამაზ – საამილახვროს დავთრის მიხედვით მ ა ს ჰყავს ყმები: მამუკა მეფარიძე, ნადირა ბერიული, იმერელი პაპუნა, ივანე ჭუხვანიძე, დავითა ქანანაშვილი და ბოგანო გოგია, რომელთაც ევალებოდათ ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

ყანჩელი თამაზა – ხუცესი. დ ა მ წ ე რ ი ლამურ პაპუნას მიერ ისე მღვდლის სიძის მამუკა [ლაბაძისთვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1692წ. I. 10. 1450-29/158).

[ყანჩელი] თამაზა – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ყანჩელ ბიძინასი, იხ.

ყანჩელი ოთარ – მ ო წ მ ე რამაზ ტარსაიჭაშვილის მიერ პაპუნა ტარსაიჭაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1619 წ. 1450-35/192).

ყანჩელი ოთარ – შ ვ ი ლ ი ბიძინა ყანჩელისა, იხ.

ყანჩელი (ვარ. ყანჩაელი) ოთარა – ი გ ი გაუძარცვავთ იესე და შანშე ერისთავებს. დავის გარიგების წიგნის თანახმად, იესეს ნაძარცვი შანშეს არ მოეკითხებოდა, მაგრამ იესეს დაზარალებულისათვის თავისი ნაძარცვი უნდა დაებრუნებინა ([1623-1632 წწ.] Hd-14669).

ყანჩელი პაპუა – ძ მ ა ბიძინა ყანჩელისა, იხ.

ყანჩელი პაპუნა – მ ო წ მ ე გივი ამილახვრის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ. Hd-2111).

ყანჩელი ხუცია – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ბიძინა ყანჩელისა, იხ.

ყანჩიელი-გზამრუდისშვილი გიორგი – ჰყავს ს ა ხ ლ ი კ ა ც ი მგელია. მ ი ჰ ყ ი დ ა მიწა ფილიპე სახლთუხუცისშვილს (1629 წ. XI. 18. Hd-5814).

ყანჩიელი-გზამრუდისშვილი მგელია – ს ა ხ ლ ი კ ა ც ი გიორგი ყანჩიელ-გზამრუდისშვილისა, იხ.

ყანჩიელი რევაზა – ახრისში მ ა ს ეკუთვნოდა დათუნა პაპელასშვილი, ნასყიდა ცხანტერისშვილი, ნუშიასშვილები პაპუნა და ბერუა (1700 წ. 1448-3602).

ყანჩიელი უთრუთ – მოწმე კათალიკოს იოანე დიასამიძეს და გივი ამილახორს შორის ზერტისა და სობისის რუებზე დავის გარიგების წიგნისა (1692 წ. V. 3. Ad-1251).

ყანჩიელი ფეშანგ – 1693-1699 წწ. ამილახორის ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი. მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ს ი ღ ე ბ დ ა ავთანდილ ამილახორისა და მისი ბიძაშვილების სახლიკაცობის რიგის შესახებ დავის განჩინებაში (1693 წ. Hd-2142); მ ო წ მ ე თექთუმან თექთუმანიძის მიერ ზაალ ქარუმიძისათვის მიცემული რენეს ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. Hd-1553).

ყანჩიელი ფეშანგ – ახრისში მას ეკუთვნოდა: ხევჯვრელი თევდორა, მჭედლისშვილი ბერუა, ბეგიასშვილი ივანა, ბეგიასშვილი დათუნა, მამულასშვილი; წინუბანს – ბერიული მამისიმედი, მჭედლისშვილი და კიდევ ორი კომლი (1700 წ. 1448-3602).

ყანჩიელი ქაიხოსრო – ამილახორთა ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი. მონაწილეობას იღებდა ავთანდილ ამილახორსა და მის ბიძაშვილებს შორის სახლიკაცობის რიგის შესახებ დავის გარიგებაში (1693 წ. Hd-2142); მ ო წ მ ე თექთუმან თექთუმანიძის მიერ ზაალ ქარუმიძისათვის მიცემული რენეს ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. Hd-1553).

ყანჩიელი ქაიხოსრო – ახრისში მ ა ს ეკუთვნოდა: კალატოზიშვილი გიორგი, ბერაული თევდორე, ჟამიტასშვილი ონანა, მჭედლისშილი რუსიტა,

ბასიტაშვილი როსტომა, გიგუასშვილი ნასყიდა, წიწუბანს ერთი კომლი, ნინიკასშვილი პა[ა]ტა, მეფარიძე ქიტია (1700 წ. 1448-3602).

**ყანჩიელი** (ვარ. **ყანჩაელი**) **შიოშ** – 1690-1692 წწ. მ ო წ მ ე: პაატა კარალაშვილის მიერ რევაზ მაღალაძისათვის მიერ მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. 1448-5137), ლონენა ზუმბულიძის მიერ რევაზ მაღალაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IX. 8. 1450-30/110), კათალიკოს იოვანე დიასამიძესა და გივი ამილახორს შორის ზერტისა და სობისის რუებზე დავის გარიგების წიგნისა (1692 წ. V. 3. Ad-1251); თექთუმან თექთუმანიძის მიერ ზაალ ქარუმიძისათვის მიცემული რენეს ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. Hd-1553).

**ყანჩიელი შიოშ** – ახრისში მ ა ს ეკუთვნოდა: პაატა ღომელაურის [კუთვნილი] მჭედელი დემეტრე, აველტიზასშვილი ალექსა, ნუშიასშვილები: ბალა, დათა, გოგია, მეცხვარისშვილი დათუნა; ღრომში – ბიძინაძე ნინიკა, მისი შვილი ქიტუა, ხომასურიძე ქიტესა (1700წ. 1448-3602).

**ყანჯირაშვილი გიორგი** – [ძ მ ა] ყანჯირაშვილ მიქელისა, იხ.

**ყანჯირაშვილი მიქელ** – ჰყავს [ძ მ ა] გიორგი. ავთანდილ, ყარან და ფარსადან მარტიროზისშვილებს მისცა ასი დღის მიწა ათიათას თანგად იმ პირობით, რომ თუ მყიდველს ფულს გადაუხდიდა, მიწას უკან გამოართმევდა (XVI ს. I ნახ. 1450-1/138).

**ყარა-ასლან** – [ლეონ მეფემ] დაავალა მ ა ს და მარკოზს, მოეხსენებინათ ქართლის მთავარეპისკოპოს მალაქიასათვის, რომ მცხეთის საყდრისათვის შეწირული მონასტრები და მამულები მას უნდა განეგო ([1520-1532 წწ.] Ad-712); ალექსანდრე მეფემ „ხიზნობის კვალად" ყარა-ასლანს ორი წლით მისცა სვეტიცხოვლის სამკვიდრო მამულები: ვეძისხევი, ფაშაანი, ხევთუბანი და გიორგაანი. ნიკოლოზ კათალიკოსის ჩარევით ეს მამულები შემდგომში კვლავ სვეტიცხოველს დაუბრუნდა (1589 წ. Ad-614).

**ყარაბეგ** – მ ა მ ა მელიქ პაპუნაბეგისა, იხ.

**ყარაბუდახ** – პაპუნას დავალებით მ ი ს ი ყმა უნდა დაეკითხა დოლმაზას და დაედგინა პაატასა და ყორჩიბაშს შორის მოყვრობის ამბავი ([1632–1658] წწ. Sd-477ბ).

**ყარაბუდახ** (ვარ. **ყარაბუდახა, ხარაბუდაღ**) – ჰყავს მ ა მ ა შიოშ (ვარ. შიოშბეგ) (1653-1688 წწ. Hd-10026, 8802, Sd-622, 1448-767, 4428), ძ მ ა იესე (1653-1690 წწ. Hd-10026, Sd-622, Qd-2150); შ ვ ი ლ ე ბ ი: შიოშ (1665, 1688 წწ. Sd-622, 1448-4428, Hd-15090), ასლამაზ (1665 წ. Sd-622), ქაიხოსრო, ლუარსაბ (1688 წ. 1448-4428). მ ა ს უწყალობა ნაზარალიხანმა სამშვილდე და კრწანისი ახალი უბნის საზღვრამდე, ერთი კომლის – პაპუნა ფარეშიშვილის – გამოკლებით (1688 წ. 1448-4428); მ ი ჰ ყ ი დ ა დმანელ ქრისტეფორე ბარათაშვილს შუა ბოლნისში მდებარე შერმაზან და ბა[ა]დურა ძეგელაშვილებისაგან ნასყიდი ვენახი; აგრეთვე – დავით ნავროზაშვილისაგან ნასყიდი სამი კომლი ვენახი. მისი

ყოფილა ბადრია გურგენიძე (1665 წ. Sd-622); მ ო წ მ ე თავის ძმასთან იესესთან ერთად უსუფბეგ ასანბეგიშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1653 წ. V. 25. Hd-10026ბ), თაყა ბარათაშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბისშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1665 წ. XI. 15. Hd-6248), ზა[ა]ლ ბარათაშვილის მიერ მეჯინიბეთუხუცეს პა[ა]ტა ბარათაშვილისათვის მიცემული ტბისის მამულის ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. 1448-767), იესე ბარათაშვილის მიერ მეჯინებ-ეთუხუცეს პაატა ბარათაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგ-ნისა (1679 წ. 8. II. Hd-8802).

**ყარაბუდახა** – მოწმე გიორგი თურაზაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშ-ვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1615 წ. 1450-/76).

**ყარ[ა]ბუდ[ა]ხიშვილი გიორგი** – მ ო წ მ ე პაპუა გერმანოზიშვილის მიერ დავით გოსტაშაბიშვილისათვის მიცემული თამასუქის გაცუდების წიგნისა (XVII ს. II ნახ. Hd-13612).

**ყარაბულა** – იხსენიება საბუთის ფრაგმენტში (XVI ს. A-222, 151v-152r).

**ყარაბულაშვილი დარჩია** – ხეველი. მ ო წ მ ე გერგეტელ საყდრის-შვილებისათვის ხევის სოფლებიდან მძევლების მიცემის შესახებ შედგენილი საბუთისა (1439 წ. II. 20. A-1085. 13-15).

**ყარაბუხიშვილი შიოშ** – მ ო წ მ ე პაპუა ანდერმანიშვილ-საგინაშვილის მიერ ასლან ორბელიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1696წ. 1450-15/79).

**ყარაგოზა** – პყავს შ ვ ი ლ ი ზაზა. ი ყ ი დ ა გრიგოლ ფარაშიშვილისაგან სახნავი სავენახე მიწა (XIV-XV. II. III. 2. Sd-140ა).

**ყარაგოზა** – დმანისში იოთამ ბარათაშვილს წილად ხვდა ხანდამასშვილის ყმის, ყ ა რ ა გ ო ზ ა ს სახლი ([1537-1538 წწ.] 1450-11/112).

**ყარაგოზა** – მ ი ს ი მამული ენისელში როსტომ მეფემ უბოძა ხოსროს (1650 წ. 1448-268); ენისელთ ნაცვალ ხოსროს თეიმურაზ მეფემ გაწუახლა ხარატში მის მიერ აშენებული ყ ა რ ა გ ო ზ ა ს „ნასახლები" მამულის წყალობა (1662 წ. IV. 9. 1448-600).

**ყარაგოზა** – ნახიდურში მცხოვრები, ა შ ი ყ ი. [როსტომ] მეფემ ი გ ი მამულით შესწირა ეჩმიაწინის მონასტერს (1675 წ. I. 15. მატ. 252-№41).

**ყარაგოზა[ა]ნთ არაქელა** – მ ო წ მ ე მამასახლის ასლამაზის მიერ ელიზბარა და შერმაზანა ხარატასშვილებისათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. VI. 15. Hd-13025).

**ყარაგოზაანთ არაქელა** – ხ ო ჯ ა . მ ო წ მ ე სეფიყულას მიერ იავანგუ-ლაანთ ზურაბისათვის მიცემული ბაღის ნასყიდობის წიგნისა (1691წ. V. 20. 1450-47/17).

**ყარაგოზ[აან]თ გასპარა** – შ ვ ი ლ ი ყარაგოზ[აან]თ იარალასი, იხ.

**ყარაგოზ[აან]თ ესტატე** – შ ვ ი ლ ი ყარაგოზ[აან]თ იარალასი, იხ.

**ყარაგოზ[აან]თ იარალა** – ჰყავს შვილები: გასპარა და ესტატე. იყიდა ყარაოღლაანთ ვართანასაგან სახლები (1684 წ. VI. 10. Hd-13076).

**ყარაგოზაშვილი** – [ბარათაშვილების] გაყრის წიგნით, გერმანოზსა და მის ძმებს: თაყას, გოსტასაბს და ფალავანხოსროს ერგო ენაგეთში მხოვრები აზნაური ყარაგოზაშვილი და ქოშტამა (1523 წ. Ad-1299ა).

წიგნისა (1634 წ. XVII. VI. Qd-388); მარიამ დედოფლის მიერ ბეჟან ჩხეიძისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1634 წ. 1450-35/117); როსტომ მეფის მიერ: თაყა თუმანიშვილისათვის მიცემული სოფელ ჯოლიზას წყალობის წიგნისა (1635 წ. VI. 14. Ad-972), სეფედავლე წერეთელაშვილისათვის მიცემული მამასახლისობისა და სითარხნის წყალობის წიგნისა (1636 წ. VII. 2. 1450-25/126), ბაინდურ დალალაშვილისათვის მიცემული მამულების წყალობის განახლების წიგნისა (1636 წ. IX. 4. 1450-48/152), შარუა [მაერაშვილისათვის] მიცემული მიწის წყალობის განახლების წიგნისა (1636 წ. 1450-51/238), სიაუშ სოლაღაშვილისათვის მიცემული გლეხების წყალობის წიგნისა (1637 წ. I. 4. Sd-743), ზაქარია მაყაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის განახლების წიგნისა (1637 წ. Hd-14481), იოთამ კორინთელისათვის მიცემული ყმა-მამულის განახლების წიგნისა (1639 წ. VIII. 24. 1450-26/275), ფალავანხოსრო ბარათაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1639 წ. 1450-2/139), გიორგი ბატონიშვილის მიერ თუმანიშვილებისათვის ბოძებული შულავერის მოურავობის წყალობის წიგნისა (1639 წ. Qd-219), ბეჟან და რამაზ თულაშვილებისათვის ბოძებული მამულის წყალობის განახლების წიგნისა (1641 წ. VIII. 24. Qd-1677), გურგენ ყორღანაშვილისათვის ბოძებული სოფლისა და გლეხების წყალობის წიგნისა (1642 წ. I. 16. 1450-1/96), პაპუნა ბათიაშვილისათვის ბოძებული სახელოსა და მამულის წყალობის წიგნისა (1642 წ. III. 4. 1448-90), ფაფილა გოგრიშვილისათვის ბოძებული გლეხებისა და მამულის წყალობის წიგნისა (1642 წ. II. 15. Sd-577), თამაზ ბარათაშვილისათვის ბოძებული მამულის წყალობის წიგნისა(1643 წ. III. 12. Hd-14445), გერმანოზ ბარათაშვილისათვის ბოძებული სოფლის წყალობის წიგნისა (1643 წ. VIII. 24. 1450–14/9), ქუაბულ, ზაალ და იოთამ მაჩაბლებისათვის ბოძებული გლეხების წყალობის განახლების წიგნისა (1644 წ. 1448-86), სვეტიცხოვლისათვის ბოძებული ატენის საყდრის, ზერისა და ბოსტნის შეწირულების წიგნისა (1646 წ. VI. 7. 1449-1765); შანაზარ მურაჩაშვილის მიერ ქალაქის მოურავ მანუჩარისათვის მიცემული ბატონყმობის წიგნისა (1646 წ. VI. 10. 1450-53/97); როსტომ მეფის მიერ: გივი ზევდგინიძისათვის ბოძებული მამულის წყალობის წიგნისა (1646 წ. VIII. 21. Hd-2133), ლეონ წურქისტანიშვილისათვის ბოძებული წილში წარგები ყმა-მამულის დამტკიცების წიგნისა (1646 წ. 1450-18/89), ასანბეგ [ბარათაშვილისათვის]ბოძებული გლეხების წყალობის წიგნისა (1647 წ. III. 15. 1450-11/1), გიორგი გორგიჯანასშვილისათვის ბოძებული წისქვილისა და რუს წყალობის წიგნისა (1647 წ. IX. 15. 1449-1762), გიორგი ბარათაშვილისათვის ბოძებული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1649 წ. II. 27. 1450-2/150), პაპუნა შანშიაშვილისათვის ბოძებული სოფლების წყალობის განახლების წიგნისა (1651 წ. IV. 17. 1449-1001), ბაირამ-ყულისათვის მიცემული ბაზიერთუხუცესის სარგოს გაჩენის წიგნისა (1652 წ. VII. 1461-3/35); ვახტანგ მეფის მიერ გიორგი ბარათაშვილისათვის ბოძებული მამულის წყალობის წიგნისა (1656 წ. IX. 14.

1450-38/41); დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე შაეერდა არდაშელაშვილის მექვაბიშვილებთან და ალმურშვილებთან სამამულე დავის გარიგების წიგნისა (1638 წ. III. 20. Qd-9814).

ყორღანაშვილი მერაბ – [ძ მ ა] ავთანდილ ყორღანაშვილისა, იხ., შ ვ ი ლ ი იარალი ყორღანაშვილისა, იხ. ყორღანაშვილი-მერაბაშვილები – ნაზარალიხანმა მ ა თ განუახლა სახასო აზანურიშვილობის და ენაგეთში მამულების წყალობა (1689 წ. Hd-1913).

ყორღანაშვილი მოძმანა – ძ მ ა ეჯუბა ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ნაზარა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ეჯუბა ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ნასყიდა – 1672-1697 წწ. შ ვ ი ლ ი გარსევან ყორღანაშვილისა, იხ., ძ მ ა ოთარ ყორღანაშვილისა, იხ., ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი იარალი ყორღანაშვილისა, იხ., ჰყავს [ძ მ ი ს წ უ ლ ი] ბერუკა (XVII ს. II ნახ. 1450-19/2). ი ყ ი დ ა გიორგი [ბარათაშვილისაგან] ენაგეთში მისი ყმის, ხატიას სახლ-კარი (XVII ს. II ნახ. 1450-19/2); მ ო წ მ ე როსტომა მამაგულაშვილის მიერ ბეროა დაიარაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. X. 1450-53/211).

ყორღანასშვილი ნურალა – ბაინდურ ყორღანაშვილის, იხ. ამოვარდნილი [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი]. იყო მ ო წ მ ე გიორგი თურაზაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1615 წ. 150-1/76).

ყორღანაშვილი ოთარ – ძ მ ა ბეჟან ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ოთარ – ძ მ ი ს წ უ ლ ი გურგენ ყორღანაშვილისა, იხ., ძ მ ა დათუნა ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ოთარ – 1670-1697 წწ. შ ვ ი ლ ი გარსევან ყორღანაშვილისა, იხ., ჰყავს ძ მ ე ბ ი: პაპუა (1687-1688 წწ. 1450: 16/165, 16/159, 17/28), ნასყიდა (1687-1697 წწ. 1450: 16/165, 16/159, 17/15, 8/76), ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: პაპა(1687-1697 წწ. 1450: 16/165, 17/15, 8/76), ათაბაგ (XVII ს. 70/80-იანი წწ. 1697 წ. 1450-15/15, 8/76), შვილი ბერუკა (XVII ს. 70/80-იანი წწ. 1450-8/76). ი ყ ი დ ა: ოღულა ხუცისშვილისაგან – თავთას წვერზე დათუნა სურამასშვილისეული მიწა ტერასატურას, ავდროზანას და მამუკელასშვილის მიწამდე (1687 წ. V. 1. 1450-16/165), გოგია ყორღანაშვილისაგან – ბოგისხევში ჯანიკაშვილისაგან ნასყიდი ჩოხლიკაური მიწა (1688 წ. VI. 1. 1450-16/159), ავდროზანა [ყორღანაშვილისაგან] – ბეჟიტაშვილის და ზურაბ ნერსესაშვილის მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა გარსუაშვილის, ყორღანას და ჭუტაკერას მიწებს (1688 წ. IV. 1450-17/28), ზუბია ხოჯაშვილისაგან – ერთი დღის მიწა რევაზიშვილის მიწამდე (1697 წ. V. 22. 1450-17/15), თავისი ბიძაშვილის იარალ ყორღანაშვილისაგან – მისი აყრილი ყმების, ვახტანგიშვილების, ნაქონი ოთხი დღის მიწა ხშირობში, რომელიც ალთუნას და ჭეჭიაანთ ალიხანას მიწებს ემიჯნებოდა (1615 წ. (sic) XVII ს. 70/80-იანი წწ. V. 30. 1450-8/76); მ ო წ მ ე ოღულა ხუციშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული საბოსტნის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. XI. 15. 1450-1/67).

**ყორღანაშვილი ოთარ** – მას და ბერუა ყორღანაშვილს დათუნა დავრეშაშვილის ბიჭმა სეხნიამ გაუტეხა ბოსელი და მოპარა ძროხები, რის საზღაურადაც დათუნა დავრეშაშვილმა მათ თავისი ბიჭი სეხნია მისცა ([1681-1700 წწ.] 1450-16/100).

**ყორღანაშვილი ოთარ** – 1678-1689 წწ. მოწმე: ზუბიტა ფირუაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. IV. 1450-1/112), თაყა ბარათაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. V. 15. 1450-1/50), პაპუა ვახტანგიშვილის მიერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. 1450-16/9).

**ყორღანაშვილი ოსიყმა** – [სახლიკაცი] ყორღანაშვილ ეჯუბასი, იხ.

**ყორღანაშვილი პაატა** (ვარ. ბატა, პატა) – 1622-1643 წწ. ენაგელი. სამეფო კარის მუშრიბი, მდივანმწიგნობარი. ჰყავს მამა იარალი ყორღანაშვილი; ძმები: ყორღანაშვილი მერაბ, იხ., პაპუნა, ქაინდავლე, გარსევან, შიოშ; ძმისწული ფრიდონ (1642 წ. Sd-1014). საფიცრის წიგნი მისცა მახარებელ სულხანიშვილს მამულზე უდავობის შესახებ, შეჰპირდა, რომ არ შეეცილებოდა წოდორეთში სულაურის ნაქონ ქემაროზას ვენახის თავში მდებარე ორი დღის მიწაზე (1642 წ. II. 12. Sd-1014); დამწერი და მოწმე ალათაგ ხერხეულიძის მიერ ბერუა ქუბასშვილისათვის მიცემული მიწისა და საქონლის წყალობის წიგნისა (1622 წ. Hd-2895), გიორგი ვარამიშვილის მიერ სახლთუხუცეს ქაიხოსრო [ბარათაშვილისათვის] მიცემული ყმობის წიგნისა (1628 წ. II. 19. 1450-12/117); დამწერი სვიმონ მეფის მიერ: ივ[ანე] ჯავახიშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1626 წ. VIII. 12. Hd-14431), თაყა თუმანიშვილისათვის მიცემული დარბაზის წყალობის წიგნისა (1626 წ. VII. 28. Sd-530), ამილ[ბარ] და ყაფარბეგ ბარათაშვილებისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1626 წ. VIII. 16. Hd-2160), [თამაზბეგისათვის] მიცემული სოფლის წყალობის წიგნისა (1626 წ. XII. 15. 1448-5551), მახარებელ კოტრაშვილისათვის მიცემული სოფლის წყალობის წიგნისა (1626 წ. XII. 15. 1448-5551)ბოქაულთუხუცეს ქაიხოსრო [ბარათაშვიისათვის] მიცემული ქალაქის მოურავობის წყალობის წიგნისა (1626 წ. VI. 15. 1450-32/341), ჯაჰანბანუმ დედოფლის მიერ აიდოლმიშ გოგიბაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1626 წ. VIII. 27. 1450-38/31); სიმონ მეფის მიერ: [შიოშ სოლალაშვილისათვის] მიცემული სოფელ შინდისში მამულის წყალობის წიგნისა (1626 წ. XII. 16. Sd-739ბ), დონმაზ გოგიბა[შვილისათვის] მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1627 წ. 1450-9/18); ჯაჰანბანუმ დედოფლის მიერ: ავთანდილ ბარათაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1627 წ. 1450-15/30), სახლთუხუცეს ქაიხოსრო [ბარათაშვილისათვის] მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1628 წ. II. 21. Hd-10.233), ავთანდილ აბაშისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1628 წ. VI. 4. 1450-

15/51), ბოქაულთუხუცეს ფალევანხოსრო [ბარათაშვილისათვის] მიცემული ყმების წყალობის წიგნისა (1628 წ. 1450-2/146), ბატონიშვილ ხორეშანისათვის მიცემული ვენახის წყალობის წიგნისა (1629 წ. IX. 2. 1450-33/67), მანგლელებისათვის მიცემული ბრძანებისა სუფრაჩ ავთანდილ [ბარათაშვილის] მოურავად დანიშვნის შესახებ (1629 წ. IX. 2. 1448-3262); სიმონ მეფის მიერ ფალევარხოსრო [ბარათაშვილისათვის] მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1629 წ. 1450-26/268-5); ჯაჰანბანუმ დედოფლის მიერ სუფრაჩ ავთანდილ ბარათაშვილისათვის მიცემული სოფლის წყალობის წიგნისა (1630 წ. 1450-15/29), სტეფანა მჭედლიშვილის მიერ ბაინდურ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1613 წ. 1450-17/23); როსტომ მეფის მიერ დავით დავითისშვილისათვის მიცემული ზემო ახალდაბის მოურავობის წყალობის წიგნისა (1634 წ. სს. II. 189), მარიამ დედოფლის მიერ ზურაბ ყაფარაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1635 წ. 1450-49/44), როსტომ მეფის მიერ [შიოშ] სოლალაშვილისათვის მიცემული კუმისის წყალობის განახლების წიგნისა (1636 წ. Sd-742); დ ა მ წ ე რ ი  და მ ო წ მ ე შაჰვერდა იეანგულისშვილის მიერ მახარე თეთრაძისათვის მიცემული ნავენახევის ნასყიდობის წიგნისა (1643 წ. IV. 5. 1450-7/110), მის მიერვე მახარებელ სულხანიშვილებისათვის მიცემული მამულზე უდავობის ფიცის წიგნისა (1642 წ. II. 12. Sd-1014), შიოტა დათონასშვილის მიერ ყორხმაზ ყორღანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. I ნახ. 1450-19/25), შაიკა შიხაშვილის მიერ ყორხმაზ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. I ნახ. 1450-4/254); მ ო წ მ ე : შაიკა შაიკაშვილის მიერ ბაინდურ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს.I ნახ. 1450-4/254).

ყორღანასშვილი პა[პ]ტა – დ ა მ წ ე რ ი  ოთარის მიერ ბერუა იაგულასშვილისათვის მიცემულის მიწის წყალობის წიგნისა (1663 წ. I.22. 1450-32/355).

ყორღანაშვილი პაატა – [ძ მ ი ს წ უ ლ ი] ყორღანაშვილ როსებისა, იხ., შ ვ ი ლ ი  ყორღანაშვილ ბეჟანისა, იხ.

ყორღანაშვილი-პაატაშვილები – მ ა თ  ნაზარალხანმა განუახლა სახასო აზნაურიშვილობა და ენაგეთში მამულების წყალობა (1689 წ. Hd-1913).

ყორღანაშვილი პაპა – შვილი ბეჟან ყორღანაშვიისა, იხ.

ყორღანაშვილი (ვარ. ყორღანაანთ რევაზასშვილი) პაპა – შვილი რევაზ ყორღანაშვილისა, იხ. (1696 წ. 1450-8/75). ოქუანთ არაქელაშვილ ბეჟუას მ ი პ ყ ი დ ა  თავისი მკვიდრი ხუთი დღის მიწა, აქიდან სამი დღისა „ღირაღვავაში" ყუზანაანთ ბეროანთ, გიორგის, ცაღანიანთ, იეგანსა და მამუკაანთ მიწების მეზობლად (1696 წ. VI. I. 1450-8/75).

[ყორღანაშვილი] პაპა – შ ვ ი ლ ი  როსტომ [ყორღანაშვილისა], იხ.

ყორღანაშვილი პაპა – ძ მ ი ს წ უ ლ ი  ოთარ ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი (ვარ. პაპუნაშვილი) პაპა – შ ვ ი ლ ი  გიორგი ყორღანაშვილისა, იხ.

[ყორღანაშვილი] პაპა – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ბერუა ყორღანაშვილისა. მ ო წ მ ე ალიხან სააკაშვილის მიერ ბერუა ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. IV. 15. 1450-16/125).

ყორღანაშვილი პაპა – მ ო წ მ ე ნასყიდა აღნიასშვილისა და ქუთუა აბულაშვილის მიერ ბერ ყორღანაშვილისათვის მიცემული სანისქვილის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. IV მეოთხ. 1450-16/115).

ყორღანაშვილი პაპუა – 1664-1683 წწ. შ ვ ი ლ ი შაველ ყორღანაშვილისა, იხ. (1681-1683 წწ. 1450-1/101, Hd-1781, 9285, 1450: 6/42, 19/6, 1448-1291). დ ა მ - წ ე რ ი: იაგანა პაპუაშვილის მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1673 წ. XI. 1450-7/6), ბეჟან სააკაძის მიერ როსტომა ყორღანაშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. VI. 17. 1450-1/101), არაზა ტერ-სტეფანაშვილის მიერ დოლმაზა შანშ[ი] აშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. V. 1. Hd-1781), ყაფლან ყაზარაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. V. 1. Hd-9285), გოდერძი რევიშვილის მიერ ბაინდურ შანშ[ი]აშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. I. 18. 1450-6/42), საამ ბარათაშვილის მიერ ზურაბ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის დანებების წიგნისა (1682 წ. II. 20. 1450-19/6), იარალის მიერ სალამხანა მელიქსეთაშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის განახლების წიგნისა (1683 წ. I.5. 1448-1291).

ყორღანაშვილი პაპუა – ძ მ ა დათუნა ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი პაპუა – შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი მერაბ ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი პაპუა – შ ვ ი ლ ი გარსევან ყორღანაშვილისა, იხ., [ძ მ ა] ოთარ ყორღანაშვიისა, იხ.

ყორღანაშვილი პაპუნა – 1635-1658 წწ. მ ე ჯ ო გ ე თ უ ხ უ ც ე ს ი. ძ მ ა მერაბ ყორღანაშვილისა, იხ., პა[ა]ტა ყორღანაშვილისა, იხ. მ ო წ მ ე რამაზ [ყორღანაშვილის] მიერ ზა[ა]ლ [ყორღანაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1658 წ. VI. 3. Qd-2024).

ყორღანაშვილი პაპუნა – 1606-1693 წწ. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: გიორგი, იხ., ბერუა, იხ., დათუნა//დათუა, ხოსია (1666 წ. 1450-16/8); შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ავთანდილ ყორღანაშვილი, იხ. ტერ-ასატურა ხუციშვილისაგან ბოგვისხევში ი ყ ი დ ა მიწა (1666 წ. 1450-16/8).

ყორღანაშვილი პაპუნა – შ ვ ი ლ ი ყორხმაზ ყორღანაშვილისა, იხ., ძ მ ა კახაბერ ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი (ვარ. ქემაროზაშვილი) რამაზა – 1658-679 წწ. შ ვ ი ლ ი ზურაბ ყორღანაშვილის, იხ. ჰყავს ძ მ ა თამაზ (1658-1679 წწ. Qd-2024, 1450-1/43), შ ვ ი ლ ე ბ ი: ქემაროზა (1658-1679 წწ. Qd-2024, 2022), ყარადალ ყორღანაშვილი, იხ. ხოსია (1679 წ. Qd-2022); გ ა ნ ყ ო ფ ე ბ ი: ყორღანაშვილ-დავითასშვილი ზაალ და მისი შვილები როსტომ და ბეროა (1658-1679 წწ. Qd-2024, 150-1/43, Qd-2022),

ყორღანაშვილ–პაპუაშვილი გიორგი (1679-1688 წწ. Qd-2022, 1450-16/6), ითამ ყორღანაშვილი (1679 წ. Qd-2022). მიჰყიდა ზაალ [ყორღანაშვილს] ყალანდური ოთხი დღის მიწა (1658 წ. VI. 3. Qd-2024), როსტომ ყორღანაშვილს – თავისი ყმა ზეგელაშვილი ვენახით და ათი დღის მიწით – ოთხი დღისა პაპისგორში და ექვსი დღისა არდასუბანში (1679 წ. Qd-2022); მ ო წ მ ე თავისი ძმის, თამაზ [ყორღანიშვილის] მიერ როსტომ [ყორღანაშვილისათვის] მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. III. 20. 1450-1/43).

ყორღანაშვილი რამაზა – შ ვ ი ლ ი თამაზა ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი რევაზ – ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: როინა, ადროზანა და გიუნა. მათთან ერთად მ ო წ მ ე ა თამაზ ქემაროზაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. XII. 1. 1450-1/106).

ყორღანაშვილი რევაზ (ვარ. რევაზა) – 1671-1690 წწ. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი პაპა//პაპუა (1684-1690 წწ. 1448-2941, 1450-19/10), სულხან (1690 წ. 20. 1450-19/10); გ ა ნ ა ყ ო ფ ი – როსტომ და მისი შვილები: ქაიხოსრო, დავით, ბეჟან, გიორგი (1684 წ. 1448-2940), ყორღანა, ჯიმშიტა, შიოშ (1690 წ. 1450-19/10). მ ი ჰ ყ ი დ ა: თავის განაყოფ როსტომ ყორღანაშვილს თავისი ყმის ოქუასშვილის მიწა – სამი დღისა „ღვირღალაჩი," რომელიც ქოსაშვილის მიწას ესაზღვრებოდა (1684 წ.V. 1448-2941), თავის განაყოფებს ყორღანა, ჯიმშიტა და შიოშ [ყორღანაშვილებს] – ნაფუძარში ერთი დღის მიწა, რომელიც ვართანაშვილისა და ლარიბაშვილის მიწებს ესაზღვრებოდა და – ასევე ერთი დღის მიწა კაჭკაჭისხევში რამაზ და როინას მიწამდე (1690 წ. III. 20. 1450-19/10); მ ო წ მ ე: გურგენ სადუნაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. XII. 1. 1450-1/72), როინა, ადროზა და გიუნა ყორღანაშვილებთან ერთად თამაზ ქემაროზაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. XII. 1. 1450-1/106). ფრიდონ ნადირაშვილის მიერ ზურაბ ყორხმაზაშვილისათვის მიცემული სავენახის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. II. 10. 1450-16/127), ბარათა ბარათაშვილის მიერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. VI. 5. 1450-16/6).

ყორღანაშვილი როინ – 1658-1693. ციხისში მისი აკოფა ბარიაშვილი ნაზარალიხანმა მამულით უწყალობა ვახტანგ ბარათაშვილს (1693 წ. X. 25. 1448-3270); დ ა მ წ ე რ ი: ზაალ ბარათაშვილის მიერ ზაალ ყორღანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1658 წ. VII. 4. 1450-1/103), ზუბიტა ფირუაშვილის მიერ ბეჟან ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1663 წ. IX. 1450-16/105), ჯანიას მიერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული ყმობის წიგნისა (1672 წ. II. 1450-16/1), გოგია ჰოქუაშვილის მიერ გიორგი ყორღანაშვილსათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. IV.1. 1450-16/12), ფრიდონ ნადირაშვილის მიერ ზურაბ ყორხმაზაშვილისათვის მიცემული სავენახის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. II. 10. 1450-16/127); დ ა მ წ ე რ ი

და მ ო წ მ ე: თამაზ ყორღანაშვილის მიერ შიოშ [ყორღანაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. VII. 1450-19/22), ფრიდონ ნადირაშვილის მიერ ავთანდილ ყორღანაშვილისათვის მიცემული სავენახის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. 80-იანი წწ. 1450-16/124); მ ო წ მ ე: რევაზ, ადროზან და გიუნა ყორღანაშვილებთან ერთად თამაზ ქემაროზაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. XII. 1. 1450-1/106), ავდროზან, შერმაზან და იორამ ყორღანაშვილებთან ერთად ბეჟია ყორღანაშვილის მიერ თავის განაყოფ როსტომისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. 1450-1/66), გორჯასპ ყორღანაშვილთან ერთად პაპა ზულალაშვილის მიერ ბეჟან ყორღანაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1675 წ. V.1. 1450-7/47), შიოშ ბარათაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1685 წ. V.6.1450-1/86), თამაზ ქემაროზაშვილის მიერ გიორგი პაპუნასშვილ-[ყორღანაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. II. 13. 1450-16/5), დათუნა დავრეშაშვილის მიერ ოთარ და ბერუა ყორღანაშვილებისათვის მიცემული საზღაურის წიგნისა ([1681-1700 წწ.] 1450-16/100).

**ყორღანაშვილი** (ვარ. **შალვაშვილი**) **როინ** – ნაზარალხანმა მ ა ს განუახლა სახასო აზნაურიშვილობის და ენაგეთში მამულების წყალობა (1689 წ. Hd-1913).

**ყორღანაშვილი როსებ** – [ შ ვ ი ლ ი ] ყორღანაშვილ მერაბისა, იხ. მ ო წ მ ე დავითა თუშმალიშვილის მიერ გივი რევიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. Sd-4).

**[ყორღანაშვილი] როსებ** – ავდროზ ბაინდურაშვილ-ყორღანაშვილის გ ა ნ ა ყ ო ფ ი. მ ო წ მ ე ავდროზ ბაინდურაშვილის მიერ როსტომ დავითიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1677 წ. II. 17. 1448-3275).

**ყორღანაშვილი როსებ** – ჰყავს [ძ მ ე ბ ი ]: ბეჟან, გიორგი; [შვილები]: ბახუტა, სულხან; [ ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი ]: ასლამაზ, პაატა; გ ა ნ ა ყ ო ფ ი თმაზ ქიმაროზიშვილი, რომლისგანაც იყიდა „თრიალეთზე ბატონის სახასოში" წასული ყმის, ევენეზას საკომლო იმ პირობით, რომ, თუ ევანეზა დაბრუნდებოდა, ყმად კვლავ ძველ პატრონს დარჩებოდა (1671 წ. 1450-25/95).

**ყორღანაშვილი როსებ** (ვარ. **როსაბ**) – დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე: მამულა სადუნაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. ახლოს) 1450-1/89), ბა[ა]ინდურის მიერ ზაალ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. მეოთხ. 1450-1/88).

**ყორღანაშვილი როსტომ** – ი ყ ი დ ა გიორგი თურაზაშვილისაგან ლიპარიტისშვილის საბოსტნე (1615 წ. 1450-1/76).

**ყორღანაშვილი როსტომ** – 1642-1688 წწ. მ ო ლ ა რ ე (1677, 1678 წწ. 1450:7/58,1/55), ხელმწიფის ქ ი ლ ი ფ თ ა რ ი (1685 წ. 1450-1/86). ჰყავს მ ა მ ა ზაალ ყორღანაშვილი, იხ. (1679 წ. ახლო 1450-1/89); ბ ი ძ ა ყორღანაშვილი

გურგენ იხ., შ ვ ი ლ ე ბ ი: ქაიხოსრო (1671-1688 წწ. 1450: 1/69, 1/166, 1/72, 1/109, 1/55, 1/67, 1/113, 1/112, 1/70, Qd-2022, 1450: 1/43, 1/50, 1/101, 1/110, 1448: 2941, 1/86, 1/66, 1/91, 1/104, 1/95, 1/89, 1/98), ზაალ იხ. (1672-1688 წწ. 1450: 1/109, 1/55, 1/76, 1/112, 1/70, Qd-2022, 1450: 1/43, 1/50, 1/101, 1/110, 1/86, 1/91, 1/104, 1/95, 1/105, 1/98), დავით (1677-1685 წწ. 1450: 1/55, 1/67, 1/113, 1/112, 1/70, Qd-2022, 1450: 1/43,1/50, 1/101, 1/110, 1148-2941, 1450-1/86), ბეჟან (1679-1688 წწ. 1450: 1/70, 1/50, 1/101, 1448-2941, 1450: 1/86, 1/66, 1/91, 1/104, 1/95, 1/105, 1/98), გოირგი (1681-1688 წწ. 1450: 1/101,1/110, 1448-2941, 1450: 1/86, 1/66, 1/91, 1/104, 1/95, 1/105, 1/98), პაპა (1684, 1687 წწ. 1448: 2941, 1450-1/66), სულხან (1687-1688 წწ. 1450: 1/66, 1/91, 1/104, 1/95, 1/98), თამაზ (XVII ს. 80-იანი წწ. 1450-1/105), გ ა ნ ა ყ ო ფ ე ბ ი თამაზ ქიმაროზაშვილი (1671 წ. 1450-20/95), რამაზ ყორღანაშვილი (1679 წ. Qd-2022), თამაზ და რამაზ ყორღანაშვილები და მათი შვილები დუშია და ბეჟან (1679 წ. 1450-1/43), რევაზ ყორღანაშვილი (1684 წ. 1448-2941), ბეჟია ყორღანაშ-ვილ-მამაგულაშვილი (1687 წ. 1450-1/66). ი ყ ი დ ა: თაყა ასანბეგიშვილისაგან –„ორდიაში" მჭედლიშვილის ნაქონი დღენახევრის მიწა (1663 წ. XII. 1. 1450-1/108), ქაიხოსრო ბარათაშვილისაგან – ხშირობაში ნარიმა სადუნაშვილის ორი დღის მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა ხუცის მიწას (1671 წ. 1450-1/69), თამაზ ქიმაროზაშვილისაგან ხშირობაში ერთი დღის მიწა (1671 წ. XII. 1. 1450-1/106), გურგენ სადუნაშვილისაგან – ხშირობში დღენახევრის მიწა (1671 წ. XII. 1. 1450-1/72), დათუნა სურამაშვილისაგან – პაპისგორში ხატიას მიწის გვერდით სამი დღის მიწა (1672 წ. 1450-1/109), ბერიკ[ა] პაპანაშვილისაგან დანპალის ბოლოს ორი დღის მიწა (1677 წ. X. 22. 1450-1/55), ოღულა ხუციშვილისაგან – მისი ნასყიდი მიწა მერუბანში, საბოსტნე სარწყავი და ურწყავი, რომელიც ესაზღვრებოდა სადუნიშვილის, ტერ-ვართანას, სურამაშვილის, პაპანაშვილისა და ნადირაშვილის მიწებს (1678 წ. XI. 15. 1350-1/67), თაყა ასანბეგიშვილისაგან – ბოგისხევში კირაკოზა არაქელაშვილის ვენახის თავში მჭედლიშვილის ორი დღის მიწა (1678 წ. 1450-1/113). ზუბიტა ფირუაშვილისაგან „ორდიაში" სამი დღის მიწა, ორი დღისა ახალშნურ მინდორში, ყორღანიანთ მიწის ქვემოთ მდებარე ნურალაშვილ ალთუნასეული მიწა (1678 წ. IV. 1450-1/112), ქაიხოსრო ბარათაშვილისაგან – მისი ყმის, ყულიჯანაშვილ საქ[უა]ს პარტახტი, რო-მელიც ესაზღვრებოდა ზუბალას და მჭედლიშვილის მიწებს (1679 წ. X. 1450-1/70), თავის განაყოფ რამაზ ყორღანაშვილისაგან მისი ყმა ზეგელა შვილებით, ვენახით და ათი დღის მიწით: ოთხი დღისა პაპისგორში და ექვსი დღისა – არადასუბნის შარამდე (1679 წ. Qd-2022), თავის განაყოფ ქემაროზაშვილისაგან – მისი მკვიდრი ყმა ბეგალა სამი შვილით: ბეროა, ზურაბა და მათი უმცროსი ძმა (1679 წ. III. 20. 1450-1/43), თაყა ბარათაშვილისაგან – მისი მკვიდრი ყმა სარქისა მჭედლისშვილი ცოლ-შვილითა და მამულით (1681 წ. V. 15. 1450-1/50), ბეჟან სააკაძისაგან – მისი მკვიდრი ყმა ამირხეთა შვილებით (1681. VI. 17. 1450-1/101), გუგუნა [ბარათაშვილისაგან] – ენაგეთში მისი ყმის,

ზულალაშვილის, პაპის ვენახი, რომელიც ესაზღვრებოდა გარსუაშვილისა და ხატისაშვილის ვენახებს (1682 წ. VII. 1450-1/110), თავის განაყოფ რევაზ ყორღანაშვილისაგან – სამი დღის მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა ქოსაშვილის მიწას (1684 წ. V. 1448-2941). შიოშ ბარათაშვილისაგან – ბოგისხევის მხრისაკენ, წვერის გვერდით, მირიმანაშვილის ოთხი დღის მიწა, რომელიც ესაზღვერებოდა ზურიკაშვილისა და ლანბარაშვილის მიწებს (1685 წ. V. 6. 1450-1/86), თავის განაყოფ ბეჟია ყორღანაშვილისაგან – „შიმშილათ" უბანში ორღდენახევრის მიწა (1687 წ. 1450-1/66), თამაზ ბარათაშვილისაგან – მისი მკვიდრი ყმის, მირიმანას ნაქონი ვენახი, მისი ნასყიდი საწნახლით, რომელიც დათია ულამბასშვილის ვენახს ესაზღვრებოდა (1688 წ. XII. 2 .1450-91), დოლმაზა ზურიკაშვილისაგან – ბაგრანეთის ვენახების ბოლოს მისი ნასყიდი სამი დღის მიწა, ერთი დღისა ხშირობში, ერთი დღის დანბალაში, ერთი დღისა „თავთავვერდ[ში] ყორღანაშვილების მიწის გვერდით (1688 წ. IV. 18. 1450/1/104), თამაზ ბარათაშვილისაგან – დამპალში, საქოლვაში ერთი დღის მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა ყარაშვილისა და ზურიკაშვილის მიწებს და ერთი დღის მიწა – ხშირობაში დოლმაზას მიწის გვერდით (1688 წ. IX. 12. 1450-1/95), მამულა სადუნაშვილისაგან – დამპალაში ერთი დღის მიწა მისი ძმისწულისა და ზაულაშვილის მიწამდე (1679 წ. ახლო 1450-1/89), ავთანდილ პაპუნასშვილისაგან – გურგენას ნაქონი პარტახტი, რომელიც ესაზღვრებოდა ადუასშვილისა და სადუნასშვილის ვენახებს და ბერისშვილის მიწას (XVII ს. 80–იანი წწ. 1450-1/105), ბაინდურ ხოსიტაშვილისაგან – შიმშილაანთ უბანში ორი დღის მიწა (XVII ს. IV მეოთხ. 1450-1/98); მ ო წ მ ე: თამაზ ქიმაროზაშვილის მიერ როსებ ყორღანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. 1450-25/95), თამაზ ყორღანაშვილის მიერ თავის განყოფ, ბეჟანისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. VI. 1450-7/58).

**ყორღანაშვილი** (ვარ. მამაგულაშვილი) **როსტომ** (ვარ. როსტია) – ძ მ ა ყორღანაშვილ ბეჟიასი, იხ. (1690 წ. 1450-26/257). ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი] ასლამაზ და გიორგი ბერუკაშვილები. მ ა ნ წაართვა ვახტანგ ბარათაშვილს შიმშილიანთ უბანში რვა დღის მიწა, რომელიც ბარათაშვილებს ფრიდონ ნადირაშვილისაგან ჰქონიათ ნასყიდი. ნადირაშვილთან შეთანხმების შემდეგ როსტია ყორღანაშვილმა ვახტანგ ბარათაშვილს შიმშილიანთ უბნის მიწის სანაცვლოდ წურბელაანში მ ი ს ც ა რვა დღის მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა დავითიშვილის და მანუჩარის მიწებს (1690 წ. IV. 7. 1450-26/257); მ ო წ მ ე ბაინდურ გარსუაშვილის მიერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1686 წ. XI. 1. 1450-16/2).

**ყორღანაშვილი როსტომა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ყორღანაშვილ ავთანდილისი, იხ.

**ყორღანაშვილი როსტომ** – ი ყ ი დ ა ხუდავერდა ალიხანაშვილისაგან ერთი დღის მიწა (1692 წ. IX. 1450-1/58).

[ყორღანაშვილი] როსტომ – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ბერ [ყორღანაშვილისა]. მ ო წ მ ე შერმაზან [ყორღანაშვილისა] მიერ ბერ [ყორღანაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. 1450-19/15).

ყორღანაშვილი როსტომ – მ ო წ მ ე დიასამ დიასამიძის მიერ ზურაბ ლარაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. III. 15. 1449-785).

ყორღანაშვილი როსტომ – დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე ლუარსაბ ქანანაშვილის მიერ ხოსრუა დალაქიშვილისათვის მიცემული ვენახის ანგარიშის გასწორების წიგნისა (XVII. 1450-48/143).

[ყორღანაშვილი] სეხნია – მ ო წ მ ე ელიზბარ ზუმბადაშვილის მიერ ქაიხოსროვ ყორღანაშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. I. 15. 1450-1/100).

ყორღანაშვილი სულხან – შ ვ ი ლ ი ყორღანაშვილ გურგენისა, იხ.

ყორღანაშვილი სულხან – [შ ვ ი ლ ი] ყორღანაშვილ როსებისა, იხ.

ყორღანაშვილი სულხან – შ ვ ი ლ ი ყორღანაშვილ გიორგისა, იხ.

ყორღანაშვილი სულხან – შვ ი ლ ი ყორღანაშვილ როსტომისა, იხ.

ყორღანაშვილი სულხან – შ ვ ი ლ ი ყორღანაშვილ რევაზისა, იხ.

ყორღანაშვილი სულხან – ჰყავს ძ მ ა იარალი. ანა დედოფალმა მ ა ს უწყალობა სამეფო კარის მეგოდრეთუხუცესობა (1696 წ. VI. 1450-25/94).

ყორღანიანთ სულხან – შ ვ ი ლ ი ყორღანიანთ ფირალისა, იხ.

ყორღანაშვილი სულხან – მ ო წ მ ე: შიოშ მაჩაბლის მიერ თავისი ძმის, დათუნასთავის, მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. XI. I. Hd-4080), ბერუა გარსუაშვილის მიერ ბერუა ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. XII. 5. 1450-16/99).

ყორღანაშვილი ფარემუზა – მ ო წ მ ე ბერუა ყაბარაშვილის მიერ ბერ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([1693 წ. ახლო. XII. 1. 1450-16/98).

ყორღანაშვილი ფარსადან – [ძ მ ა] ედიშერ ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ფარსადან – [ძ მ ი ს წ უ ლ ი] ყორღანაშვილ გურგენისა, იხ.

ყორღანაშვილი ფარსადან – შ ვ ი ლ ი [ყორღანაშვილ] ფრიდონასი, იხ. (1697 წ. 1450-17/17); ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ზალინა, დავით, ზურაბა (1697 წ. 1450-17/17). ი ყ ი დ ა დოლმაზა ზურიკაშვილისაგან მაზიტასაგნ ნასყიდი ორი დღის მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა მურადაშვილისა და როსტომას მიწებს (1697 წ. IV. 1450-17/17).

ყორღანაშვილი ფარსადან – შ ვ ი ლ ი ყორღანაშვილ ბეჟანისა, იხ., ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ყორღანაშვილ ასლამაზისა, იხ.

ყორღანაშვილი ფარსადან – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი მანუჩარ ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ფარსადან – შ ვ ი ლ ი ყორღანაშვილ ბერისა, იხ.

**ყორღანაშვილი ფარსადან** – ძმა მეგოდრეთუხუცეს [ყორღანაშვილ] ბერისა, იხ.

**ყორღანაშვილი ფარსადან** – მოწმე: ოთამაანთ ხოჯა ნაზარას ძმის, შაროას მიერ ბაბანაა[ნ]თ პაპოასათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. VIII. 22. 1448-5336), მელქუა პაპუასშვილის მიერ ბაინდურა ყორღანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. XI. 1450-16/169), მანუჩარ ყორღანაშვილის მიერ ხეჩუანთ მელქუასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. X. 1. 1450-19/3).

**ყორღანაშვილ-ფარსადანიშვილები** – მათ ნაზარალიხანმა განუახლა სახასო აზნაურიშვილობის და მამულების წყალობა ენაგეთში და სხვაგან (1689 წ. Hd-1913).

**ყორღანაშვილი ფარსეღ** – ახპატის ეპისკოპოსი. ჰყავს ძმა გოგია, ბოლნისის მამასახლისი. ოთარ თუმანიშვილს გორის ნაზვრევში, ხელთუბანში, გაუცვალა ხოსიტასეული მიწა (1686 წ. მატ. 252. N9).

**ყორღანიანთ–ფრიდონნასშვილი ფირალა** – ჰყავს შვილები: იონათამ, სულხან. მიჰყიდა ხეჩუანთ პაპუაშვილ ბაღდასარას ბოგვისხევში სავენახე, რომელიც ესაზღვრებოდა მანუჩარის ვენახს და გერმანოზიშვილის მიწას (1697 წ. XI. 20. 1450-19/11); ხეჩუა[ა]ნთ პაპუაშვილმა მელქუამ მანუჩარ ყორღანაშვილისაგან იყიდა ფირალას წილში ნარგები სავენახე, რომელიც შემდგომ ბაინდურა და მანდენა ყორღანაშვილებს მიჰყიდა (1700 წ. XI. 1. 1450-16/169).

**ყორღანაშვილი ფრიდონ** – 1635-1672 წწ. ძმისწული მერაბ, იხ. და პაატა, იხ. ყორღანაშვილებისა; ჰყავს ბიძაშვილები: გიორგი, ბერუკა, დათუა, ხოსია, ზურაბ; შვილები: ფარსადანა ყორღანაშვილი, იხ., ზალია, მამუკა; განაყოფი მერაბ ყორღანაშვილი (1672 წ. 1450-16/3). მიჰყიდა თავის ბიძაშვილ გიორგის ქემაროზაანთ ჭალის თავში მდებარე გასაყოფი მიწა (1672 წ. XII. 15. 1450-16/3); როსტომ მეფემ როინ ჯავახიშვილს უწყალობა მამული, რომელიც დროებით მას სჭერია (1653 წ. Ad-951).

**ყორღანაშვილი ფრიდონ** – [ძმა]: ყორღანაშვილ ბეჟანისა, იხ., შიოშ ყორღანაშვილისა, იხ., ბანდია ყორღანაშვილსა, იხ.

**[ყორღანაშვილი] ფრიდონა** – განაყოფი იარალი ყორღანაშვილისა. მოწმე იარალი ყორღანაშვილის მიერ თავის ბიძაშვილ ოთარისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1615 წ. (sic) XVII ს. 70-80-იანი წწ. 1450-8/76).

**ყორღანაშვილი ფრიდონა** – მოწმე ბადურა ზაალიშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. III. 1450-1/77).

**ყორღანაშვილი ქაინდაველ** (ვარ. ქანდია, ქაინდილა) – 1635–1671 წწ. ყაფიჩი. ძმა შიოშ, იხ., მერაბ., იხ., პატა, იხ. ყორღანიშვილებისა. მოწმე:

ბაინდურ ვახტანგიშვილის მიერ ხოსიტა ყორღანაშვილისათვის მიცემული მი-ნის ნასყიდობის წიგნისა (1669 წ. X. 11. 1450-17/13), თამაზ ქემაროზიშვილის მიერ როსებ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. 1450-25/95).

**ყორღანაშვილი ქაიშარა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბაინდურა ყორღანაშვლისა, იხ.

**ყორღანაშვილი (ვარ. ბაინდურაშვილი)ქაიხოსრო** (ვარ. **ხოსიტა**) – 1612-1674 წწ. ჰყავს მ ა მ ა ყორღანაშვილი ბაინდურა, იხ. (XVII ს. I ნახ. – 1662 წ. 1450: 17/34, 1/52, Qd-2024), პ ა პ ა ყორღანაშვილი ყორხმაზ, იხ. ძ მ ე ბ ი: კახაბერ, იხ. (XVII ს. I ნახ. 1450-17/34), ბეგალ, ყორხმაზ, ავადრი (XVII ს. I ნახ. 1450-17/34), აბაზა (XVII ს. I ნახ. 1674 წ. 1450: 17/34, 16/154); შ ვ ი ლ ე ბ ი: ბაინდურ, მანდენა, თამაზ (1669 წ. 1450-17/13); ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი შიოშ (1674 წ. XII. 17. 1. 1450-16/154). ი ყ ი დ ა: ბაინდურ ვახტანგიშვილისაგან – სიონში ალნიაშვილის მიწის ზევით მდებარე ორი დღის მიწა (1669 წ. X. 11. 1450-17/13), ხოსიტა მღებრიშვილისაგან – სიონში ორი დღის მიწა (XVII ს. I ნახ. 1450-17/34); მ ო წ მ ე: რამაზ [ყორღანაშვილის] მიერ თავის განაყოფ ზა[ა]ლისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1658 წ. Qd-2024), აბაზა ყორღანაშვილის მიერ შიოშ ყორღანაშვილისათვის მიცმული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1674 წ. XII. 17. 1450-16/154), ფირია ფირამზაშვილის მიერ ანდერმან საგინაშვილისთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. VI. 1450-26/101), ზაალ ბარათაშვილის მიერ ზაალ ყორღანაშვილისათვის მიცემული სასახლის ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. VI. 1450-1/52).

**ყორღანაშვილი ქაიხოსრო** – შ ვ ი ლ ი იარალი ყორღანაშვილისა. იხ, [ძ მ ი ს წ უ ლ ი] შაველ ყორღანაშვილისა, იხ., შვილიშვილი მერაბ ყორღა-ნაშვილსია, იხ.

**ყორღანაშვილი ქაიხოსრო** – შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ზაალ ყორღანაშვილისა, იხ.

**ყორღანაშვილი ქაიხოსრო** (ვარ. **ქაიხოსროვ**) – შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ზაალ ყორღნაშვილისა, იხ., შ ვ ი ლ ი როსტომ ყორღანაშვილისა, იხ.

**ყორღანაშვილი ქაიხოსრო** – შ ვ ი ლ ი ბეჟან ყორღანაშვილისა, იხ., ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ასლამაზ ყორღანაშვილისა, იხ.

**ყორღანაშვილი ქაიხოსროვ** – ელიზბარ ზუნბადაშვილისაგან ი ყ ი დ ა მისი დედის მზითევის ყმა – სუთია ცოლ-შვილით (1668 წ. I. 15. 1450-1/100).

**ყორღანაშვილი ქაიხოსროვ** – მ ო წ მ ე ავთანდილ პაპუნასშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. 80-იანი წწ. 1450-1/105).

**ყორღანაშვილი-ქანდიაშვილები** – მ ა თ ნაზარალიხანმა განუახლა სახასო აზნაურიშვილობა და ენაგეთში მამულები (1689 წ. Hd-1913).

**[ყორღანაშვილი] ქემაროზა** – წოდორეთში მ ი ს ი ვენახის თავში, სულაურის ნაქონ ორი დღის მიწაზე, პაატა ყორღანაშვილი ედავებოდა მახარებელ სულხანაშვილს (1642 წ. II. 12. Sd-1014).

ყორღანასშვილი ქემ[ა]როზა – [შ ვ ი ლ ი] ყორღანაშვილ რამაზასი, იხ., სულხან ფარაჯანაშვილის მიერ ბაინდურა ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს I ნახ. 1450-19/16), ხოსიტა მღებრიშვილის მიერ ბაინდურ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს I ნახ. 1450-17/34).

ყორღანაშვილი ქემაროზა (ვარ. ქიმაროზა) – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ყორღანაშვილ ბაინდურისა, იხ.

ყორღანაშვილი-ქიშვარიშვილები – სახასო ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. გიორგი მეფემ ისინი სხვა ყორღანაშვილებთან ერთად გაათარხნა ცხვრისა და ლორის საბალახის, პირისათვის და სამეჯინიბო ბატკნის გადასახადებისაგან. მათგან მებალახეები „შიშლიკსაც" ვერ აიღებდნენ (1684 წ. III. 17. 1448-5610).

ყორღანასშვილი ქულა – სხვა პირებთან ერთად მონაეილეობა მიიღო გარეჯელთა და ჩერქეზელთა სამამულო დავის გარჩევაში (1656 წ. IV. 2. 1450-26/150).

ყორღანაშვილი ქუჩულა – ძ მ ა ყორღანაშვილ მანუჩარისა, იხ.

ყორღანაშვილი ღაღუტა – ძ მ ა ყორღანაშვილ გურგენისა, იხ.

ყორღანაშვილი (ვარ. რამაზაშვილი)ყარადაღ – შ ვ ი ლ ი რამაზა ყორღანაშვილისა, იხ. მ ი ჰ ყ ი დ ა ფარემუზა ბეჟანისშვილს თავისი მკვიდრი ყმის – ზეგალასშვილის სახლ-კარის ადგილი, მდებარე ზაალის და პაროშას სახლების გვერდით (1612 წ. (sic) XVII ს. შუა ხანები. V. 30. 1450-17/14).

ყორღანაშვილი ყორღანა – [ძ მ ა] გორჯასპ ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ყორღანა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ეჯუბა ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ყორღანა – შ ვ ი ლ ი თამაზ ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ყორღანა – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი მანუჩარ ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ყორღანა – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი იარალი ყორღანაშვილისა. მ ო წ მ ე იარალი ყორღანაშვილის მიერ ოთარ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1615 წ. (sic) XVII ს. 70-80-იანი წწ. 1450-8/76).

ყორღანაშვილი ყორღანა – ბ ი ძ ა ასლამაზ ყორღანაშვილისა (1693 წ. 1450-7/53), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი გიორგი ყორღანაშვილისა, იხ. მ ო წ მ ე ნაზარა ხატუაშვილის მიერ ასლამაზ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. 1450-7/53).

ყორღანაშვილი ყორღანა – დ ა მ წ ე რ ი ყორხმაზ ყორღანაშვილის მიერ ბეჟან ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. II. 11. 1450-7/60); მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა ავდროზანა [ყორღანაშვილის] მიერ ოთარ ყორღანაშვილისათვის მიყიდულ მიწას (1688 წ. IV. 1450-17/28).

ყორღანაშვილი (ვარ. იარალისშვილ-შიოშისშვილი) ყორღანა – 1688-1691 წწ. ჰყავს ძ მ ა ჯიმშიტა (1688-1691 წწ. 1450: 16/50, 16/164, 19/10, 16/167), შ ვ ი ლ ი შიოშ (1690-1691 წწ. 1450: 16/164, 19/10, 16/167), გ ა ნ ა ყ ო ფ ი რევაზ ყორღანაშვილი (1690 წ. 1450-19/10). ი ყ ი დ ა: ბაინდურა [შანშიაშვილისაგან]

– საქია ნერსესაშვილის მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა ჭუტაკერასშვილის, მანუჩარას, ზურაბას და ბაინდურას მიწებს (1688 წ. IV. 1. 1450-16/150), შერმაზან, აბაზ და მანუჩარ ყორღანაშვილებისაგან – მათი სამკვიდრო კაჭკაჭისხევის ერთი დღის მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა ქოსაანთ, ყორხმაზა [ყორღანაშვილის] და დოლმაზა ყარამანაშვილის მიწებს ([1690 წ. X. 22. 1450-16/164), თავის განაყოფ რევაზ ყორღანაშვილისაგან – ნაფუძარში ერთი დღის მიწა, რომელიც ვართანაშვილისა და ღარიბაშვილის მიწებს ესაზღვრებოდა და აგრეთვე კაჭკჭისხევში რამაზასა და როინას მიწებამდე – ერთი დღის მიწა (1690 წ. III. 20. 1450-19/10), მანდენა ხოსიტაშვილისაგან – კაჭკაჭისხევში დოლმაზა ყარამანაშვილის ნაქონი დღენახევრის მიწა, „როგორც გიორგის ზომით ეყიდოს,"იმ წესით. ეს მიწა მდებარეობდა გრიგოლაშვილისა და პაპუნაშვილის მიწებთან (1691 წ. V. 4. 1450-16/167).

ყორღანაშვილი ყორღანა – 1691–1697 წწ. შ ვ ი ლ ი ყორღანაშვილ კვესიასი, იხ. გ ა ნ ა ყ ო ფ ი ბერუა ყორღანაშვილისა (1693 წ. 1450: 16/84, 16/106). მ ო წ მ ე: კვესიასთან ერთად – ბაინდურ ვახტანგაშვილის მიერ ბერუა [ყორღანაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. VI. 1. 1450-16/84), ვარაზ გერმანოზიშვილის მიერ ბერუა ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. VII. 14. 1450-16/106), კვესიასთან და მანუჩართან ერთად – ვარაზ გერმანოზიშვილის მიერ შერმაზან ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის გაცვლილობის წიგნისა (1696 წ. III. 15. 1450-16/92), ვარაზა გერმანოზიშვილის მიერ ოქუაანთ არაქელასშვილ ბეჟუასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. VI. 12. 1450-8/79), ქაიშარაშვილ-ზურაბიშვილ თამაზას მიერ ოქუაანთ არაქელასშვილ ბეჟანისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. 1450-8/84).

[ყორღანაშვილი] ყორღანა – ციხისში მ ი ს ი ყმები ბაინდურაშვილები ნაზარალიხანმა უწყალობა ვახტანგ ბარათაშვილ-გიორგიშვილს (1693 წ. 1450-2/141).

ყორღანაშვილი ყორზხმაზ – XVII ს I ნახ. ჰყავს შ ვ ი ლ ი ბაინდურ, [შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი]: კახაბერ, მამაგულა, ხოსიტა, ბეგალა, შერმაზან (XVII ს I ნახ. 1450-19/25, 4/254). ი ყ ი დ ა: შიოტა დათონასშვილისაგან – თუმანიშვილის სახლის ქვემოთ მდებარე მამული (XVII ს I ნახ. 1450-19/25), შაიკა შიხაშვილისაგან – მიწა თუმანიშვილის ნიგვზამდე (XVII ს I ნახ. 1450-4/154).

ყორღანაშვილი ყორხმაზ – შ ვ ი ლ ი ბაინდურ ყორღანაშვილისა, იხ.

ყორღანაშვილი ყორხმაზ – 1612-1674 წწ. [შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი] ბაინდურ ყორღანაშვილისა, იხ. შ ვ ი ლ ი კახაბერ ყორღანაშვილისა, იხ., ჰყავს ძ მ ა ავდროზანა ყორღანაშვილი (1674 წ. 1450-16/11), შ ვ ი ლ ე ბ ი: კახაბერ, პაპუნა, ავთანდილ (1688 წ. 1450-7/60); გ ა ნ ა ყ ო ფ ი თამაზ ქიმაროზაშვილი (1671წ.1450-25/95). მ ი ჰ ყ ი დ ა: ბეჟან ყორღანაშვილს ნაფუძარში, კენჭიყარიასთან,

ნვერის-ნვერის მინა ნერსესაშვილის და ბეჟიას საზღვრებამდე, მეორე მინა – ყორღანაანთ ეჯუბურების, კარაპეტასშვილის მინებს და გერმანოზიანთ ხოდაბუნს შორის (1688 წ. მე-2. 11. 1450-7/60); მ ო წ მ ე: ელიზბარ ზუნბადაშვილის მიერ ქაიხოსროვ ყორღანაშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. I. 15. 1450-1/100), თამაზ ქიმაროზაშვილის მიერ იოსებ ყორღანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. 1450-25/95); მ ი ს ი ვენახის გვერდით ავდროზანა ყორღანაშვილმა ჯანია ყორაღ[ა]შვილს მიჰყიდა ბაგრანეთში მინა (1674 წ. მე-3. 20. 1450-16/2); მ ი ს ი მინის საზღვართან მდებარე ერთი დღის მიწა კაჭკაჭისხევში შერმაზან ყორღანაშვილ-აბაზასშვილმა მიჰყიდა [ყორღანაშვილ]-იარალისშვილ-შიოშისშვილ ყორღანას (1690 წ. X. 22. 1450-16/164).

**ყორღანაშვილი შაველ** (ვარ. **შაულ, შავერდ**) – 1635-[1683] წწ. სამეფო კარის მ დ ი ვ ა ნ მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი / / მ დ ი ვ ა ნ ი. ჰყავს: მ ა მ ა მერაბ ყორღანაშვილი, იხ. (1654-1664 წწ. Sd-748, 1448-5631), ძ მ ა იარალი (1654, 1664 წწ. Sd-748, 1448-5631); შ ვ ი ლ ე ბ ი: ყორღანაშვილი პაპუა, იხ.(1664 წ. 1448-5631), ქაიხოსრო (1654 წ. Sd-748), ავთანდილ (1654, 1664 წწ. Sd-748, 1448-5631). გიორგი ბატონიშვილიმა მ ა ს თავისი ძმის, შაჰნაზარ მეფის სპარსეთიდან „გამოსტუმრების" სამახარობლოდ უწყალობა ენაგეთში დათია ვახტანგაშვილი და მისი განაყოფი სარქისა ცოლ-შვილითა და მამულებით (1664 წ. 1448-5631); იოვანე აფხაზისგან ი ყ ი დ ა მისი მკვიდრი ყმა ფირია (1654 წ. III. 11. Sd-7480); დ ა მ წ ე რ ი: როსტომ მეფის მიერ: დათუნა, თამაზ და ბიძინა სოლაღაშვილებისათვის მიცემული მამულზე დავის გარიგების წიგნისა (1646 წ. Sd-744), ოთარ თულაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1655 წ. X. 2. Qd-1678), ავთანდილ შანშეიან-მარტიროზაშვილისათვის მიცემული სოფლის წყალობის წიგნისა (1656 წ. II. 18. 1450-1/131), მანდენაანთ შერმაზანასშვილ როსტევანისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1656 წ. XII. 15. 1448-2315), თამაზ, ლომკაცა და ბადურ მაჩაბლებისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1656 წ. VIII. I. Qd-8967), ხოსია ნარიმანიშვილისათვის მიცემული მიწის წყალობის წიგნისა (1657 წ. I. 5. 1450-21/40), თაყა თუმანიშვილისათვის ბოლნისის ხევში სოფელ ბერდიკის წყალობის წიგნისა (1658 წ. IX. 12. Sd-532), ხოსია ნარიმანიშვილისათვის მიცემული მიწების წყალობის წიგნისა (1658 წ. მატ. 252. 3); შაჰნავაზ მეფის მიერ: ალავერდა იაგულაშვილისათვის მიცემული თარხნობის წყალობის წიგნისა (1659 წ. VII. 4. 1450-9/117), პაპუნა ბარათაშვილისათვის მიცემული ღოლოვნის წყალობის წიგნისა (1659 წ. IV. 28. Hd-4168), ყინცვისის წმინდა ნიკოლოზის ძმებისათვის მიცემული სითარხნის წიგნისა (1659წ. V. 18. Ad-790); შაჰნაზარ მეფის მიერ: ბოდბის წმინდა ნინოს და წმინდა გიორგის ეკლესიებისათვის მიცემული სითარხნის წიგნისა (1664 წ. II. 25. 1448-2949), მეითარ მანუჩარისათვის მიცემული რუს წყალობის წიგნისა (1664 წ. 1450-53/99), ვახტანგ ბატონიშვილის

მიერ ოთარ ბარათაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა ([1652-1658 წწ.]. 1450-33/285); დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე: პაატა ბარათაშვილის მიერ შაჰყულა იაგულაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის გაცვლილობის წიგნისა (1656 წ. XII. 13. 1450-9/150), გიორგი შატბერაშვილის მიერ თაყა თუმანიშელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1657 წ. I. 10. Hd-1305), ბერუკა ბუჟღულაშვილის მიერ პაპუნა [გოსტაშაბიშვილისთვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. V. 27. Hd-2064).

**ყორღანაშვილი შალვა** – ძ მ ა ყორღანაშვილ გიორგისა, იხ., მ ა მ ა ყორღანაშვილ როინისა, იხ.

**ყორღანაშვილი-შალვაშვილები** – სახასო ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. ი ს ი - ნ ი სხვა ყორღანაშვილებთან ერთად გიორგი მეფემ გაათარხნა ცხერისა და ღორის საბალახოს პირისათვის და სამეჯრობინო ბატკნის გადასახადებისაგან. მათგან საბალახე „შიშლიკის" აღების უფლებაც არავის ჰქონდა (1684 წ. III. 17. 1448-5610).

**ყორღანაშვილი შერმაზან** – [ შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ] ყორღანაშვილ ყორხმაზისა, იხ., შ ვ ი ლ ი ყორღანაშვილ ბაინდურასი, იხ.

**[ყორღანაშვილი] შერმაზან** – ამოვარდნილი. განაყოფი იარალი ყორღანაშვილისა. მ ი ს ი წილი მამული როსტომ მეფემ უწყალობა მერაბ ყორღანაშვილს (1635 წ. IX. 10. Qd-2432).

**ყორღანაშვილი** (ვარ. აბაზაშვილი) **შერმაზან** – 1674-1698 წწ. შ ვ ი ლ ი აბაზა ყორღანაშვილისა, იხ. (1682-1698 წწ. 1450: 19/15, 16/164,16/167, 16/106, 8/69, 16/102); ძ მ ა ავდროზანა ყორღანაშვილისა, იხ., ჰყავს შ ვ ი ლ ი აბაზა (1690-1698 წწ. 1450: 16/164, 16/92, 8/69, 16/102); ძ მ ი ს წ უ ლ ი მანუჩარ (1682-1696 წწ. 1450: 19/15, 16/164, 16/92, 16/126, 16/102); გ ა ნ ა ყ ო ფ ე ბ ი ბეჟია, ავდროზან ყორღანაშვილები (1682 წ. 1450-19/15). მ ი ჰ ყ ი დ ა: ბერ [ყორღანაშვილს] შიმშილაანთ უბანში სამი დღის მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა შიოშის და ბეჟიას მიწებს (1682 წ. 1450-19/15); იარალიშვილ-შიოსშვილ ყორღანას – არუთინა ყარამანასშვილისეული ერთი დღის მიწა კაჭკაჭისხევში, რომელიც ესაზღვრებოდა: ქოსაანთ, ყორხმაზას და დონმაზა ყარამანასშვილის მიწებს (1690 წ. X. 22. 1450-16/164), ოქოაანთ არაქელასშვილ ბეჟოას – თავისი მკვიდრი მიწა კლდენითელას გორებში თავისივე წისქვილის, ფრიდონასა და შირვანას მიწების ახლოს (1698 წ. IV. 15. 1450-8/69), ავთანდილაშვილ ბერუას – თავისი მკვიდრი ყმის არაქელასშვილის ოთხი დღის მიწა თავთავგვერდში შიკიანთ ზუტიას და მამუკიანთ მიწებთან (1690-იანი წწ. 1450-16/102); ვარაზ გერმანოზიშვილმა მას „დაუხარჯა" ბიჭები, რის სანაცვლოდ ენაგეთში მისცა ზვარი, რომელიც შემდგომ უკან გამოართვა; იქვე მისცა ბერუა სოზიაშვილისა და საქია მამუკასშვილის წილი ვენახი რამაზას და პაპაჩას საზღვრამდე, ბაგრანეთში – თავისი წილი სოზიაშვილის ქვემო ვენახი, რომლის ფასში მიიღო ოთხი მინალთუნი (1696 წ. III. 15. 1450-16/92); ვარაზა გერმანოზიშვილმა

მას და მანუჩარ ყორღანაშვილს „დაუხარჯა“ ყმები: ევანეზა კირაკოზაშვილი და ზუბუა გრიგოლასშვილი. ამათ საზღაურად მისცა მამუკასშვილის სასახლე, მარანი და შვიდი დღის მიწა: ორი დღისა ლამისხევში, სიონში – ერთი დღის, ზვრის თავში – ერთი დღის, ზვრისკენ გოჩიაშვილის ნასყიდთან – მამაუკაშვილის ერთი დღის მიწა, პაპისგორში – მამუკაშვილის ორი დღის მიწა ([1695-1703 წწ]. 1450-16/1260; მ ო წ მ ე: მანდენა ხოსიტაშვილის მიერ ყორღანა ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. V. 4. 1450-16/167), ვარაზ გერმანოზიშვილის მიერ ბერუკა ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. VII. 24. 1450-16/106).

**ყორღანაშვილი შერმაზან** – შ ვ ი ლ ი ბეჟან ყორღანაშვილისა, იხ., ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ასლამაზ ყორღანაშვილისა, იხ.

**ყორღანაშვილი შერმაზანა** – მ ო წ მ ე ბადურა ზაალიშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. III. 1450-1/77).

**ყორღანაშვილი შიოშ** – 1612-1677 წწ. შ ვ ი ლ ი კახაბერ ყორღანაშვილისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი აბაზა ყორღანაშვილისა (1674 წ. 1450-16/154). ი ყ ი დ ა თავის ბიძაშვილ აბაზასაგან არდასუბანში მისი წილში ნარგები გლეხის, ტერუას ვენახი და სიონში აბაზას მამის წილი სამი დღის მიწა (1674 წ. II. 17. 1450-6/154).

**ყორღანაშვილი შიოშ** –(ვარ. საიუშ)[ძმა] ბანდია ყორღანაშვილისა, იხ.

**ყორღანაშვილი შიოშ** – ჰყავს ძ მ ე ბ ი: მერაბ ყორღანაშვილი, იხ., ქაინდოლე, გარსევანა, ფრიდონ. მ ა ს სთხოვა ოთია ვახტანგიშვილმა დახმარებოდა, რათა ბატონიშვილ ლუარსაბის ყმა გამხდარიყო. შ ი ო შ ი დახმარებია, რის საფასურშიც, „ქრთამად“ მიუღია ორი დღის მიწა: ერთი საქცევი კაჭკაჭისხევში, მეორე – ბოგვისხევზე (1647 წ. IV. 1450-19/24).

**ყორღანაშვილი შიოშ** – მ ო წ მ ე ტერ-ასატურ ხუციშვილის მიერ პაპუნა ხუციშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1666 წ. 1450-16/8)

**ყორღანაშვილი შიოშ** – 1680-1687 წწ. ი ყ ი დ ა თავისი განაყოფის, თამაზ ყორღანაშვილისაგან ნაფუძარში ბეგალა [ყორღანაშვილის] ნაქონი ერთი დღის მიწა იედიგარული და შირვანაშვილის მიწების გვერდით (1680 წ. VII. 1450-19/22); დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე რევაზ ყორღანაშვილის მიერ როსტომ [ყორღანაშვილისთვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. 1448-2941); მ ო წ მ ე ოღულა ხუციშვილის მიერ ოთარ ყორღანაშვილისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. VI. 1. 1450-16/165).

**ყორღანაშვილი შიოშ** – შ ვ ი ლ ი გიორგი [ყორღანაშვილისა], იხ.

**ყორღანაშვილი შიოშ** – შ ვ ი ლ ი ყორღანა ყორღანაშვილისა, იხ.

**ყორრანაშვილი ხოსია** – შ ვ ი ლ ი ყორღანაშვილ-ქემაროზაშვილ რამაზასი, იხ.

**ყორღანაშვილი ხოსია** – 1666-1700 წწ. შ ვ ი ლ ი პაპუნა ყორღანაშვილისა, იხ., ძ მ ა გიორგი ყორღანაშვილისა, იხ., მ ა მ ა [ყორღანაშვილ]-პაპუნაშვილ–

ხოსიაშვილ ავთანდილასი, იხ., [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] რამაზა ყორღანაშვილისა, იხ. მ ო წ მ ე ბერ ციციშვილის მიერ უთრუთ ციციშვილისათვის მიცემული ნიჩბისში წყლის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. I. 30. 1450-51/99).

ყორღანაშვილი ჯიმშიტა – 1688-1698 წწ. ძ მ ა ყორღანა ყორღანაშვილისა, იხ. მ ო წ მ ე მანუჩარის მიერ ბერუა ყორღანაშვილისთვის მიცემული მიწების გაცვლილობის წიგნისა (1698 წ. VIII. 15. 1450-16/119).

ყორხმაზაანთ ოჲანა – მ ო წ მ ე მანდენაანთ მამუკას მიერ ზაქარია მასაჯანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ. III. 26. 1448-1496).

ყორხმაზ – შ ვ ი ლ ი ბეჟანისა, იხ.

ყორხმაზაშვილი//ყორქმაზაშვილი

ყორხმაზაშვილი – დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე ნიკოლოზ გაბაშვილის მიერ არსელა ამსოაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1616 წ. 22. V. 1450-13/60).

ყორხმაზაშვილი – ცოვრეთში მისი მამული ეკუთვნოდა [ბარათაშვილს] (XVII ს. ბოლო. 1450-33/286).

ყორხმაზაშვილი ავდროზან (ვარ. ავდროზანა) – ჰყავს შ ვ ი ლ ი ასიტა, ძ მ ი ს წ უ ლ ი კახაბერ. ი ყ ი დ ა თავის ძმისწულ კახაბერისაგან კლდენითლაში ჟოჟუას წილი ორი დღის მიწა (1672 წ. ახლო. 1450-16/151); მ ო წ მ ე თავის ძმისწულ კახაბერ [ყორხმაზაშვილის] მიერ როსტომ მამაგულაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. IV. 1450-17/4).

ყორხმაზაშვილი ავთანდილა – ძ მ ა ყორხმაზაშვილ კახაბერისა, იხ.

ყორხმაზაშვილი ასიტა – შ ვ ი ლ ი ყორხმაზაშვილ ავდროზანისა, იხ.

ყორხმაზაშვილი ასლა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყორხმაზაშვილ ზურაბისა, იხ.

ყორხმაზაშვილი ბაბახანა – ძ მ ა ყორხმაზაშვილ პაპიასი, იხ.

[ყორხმაზაშვილი] (ვარ. მამაგულაშვილი) ბეჟუა (ვარ. ბეჟია) – ჰყავს ძ მ ა როსტომ, იხ. მ ო წ მ ე კახაბერ ყორხმაზაშვილის მიერ თავისი ბიძის, ავდროზანისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. ახლო. 1450-16/151).

ყორქმაზაშვილი გასპარა – დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე სულხან მურადაშვილის მიერ მდივან გივი [თუმანიშვილისათვის] მიცემული გირაოს დახსნის წიგნისა (1700 წ. III. 1. Sd-58).

ყორხმაზაშვილი გურგენ – მ ა ს ცოტა ხანს სჭერია პაპუნა [გოსტაშაბიშვილ]-ბარათაშვილის სამკვიდრო სოფლის – ღოლოვნის ნახევარი, რომელიც ორგულობის გამო შაჰნავაზმა მ ა ს ჩამოართვა და ისევ პაპუნას დაუბრუნა, გარდა ერთი მეცხვარის, ნისქვილისა და მენისქვილისა (1659 წ. IV. 28. Hd-4168).

ყორხმაზაშვილი დემურა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ყორხმაზაშვილ პაპიასი, იხ.

ყორხმაზაშვილი ეართანა – ძმ ი ს წ უ ლ ი ყორხმაზაშვილ პაპიასი, იხ.

**[ყორხმაზაშვილი]** (ვარ. **მამაგულაშვილი**) **ზარია** – შვილი [ყორხმაზაშვილ] როსტომისა, იხ.

**ყორხმაზაშვილი ზურაბ** – ჰყავს ბიძა ასლა. იყიდა ფრიდონ ნადირაშვილისაგან სავენახის ნახევარი (1681 წ. II. 10. 1450-16/127).

**ყორხმაზაშვილი კახაბერ** – ჰყავს ძმები: პაპუნა, ავთანდილ (1672 წ. ახლო – 1697 წ. 1450: 16/151, 17/4, 17/5); ბიძა ავდროზანა; ბიძაშვილი ასიტა ([1672 წ. ახლო. 1450-16/151); განაყოფი მამაგულაშვილი როსტომ (1695 წ. 1450-17/4). მიჰყიდა თავის ბიძა ავდროზ[ა]ნს კლდენითლაში ჟოჟუას წილი ორი დღის მიწა (1672 წ. ახლო. 1450-16/151); იყიდა: თავის განაყოფ როსტომ მამაგულაშვილისაგან ვენახი, რომლის ფასშიც მისცა ხუთი დღის მიწა შარას ზევით, ასლამაზას მიწასთან, ქვევით მუღამშაშვილის მიწამდე და – ერთი დღის კალოს მიწა (1695 წ. IV. 1450-17/4), როსტომ მამაგულაშვილისაგან – მის ძმასთან, ბეჟიასთან გაყრის დროს ნარგები ვენახი, წისქვილი, კალო-საბძელი და ბოსელი (1697 წ. IV. 1450-17/5).

**[ყორხმაზაშვილი]** (ვარ. **მამაგულაშვილი**) **მანდენ** – მოწმე კახაბერ ყორხმაზაშვილის მიერ თავისი ბიძის, ავდროზანისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. ახლო. 1450-16/151).

**ყორხმაზაშვილი ოთარა** – მოწმე ფარსადან შიხაშვილისა და ხეჩივაშვილის მიერ ალავერდა ალიხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. II ნახ. 1450-9/154).

**ყორხმაზაშვილი პაპია** – მოწმე მერაბ აბაშიშვილის მიერ პაპუნა არეშიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1654 წ. 1448-2928).

**ყორხმაზაშვილი პაპია** – თეთრიუბანს მცხოვრები. შაჰ-აბაზ ყაენს იგი შულავერის მამასახლის ყარახანასთვის უბოძებია. ეს წყალობა ბატონიშვილებმა გიორგიმ და იორამმა განუახლეს ყარახანას შვილს, წოვანშას ([1632-1658 წწ.] IX. 22. 1448-5154).

**ყორხმაზაშვილი პაპია** – თეთრუბანს მცხოვრები, შიოშ სახლთუხუცესის ნაქონი. ჰყავს ძმა ბაბახანა, ძმისწულები: დემურა და ვართანა, რომლებთან ერთადაც ბაგრატ და ლევან ბატონიშვილებმა იგი სახლთუხუცეს ქაიხოსრო რატიშვილს უწყალობეს (1688 წ. X. 17. Hd-8415-ა).

**ყორხმაზაშვილი პაპუნა** – ძმა ყორხმაზაშვილ კახაბერისა, იხ.

**[ყორხმაზაშვილი]** (ვარ. **მამაგულაშვილი**) **როსტომა** (ვარ. **როსტომ**) – ჰყავს: შვილი მამაგული (1695-1697 წწ. 1450: 17/5, 17/4, 53/211, 16/163), ზარია (XVII ს. IV მეოთხ. 1450-16/163); ძმა ბეჟია (1697 წ. 1450-17/5); განაყოფები: კახაბერ, პაპუნა, ავთანდილ (1695 წ. 1450-17/4). მიჰყიდა: თავის განაყოფ კახაბერ [ყორხმაზაშვილს] ვენახი და საფასურად აიღო ხუთი დღის მიწა, მდებარე ასლამაზას მიწასთან, ქვევით – მუღამშაშვილის მიწამდე და იქვე – ერთი დღის კალოს მიწა (1695 წ. IV. 1450-17/4), მასვე – ალგეთზე თავის ძმასთან, ბეჟიასთან გაყრის დროს წილში ნარგები ვენახი, წისქვილი, კალო-

საბძელი და ბოსელი (1697 წ. IV. 1450-17/5). ბეროა დაიარაშვილს – პაპისგორაში ფარლის ღელის სამი დღის მიწა პაპუნასშვილის და ხოსიაშვილის მიწებამდე და ეჯუბორში ფირ[ა]ლის ერთი დღის მიწა პაპუნასშვილისა და შაიკასშვილის მიწებამდე (1697 წ. X. 1450-53/211); ი ყ ი დ ა: ბერუა ფერიაშვილისაგან სახლის ადგილი, რომელიც ესაზღვრებოდა ოთარაშვილის მიწას, ენაგეთის მხარეზე – სეხნიას კალოსა და საბძელს და ბერუას კალოს (XVII ს. IV მეოთხ. 1450-16/163); მ ო წ მ ე ენაგეთელ შერმაზან აბაზაშვილის მიერ ოქოაანთ არაქელასშვილ ბეჟოასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. 15. IV. 1450-8/69).

**ყორჩაანთ ხატინა** – მ ო წ მ ე ჯანაბოანთ პაპინაშვილ გასპარას მიერ დავით ჯანღაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. XII. 1450-53/118).

**ყოყიაშვილი** – მ ი ს ი მიწის საზღვრამდე მიჰყიდა გაბიტა ელგემიძემ მაწნაძეს ქვედელაში სავენახე მიწა (1674 წ. 1448-5397).

**ყოჩალიანი ფიდარბა** – თ ა ვ მ დ ე ბ ი ყიფიანთა და ფალიანთა შორის ბერა ყიფიანის მკვლელობასთან დაკავშირებით დადებული დაწერილისა (XIV-XV სს. მიჯნა. სსძ. II. №41).

**ყოჩასშვილი ბადრია** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ყოჩასშვილ მამუკასი, იხ.

**ყოჩასშვილი მამუკა** – ჩუმლაყში მცხოვრები. ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ბადრია. ყარაბაღის ბეგლარბეგმა და კახეთის ბატონმა [ქალბალი-ხანმა] ი გ ი უბოძა როშაქ ჩოლაყაშვილს (1686 წ. S-3728. 163-rv).

**ყოჩიაშვილი** – კალაურში მცხოვრები, გზირი, ერთი კომლი. შეტანილია სვეტიცხოვლის საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449-792).

**ყრინტაძე გოტია** – ხონს მცხოვრები. ემართა ქუთაისს საყდრის ბეგარა: ცამეტი თხუთმეტიანი ლიტრი ღვინო, ერთი ურემი ღომი, „საწყავი ხუთი – თორმეტ ჯამ-შემავალი", ორმოცდაოთხი თეთრის საკლავი, ორი ქათამი, სამი საქორე ქათამი, ერთი სასუქი ქათამი, „საბატკობო თეთრი სამი", ერთი საყველიერო თეთრი და მუშაობა (1558 წ. H-626).

**ყრუაშვილი გიორგი** – ცაგერის ღვთისმშობლის ყმა. ნაძალადევად ეკავა გელოვანს. ალექსანდრე მეფემ ი გ ი კვლავ ცაგერის ღვთისმშობელს შესწირა (1656 წ. Qd-9085ვ).

**ყრუაშვილი კაცია** – ი გ ი ცოლ-შვილითა და ძმით ალექსანდრე მეფემ შესწირა ხვამლის წმინდა გიორგის (1655 წ. Qd-9085დ).

**შანშიაშვილი ელიზბარა** – 1670 წ. ძ მ ა დოლმაზა შანშიაშვილისა, იხ. ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა ნაზარა და ნასყიდა შანშიაშვილების გაყრის თარობაზე შედგენილ განჩინებაში: ელიზბარასთვის მის ძმას, პაპიას, გაყრისას წილი არ მიუცია. ეს წილი მდივანბეგთან ქრთამის გალებით მეორე ძმას – დოლმაზას დაუსაკუთრებია. ჰყოლია შვილი ნაზარა, რომელიც დოლმაზას შვილებთან ერთად ცხოვრობდა და რომელთაც შემდგომ გაეყარა (1696 წ. III. 25. Hd-9350, 1696 წ. V. 1. Hd-9370).

**[შანშიაშვილი] ესტატე** – გ ა ნ ა ყ ო ფ ი გიორგი შანშიაშვილისა, იხ. როსტომ მეფემ გიორგი შანშიაშვილს ბორის სოფელში უწყალობა ის ყმა-მამული, რომელიც ესტატე [შანშიაშვილს] არ ეკუთვნოდა (1641 წ. IV. 17. 1449-1001).

**შანშიაშვილი ვახუშტი** – შ ვ ი ლ ი დოლმაზა შანშიაშვილსა, იხ.

**შანშიაშვილი** (ვარ. **შანშიაშვილ-პაპიაშვილი, პაპიაშვილი, გოგიბაშვილი**) **ზაალ** (ვარ. **ზალია**) – 1641-1662 წწ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი გიორგი შანშიაშვილისა, იხ., შ ვ ი ლ ი პაპია შანშიაშვილისა, იხ., ჰყავს ძ მ ე ბ ი: ბაინდურ იხ., გიორგი, ფარემუზ (1662 წ. 1450-10/32). ი ყ ი დ ა ჯანია ვართანასშვილისაგან სიონის გზის ზემოთ მდებარე ორდღენახევსრის მიწა ჩვიდმეტი მარჩილის სარგებლით (1662 წ. IV. 3. 1450-10/32).

**შანშიაშვილი** (ვარ. **გოგიბაშვილი პაპიაშვილი**) **ზაალ** (ვარ. **ზალია**) – 1674-1695 წწ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი პაპია შანშიაშვილისა იხ., შ ვ ი ლ ი ბაინდურ შანშიაშვილისა იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი ფარემუზ შანშიაშვილისა იხ. მ ო წ მ ე ლევან ათაბეგისშვილის მიერ შალვა შალიკაშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა მიწაზე უდავობის შესახებ (1681 წ. III. 8. 1450-48/139).

**[შანშიაშვილი]** (ვარ. **გოგიბაშვილი**) **იესე** – 1688-1695 წწ. ს ო მ ხ ი თ ი ს ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი (1688 წ. 145-10/18), [შ ვ ი ლ ი ] ბაინდურ შანშიაშვილისა, იხ. [ძმისწული] ფარემუზ შანშიაშვილისა, იხ.

**შანშიაშვილი იოვანე** – 1630-1649 წწ. მეჯვრისხეველი. ჰყავს [ს ა ხ ლ ი-კ ა ც ი ] შიუკა. თეიმურაზ მეფემ ი გ ი შიუკასთან ერთად ხელახლა შესწირა მთაწმინდის პოტაიტის ღმრთისმშობელს გიორგი მეფის (X)სულის საალაპედ (1630 წ. 1461-3/127); მ ო წ მ ე დემურჩა გოგოჩაშვილის მიერ ამირალა მესხასტურაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1649 წ. VII. 25. Hd-5306).

**შანშიაშვილი** (ვარ. **დოლმაზაშვილი**) **მადენა** – შ ვ ი ლ ი დოლმაზა შან-შიაშვილისა იხ., ძ მ ა ნასყიდა შანშიაშვილისა, იხ.

**[შანშიაშვილი]** (ვარ. **ელიზბარაშვილი**) **ნაზარა** – 1696-1700 წწ. ჰყავს ბ ი ძ ა შანშიაშვილი დოლმაზა, ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი – შანშიაშვილი ნასყიდა (1696 წ. Hd-9350).

გ ა ე ყ ა რ ა თავის ბიძაშვილ ნასყიდას. მათი გაყრის საქმე გაარჩიეს: სარდალმა ლუარსაბ [ორბელიშვილმა], ოთარ თუმანიშვილმა, შერმადინ იმონათამიშვილმა და ნინწყაროს მამასახლისმა როსტომა. ნასყიდა ედავებოდა ნაზარას იმ ქრთამის საზღაურზე, რომელიც ნასყიდას მამამ, დოლმაზამ, თავის დროზე გაილო ნაზარას მამის,ელიზბარას, წილი ქონების დასანარჩუნებლად. რადგან ნაზარა ნასყიდას ეყრებოდა, დოლმაზას მიერ გაღებული ქრთამის საფასური უნდა დაეფარა. სასამართლომ დაადგინა, რომ ნაზარას ნასყიდასათვის უნდა გადაეხადა ერთი დღის სანნახლისა და ერთი დღის მუხის მიწა. ამირჯანას სახლის ადგილი დოლმაზას შვილებს მიაკუთვნეს, ხოლო ამ ადგილას რაც ნაშენები იყო, ხე ან ქვა, ნაზარას უნდა დაეშალა და წაეღო. ნაზარას დაუტოვეს აგრეთვე ნაღობი, რომელიც ბაინდურაშვილს შინდი[ს] მიწაში ჰქონდა (1696 წ. III. 25. Hd-9350); დ ა ვ ა ჰ ქ ო ნ დ ა თავის ბიძაშვილებთან: პაპიაშვილებთან და დოლმაზაშვილებთან სოსნის ნასოფლარის საჭირნახულოს სარგებლობის პირობებზე. სასამართლომ (სარდალი [ორბელიშვილი] ლუარსაბ, ფარსადანა არღუთაშვილი, ზინდარი ვახუშტი, ყაფიჩი შანაზარა)დაადგინა, რომ სოსნის ნასოფლარის საჭირნახულოზე დავა სომხითის მოსაქმეებს გადაეწყვიტათ. პატარა სახუნდარული ახოები სამად უნდა გაყოფილიყო. ნაზარას ერთი მესამედი ხვდებოდა – ამირეიზას სახლ-კარი ორი დღის მიწით, აგრეთვე ორი დღის დავითაური მიწა. დოლმაზას ნასყიდი ქონებიდან ნაზარას არაფერი აკუთვნეს. ნასყიდას სახლი და ბოსტანი, აგრეთვე მამუკას სახლი, ნაზარას დოლმაზაშვილებთან უნდა გაეყო (1696. V. 1. Hd-9350); მ ო წ მ ე მანთაშა მირზაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. VIII. 19. Hd-10246).

შანშიაშვილი (ვარ. დოლმაზაშვილი) ნასყიდა – 1666-1700 წწ. სომხითის ა ზ ნ ა უ რ ი ს შ ვ ი ლ ი ([1688-1703 წწ.] 1448-55). შ ვ ი ლ ი დოლმაზა შანშიაშვილისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი პაპია შანშიაშვილისა, იხ. ჰყავს ძ მ ე ბ ი: როსტომა, დავითა (1696-1700 წწ. Hd: 1777, 10257, 10246, 1448-55), მანდენა, ავთანდილა (1696-1700 წწ. Hd: 1777, 10257, 10246), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ე ბ ი: შანშიაშვილი ბაინდურ იხ, [შანშიაშვილი] ნაზარა (1696 წ. Hd-9350). ნაზარალიხანმა მ ა ს უწყალობა ქვემო ბოლნისის მეღალეობა და ხასადარობა ([1688-1703 წწ.] 1448-55); ი ყ ი დ ა: თამაზასაგან – სალმახანას კუთვნილი კალო, საბძელი და ბოსტანი (1696 წ. IV. 5. HD-1777), მანთაშა მირზაშვილისაგან – მისი მკვიდრი მიწა სახუნდარში, რომელიც ესაზღვრებოდა ბაინდურაშვილის ახალშენის ღობეს (1700 წ. VIII. 19. Hd-10246), ხოსუა ასლუაშვილმა თავისი ვენახი, რომელიც ემიჯნებოდა დოლმაზაშვილთა მამულს, მას გაუცვალა ორ ზომა მიწაში. ამ ვენახის ნაწილი ასლუაშვილების მამას ადრე გაუცვლია დოლმაზაშვილების მამისათვის (1699 წ. IX. 27. Hd-10257); ე დ ა ვ ე ბ ო დ ა თავის ბიძაშვილ ნაზარას, რომელმაც მასთან გაყრა გადაწყვიტა. უფრო ადრე, როდესაც ნასყიდას მამა, დოლმაზა გაეყარა თავის ძმას, პაპიას, ნაზარას მამის, ელიზბარას წილი „გამოიტანა". როდესაც

ელიზბარას შვილმა ნაზარამ ნასყიდასაგან გაყრა მოითხოვა, ნასყიდამ დოლმაზას მიერ ადრე გაღებული ქრთამის ანაზღაურება მოსთხოვა. დავა გაარჩიეს სადალმა ლუარსაბ [ორბელიშვილმა], ოთარ თუმანიშვილმა, შერმადინ იმონათაშვილმა და წინწყაროს მამასახლისამა როსტომმა. სასამართლომ ნაზარას ნასყიდას სასარგებლოდ დააკისრა: ერთი დღის სანნახლისა და ერთი დღის მუხის მიწის მიცემა მისი მამულებით, ახოთი და ვენახით. მასვე დარჩა ამირჯანას სახლის ადგილი (1696 წ. III. 25. Hd-9350); მ ო წ მ ე: დოლმაზა ესტატესშვილის მიერ ბაინდურ [შანშიაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IV. 7. 1450-10/27), შიომ სეხნიაშვილის მიერ ყაფლანის შვილიშვილ პაპუასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. Hd-6622).

**შანშიაშვილი ნასყიდა** – ჰყავს შ ვ ი ლ ი შანშერა. გიორგისშვილ ზურაბას მ ი ჰ ყ ი დ ა თავისი სახლ-კარი ყაფლანას შარამდე და ჯღუნიას სახლამდე სიგრით – ოცდახუთნახევარი „ყეენური" ადლი. ეს სახლ-კარი მისთვის მამასახლის მიღდისს ჰქონია მიცემული (1687 წ. Hd-6112).

**შანშიაშვილი ოთარ** – შ ვ ი ლ ი დოლმაზა შანშიაშვილისა, იხ.

**[შანშიაშვილი] ოთარა** – შ ვ ი ლ ი გასპარა [შანშიაშვილ]-დარისპანაშვილისა, იხ.

**შანშიაშვილი** (ვარ. გოგიბაშვილი) **პაპია** (ვარ. პაპუნა) – 1645-1683 წწ. სომხითის ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი (1646 წ. Hd-1961), როსტომ მეფის კარის ყ ა ფ ი ჩ ი (1651-1653 წწ. 1450: 5/37, 6/33, 9/25); შაჰნავაზის კარის ს ო ი ბ ა თ ი ა ს ა უ ლ ი (1653-1680 წწ. Hd-14671, 1450: 5/47, 6/90, 7/14, 10/22, 5/42, 1448-97, 1449-97, 1449-1000). შ ვ ი ლ ი გიორგი შანშიაშვილისა, იხ. ჰყავს ძ მ ა დოლმაზა (1653-1680 წწ. 1450: 16/59, 9/25, Hd: 9282, 9222, 1449-1000, 1450-5/49), ელიზბარ (1696 წ. 1450-16/59); შ ვ ი ლ ე ბ ი: ზაალ 1645-1662 წწ. 1450: 6/27, 5/35, 5/37, 10/38, 6/14, 9/25, 5/45), ბაინდურ (1648-1680 წწ. 1450: 5/35, 5/37, 6/14, 5/45, 5/47, Hd-1666,1450: 6/16, 6/49, 6/23, 6/20, 7/6, 10/22, 5/42, 5/49, 10/24, 1449-1000); გიორგი (1648-1675 წწ. 1450: 5/35, 5/37, 6/14, 5/47, Hd-9282,1450-6/16, 6/49, 6/23, 6/20, 10/22, 5/42, 5/45, 1449-1000, 1450-5/49), ფარემუზ (1648-1680 წწ. 1450: 5/35, 5/37, 6/14, 5/47, Hd-9282, 6/16, 6/49, 6/23, 6/20, 7/6, 10/22, 5/42,10/24; გივი (1651-1680 წწ. 1450: 5/37, 6/14, 6/16, 6/49, 6/23, 7/6, 10/22, 5/42, 10/24), ბეჟან // ბეჟია 1668-1680 წწ. (1450: 6/16, 6/20, 7/6, 10/22, 5/42, 10/24, 1449-1000); გოდერძი (1668-1680 წწ. 1450: 6/16, 6/23, 7/6, 10/22, 5/42, 10/24), შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ზაალ (1674 წ. 1450-10/22); ძ მ ი ს წ უ ლ ი ნასყიდა (1666 წ. Hd-9282); გ ა ნ ა ყ ო ფ ი – ავთანდილ ესტატესშვილი (1680 წ. 1450-10/24). ბოლნელმა იოსებ [რევიშვილმა] მ ა ს დაუმტკიცა ეჯუბასაგან ნასყიდი მიწა, რომელზედაც ეცილებოდა ბოლნელი ხუცესი (1645 წ. III. 17. 1450-6/27). როსტომ მეფემ მას დაუმტკიცა სამწევრისში პასან და აივაზ მირზაშვილებისაგან ნასყიდი სავენახე ადგილი, რომლის საზღვრები იყო თამაზას სანნახელი და მაჰმიდას ვენახი (1652 წ.

1450-6/33); მანვე განუახლა ბორის სოფელში და სოსანში მ ი ს ი მკვიდრი და ნასყიდი მამულების წყალობა (1653 წ. XI. 25. 1450-9/25), შაჰნავაზმა მ ა ს უწყალობა ერთი დღის მიწა „ჩაყრილი და ჩაუყრელი", ნურლაშვილისა და უსუფაშვილის მიწებამდე (1659 წ. 1450-5/45), მანვე უწყალობა ზემო სახუნდარის ნახევარი (1664 წ. 1450-5/47); მანვე – ურნაშენში, არქუნს ქვემოთ, ექვსი დღის მიწა ალავერდა ნერსესაშვილის, ეჯუბაშვილის და ტერ-ხეჩატურას ნაქონ მიწებამდე (1674 წ. 1450-10/22), გიორგი მეფემ დაუმტკიცა ურნაშენში ნასყიდი მიწები, რომელზედაც როსტომ მეფის დროს სამწევრისელები ეცილებოდნენ. უწყალობა აგრეთვე ურნაშენის დანაჩენი მიწებიც (1680 წ. X. 1449-1000), როსტომ მეფემ გაუთარხნა შუა ბოლნისში, მამასახლის სამებისასაგან ნასყიდი ნასოფლარი პაცუტი ავაქმას მიწებით (1651 წ. VI. 10. 1450-5/37); ი ყ ი დ ა: მამასახლის სამებისასაგან – სვიმონ მეფისაგან ნაბოძები ნასოფლარი პაცუტი ავაქმას მიწებით (1648 წ. VIII. 22. 1450-5/35); ჰასანა მირზაშვილისაგან – მიწა, რომელსაც ესაზღვრებოდა თამაზას სანნახელი და მაჰმადას ვენახი, აგრეთვე ურნაშენს – ძველად მისგანვე მიყიდული მიწა (1652 წ. I. 13.1450-6/14), ნაზარა თამაზაშვილისაგან – ვენახი, რომელიც ნაზარასთან სადავო ჰქონიათ, „ერთობილთ სამწერელთ" (1663 წ. ახლო. 1450-10/9-ბ), ერთობილთ სამწრელებისაგან: ალიხანა უსუფაშვილის, ბერუა და ბერ ქურციკაშვილების, იაგანა მამასახლისის, ტერ-აკოფას, დავითა ასნაორაშვილის, არაქელა აპრელაშვილის, ყარახანა ხერკაშვილის, ყაზარა ზეგელაშვილის, შანარა ხოციკაშვილის, არაქელა დ კაკოზა მარქარაშვილებისაგან – ვენახი (1663 წ. V. 5. 1450-10/9 ა), ავთანდილ ესტატესშვილისაგან – მიწა ფარსადანას მიწამდე (1666 წ. IV. 1. Hd-9282), ყაზარა ყუზანაშვილისაგან – ორი დღის მიწა ბერუას კალოსთან (1668 წ. I. 21. 1450-6/16), ვართანასშვილ ტერ-გრიქორასაგან – მისი მკვიდრი დღენახევრის მიწა (1668 წ. I. 21. 1450-6/49); ავთანდილ ესტატეშვილისაგან – ვენახი მურადაშვილის ვენახთან (1670 წ. VII. 1. 1450-10/24), უხანა ვართევანაშვილისაგან – მისი ერთი დღის მკვიდრი მიწა თავისი ნაოხარით (1672 წ. IV. 1. 1450-6/20), სამწევრისის მამასახლისის იაგანასაგან – ურნაშენში ორი დღის მიწა ხუციას მიწის გვერდით (1672 წ. V. 7. 1450-6/23), შუა ბოლნისის მამასახლისის ფინეზა [ყუმახასშვილისაგან] – სამი დღის „გარდელაური" მიწა შირვანის, ყალაბეგას, ცოცხალას და იდიგარასშვილის მიწებამდე (1675 წ. II. 24. 1450-5/42), ავთანდილ ესტატესშვილისაგან – მურადაშვილის ვენახთან მდებარე ვენახი (1680 წ. VII. 1. 1450-10/24), კოკოზასაგან – მიწა სახუნდარასაკენ სალხუზანთ და ქურციკაშვილების მიწებს შორის (XVII ს. შუა ხანები. 1450-5/49); მ ო წ მ ე: ბეჟან ზაქუმისშვილის მიერ შაჰნაზარა მურჩასაშვილისათვის მიცემული აზატობის წიგნისა (1646 წ. Hd-1961), ბეჟან ზაქუმიშვილის მიერ ხოსროვა დალალაშვილისათვის მიცემული წისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1664 წ. 1450: 48/146, 48/147), გარსევან ყორღანაშვილის მიერ მეითარისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1670 წ. V. 1.

Hd-9701). იარალის მიერ სალმახანა მელიქსეთაშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. I. 5. 1448-1291); გ ა ე ყ ა რ ა თავის ძმას დოლმაზას. გაყრის საქმე გაარჩია ედიშერ მდივანბეგმა. საერთო სახასო და ნასყიდი მინებიდან ორი წილი ერგო დოლმაზას, მესამედი – პაპიას. პაპიას ერგო აგრეთვე ბორისოფელს – ავეტიზა ხეჩივართაშვილი, ვართაიზაშვილი ავეტიზა ერთ კომლად, ყარახანაშვილი კირაკოზა ერთ კომლად, პანესაშვილი მურადა, ავეტიზაშვილი კირაკოზა. ბოლნისში [ა]მირაიზა და ბოლნისის ზვარი. დედის ნამზითვით ნასყიდი ქონებიდან პაპიას მისცეს მესამედი. ერთად შეძენილი ქონებიდან – ერთი წილი პაპიას, ორი – დოლმაზას. გარიგების დარღვევის შემთხვევაში უნდა გადაეხათ თორმეტი თუმანი ჯარიმა (1667 წ. Hd-9292); სოსნის ნასოფლარი პაპიას, დოლმაზას და ელისბარას გაუყოფელი დარჩენიათ, როცა ისინი გაყრილან შაჰნავაზის მეფობის დროს, აღნიშნულია შანშიაშვილების გაყრის წიგნში (1696 წ. III. 25. Hd-9350). ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა: ბოლნელი იოსებ რევიშვილი მას ედავებოდა დათუასაგან შეძენილ მინაზე. ზემო ბოლნისელებმა დაადასტურეს, რომ პაპიას მინის ფასი სრულად არ ჰქონდა გადახდილი. პაპიამ სრულად გადაიხადა ვალი, რის შემდეგადაც იოსებ ბოლნელმა მას მისცა მინაზე უდავობის წიგნი და აღუნიშნა ამ მინის საზღვრები: ზემო შარა და იესაოს მინა, ქვემოთ – დავითაშვილის (1672 წ. VII. 7. 1450-10/38), ზურაბ გამრეკლიძესა და გივი ამილახორს შორის მამულზე დავის გარჩევაში მონანილეობა მიიღო, როგორც მოფიცარმა (1666 წ. III. 1450-6/90), გიორგი ბატონიშვილმა გაუცვალა მინა – გამოართვა საკენახედ ორი დღისა, სამაგიეროდ სამეფო ხოდაბუნიდან უბოძა ოთხი დღის მინა ალიხანასა და ზიადას მინებამდე (1670 წ. VI. 9. 1450-7/14), იაგანა პაპუაშვილს, რომელსაც თავისი ამოვარდნილი განაყოფის, ბეჟიას მამულზე ეცილებოდნენ, პაპია შუამავლად დაუდგა მეფესთან. საზღაურად იაგანამ პაპიას მიართვა ერთი დღის მინა (1673 წ. XI. 1450-7/6); შაჰნავაზმა მ ა ს დაავალა სოლაღაშვილებსა და გერმანოზიშვილებს შორის ტაგნაგეთის მინებზე დავის გარჩევა (1676 წ. 1448-97); როსტომ მეფის ბრძანებით: გ ა ა რ ჩ ი ა ბეჟან ამილახვრისა და კათალიკოს ქრისტეფორეს შორის სამამულე დავა (1639 წ. Qd-1387ა), აგრეთვე სამამულე დავა გუდარეხელთა და ლორისთაველთა შორის (1653 წ. VII. 10. Hd-1467).

**შანშიაშვილი** (ვარ. გოგიბაშვილი, პაპიაშვილი, გოგიბაშვილ-პაპიაშვილი) **პაპია** – შ ვ ი ლ ი ბაინდურ შანშიაშვილისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი ფარემუზ პაპიაშვილისა, იხ.

**[შანშიაშვილი] პაპუა** – [1680]-1690 წწ. ძ მ ი ს წ უ ლ ი გარსპარა [შანშიაშვილ-დარისპანაშვილისა], იხ. მ ო წ მ ე დოლმაზ ესტატესშვილის მიერ ბაინდურ შანშიაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IV. 7. 1450-10/27).

[მანშიაშვილი] რევაზა – შ ვ ი ლ ი გასპარა [მანშიაშვილ]-დარისპანაშვილისა, იხ.

[მანშიაშვილი] როსაბა – შ ვ ი ლ ი გასპარა [მანშიაშვილ]-დარისპანაშვილისა, იხ.

შანშიაშვილი (ვარ. დოლმაზაშვილი) როსტომა – შ ვ ი ლ ი დოლმაზა შანშიაშვილისა, იხ., ძ მ ა ნასყიდა შანშიაშვილისა, იხ.

შანშიაშვილი (ვარ. გოგიბაშვილი, პაპიაშვილი) ფარემუზ (ვარ. ფარემუზა) – 1648-1700 წწ. შ ვ ი ლ ი პაპია შანშიაშვილისა, იხ. ჰყავს ძ მ ე ბ ი: ზაალ შანშიაშვილი იხ., ბაინდურ შანშიაშვილი იხ., ბეჟან //ბეჟანა, გოდერძი (1694, 1605 წწ. 1450: 6/36, 6/34, Hd-6622, 1450: 9/14, 9/29); გივი (1695-1700 წ. 1450: 6/34, 9/14, 9/29), შ ვ ი ლ ე ბ ი და ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: ზაალ // ზალია (1694, 1695 წწ. 1450: 6/36, 6 /34), ფარსადან 1694-1695 წწ. 1450: 6/36, 6/34), იესე (1694, 1695 წ. 1450: 6/36, 6/34), ქაიხოსრო, პაპია, გიორგი, ალავერნა (1694-1700 წწ. 1450: 6/36, 6/34, 9/14), ბახუტა (1695, 1700 წ. 1450: 6/34, 9/14), გოგიბაშვილ-პაპიაშვილი ავთანდილ, გოგიბაშვილ-პაპიაშვილი ახვერდ (1695 წ. 1456-6/34). როსტომ მეფემ მ ა ს უწყალობა სახუნდარში რატიშვილის ნაქონი გლეხები (1695 წ. I. 1. 1456-6/34); ი ყ ი დ ა: დუშია გოგიბაშვილისაგან მამული, პატარა სახუნდარის ვენახის ზემო თავი ალავერანასა და ბეჟიას ვენახებამდე (1694 წ. IV. 7. 1450-6/36), გიორგი ყაითმაზასშვილისიგან – მისი ორი დღის ნასყიდი მიწა, რომელსაც ესაზღვრებოდა დოლმაზაშვილისა და ბოლნელის ხოდაბუნები (XVII ს. ბოლო მეოთხ. 1450-9/29), აკოფაანთ საკასაგან – მიწა სულხანათ ბერუას მიწამდე (1700 წ. IV. 3. 1450-9/14); მ ა ს ედავებოდა პატაბეგ მაჩაბელი სოფელ ურნაშენზე, მაგრამ როცა გამოიძია შანშიაშვილებისათვის მეფეთაგან ბოძებული ურნაშენის წყალობის წიგნები, მამულზე უდავობის წიგნი მისცა ფარემუზასა და მის ძმებს (1700 წ. VI. 1. 1450-10/16); მ ო წ მ ე: სომხითის მელიქ ავთანდილის მიერ ქაიხოსრო ორბელიშიველისათვის მიცემული ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. II. 15. 1450-15/95), ვარაზ გერმანოზიშვილის მიერ ბერ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. IV. 1. 1450-16/95), შიოშ სეხნიასშვილის მიერ პაპუა ყაფლანისშვილისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. Hd-6622).

შანშიაშვილი (ვარ. გოგიბაშვილი, გოგიბაშვილ-პაპიაშვილი) ფარსადან – 1683-1700 წწ. შ ვ ი ლ ი ან ძ მ ი ს წ უ ლ ი: ბაინდურ შანშიაშვილისა, იხ., ფარემუზ შანშიაშვილისა, იხ. მ ო წ მ ე ზაქუმ [ზაქუმისშვილის] მიერ ალავერდა იაგულაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. V. 10. 1450-9/119).

შანშიაშვილი (ვარ. გოგიბაშვილი, პაპიაშვილი, გოგიბაშვილ-პაპიაშვილი)ქაიხოსრო (ვარ. ხოსროვ) – შ ვ ი ლ ი ან ძ მ ი ს წ უ ლ ი: ბაინდურ შანშიაშვილისა, იხ., ფარემუზ შანშიაშვილისა, იხ.

[მანშიაშვილი] ყადურმ – იხ. ესტატაშვილი ყადურმ

**შანშიაშვილი შანშერა** – შ ვ ი ლ ი ნასყიდა შანშიაშვილისა, იხ.

**შანშიაშვილი შანშია** – ქალაში მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ა ს ევალებოდა ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**შანშიაშვილი (ვარ. გოგებაშვილი) შიოშ** – შ ვ ი ლ ი ან ძ მ ი ს წ უ ლ ი ბაინდურ შანშიაშვილისა, იხ.

**შანშიაშვილი შიუკა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] იოვანე შანშიაშვილისა, იხ.

**შანშიაშვილი ხოსროვა** – შ ვ ი ლ ი დოლმაზ შანშიაშვილისა, იხ.

**შანშუა** – მი ს ი სახლის მახლობლად მდებარე სასახლისა და ქულბაქის წყალობა ლუარსაბ მეფემ განუახლა სიონის ეკლესიას (1552 წ. 1449-1498).

**შანშუაანთ ხოსინაშვილი არუთინა** – ჰყავს შ ვ ი ლ ი ჰახვერდა. მეგრელ გიორგის მ ი ჰ ყ ი დ ა დუქანი, რომელიც ჰოქილუასშვილის დუქანს ესაზღვრებოდა (1697წ. III. 12. 1450-8/133).

**შანშუაანთ ხოსინაშვილი ჰახვერდა** – შ ვ ი ლ ი შანშუაანთ ხოსინაშვილ არუთინასი, იხ.

**შანშუაანთ გოგინა** – მ ო წ მ ე მანდენაანთ მამუკას მიერ ხოჯა ზაქარია მისაჯანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ. III. 26. 1450-23/20).

**შაჟუმაშვილი მამულა** – სამღერეთში მცხოვრები. ი გ ი მამულით წილში ერგო ზაალ [ციციშვილს] სოლაღას ნაცვლად (1651 წ. ახლო. 1450-37/179).

**შარაბ** – უ ზ ბ ა შ ი. მინბაშ მამად-ბალირბეგს იგი შინ გაუსტუმრებია. თან გაჰყოლია გივი თუმანიშვილის ყაბზი. ამიტომ მინბაშმა მდივან გივი თუმანიშვილს ყაბზის გაუქმების წიგნი მისცა (1689 წ. Hd-1459გ).

**შარაბასშვილი იბრეიმა** – უ ს ტ ა. მ ო წ მ ე მხითარას მიერ თბილელ ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის მიცემული სიონის ღვთისმშობლის ტაძრის ყმად თავდაწერილობის წიგნისა (1619 წ. 1449-2642).

**შარაბისძე გუთანა** – ახატანს მცხოვრები, გ ლ ე ხ ი . ალექსანდრე მეფემ ი გ ი უწყალობა მესტუმრე დავით ქარსიძეს (1439 წ. 1449–301).

**შარაბისძე ზუბია** – ახატანს მცხოვრები, ქართლის კათალიკოსმა იოვანემ ი გ ი მამულით უწყალობა დავით ელიოზისძეს (1616 წ. Sd-543); უმკვიდროდ დარჩენილ ლაზარესშვილ მამუკას სხვა ყმებთან ერთად ი გ ი იოანე კათალიკოსმა უწყალობა დავით ელიოზისძეს (1616 წ. Sd-543).

**შარანაანი** – მ ა თ მიწას ესაზღვრებოდა ჰოვათაღანათ არაქელაშვილ ჰოვათაღას მიერ მურადა დუთაშვილისათვის მიყიდული ორი დღის მიწა (1687 წ. 1450-8/43).

**შარაფაანი** – მ ა თ ვენახს ესაზღვრებოდა ამირა ვანიაშვილის მიერ ზალინა [იაგულაშვილისათვის] მიყიდული საენახე მიწა (1677 წ. V. 22. 1450-9/147).

**შარაქასშვილი არქელა** – მძოვრეთს მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი ერგო ედიშერს (1688-1703 წწ. Hd-1636).

**შარაშისძე** – მამია ზევდგინისძემ შიომღვიმის მინასტერს შესწირა ახატანში მ ი სი ვენახის მეზობლად მდებარე ვენახი (1475 წ. II. 10. 1449-1530).

**შარაძე მიქელაი** – აჭყვისთაუს მცხოვრები. ი გ ი გიორგი გურიელმა უწყალობა ბოქაულთუხუცეს მირზაბეგ თაუდგირიძეს ([1664-1677 წწ]. ლაი. ფ. 800. I. N1201).

**შარბელქისშვილი ავთანდილ** – მ ო წ მ ე გიორგი სამაღანისშვილის მიერ მანგლელ მთავარეპისკოპოს ათანასე [ტატიშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([1618-1646 წწ.] Hd-3240ა).

**შარვანელაშვილი** – კასპში მ ი ს გ ა ნ ნაყიდი ვენახი თაყა ზევდგენიძემ შესწირა სამთავისის ეკლესიას (1513 წ. Ad-12ა).

**შარვაშიძე** – ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა ალექსანდრე მეფის მიერ ადამ ფონჯავიძისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში. ფონჯავიძეებს მეფისათვის წარუდგენიათ მ ი ს ი საბუთი სისხლის ფასის დაურვების თაობაზე (1497 წ. სმ. II. 66-67).

**შარვაშიძე** – ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა ქაიხოსრო გურიელის მიერ აჭის წმინდა გიორგისათვის მიცემულ ყმების შეწირულების წიგნში: ი გ ი ვამეხ დადიანთან ერთად თავს დასხმია აჭის საყდარში გამაგრებულ ქაიხოსრო გურიელს ([1658-1660წწ.] АПГА, 192-93).

**შარვაშიძე არღუნაი** – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ კაციბერ თოფურიძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა ([1484-1510 წწ.] ქმ-608).

**შარვაშიძე სავარეხ** – შ ვ ი ლ ი საუსტან შარვაშიძისა, იხ.

**შარვაშიძე საუსტან** – ჰყავს შ ვ ი ლ ი სავარუხ. შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ხუცესი გაიჩქინდი ჩანგელია თავისი შვილს, სავარუხის ალსაზრდელად (H-2120, დანართი,1r).

**შარვაშვილი საუსტან** – კაცია ჩიქუანთან ერთად მონაწილეობა მიიღო მამაში შერგელაიას და კაკაჩია გამახადის შორის დავის გარიგებაში ([1680წ.] სმ. II. 248-249).

**შარვაშიძე ქერექ** – ძ მ ა ყუაპე შარვაშიძისა, იხ.

**შარვაშიძე ყუაპე** – ჰყავს ძ მ ა ქერექ. პ ი რ ო ბ ა მ ი ს ც ა აფხაზეთის კათალიკოს დავითს, რომ აღარ გაყიდდა ნაჟ[ა]ნაურელ და ფოირელ „კაცებს" და კათალიკოსს სამსახურს არ მოუშლიდა ([1673-1696 წწ.] Hd-11206).

**შარიერა** – ზემო ბოლნისს მცხოვრები. თეიმურაზ მეფემ ი გ ი შესწირა მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიას (1630 წ. 1449-1776).

**შარიმანა** – თამაზ ყორღანაშვილის ყმა. მისი და ბეგალა იანგუაშვილის ვენახი საწნახლით თამაზ ყორღანაშვილმა მიჰყიდა თავის განაყოფ ბეჟანას (1678წ. VI. 1450-7/58).

**შარიმანაშვილი გიორგი** – მ ო წ მ ე ნადირა გოგაციძის მიერ სახლთუხუცეს პაპუა მაღალაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1664 წ. 1450-30/127).

**შარიმანაშვილი დაუთა** – ხოყორნელი. მ ო წ მ ე ზაქუმ [ზაქუმისშვილის] მიერ ალავერდა იაგულაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1659 წ. V. 10. 1450-9/119).

**შარიმანაშვილი მამუკა** – მ ო წ მ ე ბერიკა ტურიკაშვილის მიერ ზურაბა იმნაძისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. Ad-480).

**შარიმანაშვილი სამებისა** – თბილელ ეპისკოპოს ელისე საგინაშვილის ყ მ ა. მ ო წ მ ე იესე ქავთარაძის მიერ ეპისკოპოს ელისე საგინაშვილისათვის მიცემული კავთისხევში მინის ნასყიდობის წიგნისა (1649 წ. XII. 28. 1449-1774).

**შარინავა ბართ[ლო]მე** – თილითს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: სამი ქანდაქი ბეგარა, ხუთი კოკა ღვინო, გოჭკუმუ, სასახლის სამსახური (1621 წ. ქსძ. III. №91).

**შარინავა გუაგულა** – თილითს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ოზურული, საკლავისათვის ქანდაქი, სამოგუე, გოჭკუმუ (1621 წ. ქსძ. III. №91).

**შარინია ასპანდელი** – ხაუყელს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ერთი ქანდაქი, ხუთი კოკა ღვინო (1621 წ. ქსძ. III. №91).

**შარიქაძე გიგანა** – ი ს და ხახუტა შარიქაძე მძევლებად მიუბარებია არჩილ ბატონიშვილს პაატა აბაშიძისათვის. მათ თავმდებად დაუდგნენ იორდანე და გოგია მჭედლისშვილები, რომელთაც, მძევლის ვერ-მიცემის შემთხვევაში, ხუთასი მარჩილის მიცემა აღუთქვეს პაატა აბაშიძეს (XVII ს. I ნახ. Hd-8914).

**შარიქაძე ძაღლუა** – თ ა ვ მ დ ე ბ ა დ დ ა უ დ გ ა არჩილ ბატონიშვილის მიერ პაატა აბაშიძისათვის მიბარებულ მძევლებს – ხახუტა და გიგანა შარიქაძეებს (XVII ს. I ნახ. Hd-8914).

**შარლანი მიქაელ** – თ ა ვ მ დ ე ბ ი ესტატე ყიფიანსა და ზეგენის თემს შორის დადებული საერთაპირო დაწერილისა (XV-XVI სს.მიჯნა. სსძ. II. №68).

**შაროა** – მო წ მ ე სულხან მირაბაშვილის მიერ დარეჯან-ხანუმ ჯანდიერისშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1634 წ. 1450-21/6).

**შაროაანთ ნავრუზა** – მ ო წ მ ე გოჭილოდ[აა]ნთ ბაისოღულაშვილ დავითისა და მისი ძმისწულების გაყრისა (1684 წ. VII. 1. 1450-50/206).

## შარუაშვილი // შარუაანი

**შარუაშვილი ამირასლანა** – 1613-1639 წწ. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: შარუა და ბაირამა, ძ მ ი ს წ უ ლ ი მერაბა. ი ყ ი დ ა: დავით დილირგეთიშვილისაგან ორი ნავენახარი ადგილი ხატისას ვენახის გვერდით, აგრეთვე – ორი ნავენახევი „ხართუთასთან", თოთხმეტი დღის მინა, თელეთში ერთი გუთნის მოხნული მინა, ოთხი ნავენახევი, სასახლე მისი კალო-საბძლით. მამასახლის ლომუას რჩევით დილარგეთიშვილისაგან იყიდა აგრეთვე ყმა პაპუნა, რომელიც ამირასლანასთან შეგირდად მდგარა (1613 წ. XII.1 2. 1450-51/241); იოთამ ამილახვარმა მ ა ს დაუმტკიცა დავით დილარგეთისშვილისაგან მიღებული მამულის ნასყიდობის წიგნი (1639წ. V. 8. 1450-51/241).

**შარუაშვილი ბაირამა** – შვილი ამირასლანა შარუაშვილისა, იხ.

**შარუა[ან]თ** (ვარ. **შარუათ-შარუაშვილი**) **გასპარა** – 1636-1672 წწ. შვილი შარუა შარუაშვილისა, იხ., ჰყავს ძმები: გოგინა და ოჰანა (1652 წ. 1450-51/243). ი ყ ი დ ა თავისი ძმის, გოგინასაგან, გაყრის დროს მისი წილში ნარგები სახლ-კარი (1652 წ. IX. 18. 1450-51/243).

**შარუა[ან]თ** (ვარ. **შარუანთ-შარუაშვილი**) **გოგინა** – შ ვ ი ლ ი შარუა შარუაშვილისა, იხ., ჰყავს ძ მ ე ბ ი: გასპარა და ოჰანა. თავის ძმებს მ ი ჰ ყ ი დ ა მათთან გაყრის დროს წილში ნარგები სახლ-კარი (1652 წ. X. 18. 1450-51/243).

**შარუაშვილი დავით** – შ ვ ი ლ ი შარუა შარუაშვილისა, იხ.

**შარუაშვილი მერაბა** –1613-1636 წწ. ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი შარუა შარუაშვილისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი ამირასლან შირუაშვილისა, იხ. მ ო წ მ ე: მახარა როსტიაშვილის მიერ ამირა ამბროსაშვილისათვის მიცემული ნავენახევის ნასყიდობის წიგნისა (1631 წ. X. 4. 1449-1780).

**შარუაშვილი მერაბა** – შ ვ ი ლ ი შარუა შარუაშვილისა, იხ.

**შარუა[ან]თ** (ვარ.) **შარუაშვილი ოჰანა** – ძ მ ა გასპარა შარუაშვილისა,იხ.

**შარუათ პარ[უ]ნ-უმეკაშვილი ბასლუღა** – მ ო წ მ ე შარუათ შარუაშვილ გოგინას მიერ თავისი ძმებისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1652 წ. 1450-51/243).

**შარუათ საოლათ-ყულაშვილი გრიქოლა** – მ ო წ მ ე შარუათ შარუაშვილ გოგინას მიერ თავისი ძმებისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1652 წ. 1450-51/243).

**შარუაშვილი სოლაღა** – შ ვ ი ლ ი შარუა შარუაშვილისა, იხ.

**შარუაშვილი ფირიბეგ** –შ ვ ი ლ ი შარუა სარუაშვილისა, იხ.

**შარუაშვილი შარუა** – 1613-1672 წწ. ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი (1672 წ. 1450-51/23). შ ვ ი ლ ი ამირასლანა შარუაშვილისა, იხ. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: გოგინა, მერაბა, სოლაღა, დავით და ფირიბეგ (1636 წ. 1450-51/2318), გასპარა (1636-1672 წწ. 1450: 51/238, 51/239), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი მერაბა (1636 წ. 1450-51/238). როსტომ მეფემ მ ა ს განუახლა თაზიშვილისაგან ნასყიდი ვენახისა და მიწების წყალობა (1636 წ. 1450-51/238), შაჰნავაზმა მ ა ს უწყალობა სამეფო ჯოგის მეჯოგეთუხუცესობა (1672 წ. III. 7. 1450-51/239).

### შატბერაანი // შატბერაშვილები

**შატბერაანი** – სველნეთში მ ა თ ი კუთვნილი მამული სვიმონ მეფემ შესწირა ქვათახევის მონასტერს (1567 წ. H-12. 1449-1612).

**შატბერაშვილები** (ვარ. **შატბერაანი**) – სველნეთის მკვიდრი ს ა ე კ ლ ე - ს ი ო ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი. ჰქონდათ დავა ქვათახევის წინამძღვართან სველნურ მამულებზე. ბერი ნარიბეგაშვილი და სუხუტა ქვათახევის წინამძღვარ ეფთვიმისა და ნაზარალიხანისაგან წარმოგზავნილ მოხელეებს პირობას აძლევენ, რომ დაასახლებდენ შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს მიერ სველნეთში გაყიდულ ქვათახევის კუთვნილ მიწებს ([1700 წ.] 1449-1868ბ); ნაზარალიხანმა სოფელ სველნეთის საკომლოების, სალალო მიწებისა და ხოდაბუნების

ორი მესამედი ქვათახევის მონასტერს მიაკუთვნა, ხოლო მესამედი – შატბერაშვილებს ([1700 ნ.] 1449-1866); ნაზარალიხანმა მათ უბრძანა ხელი აეღოთ სველნური მიწებზე (1700 ნ. VII. 30. 1449-1865); მეფე ერეკლეს განჩინების თანახმად, მათ მიერ მონასტრის გაყიდული მიწები ქვათახევის წინამძღვარ [ევთვიმისთვის] უნდა აენაზღაურებინათ შემდეგი წესით: საკუთარი ორი ხოდაბუნი მთლიანად წინამძღვრისათვის უნდა დაეთმოთ. სხვა ხოდაბუნებიდან და სხვა სალალო მიწებიდანაც ორ-ორი მესამედი წილი წინამძღვრისათვის უნდა მიეცათ. სამაგიეროდ მათ მიერ გაყიდულ სათავისო მიწებზე ან მათი მკვიდრი ყმების გაყიდულ მიწებზე წინამძღვარს უნდა აეღო ხელი ([1700 ნ.] 1449-1869ა); ერთ-ერთი დავის გარიგების შედეგად, სადავო მიწებიდან მათ საყდრისათვის უნდა დაენებებინათ ორი წილი ხოდაბუნი, სალალო მიწა და ერთი საკომლო. მესამედი წილი შატბერაშვილებს უნდა რგებოდათ. თუ საყდრის მიწა მათ გაყიდული ჰქონდათ, მაშინ მის სანაცვლოდ თავიანთი წილიდან ორი წილი [ქვათახევის] მინასტრისათვის უნდა მიეცათ (1700 ნ. VII. 20. 1448-3167).

**შატბერასშვილი//შატბერაშვილი//შატბელაშვილი**

**შატბერაშვილი** – მისგან ნასყიდ მიწას ესაზღვეებოდა ბერიკა ბესიაშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიყიდული მიწა (1669 ნ. Sd-11); მას ჰყოლია ყმები სველნეთში, სადაც ქვათახევის მონასტრის საწინამძღვრო ყმებიც ცხოვრობნენ. შატბერაშვილის ყმებს ევალებოდათ ქვათახევის მონასტრისათვის თითო კოდი პური სასეფიკკეროდ და თითო კოდი ქერი (1700 ნ. 1449-1863); იხსენიება ქვათახევის ღმრთისმშობლის მონასტრის წინაძღვარ ექვთიმეს მიერ ოთარ, გივი და სხვა თუმანიშვილებისათვის მიცემულ წიგნში: თუმანიშვიელებს სველნეთში ჰქონიათ შატბერაშვილების და მისი ყმებისაგან ნასყიდი მამულები. ეს მამულები მათთვის დაუმტკიცებია ექვთიმე წინამძღვარს (1700 ნ. Ad-1008).

**შატბერაშვილი ბახუტა** – 1665-1700 ნნ. შვილი პაატა შატბერაშვილისა, იხ., ჰყავს ბიძაშვილები: გიორგი (1700 ნ. 1449-1867), პაპუა შატბერაშვილი, იხ., შემდგომში განაყოფი დათუნა შატბერაშვილი, იხ. (1700 ნ. 1449-1867)ოთარ (1678 ნ. 1450-10/162). დათუნასთან და გიორგისთან ერთად პირობა მისცა ქვათახევის წინამძღვარ ეფთიმეს, რომ საყდრის ყმა-მამულს ამიერიდან აღარ შეეხებოდა და იკმარებდა მხოლოდ წინამძღვრის მიერ ბოძებულს ([1700 ნ.] 1449-1867); მიჰყიდა: მაქია ნანუჭაშვილს გრძელაური მიწა, რომელიც პაპუნა, ელიზბარ და მგელიტა შოშიაშვილების მიწებს ესაზღვრებოდა (1678 ნ. V. 1. 1450-10/162), კახეთის მდივან ზურაბ თუმანიშვილს – თავისი „ალალი " მამული შოშიაშვილისა და იმრაშვილის მიწებამდე (1678 ნ. X. 10. Sd-179); მოწმე: თავისი განაყოფის, დათუნა შატბერაშვილის მიერ მდივან ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 ნ. VI. 12. Sd-47).

**შატბერაშვილი ბეჟან** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] დათუნა შატბერაშვილისა, იხ.

**შატბერაშვილი გარსევან** – 1669-1674 წწ. შ ვ ი ლ ი პაპუნა შატბერაშვილისა, იხ., [ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი] დათუნა შატბერაშვილისა, იხ.

**შატბერაშვილი გიორგი** – ძ მ ა პაპუნა შატბერაშვილისა, იხ. (1657 წ. Hd-13051). მ ი ჰ ყ ი დ ა თაყა თუმანიშვილს ბაბაჯანას ნაქონი ოთხი დღის მიწა (1657 წ. I. 10. Hd-13051).

**შატბერაშვილი გიორგი** – 1671-1680 წწ. შ ვ ი ლ ი პაპუნა შატბერაშვილისა, იხ. [ძ მ ა] ბახუტა შატბერაშვილისა, იხ., [ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი] დათუნა შატბერაშვილისა, იხ.

**შატბერაშვილი დავით** – მ ი ჰ ყ ი დ ა ამისარგისა ასვატურიშვილს თავისი მკვიდრი მიწა დევაურისა და მამისას მიწებს შუა (1546 წ. Hd-1575).

**შატბერაშვილი (ვარ. შატბელასშვილი) დათუნა (ვარ. დავით)** – 1665-700 წწ. ძ მ ი ს წ უ ლ ი პაატა იხ. და პაპუნა იხ. შატბერაშვილებისა; ჰყავს ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ე ბ ი: შემდგომში გ ა ნ ა ყ ო ფ ი – ბახუტა შატბერაშვილი, იხ. (1674-1678 წწ. 1450-10/163, Sd-47), გარსევან, ბეჟან (1674-1680 წწ. 1450: 10/163, 10/163, 49/110, 49/124), შ ვ ი ლ ე ბ ი: პატატა, სეხნია (1680 წ. 1450-49/124); ყ მ ე ბ ი: ძამასშვილი დათუნა (1680 წ. 1450-49/124), მგელიტა შოშიაშვილი (1680 წ. 1450–49/110). მ ი ჰ ყ ი დ ა: მაქია ნაწუჭაშვილ-ალექსანაშვილს ბეროზაშვილის ნაქონი გრძელაური მიწა [ფარსია] ფირუაშვილის და სულხანის მიწებამდე (1674 წ. I. 22. 1450-10/163), კახეთის მდივან ზურაბ თუმანიშვილის – თავისი მკვიდრი მიწა, რომელიც შოშიაშვილის მიწებს ესაზღვრებოდა (1678 წ. VI. 12. Sd-47), თავის ყმასთან, დათუნა ძამასშვილთან ერთად – ასატურ ბეჟანიშვილს მის მიერვე ადრე ნასყიდი მიწის გვერდით მდებარე იმავე ზომის მიწა (1680 წ. III. 1450-49/124), თავის ყმასთან, მგელიტა შოშიაშვილთან ერთად – ასატურ ბეჟანიშვილს ადრე მიყიდული „გრძელა“ მიწას გვერდით სხვა „გრძელა“ მიწა შოშიაშვილის და ალექსანაშვილის მიწებამდე (1680 წ. XII. 15. 1450-49/110); მ ო წ მ ე: მაზიტა იმარასაშვილის მიერ ასატურა ბეჟანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. 15. XII. 1450-49/112), ქისტესა პატატაშვილის მიერ ასატურ ბეჟანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. I. III. 1450-49/114).

**შატბერაშვილი იასე** – შ ვ ი ლ ი პაატა შატბერაშვილისა,იხ., ძ მ ა პაპუა შატბერაშვილისა,იხ.

**შატბერაშვილი ოთარ** – შ ვ ი ლ ი პაატა შატბერაშვილისა, იხ., [ს ა ხ ლ ი - კ ა ც ი] ბახუტა შატბერაშვილისა, იხ.

**შატბერაშვილი პა[ა]ტა** – 1665-1681 წწ. ჰყავს: ძ მ ა პაპუნა (1665 წ. Sd-54), ძ მ ი ს წ უ ლ ი დათუნა (1665 წ. Sd-54), შ ვ ი ლ ე ბ ი: იასე, ბახუტა, ოთარ (1665 წ. Sd-54), პაპუა (1665, 1668 წწ. Sd-54,24). მ ი ჰ ყ ი დ ა: მანუჩარ თუმანიშვილს თავისი სამკვიდრო მიწა თამთის წყაროსთან გიორგის, ელიზბარის და ნასყიდას მიწებისა და ზაქარიას წისქვილის საზღვრებთან (1665 წ. V. 1. Sd-54); თანია

შან[შ]მაშვილთან ერთად ე ც ი ლ ე ბ ო დ ა ამირაღას და დოლმაზას თამთის წყაროსთან ნასყიდ მიწაზე. მარიამ დედოფლის ბრძანებით, მიწა ამირაღას და დოლმაზას მიაკუთვნეს ([1684-1681 წწ.] Hd-9402).

**შატბერასშვილი** (ვარ. შატბერაშვილი) **პაპუნა** – XVII ს. შუა ხანები-1667 წ. ჰყავს ძ მ ე ბ ი: გიორგი იხ. (XVII ს. შუა ხანები, Sd-837), პა[ა]ტა იხ. შატბერაშვილები, ძ მ ი ს წ უ ლ ი დათუნა შატბერაშვილი (1667 წ. 1450–10/160); ყ მ ა – ბაბინა [მილიტოლმასშვილი] (1664 წ. Sd-16ბ). მ ი ჰ ყ ი დ ა: მანუჩარ თუმანიშვილს თამთის წყაროსთან, გოგოლაურის სამნის ბოლოს, მიწა (XVII ს. შუა ხანები, Sd-837); მიქელ ფირუაშვილს – თავისი „ალალი" მამული თამთის წყაროს ბოლოს ოთარის და ჯიმშიტაშვილის ნასყიდი მიწების საზღვრამდე (1662 წ. VII. 1. Sd-66), ალექსა ნანუჩაშვილს – რუ, წისქვილი და ხევის პირის მიწა (1667 წ. III. 7. 1450-10/160), მ ი ს გ ა ნ ნასყიდი მიწა მიჰყიდა ზუბია ასატურაშვილმა მანუჩარ თუმანიშვილს (1668 წ. VII. 26. Sd-14); მ ი ს მ ა ყმამ, ბიძინა [მილიტოლმასშვილმა] სველნეთში მიწა მიჰყიდა ელიზბარ ანდრონიკაშვილს. პ ა პ უ ნ ა მ, ანდრონიკაშვილებისაგან გარკვეული საფასურის მიღების შემდეგ, მისცა მათ უდავობის წიგნი (1664 წ. VI. 4. Sd-16ბ).

**შატბერაშვილი** (ვარ. შატბერასშვილი) **პაპუნა** – 1665-1683 წწ. შ ვ ი ლ ი პაატა შატბერაშვილისა, იხ. (1668 წ. Sd-24), ჰყავს ძ მ ე ბ ი: იესე (1668 წ. Sd: 5, 24); ბახუტა (1668 წ. Sd-5), შ ვ ი ლ ე ბ ი: გარსევან (1669-1671 წწ. Sd-30, 1450: 10/173, 10/175, 10/171), გიორგი (1671 წ. ახლო. 1450-10/175), ძ მ ი ს წ უ ლ ი დათუნა// დავით 1669-1671 წწ. Sd-30, 1450: 10/173, 10/175, 10/171). მ ი ჰ ყ ი დ ა: ზუბია ასატურაშვილს სველნეთში თავისი ნასყიდი მიწა (1668 წ. VII. Sd-5), მანუჩარ თუმანიშვილს – გრძელაურში თავისი მკვიდრი ოთხი დღის მიწა შოშიაშვილის, ბეჟუას და შაქარაშვილის მიწებამდე (1668 წ. VII. 25. Sd-24), მასვე – ხუთი დღის მიწა, მდებარე ანაშელაშვილის და ბესიაშვილის მიწებს შორის (1669 წ. IV. 1. Sd-30), ალექსანა ნანუჭაშვილს – მიწა სულხანას მიწებამდე (1671 წ. VI. I. 1450-10/173), ელიზბარ თუმანიშვილის შვილს, პაპუას – თავისი მკვიდრი მიწა ხუცია შოშიაშვილის და ალექსანა ნანუჩაშვილის მეზობლად (1671 წ. ახლო.1450-10/175); მასვე მ ი ჰ ყ ი დ ა მიწა ხუცია შოშიაშვილის და ბეროას მამულების საზღვარზე – ექვსი დღის მიწა რუს პირამდე, კრუხაშვილის მიწებამდე (1678 წ. V.20. Hd-10203), გორელ ასატურა გულიშამბარაშვილს – ფშანის ბოლოს მიწა ალექსაშვილის და გელიევესას მიწებამდე (1683 წ. 1450-49/119).

**შატბერაშვილი პატატა** – შ ვ ი ლ ი დათუნა შატბერაშვილისა, იხ.

**შატბერაშვილი სეხნია** – შ ვ ი ლ ი დათუნა შატბერაშვილისა, იხ.

**შატბიერაშვილი ბურნაშ** – მონაწილეობა მიიღო გუგუნა, ქუმსი და სხა ბარათაშვილების გაყრაში (1523 წ. Ad-1299ა).

**შატელისშვილი მამუკა** – ჰყავს ძ მ ა ძამუკა, შ ვ ი ლ ი პაატა. მ ა ს გაქცევიან მისივე მკვიდრი გლეხები დათუნა და ხიზანა და მელიქ ეინალა [მირიმანაშვილთან] მისულან. რადგან უკან ველარ დაიბრუნა, ეს გლეხები მიჰყიდა მელიქ ეინალს (1656 წ. 1450-5/115).

**შატელიშვილი პაატა** – შ ვ ი ლ ი მამუკა შატელისშვილისა, იხ.

**შატელისშვილი ძამუკა** – ძ მ ა მამუკა შატელისშვილისა, იხ.

**შატმაზ** – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ჩორჩან და საგის. ნავერელიანის ასაბიობის დროს „დაკოდილა“. შემდეგ აუღია სისხლის ფასი. ივანე სეტიელს მოახსენა „ნარკვეთილი გადანყვეტილების“ დანერილი ჭრილობის საზღაურში სასარჩლოს აღების შესახებ (XIV-XV სს. მიჯნა. სსძ. II. N93).

**შატმახაშვილი გელია** – ქუტირს მცხოვრები. ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა – ოცი თორმეტიანი კოკა ღვინო, ქორეპისკოპოსის ჯვართან სამსახური და შინაყმობა (1578 ნ. H-626).

**შატმახაშვილი ნასხიდაი** – ქუტირს მცხოვრები. ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] უმცროსაი. ბასილი ქუთათელმა ი გ ი შესნირა [მთანმინდის] პორტაიტის ღმრთისმშობელს (1602 ნ. VI. 1. 1448-3321).

**[შატმახაშვილი] უმცროსაი** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ნასხიდაი შატმახაშვილისა, იხ.

**[შატმახაშვილი] [ხვ]იჩა** – ქუტირს მცხოვრები. ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა – ოცი რვიანი კოკა ღვინო (1578 ნ. H-626).

**შ[ა]ტრ[ა]ვ[ა]ძე ბევ[როზ]** – მ ო ლ ა რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი. მ ო ნ მ ე ლომ სონღულისძის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული ზვრის შენირულობის ნიგნისა (1398 ნ. 1449-1652).

**შატრაძე შალუტა** – ქალაქს მცხოვრები. მოხსენიებულია ყმების ნუსხაში (XVII-XVIII სს. Hd-819).

**შატრისძე** – ხვედურეთს მცხოვრები, ყმა-გლეხი, ბალათარ ხოსაშვილის ყოფილი ყმა. ი გ ი კონსტანტინე მეფემ უბოძა ქართლში გადმოსახლებულ ზაზა ფანასკერტელს (1467 ნ. 1448-64).

**შაუგრისშვილი პაპუა** – ერთი კომლი, შეტანილია [ალავერდის ტაძრის] კომლების ნუსხაში (XVII ს. Ad-848).

**შაურეგიანი // შავრეგიანი**

**შაურეგიანი** – გოშქოთელიანების ა ს ა ბ ი ა. მონანილეობა მიიღო გოშქოთელიანთა და სეტიელთა სახლების შერიგებაში (XIV ს. ბოლო, სსძ. II. N81).

**შაურეგიანი ამასავან** – მ ო ნ მ ე ლაპილის სოფლის დანერილისა ერთპირობის შესახებ (XIV-XV სს. მიჯნა სსძ. II. N24 )

**შაურეგიანი ლაზარე** – ჰყავს მეუღლე მარინა. ლაპილის მაცხოვარს შ ე ს ნ ი რ ა ყანა და გაიჩინა ალაპი ლაზარობა დღეს (XIV-XV სს. სსძ. II. N111).

**შავრეგიანი ტა[იბუღა]** – მ ო ნ მ ე ქოჩორიანთა და ბენდან ვახთანგანს შორის დადებული მოკეთეობის დანერილისა (XIV ს. ბოლო, სსძ. II. N77).

**შაუმაშვილი** – ოჯახთან გაყრისას იოთამ ბარათაშვილს ი გ ი ნილში ერგო მამულით (1537/1538 ნ. VIII. 16. 1450-11/112).

შაუმაშვილი – პა[ა]ტა [ბარათაშვილის] ყმა. პა[ა]ტა და ყაფლან [ბარათაშვილების] სამამულე დავის გარჩევისას გადაწყდა, რომ მისთვის ვენახი დაეტოვებინათ, ხოლო დანაჩენი „ორი მიწა-წყალი" ყაფლან [ბარათაშვილისათვის] უნდა მიეცათ ([1646-1658 წწ.] Hd-14284).

შაფათია – ყმა-გლეხი, ერთი კომლი. იგი და მისი შვილები ლევან დადიანმა და გიორგი ლიპარტიანმა შესწირეს [ბიჭვინტის] ღმრთისმშობლის ეკლესიას ეფთვიმეს კათალიკოსობის დროს და დაუდგინეს საკათალიკოსო ბეგარა: ყოველ მესამე წელიწადს თითო ძროხა, ერთი მახათელი ღომი, ერთი ჯამი პური, მარილი, სამი კოკა ღვინო, კიდევ ერთი მახათელი ღომი და სამი გუდა ღვინო ([1558-1572 წწ.] Hd-11202).

შაფურა – მეფის მებალეთ[უ]ხუცესი. ჰქონია ქალაქში სასახლე, რომელიც მისი ამოვარდნის შემდეგ [შაჰნავაზს] თავისი დალაქის ფარვანასათვის უბოძებია. ფარვანას სიკვდილის შემდეგ ეს სასახლე ბეითალმანად დარჩენილა და იგი გიორგი მეფეს ვახტანგ ორბელიშვილისათვის უწყალობებია (1679 წ. IV. 29. Sd-539).

შაქარა –მიჯას მცხოვრები. იგი მამულით წილში ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537/1538 წწ.] 1450-11/112).

შაქარა – ალავერდისშვილების გაყრის დროს მისი ვალის გადახდა წილად ხვდა არაქელა ალავერდისშვილს (1699 წ. IX. 16. 1450-11/41).

შაქარიშვილები – როინ [ჯავახიშვილების] ბრძანებით მათ უნდა ემსახურათ სახლთუხუცეს ამილბარ [მაღალაძისათვის] (XVII ს. II ნახ. Hd-12244).

შაქარაშვილი – ქალაქში მცხოვრები. კონსტანტინე მეფემ იგი მეზვთედ შესწირა (სვეტიცხოველს)ევაგრეს კათალიკოსის დროს (1488 წ. 1449-1175).

შაქარაშვილი – ფერსათში პარტახტ მამულზე მცხოვრები. ემართა ქუთასის საყდრის ბეგარა: თორმეტი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ერთი ქათამი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ღომი და საბელი (1573 წ. H-626).

შაქარაშვილი –კლდისწყაროში მცხოვრები ერთი კომლი. მოხსენიებულია ზემო ქართლის საკომლოების ნუსხაში (XVII ს. დამდ. Qd-7014).

შაქარაშვილი – მის მიწამდე მიჰყიდა პაპუა შატბერაშვილმა მანუჩარ თუმანიშვილს თავისი მკვიდრი გრძელაურის ოთხი დღის მიწა (1668 წ. VII. 25.Sd-24).

შაქარაშვილი – მის მიწას ესაზღვრებოდა პაპუნა შატბერაშვილის მიერ ელიზბარ თუმანიშვილისათვის მიყიდული მიწა ([1671წ. 1450-10/171).

შაქარაშვილი – მისი ნაქონი სახლ-კარი, რომელიც ადრე დავითგარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტრის კრებულს უყიდია, კრებულმა, „ბატონმა" ხარიტინმა, ბესარიონ ნინამძღვარმა და საბამ უწყალობეს მონასტრისათვის თავშეწირულ ნიკოლოზ და გიორგი მახარობლისშვილებს (1692 წ. III. 1. 1449-1838).

**შაქარაშვილი** – მ ი ს მიწას ესაზღვრებოდა როსტევან მახვილაძის მიერ ტერ-მარქარასათვის მიყიდული ვენახი (1696 წ. VIII. 1450-33/234).

**შაქარაშვილი არაქელა** – მძორეთს მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო ედიშერს ([1688-1703 წწ.] Hd-1636).

**შაქარაშვილი ბეჟუა** – ძ მ ა გიორგი შაქარაშვილისა, იხ.

**შაქარაშვილი ბერიკა** – თელოვანს მცხოვრები, სვეტიცხოვლის ყმა. როსტომ მეფემ ი გ ი თავის სასაფლაოს აზნაურისშვილს თანია გაბრიელიშვილს მისცა ეგვტერის სასამსახუროდ. შემდგომში ი გ ი თანიას გაქცევია და ავლაბარში ჩასულა. როსტომ მეფემ აყარა და ისევ თავის ბატონს დაუბრუნა (1657 წ. 1449-25).

**შაქარაშვილი გიორგი** – კლდისწყაროში მცხოვრები, საუფლისწულო მოყალნე, ერთი კომლი. ჰყავს ძ მ ე ბ ი: შემაზა, სეხნია, ბეჟუა. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II ნახ. Qd-7017).

**შაქარაშვილი დავითა** – მძოვრეთს მცხოვრები. წილში ერგო ქაიხოსრო [ციციშვილის] ([1664-1673 წწ. 1448-5042).

**შაქირაშვილი ზაქარია**– ახალშენს მცხოვრები. ჰყავს გ ა ნ ა ყ ო ფ ი ქიტია. ის და მისი განაყოფი წილში ხვდენ თამაზ [ბარათაშვილს] ([1633-1658 წწ.] 1448-2318).

**შაქ[ა]რ[ა]შვილი მაზია** – მ ო წ მ ე ფარსადან ციციშვილის მიერ შოშიტა გეგაშვილისათვის მიცემული ნავენახევის ნასყიდობის წიგნისა ([1684-1697 წწ.] Hd-14262).

**შაქირაშვილი მამუკა** – 1661-1672 წწ. მ ო წ მ ე: სიმონ ეტიფონეშვილის მიერ პაპია ჭყოპიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. Ad-1644ა), მახარა ღორიჭედაშვილისა და გიორგი აბულვარდისშვილის მიერ მახარა ჭყვაპიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. Ad-1771).

**შაქირაშვილი მიქელა** – 1661-1675 წწ. მ ო წ მ ე: სვენელ იმრაშვილის მიერ ქრისტესიასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. Sd-1136), ხუცეს ქრისტესიას მიერ ბატონ ზურაბ [თუმანიშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1675 წ. XI. Sd-55).

**შაქარაშვილი მურადა** – ხელთუბანს მცხოვრები. მ ო წ მ ე გიორგი ხოსრუაშვილის მიერ ნასყიდა ბერაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. I. 10. Ad-911).

**შაქარაშვილი სეხნია** – ძ მ ა გიორგი შაქარაშვილისა, იხ.

**შაქ[ა]რ[ა]სშვილი სოდება** – მ ო წ მ ე გოგილა მახვილ[ა]ძის მიერ პაპია ჭყვაპიასშვილისათვის მიცემული თეძმის პირას მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. Ad-1675ბ).

**[შაქარაშვილი] ქიტია** – განაყოფი ზაქარია შაქარაშვილისა (იხ.).

**შაქარაშვილი ქუცნა** – [ძ მ ა] შაქარა შაქარაშვილისა (იხ.)

**შაქარაშვილი შაქარა** – ჰყავს [ძ მ ა] ქუცნა. მ ა ს სანახევროდ აუშენებია ალის მონასტრის ვენახი. შემდგომ თავისი კუთვნილი ნაწილიდან ოცი თავჩაფი ღვინო შეუწირავს ალის წმინდა გიორგისათვის. გაიჩინა თავისთვის აღაპი ნიკლოზობა დღეს (XIV ს. H-1347, 277-278).

**შაქარაშვილი შემაზა** – ძ მ ა გიორგი შაქარაშვილისა, იხ.

**შალბათაშვილი მირზა** – პატარა სახუნდარაში მცხოვრები. მ ო წ მ ე თამაზ ავთანდილაშვილის მიერ ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1685 წ. 1450-7/21).

**შალუბათ[ა]** – მელიქის ძ მ ა. მ ო წ მ ე მასურ ჯავახიშვილის მიერ მჭედელ მიკირტიჩასათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1573 წ. 1450-18/79), ჯავახაანთ მასურას მიერ მიკირტინა ჰოდიკაშვილისათვის მიცემული ბალჩის ნასყიდობის წიგნისა (1573 წ. 1450-18/78).

**შალუბათა** – მ ო წ მ ე სომეხ მხითარას მიერ თბილელ მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის მიცემული ყმად თავშეწირვის წიგნისა (1619 წ. 1449-2642).

**შალუბათა** (ვარ. **შალბუათა**) – 1681-1689 წწ. შვილი ბერუასი, იხ. (1689 წ. Hd-1778). მ ო წ მ ე: ბიძინა ყანდინაშვილის მიერ ბაინდურ შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. III. 17. 1450-7/11), გიორგი ყარჩიხაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა. გაყიდული მიწა მ ი ს ი მიწის გვერდით მდებარეობდა (1689 წ. V. 1. Hd-1778).

**შალუბათა** – ახალშენს მცხოვრები. მ ო წ მ ე გრიგოლა მიკირტიჩაშვილის მიერ შიომ [თუმანიშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. Sd-820ბ).

### შალუბათასშვილი // შალუბათაშვილი // შალბუთასშვილი

**შალუბათასშვილი** – დმანისს მცხოვრები. ი გ ი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537/1538 წ.] VIII. 16. 1450-11/112).

**შალბუთასშვილი ზალინა** – დ ა მ წ ე რ ი იავანგულაანთ ყარახანას და ხოჯა ბეჰბუდას შორის დადებული დუქნების გაცვლილობის წიგნისა (1661 წ. IX. 2. 1450-22/111).

**შალუბათაშვილი მირზა** – სამწერისს მცხოვრები. მ ო წ მ ე ესტატაშვილის მიერ პაპია [გოგიბაშვილისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. VII. 1. 1450-10/24).

**შალბუნაშვილი ავეტიზ** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] დავით შალბუნაშვილისა, იხ.

**შალბუნაშვილი დავით** – ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: ავეტიზ, ხოსროვა, ზურაბ და მარქარა. ი ყ ი დ ა გასპარა ბეროაშვილისაგან ორი დღის თელის მიწა (1671 წ. II. 1450-6/45).

**შალბუნაშვილი ზურაბ** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] დავით შალბუნაშვილისა, იხ.

**შალბუნაშვილი მარქარა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] დავით შალბუნაშვილისა, იხ.

**შალბუნაშვილი ხოსროვა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] დავით შალბუნაშვილისა, იხ.

**შაღიშვილი ტიროზა** – მ ო წ მ ე ბაგრატ თურქისტანიშვილის მიერ ფარსია მღებრიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. VI. 1450-50/74).

**შაღულანა** – 1681-1685 წწ. მ ო წ მ ე: ყაფლანა ყაზარაშვილის მიერ დოლმაზა შანშ[ი]აშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. V. 1. Hd-9285), დავით ყანდინაშვილის მიერ ბაინდურ [შანშიაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1685 წ. III. 3. 1450-7/26), ყაფლანა ყაზარაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. V. 1. Hd-9285).

**შაღულანაშვილი** (ვარ. **შაღულიანასშვილი**) **ამირანა** – 1692-1700 წწ. ჰყავს [ძ მ ა] შანაზარა (1692 წ. Sd-620). მ ო წ მ ე: დურმიშხან დემურაშვილის მიერ თავის ბიძაშვილ ალიხანა [დემურაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. X. 15. 1450-9/149), სეხნია შემაზასშვილის მიერ პაპუა ყაფლანისშვილისათვის მიცემული შუაბოლნისში მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. V. 10. Sd-620).

**შაღულიანასშვილი შანაზარა** – [ძ მ ა] ამირანა შაღულიანასშვილისა, იხ.

**შაყაშვილი ფირუა** – სამღერეთს მცხოვრები. ი გ ი წილში ერგო ზაალ [ციციშვილს] ასიტა ნასყიდაშვილის ნაცვლად (1651 წ. ახლო. 1450-37/183).

**შაყმაშვილები** – მ ა თ ი მამული მოხსენიებულია პაპუნა და ყაფლან [ბარათაშვილებს] შორის სამამულე დავის გარიგების წიგნში ([1646-1658 წწ.] Hd-14 284).

**შაყმაშვილი** – მთაწმიდისა და ბრუტიანის მთებზე მ ა ს ნასყიდი ჰქონიათ ვენახი, რომელზედაც ერთმანეთს ედავებოდნენ ყაფლან, პა[ა]ტა და პაპუნა ბარათაშვილები (1646-1658 წწ.] Sd-794).

**შაყუბ[ა]თ[ა]შვილი ხეჩუა** – გ ა მ რ ი გ ე არუთინა ნოსრათაშვილის მიერ გულუა გრიგოლაშვილისათვის მიცემული სამწევრისის მიწების გაცვლილობის წიგნისა (XVII ს. Sd-888).

**შაყულა** – მ ო წ მ ე მახარა როსტიაშვილის მიერ ამირა აბროსაშვილისათვის მიცემული ნავენახევის ნასყიდობის წიგნისა (1631 წ. X. 4. 1449-1780).

**შაყულა** – მ ო წ მ ე ბარათაშვილ–აბაშიშვილ დავითის მიერ მეშარბათე სეხნია არეშისშვილისათვის მიცემული ტყის მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. 1450-14/13).

**შაყულა** – 1690-1695 წწ. უსტა დათუას შვილი. მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი: ამირან სუნბატაშვილის მიერ ასატურა ბეჟანიშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IV. 1450-49/101), ელიზბარა ჯანიასშვილის მიერ ხითარაანთ ზურაბასთვის მიცემული ყმობის პირობის წიგნისა (1695 წ. III. 15. 1448-274).

**შაყულა** – ძ მ ა ტატასი, იხ.

**შაყულასშვილი** – ვა[ნ]ქში **მ ი ს ი** სამკვიდრო მამული გიორგი მეფემ უბოძა უცნობ პირს (1676 ნ. X. 18. Hd-1706).

**შაყულაშვილი** – **მ ი ს** მინამდე მიჰყიდა პაატა უზნაძემ ბააკა ბუნიათიშვილს მინა სამსარაში (1691 ნ. Hd-813).

**შაყულაშვილი ასლამაზა** – **მ ო წ მ ე** ალიბეგა დემურაშვილის მიერ ალავერდა [იაგულაშვილისათვის] მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1698ნ. IV. 17. 1450-9/141).

**შაყულაშვილი ბერი** – **მ ო წ მ ე** პაატა უზნაძის მიერ ბააკა ბუნიათიშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1691 ნ. Hd-813).

**შაყულაშვილი ზაალ** – **მ ო წ მ ე** გარსევან ყორღანაშვილის მიერ თავისი ძმის, მერაბისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1672ნ. VII. 1450-1/4).

**შაყულაშვილი ზალინა** – **მ ო წ მ ე** ფარსადან შიხაშვილისა და ხეჩიკაშვილის მიერ ალავერდა ალიხანაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. II ნახ. 1450-9/154).

**შაყულასშვილი ივანა** – [ტბელი]. **მ ო წ მ ე** ლომიტა გერგიძის მიერ შალუ[ა]სათვის მიცემული საკომლოს ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. Hd-1580).

**შაყულასშვილი მახარა** – **მ ო წ მ ე** პაპუნა ხარებასშვილის მიერ ბასილა ცხვარებასშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1672 ნ. X. 30. 1450-15/3).

**შაყულასშვილი პაატა** – **მ ო წ მ ე** გარსევან ყორღანაშვილის მიერ თავისი ძმის, მერაბისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1672 ნ. VII. 1450-1/4).

**შაყულასშვილი ცუხა** – **მ ო წ მ ე**: საბას მიერ ანდერმან ჩოლაყაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს.ბოლო მეოთხ. S-3728-164-r), გოგიჩას მიერ ანდერმან ჩოლაყაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. ბოლო მეოთხ. S-3728, 164-r).

**შაყულისშვილი** – დმანისს მცხოვრები. **ი გ ი** თავისი ქონებით ნილში ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537/1538ნ]. VIII. 16. 1450-11/112).

**შარაშ** – ფანშტელი. იხსენიება **მ ო წ მ ე დ** ალექსანდრე მეფის ბრძანებით გერგეტელ საყდრისშვილებისათვის ხევის სოფლებიდან მძევლის დადგინების წიგნში (1439 w. II. 20. A-1085, 13-15).

**შაშეიძე გიორგა** – შუბანს მცხოვრები. **ე მ ა რ თ ა** ქუთაისის საყდრის ბეგარა: თექვსმეტი კოკა ღვინო, ერთი თეთრი, ოცი კვერცხი, თორმეტი თეთრის საკლავი, ერთი ურემი ღომი, ოცდაოთხი ნაოთხალი ღომი, ერთი საბელი, ქათამის მოკრეფა, თივის თიბვა, იფქლისა და ქერის მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავარი, საყდრის მუშაობა (1578 ნ. H-626).

**შაშეიძე მახარა** – შუბანს მცხოვრები. **ე მ ა რ თ ა** ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდაათი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ორნახევარი თეთრი,

ოცი კვერცხი, ერთი ურემი ლომი, ოცდაოთხი ნაოთხალი ლომი, ერთი საბელი, ქათამის მოკრეფა, თივის თიბვა, იფქლისა და ქერის მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავარი, საყდრის მუშაობა (1578 წ. H-626).

შაშვაძე ბერუა – [ძ მ ა ] ქიტა შაშვაძისა, იხ.

შაშვაძე ქიტა – ჰყავს ძ მ ა ბერუა. სუმბატა მურადაშვილმა თავისი მამის, საქინას, ვალის გასასტუმრებლად სუხინას და გაბუას გამოართვა ოთხი თუმანი, შემდეგ ვალი ვერ გადაუხადა და მათ სანაცვლოდ მევალეს მისცა ქ ი ტ ა და ბ ე რ უ ა შ ა შ ვ ა ძ ე ე ბ ი (1665 წ. 1448–1465).

შაშვიაშვილი – ი გ ი უწილოდ უწყალობა როსტომ მეფემ გივი თუმანიშვილს (1655 წ. Hd-14 859).

შაშვიაშვილი – მ ი ს მიწას ესაზღვრებოდა ბერიკა დილიმაშვილის მიერ რამაზ [ზუმბულიძისათვის] მიყიდული მიწა (XVII ს.შუა ხანები.1450-31/106).

შაშვისშვილი ფოცხვერა – მ ო წ მ ე როჭიკა ვეფხაძის მიერ ბერიკა მაზანდარაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1670 წ. მე-10. 1449-469).

## შაშიასშვილი//შაშიაშვილი

შაშიაშვილი – ერთი კომლი. შაჰნავაზმა ი გ ი უწყალობა უცნობ პირს (1663 წ. IV. Hd-15061).

შაშიასშვილი – ხაშმს მცხოვრები. შაჰნავაზმა ი გ ი უწყალობა როშაქ ჩოლოყაშვილს (1665 წ. Hd-2244).

შაშიაშვილი ნადირა – აღაიანს მცხოვრები. მ ო წ მ ე ბერიკა დილიმაშვილის მიერ რამაზ [ზუმბულიძისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს.შუა ხანები. 1450-31/106).

შაშუტაშვილი ოჰანა – ქართლის კათალიკოსმა ქრისტეფორემ ი გ ი და მისი სახლიკაცი უბოძა თამაზ და დავით ქარსიძეებზს (1640 წ. 1448-560).

შახიაშვილი – იხსენიება ყმების ნუსხაში (XVII ს. Hd-15088).

შახპარუნაშვილი – მ ი ს ი მიწის საზღვრამდე მიჰყიდა ალექსა ზაქუაშვილმა ტერ–გრიგოლა სოხვაშვილს და ორი დღის „ტირიფის მიწა" (1675 წ. Hd-6105).

შახპარუნაშვილი ამირაღა – მ ო წ მ ე ალექსა ზაქუაშვილის მიერ ტერ-გრიგოლა სოხვაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1675 წ. Hd-6105).

შაჰ-აბას (I) – ირანის შაჰი, იხსენიება ტიტულით: „ბედნიერი ხელმწიფე, ყაენი". გივიბეგ და ზაალბეგ გურამიშვილებისათვის საგურამიშვილოში მ ა ს უბოძებია მათივე მამის, ყაფარბეგის მამული (1615 წ. I. 23. 1450-19/108); მოხსენიებულია: ბაგრატ მეფის ტიტულატურაში (1617 წ. ქრ. II. 442), ბაგრატ მეფის მიერ ბადურ ციციშვილისათვის მიცემულ სოფლების წყალობის წიგნში (1617 წ. 1450-37/190), ბაგრატ მეფის მიერ ციხოველ და იმედა იმნაძეებისათვის მიცემულ თარხნობის წიგნში (1618 წ. IV. 4. 1448-252), ბაგრატ მეფის მიერ

**ჩიტუაშვილი შიო** – მეჯურისხევს მცხოვრები, ბეჟიტას ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჩიტუკასშვილი** – მ ი ს ი ვენახი ესაზღვრებოდა ბეჟან საგინაშვილის მიერ ედი[ა] ახალასშვილისათვის მიყიდულ ვენახს (XVII ს. II ნახ. III. 7. 1450-35/187).

**ჩიქილიძე** – მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. მ ო წ მ ე იორდანე სონღულაშვილის მიერ თამაზასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. 1448-5127).

**ჩიქიქთვაშვილი-სამუტაშვილი ოსიყმა** – იოვანე აფხაზის ყ მ ა. იოვანეს მ ი ს ი გაყიდვა მოუსურვებია, მას „ბატონთან" (მეფესთან)უჩივლია და აღარ გაუყიდიათ. თეიმურაზ მეფის ბრძანებით, მ ა ს დაეკისრა თავისი ბატონისათვის წელიწადში ერთი „ცალი" ღვინის მიტანა ([1623-1662 წწ]. 1450-14/29).

**ჩიქლაძე ბერი** – ტყვიავში მცხოვრები. ყიასაბეგის ყ მ ა - გ ლ ე ხ ი (1700 წ. 1448-3602).

**ჩიქლაძე ბერუკა** – შ ვ ი ლ ი შიო ჩიქლაძისა, იხ.

**ჩიქლაძე შიო** – ჰყავს მ ა მ ა ჩიქლაძე ბერუკა. იყვნენ ყიასაბეგის ყმაგლეხები (1700 წ. 1448-3602).

**ჩიქოანი // ჩიქვანი // ჩიქუანი**

**ჩიქოანი** (ვარ. **ჩიქვანი**) **გაბრიელ** – 1656-[1680] წწ. ც ა გ ე რ ე ლ ი // ც ა გ ე რ ე ლ - მ ა მ ა მ თ ა ვ ა რ ი (1656-[1660-იანი] წწ. Qd: 9085v, 9085ა, 9085-თ, 9085ე, 9085თ). ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი (1665 წ. Hd-9546), ჭყონდიდელ-ცაგერელი ([1673]-[1680] წწ. 1448-2141, 2225, ლაი, H 84-2, 6-ab). ალექსანდრე მეფეს მ ი ს თ ვ ი ს უწყალობებია ცაგერლობა, – აღნიშნულია გ ა ბ რ ი ე ლ ი ს მიერ ცაგერის ღმრთისმშობლისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულობის წიგნში (1656 წ. Qd-9085-=ვ); შ ე ს წ ი რ ა ცაგერის ღმრთისმშობელს ძველთაგან დაკარგული და ალექსანდრე მეფის დახმარებით მოგროვებული საყდრის კუთვნილი ყმამამული: გელოვანისგან ნაძალადევად მითვისებული სამი კომლი კაცი: კაცია ფოჩიანი, მისი ძმები გიორგი და თათია, კაცია მეშველიანი და მისი ძმა ნინილა; „უალაგოთ" სამი აყრილი გლეხი: კაცია და გიორგი ლაკოხელიანები, კაცია და გონიერ მუცხვატელაძეები, გონიერ შკვიბლიანი და მისი ძმა, გიორგი ყრუაშვილი. გიორგი მეფისაგან უსახელოში ნაბოძები გუტა ფოჩიანი და მისი ძმა ძულია, იონა ფოჩიანი და მისი ძმები; შოშიტა გიორგობიანი და მისი ძმა ნასყიდა ძმისწულებით, რომლებიც თავიანთი ადგილიდან აყრილიყვნენ და გ ა ბ რ ი ე ლ ს სხვაგან დაუსახლებია. ოყურეშში – გიორგი მეფისგანვე ნაბოძები ერთი გლეხი მეთევზე მომარდაშვილი ხუცესი შიო და მისი ძმა მათვალი; ერთი გლეხი ლომინა მომარდაშვილი; სულა გელოანისაგან ნასყიდი მათვალი ამბროლიანი; ხოხუა ლაშხიშვილისაგან ნასყიდი დათუა თედორაშვილი; იოვაკიმ ნემსაძისაგან ნასყიდი გიორგი აკობიძე; ბულია ყიფიანისაგან ნასყ-

იდი იეანე არჩვაძე, ელყან ყიფიანისაგან ნასყიდი კავია ნემსინვერიძე, მისი შვილი და ძმისწულები; გიორგი და გუგუტა დაშრიანები, მეშველიანის ციხე და ალაგი, ალექსანდრე მეფისაგან ნაბოძები; ოჯოლას – ბოგვერაძე მახარა, ჟოჟუა და ხუცესი, ასევე ალქსანდრე მეფისაგან ნაბოძები. ჟვანეთს – ოტია ჯანელიძე და მისი შვილები, – ალექსანდრე მეფისაგან ნაბოძები; უსახელოს – გიორგი გელოვანისაგან ნასყიდი პაატა გოლეთიანი, გაბრიელის მიერ უსახელოში ნასყიდი სასახლე ადგილი, სადაც სასახლე აუშენებია (1656 წ. Qd-9085ვ); ხვამლის წმინდა გიორგის – ოყურეშში სასახლე ქვარიანისაგან დარჩენილი საჯვარით, საჯალაბოთი, ზვრით, ყანითა და სათიბით; ერთი გლეხი მეთევზე ხუცესი მამარდაშვილი, მეთევზე ლომინა მამარდაშვილი და ტბა ბაბუშერი, – გიორგი მეფისაგან ნაშოვნი; ნემსაძისაგან ნაშოვნი გიორგი აკობიძე, მათვალი ამბროლიანი, – გელოანისაგან ნაშოვნი, დათუა თედორაშვილი, – ლაშხიშვილისაგან ნაშოვნი, დიდი „ტევრი ტყე," – გიორგი მეფისაგან ქრთამით მიღებული. დათუა თედორაშვილის ბეგარა გ ა ბ რ ი ე ლ მ ა თემს მისცა. გიორგობა დღეს მას ოყურეშის თემისათვის უნდა მიეცა: ერთი გასუქებული ტახი, ერთი ცხვარი, ხუთი გორო ღვინო, ერთი გორო პური, ერთი გორო ღომი, ერთი თეთრის სანთელი, ერთი ბიშტის საკმეველი. თემს ხუცესისათვის იმ ცხვარზე გ ა ბ რ ი ე ლ ი ს სულისათვის ჟამი უნდა ეწირვინებინა, ხოლო ტყავი საწირავად მიეცათ; ხუცესისათვის საწესო არ უნდა დაეკლოთ; თემს ლხინი უნდა გადაეხადა. ხუცესს ევალებოდა სანთლის ჩამოსხმა, საკმეველი კი თემისათვის უნდა დაერიგებინათ; ამას გარდა, შ ე ს წ ი რ ა ალექსანდრე მეფისაგან მისთვის ნაბოძები ზუბის ციხე, ზუბელებს მისცა მათვალი მამარდაშვილის ბეგრისაგან: ორი ფოხალი პური, ორი ფოხალი ღომი, თორმეტი თეთრის საკლავი, ორი გორო ღვინო ([1658-1660 წწ.] Qd-9085ე); ხვამლის წმინდა გიორგის – ოყურეშში: ქვარიანის ნაქონი სასახლე, რომელიც უკაცური იყო და გაბრიელმა ააშენა; ბერ ნემსაძისაგან ნაშოვნი გიორგი იაკობიძე ცოლ-შვილით; ცაგერელი კუჭაიძის მიერ ლაშხიშვილისაგან ნაშოვნი მათვალი ამბროლიანი, ეს უკანასკნელი ცაგერელი კუჭაიძის გარდაცვალების შემდეგ, სულა გელუანს მისვლია და მისგან თეთრით უყიდია გაბრიელს. ხოხუა ლაშხიშვილისაგან ნაშოვნი დათუა თედორაშვილი, მეთევზე ხუცესი მომარდაშვილი და ტბა ბაბუშერი, რომელიც გაბრიელს მეფისაგან უშოვნია მირთმეული ცოლქმრის საფასურად; მეფისაგან თეთრით ნაშოვნი ლომინა მამარდაშვილი და მისი ძმა მათე (1656 წ. ახლო. Qd-9085თ); ცაგერის ღმრთისმშობელს – ალექსანდრე მეფისაგან ტვიშში ბოძებული იონა ნემსიწვერიძის შვილი შოშიტა და მათი მამულით, შოშიტა ყრუაშვილი, დედოფალ ნესტანდარეჯანისაგან და ბაგრატ მეფისაგან ტვიშში ბოძებული ნასხიდა სვანაძე და მისი ძმისწულები, კაცია ლაჭყებიანი, ჩხუტელში ჯაფარიძისაგან ნასყიდი ციცარიანი ნასხიდა და თაფუა, უსახელოში ელყან ყიფიანისაგან ნასყიდი კაცია მუსელიანი (1660-იანი წწ. Qd-9085თ); მარტვილის ტაძარს – თავისი სულის სახსრად და საოხად კა-

ცია ჭალაძის გარდაცვალებისას ნიშანში გამორთმეული ხუხუ ოდიშარია მისი ცოლ-შვილით და მამულით. იგი გაათავისუფლა სხვა გადასახადებისაგან და დააკისრა ხატის სამსახური: ათი ლაღარიკონი სანთელი, ათი ნარგისი ზეთი, ერთი ნალბაქი საკმეველი ([1680-იანი წწ.] ლაი, H-86-ab); მ ი ს ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ო ბ ი ს დ რ ო ს დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა ცაგერის ღმრთისმშობელს ალექსანდრე მეფის სულის საალაპედ შესწირა ცხუნკუშეერში მცხოვრები ოთხი კომლი სვანიძეები და დააკისრა ბეგარა (1660 წ. Qd-9085ა); მ ი ს ი და [აფხაზთა] კათალიკოსის დავით ნემსაძის რჩევით, ნათესავის სისხლში გარეულმა ლევან დადიანმა ბიჭვინტის ღმრთისმშობლის საყდარს საკანონოდ შესწირა ხოფის მონასტერი ორი სასახლით, სახლებით, ხორაგით და მისი სარჩოთი. მ ო წ მ ე ა ამ შეწირულებისა (1675 წ. 1448-2225); მ ო წ მ ე: ბაგრატ მეფის მიერ ხოსია ჯაფარიძისათვის ზეგლევში მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1665 წ. Hd-9546); ლევან დადიანის მიერ დავით ნემსაძისათვის მიცემული კათალიკოსობის ბოძების წიგნისა ([1673 წ.] 1448-2141), ლევან დადიანის მიერ ბიჭვინტის ღმრთისმშობლისათვის მიცემული ხოფის მონასტრის შეწირულობის წიგნისა (1675 წ. 1448-2225).

**ჩიქუანი ბერი** – შ ვ ი ლ ი გიორგი ჩიქუანისა, იხ.

**[ჩიქუანი] გივინა** – ტეტია ჩიქუანთან ერთად ჩაფაური ვენახი მ ი ჰ ყ ი დ ა ბეჟიტა ნებიერიძეს (XVII ს. II ნახ. Qd-725ბ).

**ჩიქუანი გიორგი** – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: კაცია, ბერი. მ ი ჰ ყ ი დ ა ბეჟიტა ნებიერიძეს ჩაფაური ვენახი (XVII ს. II ნახ. Qd-725ა).

**ჩიქუანი კაცია** – 1675 წ. XVII ს. II ნახ. შ ვ ი ლ ი გიორგი ჩიქუანისა, იხ. გ ა ა რ ი გ ა მამაში შერგელაიასა და გამახადი კაკაჩიას შორის დავა ვალის შესახებ ([1680 წ]. სმ. I. 248-249); მ ო წ მ ე ლევან დადიანის მიერ ბიჭვინტის ღმრთისმშობლისათვის მიცემული საკანონო შეწირულობის წიგნისა (1675 წ. 1448-2225).

**ჩიქუანი ტეტია** – მ ა ნ გივინა [ჩიქუანთან] ერთად მ ი ჰ ყ ი დ ა „ჩაფაური" ვენახი ბეჟიკა ნებიერიძეს (XVII ს. II ნახ. Qd-725ბ).

**ჩიქვანი ჭუტი** – მ ო წ მ ე გიორგი ლიპარტიანის მიერ ბააკა იაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (XVII ს. ბოლო. ქმ. №1610).

**ჩიქვანი ხახუ** – სანავარდოში მცხოვრები, მეზუთხე გ ლ ე ხ ი. მ ა ს ევალებოდა ერთი ზუთხის მირთმევა სანავარდოში ჩამოსული მთავარეპისკოპოს სვიმონ ჩხეტიძისათვის (XVII ს. შუა ხანები. 1448-5034, მინაწ.).

**ჩიქნასძე იოვანე** – აბდილას წმინდა გიორგის სახუცოდ შ ე ს წ ი რ ა თავისი ნასყიდი ვენახი, საეკლესიოდ – ათ-თი თავჩაფი ტკბილი (XV ს. H-1782, 173r).

**ჩიქობელი** – ემართა ხოფის ღმრთისმშობლის ეკლესიის თხუთმეტი თეთრი (XVI ს. 1449-1577).

**ჩიჩიკა** – მ ი ს ი სახლი იყო ერთ-ერთი საზღვარი გრიქოლა ბაკურაშვილის მიერ მკრტიჩ [ო]ნიკაშვილისათვის მიყიდული სახლისა (XVII ს. 50-60-იანი წწ. 1448-5333).

**ჩიჩინაკაშვილი** – მცხოვრები ახალშენში, ა ზ ნ ა უ რ ი. ბარათაშვილების გაყრის შედეგად ერგო გერმანოზს და მის ძმებს თაყას, გოსტასაბს, ფალაევანხოსროს (1523 წ. Ad-1299ა).

**ჩიჩუა კახაბერ** – იასა[ვა]მ მისცა მ ა ს ქვაჩი ყურუა (1682 წ. Hd-1551ე).

**ჩიჩუა (ვარ. ჩიჩუვა)ხახუ** – მ ო წ მ ე ხახუ ფაციას მიერ ხობის ტაძრისათვის მიცემული საკანონოს გადასახადის წიგნისა ([1673-1696 წწ]. Hd-1551ბ), აფხაზეთის კათალიკოს დავითის მიერ ბიჭვინტისა და ხოფის ღვთისმშობლისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულობის წიგნისა ([1673-1696 წწ]. Hd-1551გ).

**ჩიჩხაიშვილი ივანა** – როკითს მცხოვრები. ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: შვიდი კოკა ღვინო, ორი ნათხალი ღომი, ერთი საკლავი ყველით, კვერცხით, თევზით. გოჭ-ქათამი და ლაშქრობა. თითო თეთრი ყავარის მიტანა ქუთაისში (1578 წ. H-626).

**ჩიხრაძე გუგუტი** – მ ო წ მ ე პაპუნა ფავნელისშვილის მიერ დათუნა და სხვა ქრისტესიასშვილებისათვის მიცემული ახოს ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. IV. 1448-4307).

**ჩიხრაძე ნინია** – მ ო წ მ ე აბულვარდ მუჩათიძის მიერ პეტრე კავკასიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. ახლო. Hd-808), ბერუა მირიანაშვილის მიერ პეტრე [კავკასიძისათვის] მიცემული საგანაყოფო ნახევრის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. Hd-812).

**ჩიხტიგოზაშვილი** – მ ჭ ე დ ე ლ ი, ერთი კომლი, დარბაზს, ზემო სამებაში მცხოვრები, შეტანილია ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ შედგენილ სვეტიცხოვლის ყმათა ნუსხაში (1683 წ. 1449-1788).

### ჩიჯავაძე // ჩივჯავაძე // ჩიჟავასძე // ჩიჩავაძე // ჯიჯავაძე

**ჩივჯავაძე როსტომ** – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ კაციაბერ თოფურიძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა (XVI-XVII სს. ქმ. №1608).

**ჩიჟავასძე** – ვახტანგ მეფეს დაუპირებია მ ი ს თ ვ ი ს მიეცა თაყა [ფანასკერტელ-ციციშვილის] მამული, – აღნიშნულია ჯავახიშვილთა საჩივრის წიგნში ([1466-1478 წწ.] Sd-1242).

**ჩიჟავაძე კახაბერ** – ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი. ს ი ძ ე დავით მეფისა. მ ო წ მ ე დავით მეფის მიერ კაკუ გუგუნავასათვის მიცემული სასისხლო სიგელისა (XV ს. დამლევი. ქმ. №1607).

**ჯიჯავაძე** – იხსენიება გიორგი მეფის მიერ კლდიაშვილ-შალიკაშვილისათვის მიცემულ წყალობის წიგნის ბრძანებულების ფორმულაში ([1563/1564 წ.] Hd-8727).

**ჯიჯავაძე** – ქაიხოსრო გურიელის მიერ აჭის წმინდა გიორგისათვის მიცემულ ყმების შეწირულების წიგნში აღნიშნულია, რომ ი გ ი ქაიხოსრო გურიელმა ტყვედ ჩაიგდო ოზურგეთის სასახლეში გამაგრებულ ვამეხ დადიანზე თავდასხმის დროს და მ ი ს ი ჯაჭვი, ხმალი და ლახტი შესწირა აჭის წმინდა გიორგის ([1658-1660 წწ.] АПГА 192-193).

**ჩიჩავაძე ბეჟან** – ჰყავს ძ მ ე ბ ი: [....], ქაიხოსრო. იმერეთიდან გადმოსულა დავით მეფის დროს. სვიმონ მეფემ უწყალობა მას რუსასშვილები და მამული კავთისხევში ([1578-1600 წწ.] ქმ. №1606).

**ჩიჩავაძე ქაიხოსრო** – ძ მ ა ბეჟან ჩიჩავაძისა, იხ.

**ჩიჯავაძე გიორგი** – მ ო წ მ ე დავით მეფის მიერ ივანე მაღნარაძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა (XVII ს. 1448-5040).

**ჩიჯავაძე (ვარ. ჩიჟავაძე)ვამიყ** – [ს ა ხ ლ ი ს კ ა ც ი] საზვერელ ჩიჯავაძისა, იხ. მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისათვის მიცემული ოქონის ნასისხლად წყალობის წიგნისა (1488 წ. VII. 1. Hd-8731).

**ჩიჯავაძე საზვერელ** – ჰყავს [ს ა ხ ლ ი ს კ ა ც ი] ვამიყ. ჩიჯავაძენი: საზვერელ და ვამიყ არიან მ ო წ მ ე ნ ი ალექსანდრე მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისათვის მიცემული ოქონის ნასისხლად წყალობის წიგნისა (1488 წ. VII. 1. Hd-8731).

**ჩიჯავაძე საზვერელ** – ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. მ ო წ მ ე ბაგრატ მეფეთ-მეფის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1673 წ. Hd-9388), მ ო წ მ ე და შ უ ა მ ა ვ ა ლ ი ბაგრატ მეფის მიერ გიორგი აბაშიძისათვის მიცემული გლეხების წყალობის წიგნისა (1677 წ. 1449-1028).

**ჩიჯავაძე [საზვერელ]** – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ იოვანე ომადმანიძისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა ([1658-1660 წწ.] Sd-1789).

**ჩიჯავაძე სერაპიონ** – თ ა ვ ა დ ი შ ვ ი ლ ი. ი გ ი მისი მსახურებით გაუყოლებიათ მარიამ დედოფლისათვის მზითევში ([1634 წ.] 1448-3369).

**ჩიჯავაძე სვიმონ** – მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი. ხონის საყდარს შ ე ს წ ი რ ა ბიჭუკა ტაბიძე ცოლ-შვილით. დაადო ბეგარა – ნაალდგომევს ცხვრით ალაპის გადახდა და ათი კოდი პური. როდესაც იგი სანავარდოში ჩაბრძანდებოდა, კორძეიებს: სეხნიას, მამუკას, აზნაგებს და თანდარუხს, აგრეთვე ამშილავას, მიკოლიშვილს, უსქუამუჩის, ლატუნა მჭელიძეს – უნდა მიერთმიათ მ ი ს თ ვ ი ს თითო ზუთხი; დათუნა სიმონიძეს – ერთი ღორი, სამი კოკა ღვინო, ორი კოდი ღომი, ყველი და კვერცხი (XVII ს. შუა ხანები. 1448-5034).

**ჩიჯავასძე კახაბერ** – ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი. მ ი ს მ ა მეუღლემ ულუმპიამ და შვილმა საზუერელმა მ ი ს საალაპედ სვეტიცხოველს შესწირეს ბუკისძისეული მამული ბუედურეთში ([1399-1407 წწ.] 1449-1640).

**ჩიჯავასძე საზუერელ** – შ ვ ი ლ ი ულუმპიასი, იხ.

**ჩიჯან** – ამირეჯიბ ქუცნა [გაბელიძის] მიერ ულუმბოს ღმრთისმშობლის მონასტრისათვის ბოძებულ შეწირულების წიგნში აღნიშნულია, რომ მ ა ს არ უნდა დაკლებოდა [ალის] სამოურავო და ულაყი თბილისიდან ქუთაისამდე (XVI ს. დასაწყისი. ქრ. II. 210).

**ჩლაჩაძე თლია** – ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ოთხი კოდი პური, ორი კოდი ქერი, სამი საკლავი, სამი ქათამი, ოთხი კასრი ღვინო, შვიდი კვერცხი (1621 წ. ქსძ. III. 91. 397).

**ჩლაჩაძე მამუკა** – ს ა ხ ლ ი ს კ ა ც ი ნასყიდა ჩლაჩაძისა, იხ.

**ჩლაჩაძე მიქელა** – ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: შვიდი კოდი პური, სამი კოდი ქერი, ცამეტი კასრი ღვინო, ოთხი საკლავი, ექვსი ქათამი, ოცი კვერცხი, „გონრაულიანად" ერბო, ხაჭო, მარილი (1621 წ. ქსძ. III. №91. 398).

**ჩლაჩაძე ნასყიდა** – ჰყავს ს ა ხ ლ ი კ ა ც ი მამუკა. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ორი კოდი პური, ერთნახევარი კოდი ქერი, ერთნახევარი საკლავი, ორი ქათამი, ოთხი-ხუთი კასრი ღვინო, ექვსი კვერცხი, ერბო, ხაჭო (1621 წ. ქსძ. III. №91. 398).

**ჩლაჩაძე ჯოღვერდი** – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ კაციბერ თოფურიძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა (XVI-XVII სს. ქმ. №1608).

**ჩლაჩიძე დათვია** – ერთი კომლი. ი გ ი და მისი შვილები გენათელმა ზაქარია ქვარიანმა შესწირა გელათის ხახულის ღმრთისმშობელს (1644 წ. VI. 5. ქმ. №135).

**ჩლიგიშვილი მამაგული** – იხსენიება ყმების ნუსხაში (XVII ს. Hd-14912ზ).

**ჩლინგაშვილი თამაზა** – იხსენიება ყმების ნუსხაში (XVII ს. Hd-14912ზ).

**ჩლინგიშვილი პაპუნა** – იხსენიება ყმების ნუსხაში (XVII ს. Hd-14912ზ).

**ჩნახაშვილი აბულვართ** – შ ვ ი ლ ი ასვატურა ჩნახაშვილისა, იხ.

**ჩნახაშვილი აზარია** – შ ვ ი ლ ი ასვატურა ჩნახაშვილისა, იხ.

**ჩნახაშვილი ამირვართ** – ძ მ ა ასვატურა ჩნახაშვილისა, იხ.

**ჩნახაშვილი არბ[ა]შ** – შ ვ ი ლ ი ასვატურა ჩნახაშვილისა, იხ.

**ჩნახაშვილი ასვატურა** – ჰყავს ძ მ ა ამირვართ, შ ვ ი ლ ე ბ ი: აბულვართ, არბ[ა]შ, დავით და აზარია. ი ყ ი დ ა გრიგოლ ჩ[ა]ჩ[ი]ბაშვილისაგან ვენახი (XVI ს. Qd-9018).

**ჩნახაშვილი დავით** – შ ვ ი ლ ი ასვატურა ჩნახაშვილისა, იხ.

**ჩობანაშვილი შავერდა** – მ ო წ მ ე მანთაშა მირზაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. VIII. 19. Hd-10246).

**ჩოგავაძე გოჩა** – ჯიმაშტაროს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ორმოცი კოკა ღვინო, ორმოცი ჯამი ღომი, ათი თეთრი, ოთხი ქათამი, ტვირთი და ორი დღის მუშაობა (1621 წ. ქსძ. III. №91. 405).

**ჩოგაური მამ...** – შაბიანში მცხოვრები. შეტანილია სვეტიცხოვლის ყმების ნუსხაში (1689 წ. 1449-1792).

**ჩოგურასშვილები** – ხელთუბანში მცხოვრებნი. მამულით წილად ხვდნენ მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს ([1656 წ.] Hd-14665).

**ჩოგურაშვილი** – უყიდია მიწა სველნეთში, თვითნებურად გაყიდული ქვათახევის მონასტრის ყმის – მაჩანასაგან ([1700 წ.] 1449-1869).

**ჩოგურასშვილი** – ხელთუბანში მცხოვრები. მამულითურთ წილად ხვდა ჯიმშიტა [თუმანიშვილს] (1656 წ. Hd-11936).

**ჩოდია კოჩილა** – ანაკლიაში მცხოვრები. ი გ ი, ნაწულუა ფაცული და მათი სახლიკაცი შესწირა ლევან დადიანმა ბიჭვინტის ღმრთისმშობელს და დაუწესა გადასახადი – გოჭკუმურს, საკლავის, ღვინისა და ღომის მაგიერ თითო მთელი თევზის მიტანა (1628 წ. Sd-2904).

**ჩოთირიძე ასლამაზ** – მარტყოფს მცხოვრები. მოხსენებულია რუსთველის ყმების ნუსხაში (XVII-XVIII სს. მიჯნა. Hd-5186).

**ჩოთირიძე ბერი** – მ ო წ მ ე ზაქარია რუსთველის მიერ ჯაბანა მაკუჭაძისა და ხუცეს ბერეკაშვილისათვის მიცემულ სამამულო დავის გარიგების წიგნისა (1697 წ. VIII. 1449-170).

**ჩოთირიძე გიორგი** –მარტყოფს მცხოვრები, ახალგაყრილი. მოხსენებულია რუსთველის ყმების ნუსხაში (XVII-XVIII სს. მიჯნა. Hd-5186).

**ჩოთირიძე ოთია** – მარტყოფს მცხოვრები. მოხსენებულია რუსთველის ყმების ნუსხაში (XVII-XVIII სს. მიჯნა. Hd-5186).

**ჩოლაყაანი // ჩოლაყასშვილი // ჩოლაყაშვილი // ჩოლოყაშვილი**

**ჩოლაყაანი** – ჩ ო ლ ა ყ ა [ა ] ნ თ ქორდში მცხოვრებმა ყმებმა პირობა დადეს, რომ არ დაარღვევდნენ მარხვას და ქადაგობას ([1685-1694 წწ.] Ad-863).

**ჩოლაყასშვილი ანდერმან** – ჰყავს [ ძ მ ე ბ ი ]: როშაქ, გოშფარ, ჯიმშერ. ლეონ მეფემ უწყალობა ღანუხში მცხოვრები ოცი გლეხი: გონა, სუიმონ, დარჩა, ჩიტა, ბაინდურა, ჭაბუკა, დარისპანა, ხუტა, ბედა, ნასყიდა, ხარო, ესაია, ბოჭიტა, თანდილა, მიქელა, რაინდა, გოგიჩა, ჯანა, იონდა, ასანა (1568 წ. Hd-14430).

**ჩოლაყაშვილი ანდერმან** – ზაალის შ ვ ი ლ ი. ჰყავს [ ძ მ ე ბ ი ]: იოთამ, ელისბარ, ფარსადან. იოთამთან ერთად გ ა ე ყ ა რ ა ელისბარს და ფარსადანს ([1574-1605 წწ.] Hd-13903).

**ჩოლაყაშვილი ანდერმან** – 1639-[1703] წწ. შ ვ ი ლ ი შანშე ჩოლაყაშვილისა, იხ., ძ მ ა როშაქ ჩოლაყაშვილისა, იხ. (XVII ს. ბოლო მეოთხ. S-3728, 164r). ი ყ ი დ ა : მამული სამადაველესაგან (XVII ს. II ნახ. S-3728, 164r), გოგიჩასაგან – მისი წილი მამული ლომისაშვილის მიწიდან (XVII ს. ბოლო მეოთხ. S-3728, 164r), საბასაგან – ლომისაშვილისა და შავერდას მამულზე მდებარე მისი წილი მიწა (XVII ს. ბოლო მეოთხ. S-3728, 164r); ჰქონდა დ ა ვ ა კახელებთან შაჰ-აბასის დროს ნაშოვნ ყმებზე – მამუკაზე და რევაზზე. დავის გარიგების შედეგად ყმები მ ა ს დარჩა (1656 წ. V. 1. 1450-26/78).

**ჩოლაყაშვილი ბაადურ** – მ ა ს სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს ოთხი ხატი, რომლებიც მოაჭედინა და შეამკო მალაქია კათალიკოსმა ([1532-1538 წწ.] Ad-16).

**ჩოლაყაშვილი** (ვარ. **სახლთხუცესისშვილი**) **ბარამ** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი]: ფირან ჩოლაყაშვილისა, იხ; ოთარ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი ბიძინა** – [1623], 1638-[1656] წწ. ს უ ფ რ ა ჩ ი (1638-1651 წწ. ქრ. II. 453. 1448-1501, 1450-48/109), ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი ([1656 წ.] Hd-14665). ჰყავს: ძ მ ა ჯამასპ (1638 წ. ქრ. II. 453), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი თამაზ, რომელსაც გაყრია (1648 წ. 1448-1501). პ ი რ ო ბ ა დ ა უ დ ო კათალიკოს ქრისტეფორეს, რომ იგი შვიდზე მეტი მსახურით არ შეეიდოდა სვეტიცხოვლის კუთვნილ საგარეჯოს მამულებში: პატარძეულში, ბერთუბანში, თვალში, გიორგიწმინდაში; შეჰპირდა აგრეთვე, რომ კათალიკოსის დაუკითხავად საეკლესიო მამულების საქმეებში არ ჩაერეოდა (1638 წ. ქრ. II. 453), მ ი ს ი და ჯამასპის მამულებში უჯარმასა და გავაზში თეიმურაზ მეფემ წილი დაუდო თამაზ ჩოლაყაშვილს (1648 წ. 1448-1501); მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო: შანშე ერისთავსა და იოთამ ამილახორს შორის სამამულე დავის გარიგებაში ([1623-1632 წწ.] Hd-14669), კისისხეველთა და ხოდაშნელთა შორის სამამულე დავის გარიგებაში, მ ო წ მ ე ა ამ საბუთისა (1654 წ. I. 2. Hd-8389), მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ დ ა აგრეთვე თაყა, ბირთველ, მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილების გაყრაში ([1656 წ.] Hd-14665); მ ო წ მ ე: გიორგი ამირეჯიბის მიერ ლუარსაბ მაყაშვილისათვის მიცემული ყმების ნაჩუქრობის წიგნისა (1651 წ. 1450-48/109), წინოწმინდელთა და თვალელთა შორის სამამულე დავის გარიგების წიგნისა (1651 წ. V. 29. 1449-2657), რამაზ ფარლუზათაშვილის მიერ მამისიმედ ენაგელაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ. Qd-16), პაპუნა ელიაშვილის მიერ თბილისის სიონისათვის მიცემული თავშეწირულობის წიგნისა (1656 წ. 1449-1812).

**ჩოლაყაშვილი გარსევან** – XVII ს. II ნახ. [ძ მ ი ს წ უ ლ ი]: ფირან ჩოლაყაშვილისა, იხ. მამუკა ბატონიშვილმა მ ა ს მისცა მფარველობის პირობის წიგნი ([1667-1691 წწ.] Hd-9514), დემეტრე ჯორჯაძესთან ერთად არსენ ალავერდელს მისცა ე რ თ გ უ ლ ე ბ ი ს პ ი რ ო ბ ა (XVII ს. II ნახ. 1461-3/83).

**ჩოლაყაშვილი გარსევან** – თიანეთის მოურავი. ნაზარალიხანმა მ ა ს და სუფრაჩ რამაზ [ჩოლაყაშვილს] უბრძანა, რომ ფარემუზ გურამიშვილის შვილებისათვის: ზაალის, ქაიხოსროს და ავთანდილისათვის დაებრუნებინათ მათი ნათესავების მიერ წართმეული ყმა-მამული და შემდეგ ზაალ გურამიშვილი ნათესავებთან შეერიგებინათ ([1688-1703 წწ.] 1450-28/132).

**ჩოლაყაშვილი გარსევან** – მ ო წ მ ე ციცი ციციშვილის მიერ ფარსადან ესიტაშვილისათვის მიცემული ყმის დანებების წიგნისა (XVII ს. დამლევი. Hd-1911).

**[ჩოლაყაშვილი] გივი** – ძ მ ა რევაზ [ჩოლაყაშვილისა], იხ. [ბ ი ძ ა] ოთარ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი გიორგი** (ვარ. **გოგინა**) – ძ მ ა შანშე ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი გიორგი** – შ ვ ი ლ ი თამაზ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი გიორგი** – შ ვ ი ლ ი როშაქ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი გიორგი** – [ძ მ ა] ფარემუზ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი** (ვარ. სახლთხუცისშვილი) **გიორგი** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ფირან ჩოლაყაშვილისა, იხ. შ ვ ი ლ ი რევაზ ჩოლაყაშვილისა, იხ., ძ მ ა ოთარ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი გიორგი** – შ ვ ი ლ ი მამუკა ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი გოგინა** – ძ მ ა შანშე ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი გოშფარ** – 1568-1593 წწ. ჭიაურის მ ო უ რ ა ვ ი (1593 წ. Hd-2092), [ძ მ ა] ანდერმან ჩოლაყაშვილისა, იხ. მ ა ს ჭიაურელები ძალმომრეობით შეუწუხებია ულუფის საქმეზე. ჭიაურელებს აღუძრავთ სარჩელი ალექსანდრე მეფესთან, რის გამოც ალექსანდრე მეფემ დაადგინა ჭიაურის მოურავის სარგო (1593 წ. Hd-2092).

**ჩოლაყაშვილი გოშფარ** – შ ვ ი ლ ი შანშე ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი გრიგოლ** – 1670-1688 წწ. ა მ ბ ა - ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი. შ ვ ი ლ ი სახლთუხუცეს რევაზ ჩოლაყაშვილისა (1670 წ. 1448-636); ძ მ ა სახლთუხუცეს ოთარ [ჩოლაყაშვილისა] ([1685-1700 წწ.] 1449-1854). ბოდბელ კირილე [კოზმანაშვილს], მის რძალს, ბატონ თემურზაყან ჩოლაყაშვილის დას მარიამს და მის შვილებს უწყალობა ხორხელში ყოვლადწმინდის საყდარი ბჭითა და სასაფლაოთი, იმ პირობით, რომ სანამ კოზმანაშვილი ცოცხალი იქნებოდა, ეს ქონება მ ა ს ექნებოდა, ხოლო კოზმანაშვილის სიკვდილის შემდეგ მარიამის შვილებს დარჩებოდათ. უ წ ყ ა ლ ო ბ ა აგრეთვე ყმა-მამული: ერთი კომლი თევდორაშვილი სულხანა მამულით, 59 წლის წინათ მიტოვებული ორი ნაოხარი – შანიშვილის ნასახლარი; აწყვერში – თაყინიშვილის ნასახლარი; ოჟიოში – ასიტაშვილის ნაქონი ადგილი და, რაც ბეითალმანი მამული იყო; ჴორჴელში – თაგვინაურისაგან ყოვლადწმინდის საყდრისათვის ადრე შეწირული ერთი კომლის ნაოხარი ადგილი, რომელიც 40 წლის წინათ აოხრებულა და ევალებოდა საყდრის სამსახური მარიამობა დღეს (1670 წ. 1448-636); ერთგულების პირობა მისცა კათალიკოს იოანე დიასამიძეს (1688 წ. ქრ. II. 507); ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა სახლთუხუცეს ოთარ [ჩოლაყაშვილის] მიერ ნიკოლოზ ალავერდელისათვის მიცემულ საბუთში ყმა-მამულზე უდავობის შესახებ: ოთარს დაუნებებია ნიკოლოზ ალავერდელისათვის გრიგოლ ალავერდელის ნაქონი მამული ენგიანში ([1685-1700 წწ.] 1449-1854).

**ჩოლაყაშვილი გურასპ** – [ძ მ ა] ზაალ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი დემეტრე** – (1676-1694 წწ.)ბ ო ქ ა უ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი (1694 წ. 1448-57). ძ მ ა ფარემუზ ჩოლაყაშვილისა, იხ. ქართლ-კახეთის დიდ მოხელეებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ნაზარალიხანის მიერ მოწვეულ ბჭობაში გივი და ფარემუზ გურამიშვილების ყმა-მამულის გურამ გურამიშვილისათვის გადაცემის თაობაზე (1694 წ. VI. 4. 1448-57).

**ჩოლაყაშვილი დურმიშხან** – 1648-1696 წწ. ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი (1693-1696 წწ. Qd-6719, 1448-57, Hd-11830, 1449-754, 1448-1469). შ ვ ი ლ ი თამაზ ჩოლაყაშ-

ვილისა, იხ., ძმა მამუკა ჩოლაყაშვილისა, იხ. ქართლ-კახეთის დიდმოხელეებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ნაზარალიხანის მიერ მოწვეულ ბჭობაში გივი და ფარემუზ გურამიშვილების ყმა-მამულის გურამ გურამიშვილისათვის გადაცემის თაობაზე (1694 წ. VI. 4. 1448-57); მონაწილეობდა აგრეთვე ბებურ, უზებარ და ქაიხოსრო [ვაჩნაძეებს] შორის ყმების გაყოფაში (1692 წ. Hd-10170), ნაზარალიხანის ბრძანებით, მდივან ზურაბ [თუმანიშვილთან] ერთად ჩასულა გარეჯის მამულებში იქაური ყმებისათვის საურის გამორთმევის კანონიერების შესამოწმებლად. რადგან ლეკთა თავდასხმების გამო დავითგარეჯის გუჯრები დალუპულიყო, მან და ზურაბმა მახსოვარი კაცები შეჰყარეს და გამოარკვიეს, რომ დავითგარეჯის ყმებს არც საური და არც სხვა სამეფო ბეგარა არ ევალებოდათ (1696 წ. 1448-1469). მისი ბეჭედი უზის საბუთებს (Hd-10170, 1448-1469. Hd-11830).

**ჩოლაყაშვილი ედიშერ** – [შვილი] მამუკა ჩოლაყაშვილისა, იხ.

**[ჩოლაყაშვილი] (ვარ. სახლთხუცისშვილი) ედიშერ** – ამბა-ალავერდელ ნიკოლოზ ჩოლაყაშვილთან, ყორჩიბაშ ზაალ ენდრონიკაშვილთან, ქიზიყის მოურავ რევაზ [ენდრონიკაშვილთან] და პაატა ენდრონიკაშვილთან ერთად გაარიგა კაკაბელთა და შიბლიანელთა სამამულე დავა (1700 წ. Ad-574). მისი ბეჭედი უზის ანა დედოფლის მიერ გარეჯის უდაბნოსათვის მიცემულ სარგოს წიგნს ([1692-1703 წწ.] Ad-76).

**ჩოლაყაშვილი (ვარ. სულხანისშვილი) ელიზბარ** – ძმა ბოდბელ მაქსიმე ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი ელისბარ** – ჰყავს ძმები: ანდერმან, იოთამ, ფარსადან. ფარსადანთან ერთად ეყრება ანდერმანსა და იოთამს. იღებს საუმცროსოს და მამულის მესამედ წილს. რევაზის ყმისაგან მას მიწა შეუძენია და ნისქვილთან ერთად შეუწირავს საყდრისათვის თავის სააღაპედ (1574-1605 წწ. Hd-13903).

**ჩოლაყაშვილი ზაალ** – მოწმე კათალიკოს აბალაკის მიერ სვეტიცხოვლის კახური მამულების საზღვრებთან დაკავშირებით შედგენილი საბუთისა ([1492-1497 წწ.] 1448-2041).

**ჩოლოყასშვილი (ვარ. სულხანისშვილი) ზაალ** – XVI ს. II ნახ. ჭიაურთ მოურავი (1566 წ. 1449-2285), ძმა ბოდბელ მაქსიმე ჩოლოყაშვილისა, იხ. ჰყავს [ძმები]: გურასპ, ყანდურალ და ანდერმან ([1514-1578 წწ. 1449-248). ედავებოდა თავის [ძმებს] იმის გამო, რომ მათ თავიანთთვის ბასილის უბანი უშოვიათ, მისთვის კი ბატონისაგან დაპირებული სამოცი კომლი დაუკარგავთ. მისი შვილები იყვნენ: ანდერმან, იოთამ, ფარსადან და ელისბარ, რომლებიც გაყრილა (1574-1605 წწ. Hd-13903). მოსამართლეთა გადაწყვეტილებით, თუ ყანდურალი და დანარჩენი [ძმები] დაიფიცებდნენ, ბასილის-უბანი მათ უწილოდ დარჩებოდათ, თუ ვერ დაიფიცებდნენ, ზაალს საუფროსო წილი და ბასილის უბანიც რჩებოდა. დანარჩენი მამული ოთხ წილად უნდა გაყოფილიყო ([1520-1574 წწ.] 1449-248).

**ჩოლაყაშვილი ზაალ** – [შ ვ ი ლ ი] მამუკა ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი ზურაბ** – შ ვ ი ლ ი როშაქ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი ზურაბ** – ძ მ ა რევაზ ჩოლაყაშვილისა, იხ. [ბ ი ძ ა] ოთარ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი თამაზ** – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის ბოძებული ყმა-მამულის შეწირულობის განახლების წიგნისა (1579 წ. Sd-464).

**ჩოლაყაშვილი თამაზ** (ვარ. თამაზა) – 1638-1648 წწ. ჰყავს ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ე ბ ი: ბიძინა ჩოლაყაშვილი (1638 წ. ქრ. II. 453), [ძ მ ა] ქაიხოსრო (1643 წ. 1448-3263), შ ვ ი ლ ე ბ ი: მამუკა, დურმიშხან, გიორგი (1648 წ. 1448-1501). თეიმურაზ მეფემ უწყალობა მ ა ს ქორეთში მდებარე ლომსიასშვილის ნაქონი მამული (1643 წ. 1448-3263); მ ო წ მ ე ბიძინა ჩოლაყაშვილის მიერ კათალიკოს ქრისტეფორესათვის მიცემული პირობის წიგნისა სვეტიცხოვლის სამამულო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ (1638 წ. ქრ. II. 453); თეიმურაზ მეფე მ ა ს შეჰპირდა წილის მიცემას ბიძინა და ჯამასპ ჩოლაყაშვილებისათვის უჯარმასა და გავაზში ნაწყალობევი მამულებიდან (1648 წ. 1448-1501).

**[ჩოლაყაშვილი] თამარ** – იხ. თამარ, ჩოლაყაშვილის ასული.

**ჩოლაყაშვილი თემურყაზან** – მ ი ს ი და მარიამი იყო ბოდბელ კირილე კოზმანაშვილის რძალი (1670 წ. 1448-636).

**ჩოლაყასშვილი იოვანე** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ბოდბელ მაქსიმე ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი იოთამ** – [ძ მ ა] ანდერმან ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყასშვილი იორამ** – მ ა მ ა ქაიხოსრო ჩოლაყასშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი მამუკა** – 1648-1694, [1703] წწ. თუშთ მ ო უ რ ა ვ ი [1688]-1694 წწ. 1448-3113, Qd-6719, 1449-754, 1448-57), შ ვ ი ლ ი თამაზ ჩოლაყაშვილისა, იხ. ჰყავს [ძ მ ა] ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი დურმიშხან (1693, 1695 წწ. Qd-6719, 1449-754), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ფარემუზ ([1688-1695 წწ.] 1448-2240), [შ ვ ი ლ ე ბ ი]: ზაალ, ედიშერ, საზვერელ, გიორგი (1693, 1695 წწ. Qd-6719, 1449-754). ერეკლე მეფემ მ ა ს თუშეთში სამსახურისათვის უწყალობა მ ი ს ი ბიძაშვილის, ფარემუზის მამულის ნახევარი ([1688-1695 წწ.] 1448-2240), კახეთის ბატონმა და ყარაბახის ბეგლარბეგმა აბაზყულ-ხანმა მ ა ს უწყალობა სოფელი კაკაბეთი, რამაზიანი, ალვანი და ბოდის არხი – გალმა-გამოღმა, ისევე, როგორც ეს გორჯასპს და დათუნა ერისთვისშვილს ჰქონიათ (1693 წ. VII. 5. Qd-6719). ასეთივე შინაარსისაა სხვა საბუთი (1695 წ. II. 1. 1449-754). ი გ ი ქართლ-კახეთის სხვა დიდ მოხელეებთან ერთად დაესწრო ნაზარალიხანის მიერ მოწვეულ ბჭობას მისი ორგული გივი და ფარემუზ გურამიშვილების მამულების გურამ გურამიშვილისათვის გადაცემის თაობაზე (1694 წ. VI. 4. 1448-57); ნაზარალიხანის ბრძანებით, მას თუშეთის საკომლო ცხვრიდან ამბა-ალავერდელისათვის ყოველწლიურად უნდა მიერთმია 50 სული ცხვარი ([1688-1703 წწ.] 1448-3113).

**ჩოლაყაშვილი მამუკა** – შ ვ ი ლ ი პაატა ჩოლაყაშვილისა, ერეკლე მეფემ მ ა ს უწყალობა ანეშში ოთხი კომლი კაცი ოდიშელიძე და ლაფანაშვილები, ხორაუგს – ხუცესი ძამსია, სახელოდ – საყდრის ყმები ([1688-1695 წწ.] 1449-1849).

**ჩოლაყაშვილი მაქსიმე** – [1562]-[1584] წწ. ბ ო დ ბ ე ლ ი//ქ ი ს ი ყ ი ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი. ჰყავს ძ მ ე ბ ი: ჭიაურთ მოურავი ზაალ, ელიზბარ (1566 წ. 1449-2285), სარჯასტან, ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: იოვანე, ფარსადან, სულხან//სურხან (1566, 1568 წწ. 1449-2285, 1448-2384), ლეონ მეფემ მ ა ს უწყალობა ჭიაური დათვის უბნით და ოცდაათი კომლი კაცი: ნასყიდა, ჩიტა, მერაბა, ყაფლანა, ბასილა, გოგა, გამხა, ხუცა, გულიჯანა, რანდა, მერაბა, სულხანა, გულისმედა, რანდა, ყურუმშა, გარსა, მთავარა, ბია, ოქროპირი, გარსა, გულბათა, იამანა და ახანელი (1566 წ. I. 19. 1449-2285); მანვე დაუმტკიცა საბუეში ნასყიდი მაყაანთ ყმები: ბოცოსეული კომლები: გოგიჩა, ირემა, ქაიხოსროსეული ხურსია და ზალა, ზაალისეული დათუა, მამუკასეული ლუიტური მხთისია, მინაზარისეული ოსიკა, გივისეული ბასილა და ტეტიკა, შალვასეული ზურაბა და მამულა, დათუა და კურდღელა, ბარძიმისეული იმარინდო (1568 წ. 1450-32/306), თეიმურაზ ბატონიშვილმაც მ ა ს დაუმტკიცა საბუეეში იმავე მაყაანთ ყმების წყალობა (1568 წ. 1448-2384); ზაქარია ამბა-ალავერდელთან, სილოვანე ნინოწმინდელთან, ფილიპე კანარელთან, კლიმე ნეკრესელთან, ეგნატე ჭერემელთან და ელისე ხარჭაშნელთან ერთად ნიკოლოზ კათალიკოსს ერთგულების პ ი რ ო ბ ა მ ი ს ც ა რჯულის საქმეში (1562-1584 წწ.] Ad-64).

**ჩოლაყაშვილი ნიკოლოზ** – მ ო ძ ღ ვ ა რ ი. დ ა მ წ ე რ ი თეიმურაზ მეფის მიერ მეტეხის ღმრთისმშობლისათვის ბოძებული შენირულების წიგნისა (1614 წ. ქრ. II. 440).

**ჩოლაყაშვილი ნიკოლოზ** – [1675]-1700 წწ. ა რ ქ ი დ ი ა კ ო ნ ი ([1675-1688 წწ.] 1448-555), რ უ ს თ ვ ე ლ ი (1690, 1694 წწ. Ad-349, 1448-57), ა მ ბ ა - ა ლ ა - ვ ე რ დ ე ლ ი [1695]-[1700] წწ. Ad-74, 1449: 1835, 2686, 1448-1469, Hd: 5187, 1638. Ad-574), ქუცნა სულხანიშვილს, რომელიც კახეთში ლეკების თავდასხმის გამო ქსნის ერისთავთან გახიზნულა, უ წ ყ ა ლ ო ბ ა ხუცესი გამხუტაშვილი და მისი განაყოფი მამულებით ([1695-1700 წწ.] Hd-1638); კათალიკოს იოანე დიასამიძეს მისცა ე რ თ გ უ ლ ე ბ ი ს პ ი რ ო ბ ა რჯულის საქმეში თანადგომის შესახებ ([1695-1700 წწ.] Ad-74); იყო შ უ ა მ დ გ ო მ ე ლ ი ერეკლე მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის შენირულებათა განახლების საქმეში (1695 წ. 1449-2686); სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ხანის წინაშე დაადასტურა, რომ დავითგარეჯის ყმები გათავისუფლებულნი იყვნენ საურისა და სხვა ბეგარისაგან და ევალებოდათ მხოლოდ წმინდა დავითის საფლავის სამსახური (1696 წ. 1448-1465); მ ო წ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო: ფირან და ოთარ [ჩოლაყაშვილების] და [ჩოლაყაშვილ]-როშაქიშვილების სამამულე დავის გარჩევაში ([1695-1700 წწ.] Hd-5187), ქართლ-კახეთის დიდმოხელეებთან ერთად – ნაზარალიხანის მიერ

მონვეულ ბჭობაში გივი და ფარემუზ გურამიშვილების ყმა-მამულიდან გურამ გურამიშვილისათვის წილის მიცემის თაობაზე (1694 წ. VI. 4. 1448-57); ქიზიყის მოურავ რევაზ [ენდრონიკაშვილთან], ყორჩიბაშ ზაალ ენდრონიკაშვილთან, პაატა ენდრონიკაშვილთან და სახლთუხუცესისშვილ ედიშერ [ჩოლოყაშვილთან] ერთად გაარიგა კაკაბელთა და შიბლიანელთა სამამულე დავა (1700 წ. XI. 15. Ad-574); *დამწერი* ერეკლე მეფის მიერ პეტრე მგალობლიშვილისათვის მიცემული მდივნობის წყალობის წიგნისა ([1675-1688 წწ.] 1448-555); *იხსენიება* ნიკოლოზ სამებელის მიერ გარეჯის იოანე ნათლისმცემლისათვის მიცემულ შენირულების წიგნში: ნიკოლოზ სამებელზე ადრე *იგი* ყოფილა სამებელი და დახმარებია გარეჯის უდაბნოს დაკარგული მამულებისა და შენირულებების აღდგენაში ([1695-1700 წწ.] 1449-1835). *მისი* ხელრთვა აქვს საბუთებს: Ad-349, Hd-1638, Ad-74, 1448-1469, Hd-5499.

**ჩოლაყაშვილი** (ვარ. **სახლთხუცესისშვილი**) **ოთარ** – [1685]-[1703] წწ. *სახლთუხუცესი* ([1685-1700 წწ.] 1449-1854). *შვილი* სახლთუხუცეს რევაზ ჩოლაყაშვილისა, იხ., ჰყავს *ძმები*: გრიგოლ ალავერდელი ([1685-1700 წწ.] 1449-1854), გიორგი, გივი, შარმაზან, ბარამ (1696 წ. Hd-1856), *შვილი* სარიდან ([1685-1700 წწ.] 1449-1854), [*ბიძაშვილი*] რამაზ, ქაიხოსრო, *ბიძა* ზურაბ (1696 წ. Hd-1856), [*სახლიკაცი*] ფირან ჩოლაყაშვილი იხ. *მისცა პირობა* ქაჩალაურში დასახლებულებს, რომ ხუთი წლის განმავლობაში მათ თარხნობას მიანიჭებდა. დაადგინა ქაჩალაურის მოურავად ასათაშვილები და გაუჩინა მათ სარგო (1696 წ. Hd-1856); *ედავებოდა* ალავერდელ ნიკოლოზ [ენდრონიკაშვილს] ალავერდის საყდრის კუთენილ მამულებზე ენგიანში. დავის გარჩევის დროს მან ეს მამულები ვერ გამოიფიცა და უკლებლივ ყველა დათმო ([1685-1700 წწ.] 1449-1854).

**ჩოლაყაშვილი პაატა** – *მამა* მამუკა [ჩოლაყაშვილისა] იხ. ნაზარალიხანმა *მას* სამოურავეოდ უნყალობა ერწო და ბინშენი ([1662-1687 წწ.] 1448-280).

**ჩოლაყაშვილი პაატა** – *შვილი* როშაქ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი პაპუა** – 1626-1680-იანი წწ. *შვილი* შანშე ჩოლაყაშვილისა, იხ., *ძმა* როშაქ ჩოლაყაშვილისა, იხ. *მიჰყიდა* ოხიაყორჩ როსებს დაკუკაური მამული ([1670 წ.] Ad-1280).

**ჩოლაყაშვილი რამაზ** (ვარ. **რამაზა**) – *ძმისწული* რევაზ ჩოლაყაშვილისა, იხ., [*ბიძაშვილი*] ოთარ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**[ჩოლაყაშვილი] რამაზ** – *სუფრაჩი*. *მას* და თიანეთის მოურავ გარსევან [ჩოლაყაშვილს] ნაზარალიხანმა უბრძანა, რომ დაებრუნებინათ ფარემუზ გურამიშვილის შვილებისათვის – ზაალ, ქაიხოსრო და ავთანდილის ნათესავებისაგან წართმეული ყმა-მამული და ზაალი ნათესავებთან შეერიგებინა ([1688-1703 წწ.] 1450-28/132).

**ჩოლაყაშვილი რევაზ** – *მოწმე* ალექსანდრე მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული ყმა-მამულის შენირულობის განახლების წიგნისა (1579 წ. Sd-464).

**ჩოლაყაშვილი რევაზ** – [1623]-1648 წწ. სახლთუხუცესი. განაყოფი შანშე ჩოლაყაშვილისა (1648 წ. Hd-14428). მას მიუსაკუთრებია შანშე ჩოლაყაშვილის მკვიდრი მამული ჩეკურში, რომელიც როსტომ მეფემ ისევ შანშე ჩოლაყაშვილს დაუბრუნა (1648 წ. Hd-14428); მონაწილეობა მიიღო თეიმურაზ მეფესთან ერთად შანშე ერისთავისა და იოთამ ამილახორის სამამულე დავის გარიგებაში ([1623-1632 წწ.] Hd-14669); იგი მოუკლავთ თიანეთში როსტომისა და თეიმურაზის მომხრეთა შეტაკების დროს (1648 წ. ქრ. 461-464); მარიამ დედოფალმა ავალ ავალიშვილს უწყალობა მისი ნაქონი ყმები კასისხევში (1653 წ. XII. 8. Hd-14500).

**ჩოლოყაშვილი რევაზ** – 1670-[1703] წწ. სახლთუხუცესი. ჰყავს ძმები: სარიდან (1690 წ. Hd-10921), გივი, ზურაბ ([1688], 1690-[1703] წწ. Hd: 1253, 10921), შვილები: ოთარ [1690-იანი წწ. Hd: 1253, 10921, 15052), ამბა-ალავერდელი გრიგოლ (1670 წ. 1448-636), ქაიხოსრო, გიორგი (1690 წ. Hd-10921), ძმისწული რამაზა ([1688-1703 წწ.] Hd-1253), გაყრილი [სახლიკაცები]: ფირან, ფარსადან (1700 წ. 1448-1505). ერეკლე მეფის ელჩად მსახურობდა ისპაჰანში 12 წლის მანძილზე. ამ სამსახურის გამო ერეკლე მეფემ მას დაუმტკიცა სახლთუხუცესობა და მამულები თიანეთში, ერწოში, კისისხევში, ფადარსა და ენგიანში ([1688-1703 წწ.] Hd-1253); მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს მან დაუმტკიცა ყმა-მამული უჯარმაში, სიონსა და ხორუგში; განუახლა აგრეთვე უჯარმის მოურავობა და უწყალობა უზუნქ[ა]ნთის და ალაზნის მოურავობა (1690 წ. Hd-10921); შაჰვერდა ნაცვლიშვილს მან უწყალობა უჯარმაში გუგუნაური მამული (1690-იანი წ. ახლო. Hd-15052); გაყრია თავის სახლიკაცებს – ფირან და ფარსადან ჩოლაყაშვილებს, მაგრამ მათთვის კანონიერად კუთვნილი სოფლები არ მიუცია, არც საქმის გარჩევაში მონაწილეობაზე დათანხმებულა. ნაზარალიხანმა რევაზს და მის ძმებს მთის სოფლები ჩამოაჭრა და ფირანს და ფარსადანს მიაკუთვნა (1700 წ. 1448-1505); ნაზარალიხანმა მას გაატანა თავისი ბრძანება ურბნელთან მდივან გივი [თუმანიშვილისათვის] წართმეული საქონლის დაბრუნების შესახებ ([1688-1703 წწ.] Hd-14195); მან დაადასტურა, რომ ჯალდამი და ლორისთავი ვახტანგ ორბელიშვილის შვილების კანონიერი საკუთრება იყო (XVII ს. დამლ. Hd-5499). მისი ბეჭედი უზის საბუთს Hd-10921.

**ჩოლაყაშვილი როშაქ** – ძმა ანდერმან ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი როშაქ** – 1626-[1703] წწ. შვილი შანშე ჩოლაყაშვილისა, იხ. ჰყავს ძმები: ანდერმან, იხ. (1665-1686 წწ. Hd-2244), S-3728, 163 r-v, 167 v), პაპუა ([1688-1703 წწ.] S-3728, 167 v, შვილები: ქაიხოსრო (1665-[1703] წწ. Hd: 2244, 2286, S-3728, 163 r-v, 167 v, გიორგი (1665 წ. Hd-2244), პაატა ([1685]-[1703] წწ. Hd-2286, S-3728, 163 r-v, Sd-2831, S-3728, 167 v), ზურაბ ([1685]-1686 წწ. Hd-2286, S-3728, 163 r-v). შაჰნაზარმა (არჩილმა)მას უწყალობა წინუბანში მცხოვრები თუში მახო და ხუტა ბალთურები, შილდაში – ცეცხლისშვილი, ტურიკასშვილი,

გოგიასშვილი, ხაშმში – სასახლე, კოშკი, ზვარი, შაშიასშვილი, ბედიანასშვილე-ბი გოგია და ბერიკა (1665 წ. Hd-2244); გიორგი მეფემ მ ა ს მისცა წყალობისა და მფარველობის პირობის წიგნი ([1678-1688 წწ.] Hd-2159), ერეკლე მეფემ მ ა ს უწყალობა ფარემუზ [ჩოლაყაშვილის] ნაქონი ერთი საკომლო შილდაში ([1688-1703 წწ.] S-3728, 167 v), გიორგი მეფემ უწყალობა კონდოლში კახაბრისშვილ გორჯასპის კერძი ყმა-მამული (1688 წ. Sd-2831); გიორგი მეფემ უწყალობა მ ა ს კარდენახი და აფხაზის მამული, სამოურავოდ – ბაიამათლუ, „მუსტაფასა" და ყარაგუნასობა (1685-1694 წწ. Hd-2286), ყარაბაღის ბეგლარბეგმა და კახეთის ბატონმა ქალბალი-ხანმა მ ა ს უწყალობა ჩუმლაყში ხუთი კომლი შალვასშ-ვილები, ამონანისშვილი, ნუკრაძისშვილი, ყოჩისშვილები – მამუკა და ბადრია (1686 წ. S-3728, 163 r-v).

**[ჩოლაყაშვილ]-როშაქიშვილები** – სამამულე დავა ჰქონდათ ფირან და ოთარ [ჩოლაყაშვილებთან] (XVII-XVIII სს. მიჯნა. Hd-5187).

**ჩოლაყაშვილი საზვერელ** – [მ ვ ი ლ ი] მამუკა ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი სარიდან** – ძ მ ა რევაზ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლოყასშვილი** (ვარ. **სულხანისშვილი**) **სარჯასტან** – ძ მ ა ბოდბელ მაქსიმე ჩოლოყასშვილისა, იხ.

**ჩოლოყასშვილი** (ვარ. **სულხანისშვილი**) **სულხან** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ბოდ-ბელ მაქსიმე ჩოლოყასშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი ფარემუზ** – 1662-1699 წწ. ს უ ფ რ ა ჯ ი (1662-1699 წწ. Hd-1925, 1461-13/30, Hd-7851, 1449-1830). ჰყავს ძ მ ე ბ ი: გიორგი, დემეტრე (1676 წ. 1461-13/30), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი მამუკა ჩოლაყაშვილი ([1688-1695 წწ.] 1449-2240). თეიმურაზ მეფეს მ ი ს თ ვ ი ს უწყალობებია მოურავ თამაზ [ვაჩნაძისეული] მამული გავაზში. შემდეგ ორგულობისათვის ერეკლე ბატონიშვილმა ეს მამუ-ლი ჩამოართვა და რამაზ ვაჩნაძე-ბებურისშვილს მისცა (1662 წ. Hd-1925); ერ-ეკლე მეფემ მ ი ს ი მამული უწყალობა მამუკა ჩოლაყაშვილს ([1688-1695 წწ.] 1449-2240); მ ი ს ი ნაქონი მამული შილდაში ერეკლე მეფემ უწყალობა როშაქ ჩოლაყაშვილს ([1675-1688 წწ.] S-3728, 167 v); ყორჩიბაშ ზურაბ ენდრონიკაშ-ვილთან ზაალ ერისთავის დროს მ ა ს ჩხუბი მოსვლია, რის გამოც სისხლის ფასი დასდებია, ამ ვალის საფასურში ზურაბ ენდრონიკაშვილს მისცა თეიმუ-რაზ მეფისაგან ნაწყალობევი ხუთი კომლი გავაზში (1676 წ. 1461-13/30); თან ხლებია ნაზარალიხანს ისპაჰანში. ნაზარალიხანის ბრძანებით, მიუცია გრა-ტიაშვილ დათუნასათვის საბუთი გარეჯის მონასტრის კუთვნილი ვენახების ბოძების თაობაზე (1699 წ. 1449-1830); მ ო წ მ ე პეტრე ქურხულის მიერ თავის ბიძაშვილ დავითისათვის მიცემული პირობის წიგნისა კეთილმოყვრობის შეს-ახებ (1681 წ. XII. 20. Hd-7851).

**ჩოლაყაშვილი ფარსადან** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ბოდბელ მაქსიმე ჩოლაყაშ-ვილისა, იხ. ელისბართან ერთად გ ა ე ყ ა რ ა თავის ძმებს, – ანდერმანს და იოთამს ([1574-1605 წწ]. Hd-13903).

**ჩოლაყაშვილი ფარსადან** – 1689-1700 წწ. მ უ რ დ ა რ ი (1689-1700 წწ. Hd-9690, 1448-1505), მ ე ი თ ა რ ი (1689-1700 წწ. Hd-9690, Sd-2301); ბ ი ძ ა ფირან ჩოლაყაშვილისა, იხ. სასამართლო სხდომაზე მ ა ნ დაადასტურა, რომ ჯალდამი და ღორისთავი მდივანბეგ ვახტანგ ბარათაშვილის შვილების დედული მამულები იყო (1700 წ. Sd-2301).

**ჩოლაყაშვილი ფილიპე** – „სახლთხუცის ძე". ოთარ ჩოლაყაშვილის შ ვ ი ლ ი, იხ. დ ა მ წ ე რ ი ოთარ ჩოლაყაშვილის მიერ ქაჩალაურში დასახლებული გლეხებისათვის მიცემული თარხნობის პირობის წიგნისა (1696 წ. Hd-1856).

**ჩოლაყაშვილი ფირან** – [1688]-1700 წწ. ქალაქის მ ო უ რ ა ვ ი [1688], 1694-1700 წწ. 1450-28/132, 1448-57, 1450-48/3, Hd-13684, Sd-482, Sd-56, 1448-1505, Sd-2301, 1450-6/173, Hd-5187). ჰყავს ბ ი ძ ე ბ ი: ფარსადან (1689, 1700 წწ. Hd-9690, 1448-150), რევაზ (1700 წ. 1448-1505), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ოთარ (XVII-XVIII სს. მიჯნა. Hd-5187), ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: გარსევან, ქაიხოსრო//ხოსია, გიორგი, შერმაზან (1689, 1700 წწ. Hd-9690, 1448-1505), ბარამ (1689 წ. Hd-9690). მ ა ს უწყალობა ნაზარალიხანმა ამოვარდნილი პაატა გოგიბაშვილის ნაქონი სადგური (1689 წ. Hd-9690); დ ა ა მ ტ კ ი ც ა ნაზარალიხანის მიერ გასპარა აღზამანაშვილისათვის მიცემული მამულის დაბრუნების წიგნი (1696 წ. VI. 22. 1450-48/3); ჰქონდა ს ა მ ა მ უ ლ ე დ ა ვ ა [ჩოლაყაშვილ]-როშაქიშვილებთან (XVII-XVIII სს. მიჯნა. Hd-5187); მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო ბჭობაში ნაზარალიხანის ორგული გივი და ფარემუზ გურამიშვილების მამულიდან გურამ გურამიშვილისათვის წილის მიცემის შესახებ (1694 წ. VI. 4. 1448-57), ნაზარალიხანს მ ი ს თ ვ ი ს უბრძანებია გაერიგებინა გურამიშვილ ფარემუზის შვილების და მათი განაყოფების დავა, – აღნიშნულია ნაზარალიხანის ბრძანებაში გარსევან ჩოლაყაშვილისა და რამაზ სუფრაჩისადმი ([1688-1703 წწ.] 1450-28/132); მ ო წ მ ე: ბეჟანის მიერ ზაალ დოლენჯისშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. VI. 1. Hd-13684), ყალანდარ თუმანიშვილის მიერ სარქისა ხითარიშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა თამასუქის გაბათილების შესახებ (1696 წ. VI. 28. Sd-482), მნიშაკაანთ-გულინაშვილ მიქელის მიერ გივი თუმანიშვილისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. XI. 20. Sd-56); სასამართლოზე დაადასტურა, რომ ჯალდამი და ღორისთავი ვახტანგ ორბელიშვილ-ბარათაშვილის ცოლ-ყოფილ თამარის ნამზითვით იყო ნაყიდი და მის შვილებს ეკუთვნოდა (1700 წ. Sd-2301); მ ა ს თ ა ნ იჩივლეს ბალდინა ამირჯანასშვილმა და არაქელამ ქეთხუდების ბალის გამო (1698 წ. VII. 1. 1450-6/173).

**ჩოლაყაშვილი ქაიხოსრო** – ს უ ფ რ ა ჩ ი. შ ვ ი ლ ი იორამ ჩოლაყაშვილისა, იხ. ღარიბობის დროს გადმოვიდა იმერეთიდან და ეახლა მეფე თეიმურაზს, რომელმაც ი გ ი თავის შვილიშვილს რუსეთში ელჩად გააყოლა. ამ სამსახურის გამო მეფემ მ ა ს უწყალობა ალავერდელის და მისი ძმის ავალ [ავალიშვილის] ნაქონი მამული უჯარმაში და აგრეთვე უტოს მამული (1641-1648 წწ. Hd-14674).

**ჩოლაყაშვილი ქაიხოსრო** – [ძ მ ა] თამაზ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი ქაიხოსრო** – შ ვ ი ლ ი როშაქ ჩოლაყაშვილისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი ანდერმან ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი ქაიხოსრო** – [შ ვ ი ლ ი] რევაზ ჩოლაყაშვილისა, იხ., ძ მ ა ოთარ ჩოლაყაშვილისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი ფირან ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი ყანდურალ** – [ძ მ ა] ზაალ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი შანშე** – 1626-1656 წწ. ჭიაურთ მოურავი (1626-1656 წწ. 1448-5138, 1450-32/304, Hd: 14428, 14672), ჰყავს ძ მ ა გიორგი//გოგინა (1626, 1630 წწ. 1448-5138, Hd-14482), შ ვ ი ლ ე ბ ი: გოშფარ (1642 წ. Hd-2197), როშაქ (1626-1656 წწ. 1448-5138, Hd: 2197, 14428, 14672), პაპუა (1626-1656 წწ. 1448-5138, 1450-32/304, Hd: 14428, 14672), ანდერმან (1639-1656 წწ. 1450-32/304, Hd: 2197, 14428, 14672), მა მ ი დ ა თამარ (1630 წ. Hd-14482). თეიმურაზ მეფემ მ ა ს უწყალობა შილდაში მაზანას ნასახლარი ბეითალმანი მამული (1639 წ. 1450-32/304), მანვე – პაატა ზაალისშვილის მამული კახეთში ([1606-1648 წწ.] Hd-13308), მანვე – შავერდ ჭიაურელის ნაყმევი შერმაზანა და იორდანე მამულებით ადრე მისთვის გამორთმეული ერთი კომლის სანაცვლოდ. წყალობა მიცემული იყო იმ პირობით, რომ შავერდის სიცოცხლეში ეს ყმები მასთან უნდა დარჩენილიყვნენ (1642 წ. IV. 13. Hd-2197), თეიმურაზმა უკან დაუბრუნა მ ა ს მისი მამიდის, თამარის მამული, რომელიც მეფეს ადრე ბოქაულთუხუცეს პაპუა [ჯორჯაძისათვის] და სახლთუხუცეს იასე [ჯორჯაძისათვის] ჰქონია ნაწყალობევი (1630 წ. Hd-14482), როსტომ მეფემ უწყალობა მ ი ს ი განაყოფის, სახლთუხუცეს რევაზ [ჩოლაყაშვილის] მიერ ჩეკურში ნაძალადევად მითვისებული მამული (1648 წ. Hd-14428), მანვე უწყალობა პაპუა [ჯორჯაძის] ნაქონი მამული, ორი კომლი თიანეთში, ქორდში ნემსაშვილი მახური და ჩურუხული ქოილაშვილი პაპუნა და სოზიკა მამულებით (1656 წ. Hd-14672); მ ი ჰ ყ ი დ ა ხუცია მალალაძეს ხუციასავე სასახლის პირდაპირ მდებარე ოჩლაური მამული (1626 წ. 1448-5138).

**ჩოლაყაშვილი შერმაზან** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ფირან ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი შერმაზან** – ძ მ ა ოთარ ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი ჯამასპ** – ძ მ ა ბიძინა ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყაშვილი ჯიმშერ** – ძ მ ა ანდერმან ჩოლაყაშვილისა, იხ.

**ჩოლაყი ბერი** – მეჯვრისხევში მცხოვრები. ზაალის მეკოდისპურე ყ მ ა - გ ლ ე ხ ი (1700 წ. 1448-3602).

**ჩოლაყი გოგია** – მეჯურისხევს მცხოვრები, გივის ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჩომაშვილი ოსიყმა** – მ ო წ მ ე დათუნა ლაგრაძის მიერ გიორგი ნინიაშვილისათვის მიცემული საბუთისა საორმოცე მიწის გადაცემის შესახებ (XVII ს. 80-იანი წწ. 1450-35/13).

**ჩ[ო]მახიძე გიორგი** – მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი ლომკაც, თამაზ და შანშიას მიერ მამუკა ლაბაძისათვის მიცემული პარტახტი მიწის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. V. 7. 1450-29/160).

**ჩორაყისძე თედორე** – სეფის ზ ა რ დ ა ხ ნ ი ს მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი. დ ა მ-წ ე რ ი არსენი ჭყონდიდელ- მწიგნობართუხუცესის მიერ მგელა აბულახტარისძისათვის მიცემული სოფლის წყალობის დაწერილისა ([1241/1242 წ.] 1448-5003).

**ჩორელი** – მ ო წ მ ე იანაშელთა მიერ მიქელ სეტიელისათვის მიცემული დაწერილისა ხარის თაობაზე მორიგების შესახებ (XV ს. დასან. სსძ. II. №40).

**ჩორთიგიძე** – ჯონიას მცხოვრები, გ ლ ე ხ ი. იხსენიება ბიჭვინტის საკათალიკოსოს დაკარგული გლეხების ნუსხაში (1650 წ. ახლო. დსსს. I. 53-55).

**ჩორიაშვილი** – მ ი ს გ ა ნ ნასყიდი [მიწა] მიჰყიდა თევდორე სალუყაზანაშვილმა ზურაბ ჯავახიშვილს (1676 წ. VII. 27. Hd-14090).

**ჩორჩან** – შ ვ ი ლ ი შატმაზისა, იხ.

**ჩორჩანელი** – ე რ ი ს თ ა ვ თ ა - ე რ ი ს თ ა ვ ი. სამცხე-საათაბაგოში მცხოვრები. მ ი ს ი მამული შემდგომში დაუკავებია ხურციძეთა (ხურისძეთა) გვარს, – აღნიშნულია მცხეთის საკათალიკოსო სამწყსოს ნუსხაში ([1516 წ.] Ad-91).

**ჩოფან** – იხსენიება მ ო წ მ ე დ უცნობი პირის დაწერილში (XIV-XV სს. სსძ. II. №113. ფრაგმ.).

**ჩოქუა** – ხაუჟელს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო, ერთი საბაზიერო ქათამი, ერთი ქანდაქი, ერთი დღის ყანის შველა, თოხნა, მარგვლა, კრება, ლაშქრობა, მგზავრობა (1621 წ. ქსძ. III. 91. 431).

**ჩოჩივაძე** – საჩხეურს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ექვსი დორა ღვინო, ექვსი სახარჯო ღომი, ორი საკლავი – თითო 6 თეთრად ღირებული, ორი ქათამი, რიგის პური (1621 წ. ქსძ. III. №91. 404).

**ჩოჩხუა ხუხულია** – დარჩელი. ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, რვა ფოხალი ღვინო, ცხრა ლიჯი ღომი და გოჭკუმური ([1616-1621 წწ.] ქსძ. III. №92. 457).

**ჩრდილელისშვილი // ჩდილელიშვილი**

**ჩდილელიშვილი** – ბაზალეთს მცხოვრები საგვარეულო. ადევს საწილკნელო გადასახადი მიცვალებულზე. თუ სახლის უფროსი ან მოხელე მოკვდებოდა, უნდა გაელო მთელი ნიშანი: შეკაზმული ცხენი, ორი წასახურავი, ქალზე საწირავი ნიშანი, ტყავი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი. თუ სახლის უმცროსი მამაკაცი წევრი ან რომელიმე უცოლო გარდაიცვლებოდნენ, ან მათი მეუღლენი, – ერთი საწირავი და ერთი წასახურავი (1669 წ. 1448-5013).

**ჩრდილელისშვილი შიოშ** – მ ო წ მ ე რევაზ ერისთავის მიერ ნინია ოდიშელიძისათვის მიცემული საალაპე წიგნისა (1678 წ. III. 6. 1449-1809).

**ჩრივასშვილი პაპია** – მაღრაანს მცხოვრები. ი გ ი მისი მამულით ერეკლე მეფემ უწყალობა ზაალ ნათანელისშვილს ([1688-1703 წწ.] 1449-1240).

**ჩუბინაშვილი ვარდანა** – რეჭს მცხოვრები, ამილახვრის სახასო ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჩუბინაშვილი თამაზა** – რეჭს მცხოვრები, ამილახორის სახასო ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჩუბინაშვილი ფრიდონა** – ქორდს მცხოვრები. ი გ ი მამულით ქართლის კათალიკოსმა ზაქარიამ უწყალობა დავით გედავანისშვილს (1626 წ. Hd-2510).

**ჩუბინისშვილი //ჩუბინისშვილი**

**ჩუბინისშვილი** – ყ მ ა დავით ფალავანდიშვილისა, მ ი პ ყ ი დ ა თილეელ სამხარაძეს არმაგამა (1687 წ. V. 25 Sd-499).

**[ჩუბინისშვილი] დემეტრა** – რეჭელი, ავთანდილ ამილახორის სახასო ყ მ ა , განაყოფი მახარე ჩუბინისშვილისა (1700 წ. 1448-3602).

**ჩუბინიშვილი მამუკა** – დ ა მ წ ე რ ი პაპუნა ფავწელიშვილის მიერ დედოფლის დეკანოზ დავითისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1667 წ. Qd-9611).

**ჩუბინისშვილი მახარე** – რეჭელი. ავთანდილ ამილახორის სახასო ყ მ ა , პყავს განაყარი დემეტრა [ჩუბინისშვილი] (1700 წ. 1448-3602).

**ჩუბინიძე მამუკა** – მ ო წ მ ე აბულვარდ მუჩათიძის მიერ პეტრე კავკასიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. ახლო. Hd-808).

**ჩუკულიები** – ემართათ ხოფის ღვთისმშობლის ეკლესიის ვალდებულება – 20 თეთრი (XVI ს. 1449-1577).

**ჩულქორი დაიფუნ** – თ ა ვ მ დ ე ბ ი ყიფიანთა და ფალიანთა შორის დადებული დაწერილისა სისხლის ფასის დაფარვის შესახებ (XIV-XV სს. მიჯნა. სსძ. II. №41).

**ჩულხუტა** – მუშათში მცხოვრები, გლეხი. თეიმურაზ მეფემ შესწირა ი გ ი ალავერდს თავისი მეუღლის, ანას სულის საალაპედ (1612 წ. V. 12. 1448-5017).

**ჩუმათელიძე** – ხუთი კომლი, მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზ ჩხეიძემ ი ს ი ნ ი შეაწირვინა როსტომ მეფეს იტრიის სიონის ღვთისმშობლის მონასტრისათვის. ბეგრის გარდა მათ არაფერი ევალებოდათ ([1658 წ.] 1449-1935).

**ჩუმათელიძე ქრისტესაი** – ძ მ ა ჩაისარა ჩუმათელიძისა, იხ.

**ჩუმათელიძე ჩაისარაი** – ოსიაურში მცხოვრები, სახასო გ ლ ე ხ ი . პყავს ძ მ ა ქრისტესაი. გიორგი ბატონიშვილმა ი გ ი მამულით შესწირა ნიტრიის სიონს (1584 წ. (sic) [1585-1595 წწ.] Sd-2909).

**ჩუმათელიძე ჩაისარაი** – ძელძვინს მცხოვრები. [გიორგი] ბატონიშვილმა ი გ ი დორითეოს კათალიკოსის თხოვნითა და საფასით შესწირა ნიტრიის ეკლესიას ([1585-1595 წწ.] 1448-5008).

**ჩუმათელიძეები** – სურამს „ზეით“ მცხოვრები, ორი კომლი. როსტომ მეფის მიერ [ნ]იტრიის ეკლესიისათვის მიცემულ ჩუმათელეთის შეწირულების წიგნში აღნიშნულია, რომ ისინი ნიტრიის ეკლესიისათვის შეუწირავს გიორგი მეფეს (1645 წ. სს. III. №156).

**ჩურისტანიძე ბეჟია** – ზემო ძვიმლეთს მცხოვრები, სეხნია ტატისშვილის ყმა, ერთი კომლი. ჰყავს ძ მ ე ბ ი: ელია, დათუნა, ზაქარა, პა[ა]ტა, გიორგი. იხსენიება ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II ნახ. Qd-7017).

**ჩურისტანიძე გიორგი** – ერთი კომლი. მოხსენიებულია როსებ ტატიშვილის ყმების დავთარში (XVII ს. II ნახ. სეიძ. II. №9).

**ჩურისტანიძე გიორგი** – ძ მ ა ბეჟია ჩურისტანიძისა, იხ.

**ჩურისტანიძე გიორგი** – შ ვ ი ლ ი ტეტია ჩურისტანიძისა, იხ.

**ჩურისტანიძე დათუნა** – როსებ ტატიშვილის ყ მ ა, ერთი კომლი. მოხსენიებულია როსებ ტატიშვილის ყმების დავთარში (XVII ს. II ნახ. სეიძ. II. №9).

**ჩურისტანიძე დათუნა** – ძ მ ა ბეჟია ჩურისტანიძისა, იხ.

**ჩურისტანიძე ელია** – ძ მ ა ბეჟია ჩურისტანიძისა, იხ.

**ჩურისტანიძე ზაქარია** – ძ მ ა ბეჟია ჩურისტანიძისა, იხ.

**ჩურისტანიძე მაზანა** – შ ვ ი ლ ი ტეტია ჩურისტანიძისა, იხ.

**ჩურისტანიძე მამუკა** – შ ვ ი ლ ი ტეტია ჩურისტანიძისა, იხ.

**ჩურისტანიძე პა[ა]ტა** – ძ მ ა ბეჟია ჩურისტანიძისა, იხ.

**ჩურისტანიძე პატი** – მ ო წ მ ე : გიორგი გასიტასშვილ-ვარძიელასშვილის მიერ შოშიტა მიქელასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690-იანი წწ. Hd-770), დათუნა ვარძელაშვილის მიერ შოშიტა მიქელასშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690-იანი წწ. Hd-765).

**ჩურისტანიძე ტეტია** – ზემო ძვიმლეთს მცხოვრები, სეხნია ტატისშვილის ყმა, ერთი კომლი. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: გიორგი, მამუკა, მაზანა. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II ნახ. Qd-7017).

**ჩურისტანიძე შიო** – დემეტრე ტატიშვილის ყ მ ა. მ ო წ მ ე: დემეტრე ტატიშვილის მიერ შოშიტა მიქელაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690-იანი წწ. Hd-777), გიორგი გასიტასშვილ-ვარძიელასშვილის მიერ შოშიტა მიქელაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690-იანი წწ. Hd-770).

**ჩურუხაული ბერი** – ღუროს მცხოვრები, ხ ე ლ ო ს ა ნ ი. გიორგი [გურამიშვილის] ყ მ ა. ერთი კომლი, ერთი თავი, ერთი თოფი. იხსენიება ყმების ნუსხაში (XVII ს. Hd-14912ი).

**ჩურხაული-გოდერძაშვილი** – ნაზარალიხანმა ი გ ი უ წყალობა გურამ გურამიშვილს (1693 წ. 1450-14/50).

**ჩუსტიაშვილი** – მ ი ს მიწამდე უწყალობა როსტომ მეფემ ზაქარია ამბრისშვილს მისი სამკვიდრო მამული (1650 წ. Sd-531).

**ჩულუნასშვილი** – ღუროს მცხოვრები, გიორგი [გურამიშვილის] აყრილი ყმა ([XVII ს. Hd-14912ი).

**ჩულუნასშვილი ბერი** – იხსენიება ყმების ნუსხაში (XVII ს. Hd-14912ა).

**ჩულუნასშვილი გამიხარდი** – იხსენიება ყმების ნუსხაში (XVII ს. Hd-14912ა).

**ჩულუნაშვილი ზაქუტა** – მეავას მცხოვრები, გლეხი. გივი და ფარემუზ გურამიშვილების ყმა. ნაზარალიხანმა იგი მამულითურთ სისხლის საფასურში უწყალობა გურამ გურამიშვილს (1694 წ. VI. 4. 1448-57).

**ჩუყელაშვილი დათუნა** – თამარაშენში მცხოვრები, ერთი კომლი, მაჩაბლების ყმა. დროებით ზა[ა]ლ ერისთავის ხელში ყოფილა. შაჰნავაზმა იგი დაუბრუნა ზა[ა]ლ მაჩაბელს (1671 წ. 1448-93).

**ჩუჩხუნაძე** – მისი პარტახტი მამული ჭოლევში გენათელმა ზაქარია ქვარიანმა იყიდა ბიძინა ჩხეიძისაგან და შესწირა გელათის ხახულის ღმრთისმშობელს (1644 წ. VI. 5. ქმ. №139).

**ჩუჩხუნაძე** – მანდიკორს მცხოვრები, დაკარგული საკათალიკოსო გლეხების ნუსხის მიხედვით, მას ეჭირა პარტახტი მამული (1650 წ. ახლო. დსსს. I. 53-55).

**ჩუჩხუნაძე გოჩია** – ჭოლევში მცხოვრები. ჰყავს სახლიკაცი ზაზუტა. ისინი იყიდა ზაქარია ქვარიანმა ბიძინა ჩხეიძისაგან და შესწირა ხახულის ღმრთისმშობელს (1644 წ. VI. 5. ქმ. №139).

**[ჩუჩხუნაძე] ზაზუტა** – [სახლიკაცი] გოჩია ჩუჩხუნაძისა, იხ.

**ჩუხარი** – გლეხი. ჩხარის ციხის მეციხოვნე გარსევანმა მას წაართვა ერთი ძაღლი, ერთი ძირი ფუტკარი, ერთი ქუდი, ერთი ღილი, მეციხოვნე ბაცნაძემ – ერთი ხარი, ერთი კაბინი პური, კურტანიძე ლომინამ – ერთი ღორი, რვა დედალი, ყვერული, ერთი კოკა ღვინო (XVII ს. Ad-2233ბ).

**ჩქარაული** – როსტომ მეფემ გიორგი ბარათაშვილს მისი მამულით უწყალობა დიდი ტერტერასშვილის შვილები (1649 წ. II. 27. 1450-2/150).

**ჩხაიძე** (ვარ. მჩხაიძე) **გიორგი** – იგი შესწირა ვამიყ დადიანმა ბიჭვინტას ([1661 წ.] 1448-2155).

**ჩხეიძე** – ამილახორიშვილებისა და მურვანიშვილების სამამულო დავის გარიგების მიხედვით, ჩხეიძის ზვარი იყო საზღვარი ოთარ დამლაწაშვილსა და იესე და ოთარ მურვანიშვილებს შორის გასანაწილებელი მამულისა (1698 წ. Ad-1077).

**ჩხეიძე** – იხსენიება ბერ ქონაშვილის მიერ ელისბარ დავითიშვილისათვის მიცემულ თავნასყიდობის წიგნში: მას არ უპატრონებია ქონაშვილისათვის, როცა ეს უკანასკნელი იმერეთში ყოფილა ჩასული (XVII-XVIII სს. მიჯნა. Hd-2757).

**ჩხეიძე ბანანა** – ეხმარებოდა პაატა აბაშიძეს როსტომ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის დროსაც ის ბეჟან საგინაშვილმა მოკლა (1638 წ. VIII. 27. 1450-30/63), ბეჟან საგინაშვილს ბანანა ჩხეიძის მოკვეთილი თავი როსტომ მეფისათვის მიურთმევია, აღნიშნულია ნაზარალიხანის მიერ ფარე-

მუზა საგინაშვილისათვის მიცემულ თარხნობის განახლების წიგნში (1689 წ. I. 10. 1450-30/65).

**ჩხეიძე ბეჟან** – 1633-1653, 1678 წწ. შ ვ ი ლ ი გორგასალ ჩხეიძისა, იხ. ი გ ი იყო როსტომ მეფის მამიდაშვილი (1633 წ. 1450-35/92); ჰყავს ძ მ ე ბ ი: ქაიხოსრო, დავით (1619, 1634 წწ. 1450: 35/92, 35/117), ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსი, იხ., შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო (1653-[1675] წწ. 1450: 35/95, 35/100), შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი თეიმურაზ ([1658-1675 წწ.] 1450-35/100). ი გ ი იყო პაპუნა თუხარელის ბიძა ([1658-1675 წწ.] 1450-35/100). როსტომ მეფემ მ ა ს უწყალობა ლიახვს ქვემო სოფლებში, კარბსა და გერითებში, თამაზ ზედგინიძის ნაქონი მამულები (1633 წ. V. 1. 1450-35/92), მარიამ დედოფალმა განუახლა ყმების, ზურაბაშვილების, წყალობა (1634 წ. 1450-35/117), შაჰნავაზმა უწყალობა ზურაბ ჯავახიშვილის და მისი ძმების ნაქონი მამული, რომელიც შემდეგ ბ ე ჟ ა ნ მ ა შაჰნავაზისვე ბრძანებით, პაპუნა თუხარელს გაუცვალა ბეკამში ([1658-1675 წწ.] 1450-35/100); ი ყ ი დ ა ბერიკა ახალიკაშვილისაგან მისი მკვიდრი სახლ-კარი და კალოსაბძელი (1653 წ. III. 15. 1450-35/95); მ ო წ მ ე: როჭიკა შალიკაშვილის მიერ ერეკლე ფალავანდიშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა ნასოფლარში დასახლებული ყმების აყრის შესახებ ([1633-1658 წწ.] 1450-14/94), გივი ამილახორის მიერ ქალაქის მოურავ მანუჩარისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. Hd-14911), პაპუნა სააკაძის მიერ პაპუნა თუხარლისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. Sd-50); მონაწილეობა მიიღო ყაფლან ბარათაშვილსა და პაპუნა ვირშელიშვილს შორის დავის გარიგებაში (1670 წ. Sd-534), მდივან როსტევან [მანდენაშვილთან] ერთად გაარჩია ალიყულა ზაქუმისშვილის და ხოსროვა დალალაშვილის სამამულე დავა (1671 წ. 1450-48/137), მონაწილეობა მიიღო ცაცისშვილებისა და მაღრაძეების სამამულე დავის გარიგებაში (1678 წ. 1450-14/62).

**ჩხეიძე ბეჟან** (ვარ. ბეჟია) – მ ა მ ა ოტია ჩხეიძისა, იხ.

**ჩხეიძე ბეჟან** – შ ვ ი ლ ი ოტია ჩხეიძისა, იხ; მ ო წ მ ე იარალის მიერ სალმახანა მელიქსითაშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. I. 5. 1448-1291).

**ჩხეიძე ბიძინა** – გენათელ ზაქარია ქვარიანს მ ი ს გ ა ნ უყიდია ჭოლევში მცხოვრები სამი გლეხი ცოლ-შვილით და მამულით: შოშიტა ოყურეშლიძე, ხახუტა ოყურეშლიძე, გოჩია ჭიჭინაძე, აგრეთვე სულთამასეული და ჩუჩხუნაძისეული პარტახტები (1644 წ. VI. 5. ქმ. №139).

**ჩხეიძე გიორგი** – ჰყავს თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე ციხისთავის ასული გუდა. შესწირა ხონის წმინდა გიორგის საყდარს დათვია ჩხინკელა ცოლ-შვილითა და მამულით (XVII ს. II ნახ. 1448-5034 მინაწ.), მ ი ს ი საალაპე შეწირულობის საქმე გაარიგა ჯვარისმამა მოძღვარმა ზებედემ (XVII ს. II ნახ. 1448-5034 მინაწ.).

**ჩხეიძე გორგასალ** – ანა დედოფლის (სვიმონ მეფის დედის), მამიდაშვილი. ანა დედოფალმა მ ა ს უწყალობა კარალეთში ვახტანგ ციციშვილის კუთვნილი მამული, აზნაურიშვილები და გლეხები (1619 წ. VII. 29. 1450-35/88).

**ჩხეიძე გორგასალ** – შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო ჩხეიძისა, იხ.

**ჩხეიძე დავით** (ვარ. დათუნა) – შ ვ ი ლ ი გორგასალ ჩხეიძისა, იხ. ძ მ ა ბეჟან ჩხეიძისა, იხ.

**ჩხეიძე დავით** – შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო ჩხეიძისა, იხ.

**ჩხეიძეები** – ნოდარ ციციშვილის „მოსამართლენი". თან ახლდნენ ჯავახიშვილების მამულ ხოველში ნოდარ ციციშვილს, რომელიც თეიმურაზის გამეფებას ცდილობდა (1643 წ. Qd-2188).

**ჩხეიძე ზაალ** – მ ო წ მ ე ქაიხოსრო ჩხეიძის მიერ კათალიკოს იოვანე დიასამიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. Ad-1610).

**ჩხეიძე თეიმურაზ** (ვარ. თაიმურაზ) – შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო ჩხეიძისა, იხ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ბეჟან ჩხეიძისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი ნიკოლოზ ჩხეიძისა, იხ.

**ჩხეიძე იესე** – მ ღ ვ დ ე ლ ი. დ ა მ წ ე რ ი ზურაბ კვეზერულის მიერ თამაზა ტარშაიჭაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. VI. 20. Ad-1431).

**ჩხეიძე მამუკა** – მ ი ს გ ა ნ იყიდა მერაბ წულუკიძემ გუშტიბში სამი პარტახტი მიწა, რაშიც გადაიხადა 200 მარჩილი, 2 ტყვე და 2 გლეხი ([1669-1679 წწ.] 1448-1525).

**ჩხეიძე ნიკოლოზ** – იხ. ნიკოლოზ მთავარეპისკოპოსი

**ჩხეიძე ოთარ** – მესტუმრედ გააყოლეს მარიამ დედოფალს მზითევში ([1634 წ.] 1448-3369).

**ჩხეიძე ოტია** – ჰყავს მ ა მ ა ბეჟია. ი ს დაუტყვევებია ფარსადან ბარათაშვილს და მიუყვანია როსტომ მეფის წინაშე (1643 წ. II. 22. 1448-5597).

**ჩხეიძე ოტია** – ჰყავს თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე თანანა, შ ვ ი ლ ი ბეჟან. გელათის კანდელაკ გიორგის თხოვნით, ქვიტირში მცხოვრებ ჯვრისათვის შეწირულ გლეხებს – ჯავახაძეებს, ამოუკვეთა სამოურავო გადასახადი (1682 წ. 1448-1522).

**ჩხეიძე პაატა** – შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო ჩხეიძისა, იხ.

**ჩხეიძე რამაზ** – მ ო წ მ ე პაპუნა მირიანაშვილის მიერ თევდორე რაზმაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([1698 წ.] 1448-5439).

**ჩხეიძე როსტომ** – დედოფლის ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. მ ო წ მ ე: ალექსანდრე მეფის მიერ ბიჭვინტის ღმრთისმშობლისათვის მიცემული ყმის შეწირულობის წიგნისა (1685 წ. 1448-2144), სეხნია აბაშიძის მიერ როსაპ მაჭავარიანისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. II ნახ. Hd-9862).

**ჩხეიძე სეხნია** – 1660-იანი წწ. ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. „ქართველთა ბატონმა" ლევან აბაშიძის კუთვნილი ოთხი კომლი და ორი პარტახტი გორისაში, ხარშილაძე არგვეთში, უბოძა ფეშანგ ფ[ა]ლავენისშვილს, ხოლო როცა იმერეთი ისევ ხონთქარს დარჩა, ფ [ ა ] ლ ა ვ ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს თანხმობით, ზემოთ ჩამოთვლილი ყმა-მამული მან ქაიხოსრო და პაატა წერეთლებს დაანება (1660-იანი წწ. Hd-2179); მ ო წ მ ე: ალექსანდრე მეფის მიერ იოვანე ომადმანიძისათვის

მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა ([1658-1660 წწ.] Sd-1789), დიმიტრი მეფის მიერ გიორგი აბაშიძისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1663 წ. 1450-24/152), დიმიტრი მეფის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული გლეხებისა და პარტახტის წყალობის წიგნისა (1663 წ. Sd-514); იხსენიება გ ა მ რ ი გ ე დ მეფე ალექსანდრეს მიერ ხონის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის მიცემული ეკლესიის ყმების ხარაჯისაგან გათავისუფლების წიგნში (1660 წ. 1448-2142).

ჩხეიძე სეხნია – ძ მ ი ს წ უ ლ ი ეპისკოპოს ნიკოლოზ ჩხეიძისა, იხ.

ჩხეიძე სეხნია – შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო ჩხეიძისა, იხ.

ჩხეიძე სვიმონ – მ ო წ მ ე ლევან დადიანის მიერ ხონის საყდრისათვის მიცემული განჩინების წიგნისა ([1628-1639 წწ.] დსსს. I. 51-52).

ჩხეიძე ფარემუზ – შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო ჩხეიძისა, იხ.

ჩხეიძე ქაიხოსრო – შ ვ ი ლ ი გორგასალ ჩხეიძისა, იხ., ძ მ ა ბეჟან ჩხეიძისა, იხ.

ჩხეიძე ქაიხოსრო (ვარ. ქაიხოსროვ) – 1653-1700 წწ. შ ვ ი ლ ი ბეჟან ჩხეიძისა, იხ. ძ მ ი ს წ უ ლ ი მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ ჩხეიძისა, იხ. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: თეიმურაზ (1688-1700 წწ. 1450: 25/61, 25/62, 35/122, Hd-3199, Ad-1610, Hd-801), სეხნია, პაატა (1688-1700 წწ. 1450: 25/61, 25/62, Ad-1610), ფარემუზ, გორგასალ, დავით (1700 წ. Ad-1616), გიორგი მეფემ მ ა ს უწყალობა სახასო მამული ფონა (1688 წ. VIII. 1450-25/61). თინათინ დედოფალმა – იგივე სოფელი (1688 წ. VIII. 1450-25/62). ჰქონდა სამამულო დავა იტრიის ღმრთისმშობლის ეკლესიასთან. ნაზარალიხანმა საქმის გარჩევა დაავალა [ბაზ]იერთუხუცეს ბეჟანს, სურამის მამასახლისსა და ნაცვალს. ქ ა ი ხ ო ს რ ო მ, მისმა შვილმა და ყმებმა სადავო მიწები ფიცით დაინარჩუნეს ([1688-1700 წწ.] 1450-35/122); მისცა სურამის ციხეში მდგარ თათრებს თავისი ყმა, რომელიც გაიპარა და თავი შეაფარა ქურდაძეებთან. ივანა ქურდაძეს იგი ჯავახეთს გაუხიზნავს, რის გამოც ჩ ხ ე ი ძ ე ე ბ ს ქურდაძეები ციხეში დაუტყვევებიათ. ისინი როსაბ მაჭავარიანმა დაიხსნა. ამ უკანასკნელს ქ ა ი ხ ო ს რ ო და თეიმურაზ ჩ ხ ე ი ძ ე ე - ბ მ ა პირობა მისცეს, რომ ქურდაძეებთან საქმე აღარ ექნებოდათ (1692 წ. V. 15. Hd-3199); მ ი ჰ ყ ი დ ა კათალიკოს იოვანე დიასამიძეს მიწა მანაურის ბოლოს, რომელსაც ესაზღვრებოდა იესე ხოჯაურისა და პაპუაშვილის მიწები (1700 წ. Ad-1610); მ ო წ მ ე: ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ რევაზ მაღალაძისათვის მიცემული ყმისა და ვენახის წყალობის წიგნისა (1687 წ. Ad-1646), თამაზ [ბარათაშვილის] მიერ კაცია [ორბელიშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IV. 12. 1450-10/186), გივი თუმანიშვილსა და ავთანდილ კაჭკაჭიშვილს შორის ნისქვილებზე დავის გადაწყვეტილების წიგნისა (1697 წ. III. 20. Hd-2268); ციცი ციციშვილთან ერთად გ ა ა რ ი გ ა დ ა ვ ა მთაზე ბააკა სახლისუხუცესსა და მამუკა მაღრაძეს შორის (XVII ს. II ნახ. Hd-801).

**ჩხეიძე შედან** – მ ო წ მ ე ლევან დადიანის მიერ ხონის საყდრისათვის მიცემული განჩინების წიგნისა ([1628-1639 წწ.] დსსს. I. 51-52).

**ჩხეიძე შედან** – მ ო წ მ ე ზისელა აბრამაშვილის მიერ ბატონ ანუკასათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1652 წ. 1450-36/197).

**ჩხეიძე [შედან]** – მ ო წ მ ე ბ ეჟან ყიფიანის მიერ გენათელი გედეონისათვის მიცემული ვალის დაფარვის წიგნისა (1678 წ. დსსს. I. 77-78).

**ჩხეიძე ხუცია** – თან ახლდა ნოდარ ციციშვილს, რომელიც თეიმურაზის გამეფებას ცდილობდა და ჯავახიშვილების მამულ ხოვლეში მივიდა. ჯავახიშვილებმა უერთგულეს როსტომ მეფეს, შეიპყრეს ი გ ი და მეფეს მიჰგვარეს (1643 წ. Qd-2188).

**ჩხეტიძე აბესალომ** – ძ მ ა ივანე ჩხეტიძისა, იხ.

**[ჩხეტიძე] ბედან** – მ ი ს სახელზე დანესებული აღაპი სორის მონასტერში განაახლა ერისთავმა ლომინ [ჩხეტიძემ] (XVI ს. H-1707. 54r).

**ჩხეტიძე გოგატი** – მ ე ა ბ ჯ რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი. გიორგი მეფესთან უშუამდგომლა თავის ყმას, დავით მიქაბაძეს, რათა მეფეს განეახლებინა მისთვის სასისხლო სიგელი (1325 წ. ქმ. №1605 სას.).

**ჩხეტიძე გულბუდახ** – იხ. გულბუდახ, ჩხეტიძის ასული.

**ჩხეტიძე ევდემონ** – იხ. ევდემონ კათალიკოსი

**ჩხეტიძე ესტატე** – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისათვის ნასისხლად მიცემული ოქონის წყალობის წიგნისა (1448 წ. VII. 1. Hd-8731).

**ჩხეტიძე ვახტანგ** – მო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისათვის ნასისხლად მიცემული ოქონის წყალობის წიგნისა (1488 წ. VII. 1. Hd-8731).

**ჩხეტიძე თამარ** – იხ. თამარ, ჩხეტიძეს ასული

**ჩხეტიძე ივანე** – რაჭის ე რ ი ს თ ა ვ ი. ჰყავს ძ მ ე ბ ი: კახაბერ, აბესალომ. მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისათვის მიცემული ოქონის წყალობის წიგნისა (1488 წ. VII. 1. Hd-8731).

**ჩხეტიძე ივანე** – მ ო წ მ ე დავით მეფის მიერ ივანე მაღნარაძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა (XVII ს. ბოლო. 1448-5040).

**ჩხეტიძე კახაბერ** – რაჭის ე რ ი ს თ ა ვ ი (1497-1503 წწ. სმ. II. 66-67, სსძ. II. №27), ძ მ ა ივანე ჩხეტიძისა, იხ. მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ ადამ ფონჯავიძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა (1497 წ. სმ. II. 66-67), მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო ალექსანდრე მეფესთან ერთად ჯაფარიძეებსა და სვანებს შორის სასისხლო საქმის გარჩევაში (1503 წ. სსძ. II. №27).

**ჩხეტიძე ლომინაი** – კისორეთში მცხოვრები. ი გ ი მამულით ლეონ მეფემ უბოძა ნიკორწმინდელ ამბროსი [ბაქრაძეს] ([1583-1590 წწ.] 1448-3323).

**[ჩხეტიძე] ლომინ** – ე რ ი ს თ ა ვ ი. ჰყავს ძ მ ა ქაიხოსრო, [სორის] მონასტერს განუახლა ბედან [ჩხეტიძის] „გარდავარდნილი" აღაპი (XVI ს. H-1707. 54r).

**ჩხეტიძე სვიმეონ** – იხ. სვიმეონ კათალიკოსი

**[ჩხეტიძე] ქაიხოსრო** – ძ მ ა ერისთავ ლომინ ჩხეტიძისა, იხ.

**ჩხეტიძე ყელგრძელ** – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ კაციბერ თოფურიძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა ([1484-1510 წწ.] ქძ. №1608).

**ჩხიკვაძე ბერა** – ძ მ ა გიგოლა ჩხიკვაძისა, იხ.

**ჩხიკვაძე გიგოლა** – ჰყავს ძ მ ე ბ ი: ქუმსია და ბერა; შ ვ ი ლ ი იოვანე. გოჩია მოუდევარს მ ი ჰ ყ ი დ ა ახალდაბის გზაზე მდებარე თავისი მკვიდრი მიწა ნიკოლაიშვილის და ქავთარაძის მიწებამდე (1682 წ. 1450-46/127).

**ჩხიკვაძე იოვანე** – შ ვ ი ლ ი გიგოლა ჩხიკვაძისა, იხ.

**ჩხიკვაძე ქუმსია** – ძ მ ა გიგოლა ჩხიკვაძისა, იხ.

**ჩხინკელა (ვარ. ჩხიკელა) დათვია** – ი გ ი ცოლ-შვილითა და მამულით გიორგი ჩხეიძემ თავისი სულის საოხად შესწირა ხონის წმინდა გიორგის (XVII ს. II ნახ. 1448-5034 მინან.), ალექსანდრე მეფემ განუახლა მ ი ს ი შეწირულობა იმავე ეკლესიას (1683 წ. IV. 7. 1448-5034 მინან.), ჯვარისმამა ზებედემ გაარიგა გიორგი ჩხეიძის საალაპე შეწირულობის საქმე და დ ა თ ვ ი ა ჩ ხ ი კ ე ლ ა ს დააკისრა: ერთი ცხვარი, ხუთი კოდი ღომი, ოთხი კოკა ღვინო, თითო შაურის სანთელი და საკმეველი, გიორგობის ალების შაბათს, დეკანოზისა და მთავრისათვის ჟამისწირვის გადახდევინება, გლეხების, მღვდლისა და მთავრის გამასპინძლება, მღვდლისათვის – ორი შაური და ცხვრის ტყავი, მთავრისათვის – ერთი შაური (XVII ს. II ნახ. 1448-5034 მინან.).

**ჩხირუა შურიმიდგი** – თილითში მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ორი ქანდაქი, ერთი ქანდაქის საკლავი, სამოგუე, ორი კოკა ღვინო, ორი ჯამი ღომი, გოჭკუმური და სასახლის სამსახური (1621 წ. ქსძ. III. №91. 430).

**ჩხუპიანი** – ბარაუნთას, ქვემო გაჟღოტში მცხოვრებნი. ლეონ მეფემ საალაპედ ი ს ი ნ ი შესწირა ქადაგ გედეონ მაღალაძეს (1534 წ. 1449-1496ა).

**ჩხუპიანი** – ბარაუნთელი გლეხები. ალექსანდრე კახთა მეფემ ი ს ი ნ ი შესწირა სვეტიცხოველს (1579 წ. 1448-5530).

**ჩხუტაშვილი შალუტა** – მ ო წ მ ე მისტანა შალიკაშვილის მიერ სულხან გუდაძისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1601 წ. 1448-1493).

**ჩხუტიაშვილი გრიგოლ** – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: მახარა და იესე. უ ყ ი დ ი ა მამასახლის ანდრიაშვილისაგან ხუნვალში მიწა ხეჩიკაშვილის მიწამდე. შემდგომ ეს მიწა მიჰყიდა „ბატონ" ანას (1666 წ. Sd-533).

**ჩხუტიაშვილი იესე** – შ ვ ი ლ ი გრიგოლ ჩხუტიაშვილისა, იხ.

**ჩხუტიაშვილი მახარა** – შ ვ ი ლ ი გრიგოლ ჩხუტიაშვილისა, იხ.

**ჩხოვანი ნაგუ** – იხსენიება თავმდებად ესტატე ყიფიანსა და ზეგენის თემს შორის დადებული საერთპირო დაწერილში (XV-XVI სს. სსძ. II. №68).

## ც

ცავანიანი გიორგი – მ ო წ მ ე შატმაზ [...]რიანის მიერ ივანე სეტიელისათვის მიცემული დაწერილისა ნავარელიანის ასაბიობის დროს მიღებული ჭრილობის სანაცვლოდ სასარჩლოს აღების თაობაზე (XIV-XV სს. მიჯნა. სსძ. II. №93).

ცაკიაშვილი ნინია – ლევეში მცხოვრები, დოლენჯი თულაშვილის ყოფილი ყმა. როსტომ მეფემ ბეჟან თულაშვილს განუახლა მ ი ს ი წყალობა (1641 წ. VIII. 24. Qd-1677).

### ცალქალამანიძე // ცალქალამნიძე

ცალქალამანიძე – მოურავ [გიორგი სააკაძის] ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი. გიორგი სააკაძესა და ქაიხოსრო ჯავახიშვილს შორის სასისხლო დავის საქმეში აღნიშნულია, რომ მოურავის მტკიცებით, ქაიხოსროს მისი ხუთი მსახური და აზნაურიშვილი ც ა ლ ქ ა ლ ა მ ა ნ ი ძ ე დაებეზღებინა თეიმურაზ მეფესთან, დაურბევია და ცოლ-შვილით დაუჭერინებია. ქაიხოსროს ბრალს სდებდნენ ის მსახურებიც და ც ა ლ ქ ა ლ ა მ ა ნ ი ძ ე ც. ქაიხოსრო ჯავახიშვილის მტკიცებით კი, ც ა ლ ქ ა ლ ა მ ა ნ ი ძ ე სახლში მიხდომია, დაურბევია მისი სახლ-კარი, რის გამოც ქაიხოსრო ცოლ-შვილით გადახვეწილა. ქაიხოსროს თქმით, მას ამ რბევაში მოურავის სხვა ყმებიც ეხმარებოდნენ (1620 წ. IV. 15. Hd-6259).

ცალქალამნიძე – მ ი ს ი ვენახის მომიჯნავე აბრამას წილი მიწა ზაზუტა ალხაზიშვილმა მიჰყიდა სახლთუხუცეს პაპუა [მაღალაძეს] (1663 წ. 1450-30/124).

ცალქალამნიძე – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა მღებავ ნაზარას მიერ მარიამისათვის მიყიდულ მიწას (1678 წ. Hd-9639).

ცალქალამნიძე – მ ი ს გ ა ნ ნასყიდი დათუაშვილების წყლობა ნაზარალიხანმა განუახლა მანუჩარს (1689 წ. 1450-53/91).

ცალქალამნიძე – გუდალეთში მცხოვრები. ი გ ი ყმა-მამულით უწყალობა როსტომ მეფემ იორამ სააკაძეს (1652 წ. Hd-13955).

ცალქალამნიძე – მ ი ს ი მიწის გვერდით მიჰყიდა თამაზ ციცაშვილმა დათუნა ქრისტესიაშვილს მიწა (1700 წ. V. I. 1448-4307ა).

ცალქალამნიძე გიორგი – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: იოთამ და სეხნია. ზაქარია ჯავახიშვილისაგან ი ყ ი დ ა მისი მკვიდრი გლეხები სკრაში: ზაქარია შოგიაშვილი, მისი ძმისწული დავითი და ძმები მამულებით, კოშკი სასახლით, ოთხი

დღის მიწა, თიბელაური ვენახი და სამსონაური საბოგანო სახლ-კარი (1609 წ. მახლო. Hd-8506), მისგანვე ი ყ ი დ ა სკრაში მცხოვრები გლეხები: პაატა ბასალაშვილი, მისი ძმა გიორგი და შვილი შიოშ, ძმისწულები: ზუბია და სვიმონა. გადაიხადა საფასური – ორასოთხმოცი მარჩილი (1609 წ. ახლო. Hd-3295).

ცალქალამნიძე (ვარ. ცალქალამანიძე) გიორგი – 1649-[1712] წწ. მოურავის შეილების ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი, მ ო უ რ ა ვ ი (XVII ს. ბოლო მეოთხ. 1450-35/173). შ ვ ი ლ ი სეხნია ცალქალამნიძისა, ჰყავს: ძ მ ა ზაზა (1649 წ. 1450-37/47), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ერასტი, ბიძები სეხნია და ესტატე (XVII ს. ბოლო მეოთხ. 1450-35/173). როსტომ მეფემ მ ა ს უწყალობა დავით და ზაალ ზედგენიძეების ნაქონი მამულები ერედვში, ვანთაში, მეღურეკისსა და შერთულში (1649 წ. 1450-37/47); სახლთუხუცეს სეხნია [ცალქალამანიძესთან] ერთად ერთგულების პ ი რ ო ბ ა მ ი ს ც ა „ბატონ მოურავს" [გიორგის და ზურაბ [სააკაძეებს] (XVII ს. 90-იანი წწ. Hd-10393); ი ყ ი დ ა შემახა ქალბათაშვილისაგან დირგვისში ვართან დალაქისშვილისეული მიწა (XVII ს. ბოლო მეოთხ. 1450-35/173); მ ო წ მ ე: გიორგი თარხან-მოურავიშვილის მიერ მდივან შანშეან-მარტიროზასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. Hd-2380), ზურაბ შიხეიდარისშვილ-ბერუკაშვილის მიერ მოურავის შვილ ავთანდილის შვილის, – პაატასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. III. 15. Hd-2598), ავთანდილ [სააკაძის] მიერ არუთენა მანველაშვილისათვის მიცემული ნასყიდი ვენახის დამტკიცების წიგნისა ([1698-1712 წწ.], Hd-2908), ზურაბ ჯავახიშვილის მიერ ხოჯა მამასახლისისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. ბოლო მეოთდ. 1448-633-ა); მას ეკუთვნოდა ერედვში: დათუნა ყურასშვილი, თამაზ მაც...იკაძე, ხახიშვილის საკომლო; ვანათში: სეხნია კენტელაძე, სეხნია რაზმაძე, კენტელაძის განაყარი მამუკა; შერთულაში – ერთი კომლი (1700 წ. 1448-3602).

ცალქალამანიძეები – [სააკაძე] თარხან-მოურავისშვილთა ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ე ბ ი. მოიხსენიებიან მოურავისშვილთა და მაღალაძეთა შორის სამამულე დავის გარიგების წიგნში (1691 წ. 1448-3268).

ცალქალამნიძე ერასტი – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი გიორგი ცალქალამნიძისა, იხ.

ცალქალამნიძე ესტატე – ბ ი ძ ა გიორგი ცალქალამნიძისა, იხ.

ცალქალამნიძე ზაზა – ძ მ ა გიორგი ცალქალამანიძისა, იხ.

ცალქალამნიძე იაკობ – წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი. ჰყავს ძ მ ა იესე, ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: ფირან და ლუარსაბ. ზაალ თარხნისშვილმა მისცა მას 24 მარჩილის ვალის ანგარიშში ბიჭუნა, გიორგი და ივანა მოდრეკილაძეები (1692 წ. 1449-126).

ცალქალამანიძე იესე – ძ მ ა იაკობ ცალქალამანიძისა, იხ.

ცალქალამნიძე იოთამ – შ ვ ი ლ ი გიორგი ცალქალამანიძისა, იხ., ს ი ძ ე შანშე ჯავახიშვილისა, იხ., ჰყავს ძ მ ა სეხნია და შვილი პაპუნა (1609 წ. ახლო. Hd-10264); მ ი ს ი მამისათვის მიუყიდიათ პაატა ჯავახიშვილის მამული, რომელიც შემდეგ ჯავახიშვილებმა უკან დაიბრუნეს (1609 წ. ახლო. Hd-10264).

ცალქალამანიძე ლუარსაბ – ძ მ ი ს წ უ ლ ი იაკობ ცალქალამანიძისა, იხ.

ცალქალამანიძე პაპუნა – შ ვ ი ლ ი იოთამ ცალქალამანიძისა, იხ.

ცალქალამნიძე პაპუნა – მ ო წ მ ე შიოშ ბარათაშვილის მიერ მდივანბეგ ვახტანგ [ბარათაშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნის (1678 წ. VII. I. Hd-13105).

ცალქალამანიძე სეხნია – [ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი] (XVII ს. 90-იანი წწ. Hd: 10393, 2362).

შ ვ ი ლ ი გიორგი ცალქალამანიძისა, იხ., ძ მ ა იოთამ ცალქალამანიძისა იხ., ბ ი ძ ა გიორგი ცალქალამანიძისა, იხ. გიორგი ცალქალამანიძესთან, ოთარ და იასე გოგიბაშვილებთან, იასე ჯაშიასშვილთან, დათუნა ჩივაძესთან და სვიმონ კარგარეთელთან ერთად [მ ა ნ] პირობა მისცა „ბატონ მოურავს“ [გიორგი] და ზურაბ სააკაძეებს მხარდაჭერის თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ სააკაძეებს საკუთარ ძმებთან და ძმისწულებთან დავა მოუვიდოდათ. შეჰპირდა ამასთანავე, რომ, თუ მსი სახლიკაცები და ძმები თარხნის და მისი შვილების მხარეს დაიჭერდნენ, მათ განუდგებოდა (XVII ს. 90-იანი წწ. Hd-10393); მ ო წ მ ე ბაინდურ ერისთავის მიერ ოთია შაბურიშვილისათვის მიცემული ვენახის წყალობის წიგნისა (1698 წ. Hd-2362).

ცალქალამანიძე ფირან – ძ მ ი ს წ უ ლ ი იაკობ ცალქალამანიძისა, იხ.

ცალქალამანიძე ხოსიტა – მ ო წ მ ე ქიტა და დათუნა მთიულისშვილების მიერ იორამ თარხან მოურავისშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა (1643 წ. ახლო Hd-2545).

ცალყუერიძე – ფლავში მცხოვრები. მისი მამული სვეტიცხოველს დაკარგული ჰქონია. [სიმონ] მეფემ მ ი ს ი წყალობა განუახლა სვეტიცხოველს (1559 წ. XII. 1. Ad-1572).

ცალანია[ა]ნი – მ ა თ ი მიწის საზღვარზე ყორყანაანთ-რევაზისშვილმა პაპამ ოქუანთ არაქელასშვილ ბეჟუას მიჰყიდა მიწა (1696 წ. VI. I. 1450-8/15)

ცაცუაშვილი – გოსტიბეს მცხოვრები. მ ი ს ი მამული წილად ხვდათ მოურავს და ზურაბ სააკაძეს ხარატიშვილის მამულის ნაცვლად (XVII ს. ბოლო მეოთხ. Hd-12276).

ცაცურა[შვილი] როსტომ – მ ო წ მ ე ვირშელ ქურდევანისძის მიერ თავისი ძმის, ამბრიასათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1586 წ. 1450-47/11).

ცაცურისშვილი გოგინა – იხსენიება მ ო წ მ ე დ კათალიკოს აბრამ აბალაკის მიერ კახეთში მცხეთის კუთვნილი მამულების საზღვრების შემოწმებისას შედგენილ საბუთში ([1492-1497 წწ.] 1448-2041).

ცელაფორა – ბოცო [ბოცოსძის] მიერ ალის მონასტრისათვის დადებული საშემოსავლო განჩინების წიგნის მიხედვით, მ ა ს უნდა გამოეღო 24 თეთრი (XVII ს. II ნახ. H-1347, 5-18).

**ცელისტარასშვილი** – მ ი ს გ ა ნ ნასყიდი ვენახი ვახუშტი აბაშიძემ შესწირა კაცხის მონასტერს ([1556-1570 წწ.] დსსს I. 21-27).

**ცერაძე** – ფლავში მ ი ს მამულზე მცხოვრები იმერელი დავით ქსნის ერისთავმა უბოძა ფარსადან ზედგენიძეს (1965 წ. II. 4. Hd-1314), მ ი ს მამულზე ფლავში ცხოვრობდა იმერელი ზაქარია (1700 წ. 1448-3602).

**ცერნეკაშვილი** – აჯბედაურში მ ი ს მიწას ესაზღვრებოდა როსტომ მეფის მიერ მეღვინე იარალი მექვაბიშვილისათვის ბოძებული მიწა (1653 წ. ხეც. Rt. XVIII-№10).

**ცერცვაძეები** – ხრეითში მცხოვრებნი, ოთხი კომლი. გიორგი მეფემ აყარა ი ს ი ნ ი და დაასახლა სოფელი ვაჭევს, შესწირა კაცხის ეკლესიას და გაათავისუფლა სამეფო გამოსაღებებისაგან (1615 წ. ლაი H-1781, 35v-37v).

**ცერცვაძე ივანე** – მ ო წ მ ე გიორგი ქუბაძის მიერ ზაალ წინამძღვრისშვილისათვის მიცემული მიწების ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. VIII. 29. Hd-14/317), პაპუნას ძმების მიერ ზაალ წინამძღვრისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. H-14564).

**ცერცვაძე შოშია** – თორმანეულში მცხოვრები, ბეჟან ტატიშვილის ყმა. ერთი კომლი. ჰყავს სამი სალაშქრო ვაჟი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II. ნახ. Qd-7017).

**ცერცვიასშვილი აბრამა** – ტაბიკურს მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო პაპუნას ([1688-1703 წწ.] Hd-1636).

**ცერცვიასშვილი დავით** – მცხოვრები ტაბიკურს. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო ედიშერს ([1688-1703 წწ.] Hd-1636).

**ცეტიძე როსტია** – ბაშს მცხოვრები. ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ერთი ურემი ღომი, ოცი კოკა ღვინო, ერთი საკლავი, ორი ქათამი, სათეთრო თევზი, სამარიობოდ ორი ქათამი, ხუთი კვერცხი, საჯინიბო, მჭადი – ხელი ოცდაათი, ერთი ჩარექი მკედი, ერთი მჭადი, ტვირთი, მუშაობა სასახლეში, მძაღე, მარილი, ნიორი, ყველი, კვერცხი, თევზი (1578 წ. H-626).

**ცეცასძე** – კუაშხიეთს მცხოვრები. ვახტანგ მეფემ ი გ ი მამულით შესწირა გელათს ([1442-1446 წწ.] 1448-5023).

**ცეცაძე** – დავით და ლომინ ერისთვისშვილებმა გელათის საყდარს შესწირეს ჭარუხიძის სრული მამული გლეხებით და მათ შორის ც ე ც ა ძ ე (XVII ს. II. ნახ. Sd-2880).

**ცეცელასშვილი მოშა** – ტაბიკურს მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გყრის დროს ი გ ი მამულით ერგო პაპუნას ([1688-1705 წწ.] Hd-1636).

**ცეცხლაძე** – ნუას მცხოვრები. გიორგი მეფემ განუახლა მ ი ს ი შეწირულება სვეტიცხოველს (1447 წ. 1448-5016).

**ცეცხლაძეები** – [სვიმონ] მეფემ განუახლა მ ა თ ი შეწირულება სვეტ-იცხოველს (1559 წ. Ad-1572).

**ცეცხლაძე გიორგი** – ახმაჯს მცხოვრები, ამილახვარის ყ მ ა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა მისი კომლიდან ორ კაცს (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ცეცხლაძე გიორგი** – ახმაჯელი, ავთანდილი ამილახორის სახასო ყ მ ა (1700 წ. 1448-3602).

**ცვარიანი მამულა** – ჩხუტელს მცხოვრები. ემართა ცაგერის საყდრის ბეგარა: ხუთი გორო ღვინო, პურის ჭამა, ტვირთი, მუშაობა, ოყა სანთელი (XVI ს. სპბაი. H 84-54, 87a-89б).

**ცვედილიანი დავით** – იხსენიება თ ა ვ მ დ ე ბ ა დ: ივებიანის მიერ ივანე სეტიელისათვის მიცემულ სამოკეთო დაწერილში (XIV-XV სს. მიჯნა სსძ. II. №95), არჯევან ხრთაგიანის მიერ იაკობ სეტიელისათვის მიცემულ მესისხლეებთან გარიგების თაობაზე შედგენილ დაწერილში (XV ს. დასაწყ. სსძ. II. №100).

**ციბა** – მუშათს მცხოვრები გლეხი. თეიმურაზ მეფემ ი გ ი შესწირა ალავერდის ტაძარს თავისი გარდაცვლილი მეუღლის, ანას საალაპედ (1612 წ. V, 10. 1448-5017).

**ციბალასძე** – ფარსმანაყანევს მცხოვრები. თამარ დედოფალმა, დავით (ნარინი)მეფის თანამეცხედრემ, ი გ ი სალვინედ უწყალობა გელათში თავის მწირველს, იოანეს ([1260-1267 წწ.] ქისკ 162).

**ცივკვერაშვილი** – კასპს მცხოვრები, ამილახვარის ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ციკვინაძე მათე** – ოცხანს მცხოვრები. საკათალიკოსო ბეგრის ნუსხაში აღნიშნულია, რომ მ ა ს ემართა: ერთი საკლავი სასტუმროდ, ერთი წონა ღომი, სამი სამესხო ღვინო, პური და ორი ქათამი (XVI ს. II ნახ. 1448-3322).

**ციკუტია მიძირულა** – ნაყანეულს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ოცი წყრთა ტილო, ნახევარი ძროხა, სამი ჯამი ღომი, ხუთი ფოხალი ღვინო (1621 წ. ქსძ. III, №91).

**ციმაკურიძე დათუნა** – შ უ ა მ ა ვ ა ლ ი გიორგი ფალავანდიშვილის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. ახლო. Hd-2527).

**ციმაკურიძე შოშიტა** – მ ო წ მ ე ზაალ წერეთლის მიერ ლაზარე მაჭარაშვილისათვის მიცემული პარტახტის წყალობის წიგნისა (XVII-XVIII სს. მიჯნა Sd-1171).

**ციმაკურიძე ხახუტა** – გ ა ნ ა ყ ო ფ ი პაპუა ტატიშვილისა. მ ო წ მ ე პაპუა ტატიშვილის მიერ დავით დავითიშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა ([1678-1692 წწ.] Sd-648).

ციმაკურიძე ხახუტ[ა] – ფცაში მცხოვრები. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II ნახ. Qd-7018).

ციმურაშვილი – კასპს მცხოვრები, ამილახვარის ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

ცინგუასშვილი გოგია – ტყვიავს მცხოვრები. ყიასაბეგის ყ მ ა - გ ლ ე ხ ი (1700 წ. 1448-3602).

ცინდელიანი დემეტრე – იხსენიება თ ა ვ მ დ ე ბ ა დ ვაჟილა ვახდაგიანის მიერ ივანე სვეტიელისათვის მიცემულ დაწერილში მასთან შერიგების შესახებ (XIV-XV სს. მიჯნა. სსძ. II. № 85).

ცინცაძე – გიორგი ნაკაშიძის ბებიამ, ყენიას ქალმა, თავისი „ბიჭი" – ჭუჭულაი გიორგი მამულაიშვილს მიაბარა. გიორგიმ იგი „ბეგ" ცინცაძეს მისცა. ბეგის სიკვდილის შემდეგ ეს ბიჭი გაუყიდიათ ([1689-1717 წწ.] Hd-10345).

ცირიკიძე გოგიჩა – როკითს მცხოვრები. ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდარვა კოკა ღვინო, ერთი ურემი და ორი ნათხალი ღომი, ოცდაათი მკლავი ფეტვი, ერთი საკლავი ყველით, კვერცხით, თევზით; ერთი გოჭი, ერთი ქათამი, ერთი ლიტრა ყველი, ტვირთი, მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავრის მიტანა (1567 წ. H-626).

### ცირღილასძე // ცირღილაძე

ცირღილაძე გიორგი – შ ვ ი ლ ი ივანე ცირღილაძისა, იხ.

ცირღილაძე გოგიტაი – შ ვ ი ლ ი მარკოზ ცირღილაძისა, იხ., მ ო წ მ ე ივანა ცირღილაძის მიერ იობა ფადლიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVI ს. მეოთხ. Hd-1552კბ).

ცირღილასძე ესტატე – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ნავროზ ცირღილასძისა, იხ.

ცირღილასძე ვარდან – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ნავროზ ცირღილასძისა, იხ.

ცირღილაძე ვარდანა – ძ მ ა ივანა ცირღილაძისა, იხ.

ცირღილაძე ივანა – შ ვ ი ლ ი მარკოზ ცირღილაძისა, იხ.

ცირღილაძე ივანა – შ ვ ი ლ ი მარკოზ ცირღილაძისა, იხ., ჰყავს შ ვ ი ლ ი ღუღუნა (XVI ს. I მეოთხ. Hd-1552იგ, კბ) ძ მ ა ვარდანა (XVI ს. I მეოთხ. Hd-1552კბ). მოძღვარ იობა ფადლაძეს მ ი ჰ ყ ი დ ა: საყანე მიწა (XVI ს. I მეოთხ. Hd-1552კბ), მასვე – მიწა მთავარანგელოზის ზემოთ მდებარე (XVI ს. I მეოთხ. Hd-1552იგ).

ცირღილასძე ივანე – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ნავროზ ცირღილასძისა, იხ.

ცირღილაძე ივანე – 1545-1576 წწ. ს ა ყ დ რ ი ს შ ვ ი ლ ი, მ ე ლ ვ ი ნ ე - თ უ ხ უ ც ე ს ი (1545-1548 წწ. ქძ. №645, Hd-1573), ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: გიორგი (1545-1565 წწ. ქძ. №745, Hd-1566), ოქროპირ//ოქროყი (1545-1565 წწ. ქძ. №745, Hd: 1573, 1566). ჭექოლიანში გიორგი ტოხვაძისგან ი ყ ი დ ა ნახევარი მისი კუთვნილი და ნახევარი დადუნაშვილისეული მამული (1565 წ. IV. 12. Hd-1566);

მ ი ს ი გამზრდელი ყოფილა გენათელი მთავარეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე, რომლის თხოვნითაც ბაგრატ მეფემ მ ა ს დაუბრუნა საყდრიშვილობა და მელვინეთუხუცესობა, უწყალობა ამონყვეტილი გიორგი ივანწკეპლიძისეული ყმა-მამული, კერძოდ: საზაროს ღმრთისმშობლის ეკლესიაში, სასაფლაო – „ოთხი ტანი", გოდოგანში – ფუძედ ორი და კომლად ოთხი გლეხი – ზედაშიძენი – კახიბერას შვილები, მელისპირაძე – მამისთვალას შვილები და მამაგულას შვილები; უწყალობა აგრეთვე ზედაშიძის სათიბის ნახევარი, მეორე ნახევარი საყდრისა იყო (1545 წ. VII. 19. ქმ. №745); მელქისედეკ გენათელმა მ ა ს განუახლა ბაგრატ მეფის მიერ ბოძებული ყმა-მამულის და სახელოს წყალობა და უბოძა [ნიშნიასშვილისეული] და მამულასშვილისეული ადგილები, აგრეთვე სულმამასშვილისეული მამული, ონჭონაში – იდაძის მიერ დადებული ტყე, იქვე – გამეზარდას და ფადლაძისეული მამულები და ტყე, აგრეთვე ლობიუასეული მამული ([1548 წ.] Hd-1573).

ცირღილაძე მარკოზ – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: გოგიტა, ივანა, მეფისა. მ ი ‑ ჰ ყ ი დ ა მოძღვარ იობ ფადლაძეს იმფხლარაში (?)ადგილი (XVI ს. I მეოთხედი, Hd-1552კგ).

ცირღილაძე მეფისა – შ ვ ი ლ ი მარკოზ ცირღილაძისა, იხ.

ცირღილასძე ნავროზ – გენათის მ ე ღ ვ ი ნ ე თ უ ხ უ ც ე ს ი. ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: ვარდან, შალვა, ივანე, ღუღუნაი, ესტატე. კონსტანტინე მეფის ძმის, გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ სასისხლო სიგელი დაწვია. კოსტანტინე მეფემ მ ა ს განუახლა ძველი სიგელი, გაუჩინა სისხლის ფასი – 120 ათასი ძველი თეთრი (1408 წ. VI. 4. Qd: 9019, 9022).

ცირღილაძე ოქროპირი – შ ვ ი ლ ი ივანე ცირღილაძისა, იხ.

ცირღილაძე ღუღუნა – შვ ი ლ ი ივანა ცირღილაძისა, იხ.

ცირღილასძე ღუღუნაი – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ნავროზ ცირღილასძისა, იხ.

ცირღილასძე შალვა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ნავროზ ცირღილასძისა, იხ.

ცირღილაძე ხახუტა – ჯვარისას მცხოვრები, ერთი კომლი. ი გ ი გელათის ეკლესიას შესწირა დედოფალმა ნესტანდარეჯანმა თავისი მეუღლის – ალექსანდრე მეფის სულის მოსახსენიებლად (1660 წ. ახლო. Ad-598).

ცისკარავა ლომინია – თილითს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ერთი ქანდაქის საკლავი, სამოგუე, ერთი სამოგუე ხმელის ბეგარა, ხუთი კოკა ღვინო, გოჭკომუ, სასახლის სამსახური (1621 წ. ქსძ. III. №91).

ცისკარასშვილი გიორგი – მოწმე ელიზბარ ჯანიასშვილის მიერ ხითარაანთ ზურაბასთვის მიცემული პირობის წიგნისა ყმობის შესახებ (1695 წ. III. 15. Qd-874-4).

ცისკარაშვილი – ადოში მცხოვრები. ალექსანდრე მეფის ბრძანებით, მ ა ს ხევი მძევლად აძლევს გერგეტის საყდრისშვილებს (1439 წ. II. 20. A-1085, 13-15).

ციხკარიანისძე – მ ა ს შხროში [ნიკოლაოსხნმინდელისათვის] მიუყიდია ყანა და ტყე, აუღია საფასური – ერთი დრაჰკანი და სამი სახნისი ([1071-1080 წწ.) 1449-1563).

ციხკარისშვილი გიორგი – ძ მ ა უფლისა ცისკარისშვილისა, იხ.

ცისკარისშვილი დათუნა – თოლიზას მცხოვრები, ერთი კომლი, ვარამის ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

ცისკარისშვილი მიქაელა – ძ მ ა უფლისა ცისკარისშვილისა, იხ.

ცისკარისშვილი სუხიტა – ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი, ჯ ვ რ ი ს ხ ა ტ ი ს ყ მ ა.

ცისკარისშვილი უფლისა – ჰყავს ძ მ ე ბ ი: მიქაელა და გიორგი. ციხისთავ ლიპარტ ჭილაძისაგან ისინი იყიდა მოძღვართ-მოძღვარმა ილარიონმა და შესწირა გელათის ღმრთისმშობლის ხატს ალექსანდრე მეფის სააღაპედ (1513 წ. Qd-8512).

ცისკ[არისძე] ივანე – იხსენიება მინაწერი საბუთის ფრაგმენტში (XIV-XVII სს. S-1699. 12r).

ცისტარია კოჩია – ნაჲანეულს მცხოვრები. ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: გოჭკუმუ, ორმოცი წყრთა ტილო, „ერთი ბეგარა", ორი ქათამი, შვიდი ფოხალი ღვინო, ძროხის ნახევარი, ხუთი გვერდი ღომი, მუშაობა, ტვირთი (1621 წ. ქსძ. III. №91).

ცისტარია მამისმამა – ემართა საკათალიკოსო ბეგარა: ოთხი საკლავი, ოთხი ქათამი, ოთხი ურემი ღომი, ცხრა ატარი ღომი (XVI ს. II ნახ. 1448-3326).

ციქურაისშვილი – მერეს მცხოვრები. შეტანილია სამების ყმების ნუსხაში (XVII-XVIII სს. მიჯნა 1449-1841).

ციცარიანი თაფუა – ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ნასხიდა ციცარიანისა, იხ.

ციცარიანი ნასხიდა – ჩხუტელს მცხოვრები, ჯაფარიძის ყმა. ჰყავს ს ა ხ ლ ი კ ა ც ი თაფუა. ი გ ი იყიდა გაბრიელ ცაგერელმა ჯაფარიძისგან და შესწირა ცაგერის ღმრთისმშობელის ეკლესიას (1660-იანი წწ. Qd-9085თ).

ციცაშვილი ბერი – მ ო წ მ ე და შ ე მ რ ი გ ე ბ ე ლ ი თამაზ ციცაშვილის მიერ დათუნა ქრისტესიასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. V. 1. 1448-4307ა).

ციცაშვილი თამაზ – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი ციცი და ივანე. დათუნა ქრისტესიაშვილს მ ი ჰ ყ ი დ ა მიწა – ბერუაშვილის მიწის თავში, ცალქალამწიძის მიწის გვერდით (1700 წ. V. 1. 1448-4307ა).

ციცაშვილი ივანე – შ ვ ი ლ ი თამაზ ციცაშვილისა, იხ.

ციცაშვილი მიქაელ – მ ო წ მ ე და შ ე მ რ ი გ ე ბ ე ლ ი თამაზ ციცაშვილის მიერ დათუნა ქრისტესიასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. I. 1, 1448-4307ა).

**ციციკაანთ მარქარა** – მ ო წ მ ე ნიკოლოზ გაბაშვილის მიერ არსელა ამსოაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1616 წ. V. 22. 1450-13/60).

**ციცინასშვილი // ციცინაშვილი**

**ციცინასშვილი** – მ ზ ა რ ე უ ლ ი. ჰყავს [ ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ნასყიდა. მისი მამული უწყალობა ანდუყაფარ ამილახორმა დათუნა ტარშ[ა]იჭაშვილს ([1678-1696 წწ.] Ad-1203).

**ციცინაშვილი აბრამა** – ბერშოეთს მცხოვრები. ამილახვარის სახასო ყ მ ა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ციცინაშვილი ბერუკა** – ბერშოეთში მცხოვრები. ამილახორის სახასო ყ მ ა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ციცინაშვილი დათუნა** – ბერშოეთს მცხოვრები. ავთანდილ ამილახორის სახასო ყ მ ა (1700 წ. 1448-3602).

**ციცინაშვილი ივანე** – ბერშოეთს მცხოვრები. ავთანდილ ამილახორის სახასო ყ მ ა (1700 წ. 1448-3602).

**ციცინასშვილი ნადირა** – ბერშოეთს მცხოვრები. ავთანდილ ამილახორის სახასო ყ მ ა (1700 წ. 1448-3602).

**ციცინასშვილი ნასყიდა** – [ ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ციცინასშვილისა იხ.

**ციცინაშვილი პეტრე** – ბერშოეთს მცხოვრები. ი გ ი ძმითა და ცოლშვილით იოთამ ამილახორმა უწყალობა თავის ყმას, დათუნა მხალაძეს (1698 წ. II. 18. Ad-1059).

**ციცინაშვილი-ქიტუნაშვილები** – ბერშოეთს მცხოვრები. იოთამ ამილახორმა ი ს ი ნ ი მამულებით უწყალობა თავის ყმას – დათუნა მხალაძეს (1698 წ. II. 18. Ad-1059).

**ციცისშვილები//ციცისშვილი// ციციანი//ფანასკერტელ-ციციშვილი (შდრ. ფანასკერტელები//ფანასკერტელი)**[1]

**ფანასკერტელები** – როგორც [მონაპირე ერისთავები] იხსენიებიან მეჭურჭლეთუხუცეს კახა [თორელის] მიერ რკონის მონასტრისათვის ბოძებულ სოფელ ხოვლეს შეწირულების საბუთის აკრძალვის ფორმულაში ([1260 წ.] Sd-2859).

**ფანასკერტელები** – სამცხე-საათაბაგოს თავადთა სიის მიხედვით, ი ს ი ნ ი სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკლესიით შედიოდნენ მცხეთის საკათალიკოსო სამწყსოში ([1516 წ.] Ad-91).

**ფანასკერტელი გიორგი** – შ ვ ი ლ ი ზაზა ფანასკერტელისა, იხ.

---

[1] ფანასკერტელთა საგვარეულო სამწუხაროდ, გამოტოვებული აღმოჩნდა „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ IV ტომში, ამიტომ მთლიანად გაერთიანდა ციციცშვილებთან (რედ).

[ფანასკერტელ-ციციშვილი] გულსურაბ – გამრეკელ [ჯავახიშვილის] ცოლი – იხ. გულსურაბ

**ფანასკერტელი ზაზა** – XV ს. I ნახ.-[1478] წწ. მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი, ე რ ი ს თ ა ვ თ - ე რ ი ს თ ა ვ ი (XV ს. I ნახ. აეკორ. 62-63). შ ვ ი ლ ი თაყა [ფანასკერტელისა], იხ., ჰყავს: დ ე დ ა – ნათელ (XV ს. I ნახ. აეკორ. 62-63), ძ მ ა – ციცი (XV ს. I ნახ. აეკორ. 62-63, 63-64), შ ვ ი ლ ე ბ ი: ქაიხოსრო, გიორგი, სიაოშ, მერაბ, ზაქარია (1467 წ. 1448-64). დათმო თავისი მამული შავშეთში და კონსტანტინე მეფის სამსახურისათვის ქართლში გადავიდა. კონსტანტინემ მ ა ს უ წ ყ ა ლ ო ბ ა: ხევდურეთს ორბოძლელისეული მამული, რომელიც ბალათარ ხოსაშვილს ეკავა; გლეხები: ბარამაშვილი, ჯაბიაშვილი, შუღლასძე, ესტატა შატრისძე, კოხარტული, ვათაზური, ჭოლა, ახუსებასძე, ლაფაური, ვიშელაური, მახარაული და ტეტაური მამულები, ბოგანო ხაბელაშვილი და ამბოკონაშვილი; კეხისჯუარს – მეთევზიშვილი, მათეშვილი ბოლღია, სარგისაშვილი და ხაბიაშვილი მათი მამულითა და გამოსავლით; ორბოძლელისეული მამული, რომელიც ადრეც ფანასკერტელებს ეკუთვნოდათ, ვინაიდან ორბოძლელს ზ ა ზ ა ს პაპისათვის ელალატა და მამული ნასისხლად მიეცა. გარდა ამისა, უწყალობა მამული ქვახურელი, უფლისციხე, კარალეთი და ამოუკვეთა დიდი ულუფა. ნაწყალობევ მამულებზე მეფემ უბოძა გაყიდვის, შეწირვისა და გამზითვების უფლებები (1467 წ. 1448-64); მოძღვრის, კანდელაკისა და კრებულის თხოვნით, გაათავისუფლა [ვაჩიძორის] მონასტერი სამონასტრო გადასახადის – „ალავისაგან" (XV ს. I ნახ. აეკორ. 62-63); ანტონის მიერ [ვაჩიძორის] მონასტრის მოძღვრის აბრამისადმი მიწერილ წერილში აღნიშნულია, რომ აბრამს პატრონ ზ ა ზ ა ს უკითხავად ციცი არ უნდა ენახა. მ ა ს, როგორც ჩანს, აბრამის საშუალებით სურდა ციცისთან საუბარი (XV ს. I ნახ. აეკორ. 63-64).

**ფანასკერტელი ზაქარია** – შ ვ ი ლ ი ზაზა ფანასკერტელისა, იხ.

**ფანასკერტელი // [ფანასკერტელ]-ციციშვილი თაყა** – [1412]-1478 წწ. ჰ ყ ა ვ ს: შ ვ ი ლ ი ზაზა ([1468-1478 წწ.] Hd-1570, Sd-1242), დ ა – სითიხათუნ ([1412-1419 წწ.] ქრ. II. გვ. 222-223). ალექსანდრე მეფის ნებართვით, ელიოზის კათალიკოსობის დროს სვეტიცხოველს შ ე ს წ ი რ ა თავისი დის – სითიხათუნის და თავის საალაპედ ატენს „ლუსმალაური" მამული ([1412-1419 წწ.] ქრ. II. 222-223); დარბაზის წინაშე უჩივიან გამრეკელ [ჯავახიშვილის] შვილები, რომლებმაც მ ა ს რამდენჯერმე გაუწიეს სამსახური: როდესაც ვახტანგმა სამეფო ტახტი დაიჭირა და „წყალს იქით" მხარე თავის ძმას დემეტრეს მიანება, მასში თ ა ყ ა ს მამული არ შედიოდა. მას თ ა ყ ა ს მამული და ციხე ჩიჯავაძისათვის უნდოდა. გამრეკელი დაეხმარა თ ა ყ ა ს და მისი „მამული „ვახტანგისად შექმნა", ხოლო თავად ი გ ი პატრონ დემეტრეს დაუნარჩუნა და გადაარჩინა „ნაბდენას". თ ა ყ ა, პატრონი დემეტრე და გამრეკელ [ჯავახიშვილი] ატენის წყალზე იდგნენ, როცა მიუვიდათ ჩიჯავაძის მიერ სამწევრისის დარბევის ამ-

ბავი. ვინაიდან ისინი მთვრალები იყვნენ და თ ა ყ ა მ ეს ამბავი ვერ შეიტყო, ჩიჟავაძესთან შესაბრძოლებლად გამრეკელი წავიდა სამი შვილით, მაგრამ ვერ მიუსწრო. ბაგრატ მეფე ქართლს ჩავიდა და ციციშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა. გამრეკელი გიორგი მეფის ნებადაურთველად წავიდა მასთან საბრძოლველად, შვიდჯერ შეება და დაამარცხა. მესხებმა დაარბიეს ციციშვილის მამული. ზაზა ციციშვილი მესხებს სამძივის ხევში შეება, სადაც გამრეკელის ძე ზაქარიაც მიეხმარა პირადი ლაშქრით. გიორგი მეფემ ატენის მოურავობა გამრეკელ [ჯავახიშვილს] მისცა. თ ა ყ ა მ მეფეს ატენი სთხოვა, რაზეც მეფე გიორგი გამრეკელს დაეკითხა, ამ უკანასკნელმა ატენი და სახელო თ ა ყ ა ს - თ ვ ი ს დათმო. ბადაბეთს მდგომი ვახტანგ მეფე თ ა ყ ა ს შეპყრობას აპირებდა. თ ა ყ ა და გამრეკელ [ჯავახიშვილი] „ერთ მესადგომენი" ყოფილან. ივანე ნამალაშვილმა მეფე გააფრთხილა, რომ, თ ა ყ ა ზ ე თავდასხმის შემთხვევაში, გამრეკელი მ ა ს დაეხმარებოდა. ამის გამო ვახტანგმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე ([1466-1478 ნნ.] Sd-1242); თ ა ყ ა, ფავნელ და ზაზა [ციციშვილების] ოჯახის ნევრია გულსურაბი, გამრეკელ [ჯავახიშვილის] ცოლი. გამრეკელის საჩივრის წიგნის თანახმად, იგი ციციშვილთა „გულისათვის" უთმობდა ამ თავნება ქალს, რომელიც მოკვლის ღირსი იყო ([1466-1478 ნნ.] Hd-1570).

**ფანასკერტელი მერაბ** – შ ვ ი ლ ი ზაზა ფანასკერტელისა, იხ.

**ფანასკერტელი სიაოშ** – შ ვ ი ლ ი ზაზა ფანასკერტელისა, იხ.

**ფანასკერტელი ულუმპია** – თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე თაყა ზევდგინიძისა – იხ. ულუმპია

**[ფანასკერტელი] ფავნელი** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] თაყა ციციშვილისა, იხ.

**ფანასკერტელი ქაიხოსრო** – შ ვ ი ლ ი ზაზა ფანასკერტელისა, იხ.

**ფანასკერტელი ციცი** – ძ მ ა ზაზა ფანასკერტელისა, იხ.

**ციციანი** – მ ა თ ი ხოდაბუნი ესაზღვრებოდა საქილა ბოდოკიასშვილის მიერ დავით ქავთარაძისათვის მიყიდულ მინას (1679 წ. Hd-14648).

**ციციშვილები** – მ ა თ სვიმონ მეფემ სოფელ ნავკისის ნაცვლად უწყალობა სხვა სოფელი, რომელიც ჩამოართვა და მეტეხის ღვთისმშობელს შესწირა (1595 წ. 1449-1630).

**ციციშვილები** (ვარ. ციციშვილნი) – ე დ ა ვ ე ბ ო დ ნ ე ნ ხაშარაძეს ადგილზე დოღლაურის ჭალაში. საქმის გარჩევის შემდეგ ეს ადგილი ფიცით ხაშარაძეს დარჩა (1696 წ. 1449-1045).

**ციციშვილები//ზემო ციციშვილები** – მ ა თ ნაზარალიხანმა გაუთარხნა ხატის ყმები (1699 წ. Ad-1222).

**ციციშვილი** – მ ა ს აბაშ და დავით ბარათაშვილებმა მიათხოვეს ქალი, რის გამოც ქართლის კათალიკოს დოროთეოსს ქალაქში საკანონოდ შესწირეს ორი კომლი ავეტიზაშვილი (1506 წ. ქრ. II. 325).

**ციციშვილი** – ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა ქაიხოსრო ჯავახიშვილისა და მოურავ [გიორგი სააკაძის] დავის გარიგების წიგნში (1620 წ. IV. 15. Hd-6259).

ციციშვილი – ჰ ყ ა ვ ს  ნ ა ბ ი ჭ ვ ა რ ი ზურაბ, იხ.

ციციშვილი – ჰ ქ ო ნ დ ა  დ ა ვ ა რობამ მამაცაშვილთან ადრე რუისის საყდრისათვის შეწირულ მექუდისშვილის მამულზე და იქ მსახლობელ კერჩხაძეზე. დავის გადაწყვეტილებით მამული დარჩა რობამს (1658 წ. IV. 21. 1449-1105).

ციციშვილი – ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. იმერეთის მეფე ალექსანდრეს შეებრძოლნენ დადიანი ლიპარ, გურიელი ქაიხოსრო, ფარან-ფაშა, რომელთაც „ქართველთა ბატონის „სახუცესი ციციშვილი" ახლდა ([1658-1660 წწ.] Sd-1789).

ციციშვილი – მ ი ს  კუთვნილ „შავი წყლის" ხევამდე მიჰყიდა ნაფარეხავი მინა შოშია ბერაძემ სახლთუხუცეს რევაზ [მაღალაძეს] (1689 წ. Qd-1345).

ციცისშვილი – მ ი ს ი მინა ესაზღვრებოდა დოესის თავს, ნამგალასთან, პაპუა ტერტერაშვილის მიერ ფარემუზ ჯავახიშვილისათვის მიყიდულ მინას (1695 წ. Hd-6442).

ციცისშვილი – მ ი ს ი მდივანი იყო დავით კაკაძე (1699 წ. II. 13. 1450-35/23; 1699 წ. 1450-35/14).

ციციშვილი – ხ ე ლ ი  ჩ ა უ რ თ ო გარსევან ჩოლაყაშვილისა და დემეტრე ჯორჯაძის მიერ არსენ ალავერდელისათვის მიცემულ ერთგულების პირობის წიგნს (XVII ს. II ნახ. 1461-3/83).

ციციშვილი (ვარ. ციცისშვილი, ფანასკერტელ-ციციშვილი, ნოდარიშვილი) ამილღაბარ (ვარ. ამილღამბარ, ამილღანბარ – 1665-1699 წწ. ს ა ხ ლ - თ უ ხ უ ც ე ს ი ([1684-1695] წწ. Sd-538), ნოდარიშვილი (1684 წ. 1448-5076), ძ მ ა ფარსადან ციციშვილისა, იხ., ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ციცი ციციშვილისა, იხ. ი ყ ი დ ა მერაბ ციციშვილისაგან ნიჩბისში წილში ნარგები დადიანას ნავენახევი, რომელიც ესაზღვრებოდა: ხიმშიაშვილის ვენახს, კვერცხიშვილისა და მეზურიშვილის მიწებს (1693 წ. V. 17. Ad-1559); მ ო წ მ ე უცნობი პირის (კათალიკოსის) მიერ ნიკოლოზ მაღალაძისათვის ყმის ყიდვის თაობაზე მიცემული ნებართვის წიგნისა (1684 წ. II. I. 1448-5076); მ ი ს ი ბეჭედი უზის საბუთს Sd-538.

ციციშვილი ანუკა – ა ს უ ლ ი მანუჩარ ციციშვილისა, თანამეცხედრე ზაზა ციციშვილისა, იხ. ანუკა

[ციციშვილი] ასლამაზ – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ბაადურ ციციშვილისა, იხ.

ციციშვილი ბა[ა]დურ – ბ ჭ ე სამთავისისა და ოკამის საზღვრების გამო პატრონ ერეკლეს, ამილახორსა და გულბად ნასიძეს შორის დავის გარჩევისას ([1543-1558] წწ. Hd-13750).

ციციშვილი (ვარ. ციცისშვილი) ბაადურ (ვარ. ბადურ) – 1616-1671 წწ. ყ ო რ ჩ ი ბ ა შ ი (1651-1658 წწ. 1450-37: 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174; 1449-1795; 1448-2316; Sd: 871, 874, 875, 876, 877, 929, 963). ჰყავს: ძ მ ე ბ ი: მანუჩარ ციციშვილი, იხ. (1616-[1630] წწ. Sd-1292, 1450-37/190, Sd-800), ყაია ციციშვილი, იხ. ([1633]-[1675]

ნნ. 1448-2316, Hd-14534ბ); შ ე ი ლ ი – ნ ა ს ყ ი დ ა ([1623-1630] ნნ. Sd-800); განაყოფი – ასლამაზ [ციციშვილი] ([1623-1630] ნნ.] Sd-800); [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] პაპუნა [ციციშვილი], იხ. ([1633-1658] ნნ. 1448-2316). გამარჯვებით დაბრუნებულმა ბაგრატ მეფემ მ ა ს გ ა ნ უ ა ხ ლ ა სოფლების: დაღეთისა და ნინწყაროს წყალობა (1617 წ. 1450-37/190); მ ა ს პირობა მისცა თეიმურაზ მეფემ უვნებლობის შესახებ (1616 წ. Sd-1292); მ ი ჰ ყ ი დ ა მთავარეპისკოპოს დომენტის ვალის გამო ატენში ნასყიდი ზვარი (1658 წ. 1449-1795); გარეული იყო თავისი განაყოფის, ასლამაზის სისხლში, რის გამოც კათალიკოსისაგან შეუნდობელი ყოფილა. ამის გამო [სვეტიცხოვლის] საყდარს შ ე ს წ ი რ ა სასხორში ვენახი, რისთვისაც ზაქარია კათალიკოსმა შენდობის წიგნი მისცა ([1623-1630] ნნ. Sd-800); თავის [ძმა] ყაიასთან [ერთად] ჰქონდა ს ა მ ა მ უ ლ ე დ ა ვ ა სამნევრისში სარდალ პაპუნა [ციციშვილთან], იხ. ([1633-1658 ნნ.] 1448-2316); წ ი ლ შ ი ე რ გ ო: ბოლნისს – ჯანიკაშვილს ნაცვლად იათარაშვილი (1651 წ. 1450-36/165), უსუფა (1651 წ. ახლო. 1450-37/156), შადუხაშვილის ნაცვლად სტეფანა ბაბაჯანაშვილი (1651 წ. ახლო. 1450-37/159), დაღეთს – იოსებაშვილის ძმა ([1651 წ.] 1450-37/173), ბადურის ნაცვლად მისი განაყოფი თევდორა (1651 წ. ახლო. 1450-37/174), ბასილას ნაცვლად მისი განაყოფი შალვა (1651 წ. ახლო. 1450-37/172), მგელა (1651 წ. ახლო, 1450-37/164), ლამბარაშვილის ნაცვლად იმედა ფაფრიანი ([1651 წ.] 1450-37/163), მამუკა ქემარაშვილი (1651 წ. ახლო. 1450-37/162), აბულას ნაცვლად მისი განაყოფი მახარა (1651 წ. ახლო. 1450-37/160), ჰასანას ნაცვლად მურადა (1651 წ. ახლო. 1450-37/157), ვეფხია (1651 წ. ახლო. 1450-37/158), ბადია ([1651 წ.] 1450-37/154), გოგიტას ნაცვლად მატია და მისი ძმა (1651 წ. ახლო. 1450-37/155), ნატურას ნაცვლად ელისბარაშვილი (1651 წ. ახლო. 1450-36/161), მათუაშვილის ნაცვლად იოსებ მჭედლიშვილი ([1651 წ.] 1450-37/153), ჩიტალა (1651 წ. ახლო. 1450-37/166), ჩიტალახაში – ბაბახანა (1651 წ. ახლო. 1450-37/169), ჩიტალაში – დურია, ეხტილაშვილის ნაცვლად ([1651 წ.] 1450-37/167), ენოქასშვილის ნაცვლად ხითარა ულუბეგაშვილი (1651 წ. ახლო. 1450-37/170), ჩიტალასეე [...] (1651 წ. ახლო. 1450-37/171), ტერტერას ნაცვლად დაღელი სანველი (1651 წ. ახლო. 1450-37/167), მურადა ბოჯახაშვილის ნაცვლად მისი განაყოფი მანდინა ([1633-1658 ნნ.] Sd-871), დათუნა გოგიჩაშვილის ნაცვლად ბეგულა ([1633-1658 ნნ.] Sd-872); ნიჩბისს – შალვა კვერცხირიძე ([1633-1658 ნნ.] Sd-874), გუგუნა თაღულაშვილი ([1633-1658 ნნ.] Sd-875), ერთნილად თანდილა ([1633-1658 ნნ.] Sd-876), ფეტუიანაშვილის ნაცვლად – ტატა ფერიაშვილი ([1633-1658 ნნ.] Sd-877), პაპია ოქრომჭედლიშვილი, ევანეზას ნაცვლად ([1633-1658 ნნ.] Sd-929); მამუკა ყულიშვილი, ქიტა მარტიროზიშვილის ნაცვლად ([1633-1658 ნნ.] Sd-963); სამნევრისში, ყაიასთან ერთად, ჰყაევდა ორმოცდაერთი კომლი ყმა და ერთი კომლი ზღუდაშვილი, მინობს – ორი კომლი, ყინცვისში – ერთი, ბუედრეთს

– ექვსი კომლი, ლეთეთს – ორი კომლი, კეხიჯუარს – ერთი, ოულეს – ერთი, ქუაბურელში – ხუთი, ნიჩბისს და ობერათში – ექვსი კომლი ([1658-1675 წწ.] Hd-14534-ბ), მ ი ს ი სამწევრისული ყმების გამოფიცული მიწების ნუსხაში აღნიშნულია, რომ: ბალიაშვილის ვენახი ყულოღლის ეჭირა, მაღენოს სანისქვილო, მღებრის ვენახი, ზაზას წყაროს ხოდაბუნის ძამის პირამდე – პაატა საყვარელიძეს; ახალბედას ნაქონი ორი დღის მიწა – გრიქორ პიპინაშვილს; სარწყავში ოქრომჭედლის ნაქონი ორი დღის ვენახი – ბეგლარაშვილს; ოქრომჭედლიშვილის ნაქონი ორი დღის მიწა – ყულოღლის; პანშუაშვილის ნაქონი ერთი დღის მიწა – სოზიაშვილს; ახალბედას ნაქონი სახლ-კარი, კალო და საბძელი – მამაჯანა არაქელაშვილს; ხუციშვილის ნაქონი სახლ-კარი – მამუკა ჯომ[ა]რდაშვილს; მწარიას ნასახლარი, კალო და საბძელი [ბაადურს]; წუერზე ახალბედას ნაქონი დღენახევრის მიწა – სოზიაშვილს, ზაქუტას ნაქონი ორი დღის მიწა – მარქარა პაპინაშვილს; წმინდა გიორგის ყელის (sic) ჯომარდაშვილის ორი დღის მიწა და დივნაშვილის ნაქონი ორი დღის მიწა მეხრეს ეჭირა; დიდღელეში ხუციშვილის ნაქონი მიწა ყულიოღლის ეჭირა; ფაშიშვილის ნაქონი ერთი დღის მიწა – ყულიოღლის; წუერზე: ყულიაშვილის ნაქონი სამი დღის მიწა – არქელაშვილს; ნამგალაში ასატურა ბოჯახაშვილის ნაქონი სამი დღის ჭიჭელიბაური მიწა – სოზიაშვილს; კობასწყაროსთან დივნაშვილის ნაქონი ორი დღის მიწა ყულოღლის ეჭირა; ნამგალაში მჭედლიური ორი დღის მიწა სოზიაშვილს ეჭირა; ხოჯაურში, წრომის გზაზე, ტერტერას ნაქონი სამი დღის მიწა ხოდაბუნში და ექვსი დღის მიწა მეჩიქილეშვილს ეჭირა; ლომში ფარეშის ძმის ნაქონი სამი დღის მიწა კოკალაშვილს ჰქონდა; ახალბედას ნაქონი ორი დღის მიწა – პაპინაშვილს; წყალთაშუის პირას დივნაშვილის ნაქონი მიწა – ბეგლარაშვილს; ეთეთუდედის მორევთან დივნაშვილის ნაქონი ორი დღის მიწა – ყულოღლის; შალაშვილს ეჭირა ექვსი დღის მიწა ოთელაშვილის საზღვრამდე (1671 წ. Hd-833).

**ციციშვილი ბაადურ** – 1676-1693 წწ. ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: მანუჩარ, ზაზა [ციციშვილი], იხ. ([1676-1683 წწ.] Hd-2275). მ ა ს მისცა პირობა კეთილმოყვრობის შესახებ გიორგი მეფემ. დაჰპირდა, რომ თუ ქართლს დაიბრუნებდა, იქ მისცემდა კუთვნილ მამულებს, თუ ქართლში თავად არ ინდომებდა, მაშინ შეძლებისდაგვარად არჩენდა ლიხთ-იმერეთში ([1676-1683 წწ.] Hd-2275); მ ო წ მ ე: გიორგი მიქელაძის მიერ პაპუნა გოშტაშაბისშვილისათვის მიცემული კეთილმოყვრობის წიგნისა (1688 წ. IV. 22. Hd-2024), ციცი ციციშვილის მიერ როსებ მაყაშვილისათვის მიცემული ყმების ჩუქების წიგნისა (XVII ს. 70-იანი წწ. 1450-48/101); მ ი ს ი მღვდელი რომანოზი მოწმეა თევდორე სალუყაზანასშვილის მიერ ზურაბ ჯავახიშვილისათვის მიცემული ხოდაბუნის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. VII. 27. Hd-14090).

**ციციშვილი ბარძიმ** – ქვემო ციციშვილი. ციცი ციციშვილთან ერთად გ ა ა რ ი გ ა სამამულე დავა რამაზ თუთუშიძესა და გიორგი და ხიზანა შავბალახაშვილებს შორის (XVII ს. II ნახ. Hd-807).

**ციციშვილი ბერი** – იხ. ციციშვილი მერაბ

**ფანასკერტელ-ციციშვილი გრიგოლ** – შ ვ ი ლ ი ფარსადან ფანასკერტელ-ციციშვილისა, იხ.

**ფანასკერტელ-ციციშვილი დავით** – შ ვ ი ლ ი ფარსადან ფანასკერტელ-ციციშვილისა, იხ.

**ციციშვილი დავით** – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ კაციბერ თოფურიძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა ([1484-1510 წწ.] V. 17. ქმ. №1608 სახ.).

**ციციშვილი დავით** – ქ ა რ თ ლ ი ს ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი. მ ო წ მ ე დავით მეფის მიერ ივანე მაღნარაძისათვის მიცემული სასიხლო სიგელისა (XVII ს. 1448-5040 სახ.).

**ციციშვილი დარეჯან** – დ ა ციცი ციციშვილისა, იხ. დარეჯან

**ციციშვილი დიმიტრი** – ჰყავს შ ვ ი ლ ი ედიშერ. მ ი ჰ ყ ი დ ა მღვდელ დომენტი წინამძღვრიშვილს ერთი დღის მიწა (XVII ს. Qd-38ა).

**ციციშვილი** (ვარ. ციცისშვილი)**დომენტი** – [შ ვ ი ლ ი ან ძ მ ი ს წ უ ლ ი]: ფარსადან ციცისშვილისა, იხ., ქაიხოსრო ციციშვილისა, იხ.

**ციციშვილი** (ვარ. ციცისშვილი, ფანასკერტელ-ციციშვილი) **ედიშერ** – 1653-1697, [1703] წწ. ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი ([1688-1703 წწ.] Hd-14940, 1697 წ. Hd-403), შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო ციციშვილისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი ნოდარ ციციშვილისა, იხ., ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი / / ძ მ ა: ციცი ციციშვილისა, იხ., პაპუნა [ციციშვილისა] ([1688-1703 წწ.] Hd-1636). ხუნგალში მ ა ს ვენახს ეცილებოდა ზაზა ციციშვილი ([1688-1703 წწ.] Hd-14940); პაპუნა [ციციშვილთან] გაყრის დროს მ ა ს ე რ გ ო: [ივან]ასშვილი და პაპუნა ჯავარასშვილი მათი მამულებით, ავთანდილ ფურცელაძე, ხუცესი დავით ფრანგისშვილი, ზაალ და დემეტრე წინამძღრისშვილები მათი მამულებით, ასატურა ჩაისარასშვილი მამულით, ტატია ბატიყულიფასშვილი მისი ნაყიდი მამულით, დათუნა ლაზარისშვილი, გაბრიელ ქერიჩასშვილი მათი მამულებით; ხვედურეთში – ზუბიტა ჭოჭოასშვილი და მისი ძმა ხოსიტა, ნასყიდა ალნიასშვილი მათი მამულებით, ნადირა ძულიასშვილი, გიორგი ლაზარისშვილი დემეტრეს შვილებით და შოშია მათი მამულებით, ბაინდურა კოჳზიასშვილი მამულით, გიორგი თოთასშვილი, ბასილ ბუზასშვილი მათი მამულებით, ბერიკა ლუკიასშვილი, ადუა და თამაზ ჭიანგურიძეები ნახევარი მამულით; რუისში – დათუნა მირიანასშვილი, შარა პატასშვილი, გაბრიელ გაბრიელისშვილი, კაკეუონა მჩიხაიკვაძე ძმისწულებით და მამულებით; არადეთში – შიო მუჩაიძე, რევაზ მაზანასშვილი, დათუნა გიორგისშვილი მამულებით; აფნისში – ზუბიტა ფოცხვერასშვილი; ქარელში

**[ხ]უცისშვილი ბეჟუა** – ძმა [ხ]უცისშვილი მაზანასი, იხ.

**ხუციშვილი ბერი** – ძმა მახარებელ ხუციშვილისა, იხ.

**ხუციშვილი ბერი** – თვალთუბანში მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს იგი მამულით ერგო პაპუნას ([1688-1703 წწ.] Hd-1636).

**ხუციშვილი ბერი** – მოწმე შიო კოლიაშვილის მიერ დავით ჯავახიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. III. 12. Sd-554), აბრამ ბიბიაშვილის მიერ დავით ჯავახიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1694 წ. VI. 12. Sd-561).

**ხუცისშვილი ბერია** – ძმისწული დემეტრე ხუცისშვილისა, იხ.

**ხუციშვილი ბერუა** – [გარდატენს მცხოვრები] მესაურე ყმა. იხსენიება ციციშვილების ყმების ნუსხაში, ის და პაპუნა ხუციშვილები განთავისუფლებულნი ყოფილან კოდის პურის გადასახადისაგან ([1658-1675 წწ.] Hd-1636).

**ხუცისშვილი ბერუკა** – ერთი კომლი, ჰყავს ოთხი სალაშქრო ვაჟი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II. ნახ. Qd-7017).

**ხუციშვილი ბიძინა** – ძმა მახარებელ ხუციშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი გაბრიელა** – ერთი კომლი, ჰყავს ძმა პაპუნა და ორივეს ერთად – ექვსი ვაჟი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II ნახ. Qd-7017).

**ხუცისშვილი გასპარა** – შვილი ოღულა ხუცისშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი გიორგი** – მღვდელი, ძმისწული დემეტრე ხუცისშვილისა იხ.

**ხუციშვილი გიორგი** – იგი და მისი აყრილი თორმანეულის მამული მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლების ნუსხაში (XVII ს. დამდ. Qd-7014).

**ხუცისშვილი გიქოა** – შვილი ოღულა ხუცისშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი გოგია** – მცხოვრები ლორისთავს. მოფიცარი გუდარეხელების და ლორისთაველების სამამულო დავისა. მას უნდა დაეფიცა, რომ ლორისთავი გუდარეხის მონასტერს გამოსწირეს და მონასტრის უფლებები მასზე აღარ ვრცელდებოდა (1660 წ. V. 13. Hd-830).

**ხუცისშვილი გოგია** – ნათლისმცემლის ყმა. უჯარმაში ან ხაშმში მცხოვრები. არჩილ მეფემ მიაბარა იგი დავით გარეჯის წინამძღვარს (1672 წ. 1449-1832).

**ხუცისშვილი გოგინა** – მოწმე არუთენა ჩაფარასშვილის მიერ პაპაჯანასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. XII. 20. Hd-9696).

**ხუციშვილი გრიგოლა** – [სახლიკაცი] არუთანა ხუციშვილისა, იხ.

**ხუციშვილი დავითა** – მოწმე მანუჩარ ყორღანაშვილის მიერ ხეჩუაანთ მელქუასათვის მიცემულივენახის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. IX. 1. 1450-19/3).

**ხუცისშვილი დავითა** – მოწმე მელქუა პაპუასშვილის მიერ ბაინდურა ყორღანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდბის წიგნისა (1700 წ. XI. 1. 1450-16/169).

**ხუცისშვილი დათია** – მოწმე თამაზ ყორღანაშვილის მიერ მისი განაყოფის ბეჟანისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. VI. 1. 1450-7/58).

**ხუცისშვილი დათია** – ავდროზანას მიერ ოთარ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. IV. 1450-17/28).

**ხუცისშვილი დათუა** – ძარწემში მცხოვრები. [მაჩაბლების] ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ იგი ამილღამბარ მაჩაბელმა აყარა და დაუკარგა [მაჩაბლებს] ([1688-1703 წწ.] Qd-8674).

**ხუცისშვილი დათუაი** – მოწმე კაცია დიასამიძის მიერ ნიქოზელი ზებედე ნამორაძისათვის მიცემული საბაგის ნასყიდობის წიგნისა (1626 წ. III. 20. 1450-33/355).

**ხუციშვილი დათუნა** – მოწმე ლამურ პაპუნას მიერ მიერ იასე მღვდლის სიძის – მამუკა ლაბაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. X. I. 1450-29/158).

**ხუციშვილი დათუნა** – ხუცესი, მოწმე პაპუნას მიერ ბადურა მაჩაბლისათვის მიცემული ხოდაბუნის ნასყიდობის წიგნისა (1680-იანი წწ. 14. Qd-8677).

**ხუცისშვილი დათუნა** – ძმა მანასე ხუცისშვილისა, იხ.

**ხუციშვილი დათუნა** – მისი მამულის მესამედი ეკუთვნოდა [ბარათაშვილს] XVII ს. ბოლო, 1450-33/286).

**ხუციშვილი დემეტრე** – 1688-1700 წწ. ფარემუზ ჯავახიშვილის ყმა (1688 წ. 1450-35/22). ჰყავს [ძმა]: პაატა, ძმისწულები გიორგი, ბერია, სეხნია, ტატია, ნიკოლოზ, მღვდელი გიორგი; შვილი შერმაზან (1699 წ. II. 13. 1450-35/23; თამაზ ნინიაშვილს მიჰყიდა ბაგა თავისი ვენახის ბოლოს ბაკურაშვილის საზღვრამდე (1699 წ. II. 13. 1450-35/23); მოწმე ფარემუზ ჯავახიშვილის მიერ თამაზ ნინიაშვილისათვის მიცემული ნაზვრევის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. XII. 10. 1450-35/22), ზურაბ მანაგაძის მიერ გიორგი ნინიასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. 1450-35/12), პაპუა ტერ-ტერასშვილის მიერ ფარემუზ ჯავახიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. Hd-6442), ფარემუზ ჯავახიშვილის მიერ ბერუკა ნინიაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. 1450-35/25).

**ხუცისშვილი დემეტრე** – მღვდელი, მოწმე იოთამ აბულვარდისშვილის მიერ გიორგი ნინიასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. VI. 1. 1450-35/9).

**ხუცისშვილი ელიზბარ** – შვილი შერმაზან ხუციშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი ზურაბა** – მოწმე ირემა აბნიაშვილის მიერ ბასილა მეფარიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII, Hd-789).

**ხუცისშვილი თამაზა** – ძმისწული ოღულა ხუცისშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი თევდორა** – ძმა ნონია ხუცისშვილისა, იხ.

**ხუციშვილი იასე** – მოწმე ამილბარ ამილბარაშვილის მიერ ესტატე ხახანაშვილისათვის მიცემულიმიწის ნასყიდობის წიგნისა (1613 წ. III. 31. Hd-2966).

**ხუცისშვილი იასე** – დეკანოზი, დამწერი და მოწმე თაყუა დონდარაშვილის მიერ ზაქარია ტალაშაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1666 წ. V. 30. 1448-5193).

**ხუციშვილი იესე** – მამასახლისი, მოწმე ათანელ აბნიაშვილის მიერ ივანე სულხანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. Sd-9).

**ხუციშვილი კაცია** – მოწმე პაპუნას მიერ ბადურ მაჩაბლისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680-იანი წწ. Hd-8677).

**ხუციშვილი მაზანა** – ჰყავს ძმა ბეჟუა. მიჰყიდა მანგლელ ათანასე [ტატიშვილს] დირბულ მიწებთან მდებარე მიწა (1639 წ. Hd-3238).

**ხუციშვილი მამუკა** – ქურთას მცხოვრები. [მაჩაბლების] ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ იგი ამილღამბარმა აჰყარა და დაუკარგა [მაჩაბლებს] ([1688-1703] Qd-8674).

**ხუცისშვილი მანასე** – ხუცესი, ერთი კომლი, ჰყავს ძმა დათუნა და ორივეს ერთად – ოთხი სალაშქრო ვაჟი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II. ნახ. Qd-7017).

**ხუციშვილი მარკოზ** – 1646-1650 წწ. წოდორეთში მცხოვრები. მოწმე გულიტა ივანაშვილის მიერ მახარებელ და სულხანაშვილისათვის მიცემული ორი დღის საბოსტნე მიწის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. IX. 1. Sd-13), მახარა ჭიღრინტელაშვილის მიერ პაპუნა სულხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1650 წ. V. 31. Sd-27).

**ხუცისშვილი მარტიროზა** – ქალაქელი, მოწმე ზაალ გაბაშვილის მიერ გიორგი ბარათაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1653 წ. 1450-38/36).

**ხუცისშვილი მარტიროზა** – მოწმე პაპუას მიერ ხოჯა ბეჰბუდასათვის მიცემული ქულბაქების ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. V. 1. 1450-22-117ა).

**ხუციშვილი მარცვალა** – სატივეში მცხოვრები, მისი მამული მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლების ნუსხაში (XVII ს. დამდ. Qd-7014).

**ხუციშვილი მახარა** – თორმანეულში მცხოვრები, ერთი კომლი, მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლების ნუსხაში (XVII ს. დამდ. Qd-7014).

**ხუციშვილი მახარებელი** – მოწმე თურქისტანის მიერ იესესათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1558 წ. Hd-734).

**ხუცისშვილი მახარებელი** – მოწმე თურქისტან [თურქისტანიშვილის] მიერ შაბურ სოლთან-შაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1633 წ. 1450-28/32)

**ხუციშვილი მახარებელი** – ჰყავს ძმები: ბერი და ბიძინა. გიორგი წინამძღვრიშვილს მიჰყიდა მიწა, ბანკანაშვილის და გურასპაშვილების მიწების საზღვარზე (1695 წ. Hd-6171).

**ხუცისშვილი მითარა** – შვილი ოღულა ხუცისშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი ნასყიდა** – მოწმე შერმაზანა მახარაშვილის მიერ ლაზარა ბერძენიშვილისათვის მიცემული ქულბაქის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. IV. 4. Qd-9086ა).

**ხუცისშვილი ნიკოლაოზ** – ძმისწული დემეტრე ხუცისშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი ნონია** – ერთი კომლი, ჰყავს ძმები: ხახანა და თევდორა, მათი ნაშენი – ორი ვაჟი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II. ნახ. Qd-7014).

**ხუცისშვილი ოთარა** – მოწმე მახარა ბაკურასშვილის მიერ ფარემუზ [ჯავახიშვილისათვის] მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. X. 30. Hd-14084).

**ხუციშვილი ოსიყმა** – ძაძი მონასტერს მოსახლე. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს მამულით ერგო ედიშერს ([1688-1703 წწ.] Hd-1636).

**ხუციშვილი ოღულა** – 1663-1700 წწ. ჰყავს ძმები: საქია და ტერ-ჰანეზა (1663-1678 წწ. 1450-16/110, 1/67). შვილები: გიქოა, მითარა, გასპარა, ძმისწულები: თამაზა, პაპუნა (1687 წ. 1450-16/165). მიჰყიდა დათუნა ყორღანაშვილს და დათუნა დავრეშაშვილს – სასახლე და სოფლისაკენ „სასთაულა მინას" (1663 წ. I. 1. 1450-16/110), როსტომ ყორღანაშვილს – თავისი ნასყიდი სარწყავი და ურწყავი მინა გაღმა, მერუბანში, რომელიც სადუნიშვილის, ტერ-ვართანას, სურამაშვილის, პაპ[ა]ნაშვილის და ნადირაშვილის მინებს ესაზღვრებოდა (1678 წ. XI. 15. 1450-1/67), ოთარ ყორღანაშვილს – თავთას წვერზე დათუნა სურამასშვილისეული მინა ტერ-ასატურას, ავდროზანას და მამუკელასშვილის მინებამდე (1687 წ. V. 1. 1450-16/165); მოწმე მანუჩარ ყორღანაშვილის მიერ ხეჩუაანთ მელქუასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. IX. 1450-19/3), მელქუა პაპუასშვილის მიერ ბაინდურა ყორღანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. XI. 1. 1450-16/169).

**ხუცისშვილი პაატა** – [ძმა] დემეტრე ხუცისშვილისა, იხ.

**ხუციშვილი პატა** – თორმანეულში მცხოვრები, ერთი კომლი, მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლების ნუსხაში (XVII ს. დამდ. Qd-7014).

**ხუციშვილი პაპუნა** – [გარდატენს მცხოვრები], მესაურე ყმა. ციციშვილების ყმების ნუსხის მიხედვით, ის და ბერუა ხუციშვილები განთავისუფლებულნი ყოფილან კოდის პურის გადასახადისაგან ([1658 -1675 წწ.] Hd-14534ა).

**ხუცისშვილი პაპუნა** – ძმა გაბრიელა ხუცისშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი პაპუნა** – ძმისწული ოღულა ხუციშვილისა, იხ.

**ხუციშვილი პეტრე** – ჰყავს [ძმა] შიო. ძულია ვარამასშვილს მიჰყიდა ულალო ნაფუძარი (1696 წ. Sd-45).

**ხუცისშვილი სააკა** – მოწმე ფრიდონა ამირბოქაშვილის მიერ სათალმიშა საქუაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. V. 27. Sd-763).

**ხუცისშვილი საბოა** – მოწმე წერეთლიანთ ბაინდურასშვილ არუთენას მიერ მამასახლის კირაკოზასათვის მიცემული დუქნის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. XI. 1450-25/128).

**ხუციშვილი საქია** – ძმა ოღულა ხუციშვილისა, იხ., მოწმე ბ[ა]ინდურის და პაპუნას მიერ ზალ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. IV მეოთხ. 1450-1/88).

**ხუცისშვილი სეხნია** – ძმისწული დემეტრე ხუცისშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი სეხნია** – ერთანმინდას მცხოვრები, ივანესა და თევდორეს ფარდად იგი მამულით წილად ხვდა მოურავს და ზურაბ [სააკაძეს] (XVII ს. ბოლო მეოთხ. Hd-11 797).

**ხუცისშვილი ტატია** – მოწმე ავთანდილ უსუბეგასშვილის მიერ დომენტი გერმანოზიშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. V. 7. Hd-1707ა).

**ხუცისშვილი ტატია** – ძმისწული დემეტრე ხუცისშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი ქავთარ** – თეძამში მცხოვრები. იხსენიება რუსთაველის ყმების ნუსხაში (XVII-XVIII სს. მიჯნა. Hd-5186).

**ხუციშვილი ყაზარა** (ვარ. ტერ-ყაზარა) – მოწმე თაყა ბარათაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. V. 15. 1450-1/50).

**ხუცისშვილი შერმაზან** – ჰყავს შვილები: ასლან და ელიზბარ. ბეჟან ყორღანაშვილს მიჰყიდა მიწა, რადგან ხელმწიფის მეკოდისპურე ჩამოუდგა და გაჭირდა გადახდა (1683 წ. I. 4. 1450-7/64).

**ხუცისშვილი შერმაზან** – შვილი დემეტრე ხუცისშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი შერმაზან** – გიორგი თადელაშვილთან ერთად იგი მამულით დარჩა შერმაზანს (XVII ს. Qd-1035).

**ხუციშვილი შიო** – [ძმა] პეტრე ხუციშვილისა, იხ.

**ხუცისშვილი ხახანა** – ძმა ნონია ხუცისშვილისა, იხ.

**ხუციშვილი ხოსრო** – მოლარე, მოწმე დიასამ დიასამიძის მიერ ზურაბ ღარაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. III. 15. 1449-785).

**ხუცისშვილი ხოსია** – მოწმე ფარსადან ციციშვილის მიერ მდივან დავითისა სხვა გორელებისათვის მიცემული პირობის წიგნისა ტყით სარგებლობაზე უფლების მიცემის შესახებ (1699 წ. II. 24. Hd-13151).

**ხუცისშვილი ხუცია** – მოწმე ფარსადან ციციშვილის მიერ ბებურ ვაჩნაძისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. I. 22. Hd-2753).

**ხუციშვილი ჰანეზა** (ვარ. ტერ-ჰანეზა) – ძმა ოღულა ხუციშვილისა, იხ.

**ხუცისძე ანტონ** – თისლის მონასტერს შესწირა ვალიეთ ქედზე ნაფუძარი და გაიჩინა სამი აღაპი (XV ს. I ნახ. არ-გეორ. უ. 107ე).

**ხუცისძე გიორგი** – ჰყავს ძმა თევდორე. კორიდეთის ეკლესიას შესწირა ნახევარი ვენახი, მეორე ნახევარი კი მიჰყიდა და აიღო ფასი – ათი ათასი (ი ა[თ]ასი)დრამა (XI. Gr. 28-249v).

**ხუცისძე თევდორე** – ძმა გიორგი ხუცისძისა, იხ.

**ხუციძე ივანა** – [ჩხარის] ციხის მეცხოვნე. სხვა მეციხოვნეებთან ერთად დაარბია გლეხები. ხუცეს მახარებელ [თევდორაშვილს] წაართვა უღელი ხარი, ერთი ხმალი, ერთი დაშნა, ორი სამოსელი, ერთი სარტყელი, ერთი ნარმის პერანგი, ერთი ძირი ფუტკარი, ერთი პაპუცას (sic!), ერთი პირსახოცი, ათი თეთრი. მახნიას წაართვა ერთი ცხვარი, ერთი ღორი, ცხრა [ადლი] ტილო, ორი უღელი ხარის ნამუშევარი, ერთი სარტყელი, ორი ქალამანი, ორი ფედემაგი (XVII ს. Ad-2233ბ).

**ხუცო** – ქევხა, შაბიანში მცხოვრები, ერთი კომლი, შეტანილია სვეტიცხოველის კუთვნილი საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449-1792).

**ხუხალა** – ფარცმანაყანევში მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ათი კოკა ღვინო, ხუთი თეთრი ქათამი, ხუთი კვერცხი, სამარხო ცერცვი (1578 წ. H-626).

**ხუხვა სვიმონ** – იხსენიება „დამხდურად" ჯაფარიძეების მიერ ხერეგიანებისათვის მიცემული ფიცის დაწერილში (XV ს. II მეოთხ. სსძ. II. №91ბ).

**ხუხუა** – თილითში მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ოზურლი, საკლავისათვის ქანდაქი და სამოგუე, გოჭკუმუ, ხუთი კოკა ღვინო, ხუთი ჯამი ღომი, სამი დღის მუშაობა (1621 წ. ქსძ. III. №91). **ხუხუა ვარდია** – ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, სამი ფოხალი ღვინო, სამი ატარი ღომი, ნააფაქიო და გოჭკომური ([1616-1621 წწ.] ქსძ. III. №92).

**ხუხუა თოსკუამია** – ფილითში მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა ერთი კვირის მუშაობა (1621 წ. ქსძ. III. №91).

**ხუხუა მსუბუქა** – ჯგალის ციხის ემართა ბეგარა ისეთივე, როგორიც შონია ეჩაკოჩის ([1616-1621 წწ.], ქსძ. III. №92).

**ხუხუაშვილი ნაზარა** – გორში მცხოვრები ამილახვარის ყმა, საამილახვროს დავთრის მიხედვით ევალებოდა ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ხუხუაძე** – ჭანგაში მცხოვრები ყმა-გლეხი. მამუკა ჭილაძემ იგი შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ([1616-1639 წწ.] Ad-2251მგ).

**ხუხულია ალამელა** – ჩოხათში მცხოვრები, ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი ღორი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, ხუთი ფოხალი ღვინო, ხუთი ლიჯი ღომი და გოჭკუმური ([1616-1621 წწ.] ქსძ. III. №92).

**ხუხუნია გვარამიშვილი** – იგი შესწირა ლევან დადიანმა ბიჭვინტას (1628 წ. Ad-2904).

**ხუხუნიშვილი დათუნა** – ქალაქს მცხოვრები. მოხსენიებულია ყმების ნუსხაში (XVII-XVIII, Hd-819).

# ჯ

**ჯაბარელი** – მ ო წ მ ე ნადირა მეტრე[ვე]ლის მიერ ალხაზ მაჩაბლისათვის მიცემული სისხლის საფასურის დაფარვის წიგნისა (1691 წ. Hd-10399).

**ჯადელასძე ზალია** – მ ი ს ი თავმდებობით სტეფანწმინდელებსა და გერგეტელებს ინდო ზაქაიძის სახელზე გერგეტის წმინდა სამების ტაძარში ფერისცვალება დღეს შენდობა უნდა ეთქვათ (XVI-XVII სს. A-1085. 15-16).

**ჯაზაძე** – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა მთაწმინდის მონასტრის წინამძღვარის იაკინთეს მიერ წერეთლის ასულ გულბუდახისათვის მიყიდულ ვენახს (1668 წ. 1450-31/42).

**ჯალვაში** – იხ. ხალვაში

**ჯამელაშვილი** – ქრცხინვალში მცხოვრები. [მაჩაბლების] დაკარგული ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ მ ა ს თავი დაახსნევინეს თორმეტ თუმნად ([1688-1703 წწ.] Qd-8674).

**ჯარაისძე ბასილი** – ძ მ ა კვირიკე ჯარაისძისა. დ ა მ წ ე რ ი კვირიკე ჯარაისძის მიერ გიორგი მუშერისძისათვის მიცემული დაწერილისა დაკარგული ოქროს შესამოსელზე უდავობის შესახებ (1270 წ. ახლო. Ad-4ა).

**ჯარაისძე ებაი** – მ ო წ მ ე კავთულა და თევდორე ბურჯულების მიერ მოძღვარ დემეტრე ტოხუაისძისათვის მიცემული დაწერილისა აღებული ვალისა და სარგებლის შესახებ (XVIII ს. ბოლო. Ad-4ა).

**ჯარაისძე იოვანე** – „თფილელი". ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: კვირიკე და ბასილი. მ ა ს დაუკაგავს მშობლებისგან დანატოვარი ოქროს შესამოსელი, რომელსაც მისი ძმები ვალად ადებდნენ გიორგი და ზოსიმე მუშერისძეებს (1270 წ. ახლო. Ad-4ა).

**ჯარაისძე კვირიკე** – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა ბასილი და იოვანე. ედავებოდა გიორგი მუშერისძეს ოქროს „შესამოსელზე" (წიგნის, ან ხატის სამოსი), რომელიც დაკარგულა გიორგი მუშერისძის ძმის, ოქრომჭედელ ზოსიმეს გარდაცვალების შემდეგ. ეს შესამოსელი შეფასდა რვა დრაჰკანად. გიორგი მუშერისძემ დაკარგული ოქროს ნივთის სანაცვლოდ კვირიკე ჯარაისძეს მისცა ორი გუთანი მჭედლური მიწა (1270 წ. ახლო. Ad-4ა).

**ჯარძიანი დოდილ** – ძ მ ი ს წ უ ლ ი შერგილ ჯარძიანისა, იხ.

ჯარძიანი ვაგან – ძ მ ი ს წ უ ლ ი შერგილ ჯარძიანისა, იხ.

ჯარძიანი ყივან – ძ მ ი ს წ უ ლ ი შერგილ ჯარძიანისა, იხ.

ჯარძიანი შერგილ – ჰყავს ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: ყივან, ვაგან, დოდილ. კალის ხევს მოახსენა ერთობისა და მოკეთობისა დაწერილი (XIV-XV სს. მიჯნა. ლაგ. №8).

ჯაჩიმისძე გუგუნა – ელიოზის კათალიკოსობის დროს შ ე ს წ ი რ ა სვეტიცხოველს თავისი მკვიდრი მამული სათიჯესა და კურძეულის ბოლოს (1415 წ. ქრ. II. 223).

ჯელინა – გ რ ე მ ი ს ხ ო ჯ ა. არჩილ მეფემ უბრძანა მ ა ს არ გამოერთმია ბაჟი შუამთის ხახულის ღმრთისმშობლისათვის შეწირული სომხებისათვის ბაზარში, გრემში და კახეთის სხვა სავაჭრო ადგილებში ([1664-1675 წწ.] 1448-1475).

ჯელმოკლიძე – თლულში მცხოვრები, ოთხი კომლი. ბაგრატ მეფემ შესწირა ი გ ი ნიკორწმინდის ეკლესიას (1544 წ. VIII. 9. ლაი P-22-a).

ჯერჯემლისძე – სამცხე-საათაბაგოში მცხოვრები საგვარეულო. მ ი ს ი მამულები შემდგომში დაუკავებია თაქთირისძეთა გვარს. შედიოდა მცხეთის საკათალიკოსო სამწყსოში (1516 წ. Ad-91).

ჯეშდინიანი მუგლურ – „დ ა ნ ა ხ დ ო მ ი" და მ ო უ რ ა ვ ი გუშელ ზურაბიანის მიერ ივანე სეტიელისათვის მიცემული დაწერილისა სათიბის მიცემის შესახებ (XIV-XV სს. მიჯნა. სსძ. II. №87).

ჯვედიანელი პაპუნა – მ ი ჰ ყ ი დ ა ბაადურ მაჩაბელს წყაროსთავში მდებარე შედან [მაჩაბლის] კუთვნილი ხოდაბუნის მესამედი, ისევე როგორც ეს ქაიხოსრო და ზაალ მაჩაბლებს მიუყიდიათ (1680-იანი წწ. I. 14. Qd-8677).

ჯირისატ – მ ი ს ი სისხლი დაუურევებია იუსგიანს (XIV-XV სს. მიჯნა, სსძ. II. №43).

ჯველაშვილი არსა – ი გ ი მამულით უწყალობა ქართლის კათალიკოსმა ნიკოლაოზმა გედეონ ელიოზისშვილს (1588 წ. Hd-2526).

ჯმელაშვილი – გარეჯვარში მცხოვრები. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

ჯმელაშვილი ივანე – ქრცხილვანში მცხოვრები, ვაშაყაშვილის ნაქონი სახასო გ ლ ე ხ ი. მარიამ დედოფალმა უწყალობა ი გ ი თამაზ მაჩაბელს (1657 წ. Qd-8711).

ჯო[სია] – ძ ე ბეჟან ბატონიშვილისა, იხ.

ჯოჯობაშვილი – ფარეშთუხუცეს პაატა [ჯავახიშვილის] ყ მ ა. როსტომ მეფემ უბრძანა ედიშერ ბოქაულთუხუცესს არ აეყარა იგი ([1633-1658 წწ.] Qd-9368).

ჯოჯობაშვილი გოჩა – 1616-1618 წწ. მ ო წ მ ე შანშე ჯავახიშვილის მიერ მამისიმედ გოგოჩასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1616 წ.

Hd-1576), შანშე ჯავახიშვილის მიერ თევდორე კოპინასშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1618 წ. 1448-2932).

**ჭუნდაური პაატა** – ანდორეთში მცხოვრები. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჭურათაშვილი ჩიტურა** – მანაველი. ალექსანდრე მეფის ბრძანებით ი გ ი ხევმა მძევლად მისცა გერგეტის საყდრისშვილებს (1439 წ. II. 20. A-1085, 13-15).

**ჭურცისძე ამიშერ** – იხსენიება საბუთის ფრაგმენტში: თუ ი გ ი დადებულ პირობას არ შეასრულებდა, მაშინ 100 თეთრი უნდა ეზღო მოწინააღმდეგე მხარისათვის (XV ს. H-1393. 41v-42r).

# ჯ

**ჯაბაბა** – დ ა მ წ ე რ ი ჯავახაანთ მასურას მიერ მიკირტინა პოდიკაშვილისათვის მიცემული ბაღჩის ნასყიდობის წიგნისა (1573 წ. 1450-18/78).

**ჯაბანაშვილი** – ფ ა რ ე შ ი. მოხსენიებულია საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების დავთარში (XVII ს. II ნახ. Hd-1365).

**ჯაბანიშვილი** – მ ი ს ი ვენახის ერთი კვალი უნდა დაემუშავებინათ ყვავილელებს და აქიდან ექვსი კოკა ღვინო ჩაესხათ გიორგი არაგვის ერისთავის მიერ ანანურის საყდარში ჩადგმულ ქოცოებში (1647 წ. I. 28. Ad-20ბ).

**ჯაბახურა** – კარსანში მ ი ს ი ძმა სულხანი წილად ხვდა გიორგი [ზუმბულიძეს] ([1695-1697 წწ.)1450-31/142).

**ჯაბიასშვილი//ჯაბიაშვილი**

**ჯაბიაშვილი** – ხევდურელი ყმა-გლეხი. ადრე ი გ ი ეკუთვნოდა ბაღათარ ხოსაშვილს. შემდგომ კონსტანტინე მეფემ უბოძა ქართლში გადმოსახლებულ ზაზა ფანასკერტელს (1467 წ. 1448-64).

**ჯაბიასშვილი** – არჩილ მეფემ ი გ ი უწყალობა სუფრაჩ ზაალ გურამიშვილს (1673 წ. 1450-25/170).

ჯაბიაშვილი – ხ უ ც ე ს ი. გივი გურამიშვილის ნაქონი, ერთი კომლი. ნაზარალიხანმა სხვა გლეხებთან ერთად ი გ ი უწყალობა გურამ გურამიშვილს (1693 წ. 1450-14/50).

**ჯაბიაშვილი ბასილა** – მუავაში მცხოვრები, გლეხი. გივი და ფარემუზ გურამიშვილების ყოფილი ყ მ ა. ნაზარალიხანმა იგი მამულით უწყალობა გურამ გურამიშვილს და მის ძმებს (1694 წ. VI. 4. 1448-57).

**ჯაბრიელისშვილი გიორგა** – ხონის საყდრის ყ მ ა. ემართა ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი თეთრის ყველი, ორი თეთრის თევზი, შვიდი კოდი ღომი, რვა კოკა ღვინო და სამსახური (XVI ს. ბოლო. 1448-5034).

**ჯაბჯაური ბერუკა** – 1631-1651 წწ. ჰყავს [ ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი ]: იოკიმე, გიორგა, თევდორა და გიორგი. ი ს ი ნ ი თეიმურაზ მეფემ გაათარხნა სახელმწიფო გამოსაღებისაგან, გარდა ლაშქარ-ნადირობისა (1631 წ. II. 21. Hd-14661ა), იგივე წყალობა განუახლა მ ა ს როსტომ მეფემ (1651 წ. Hd-14661ბ).

**ჯაბჯაური გიორგა** – [ ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ბერუკა ჯაბჯაურისა, იხ.

**ჯაბჯაური გიორგი** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბერუკა ჯაბჯაურისა, იხ.

**ჯაბჯაური გიორგი** – წინარეხში მცხოვრები, გ ლ ე ხ ი. გივი და ფარემუზ ჯავახიშვილების ყოფილი ყ მ ა. ნაზარალიანმა ი გ ი მამულითურთ ნასისხლად უწყალობა გურამ გურამიშვილს (1694 წ. VI. 1448-57).

**ჯაბჯაური ვეფხაი** – მ ო წ მ ე ელიაზარ ელიოზისშვილის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის მიცემული მამულის შეწირულების წიგნისა (1492 წ. 1449-1615).

**[ჯაბჯაური] თევდორა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბერუკა ჯაბჯაურისა, იხ.

**ჯაბჯაური თევდორე** – მ ო წ მ ე ზაალ გურამიშვილის მიერ სუხიტა ვარდანაშვილისათვის მიცემული თარხნობის წიგნისა (1672 წ. 1450 36-215).

**ჯაბჯაური იოკიმე** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბერუკა ჯაბჯაურისა, იხ.

**ჯაბჯაური მამაგული** – ა ზ ა ტ ი. ჯვრის ხატისყმა, ერთი კომლი. მ ი ს ი კომლიდან ერთ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს. 90-იანი წწ. Hd-14912გ).

**ჯაგასშვილი ილა** – მრუდაანელი. ჰყავს გ ა ნ ა ყ ო ფ ი სოსიმასშვილი ბოსტოღანა. ალექსანდრე ლეონ მეფის ძემ ი გ ი ბედიყარის მამულით შესწირა გარეჯის წმინდა დავითის საფლავს (1571 წ. 1449-1547).

**ჯაგავაძე ნასია** – ალექსანდრე მეფემ (IV)ი გ ი შესწირა გელათს და მ ა ს და მის განაყოფებს დააკისრა ალექსანდრე მეფის (III)საალაპედ ყოველწლიური გადასახადი – ერთი შამახური სანთელი ([1683-1695 წწ.] Ad-598ბ).

**ჯაგარასშვილი პაპუნა** – ი გ ი მამულით წილში ერგო ედიშერს ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრისას ([1688-1703 წწ.] Hd-1636).

**ჯაგრანისშვილი** – სუმბატ ურდოელასშვილის ყ მ ა. გიორგი მეფემ ი გ ი უწყალობა სუმბატის შვილობილს – მესტუმრე ვირშელ ზეიადიშვილს (1460 წ. I. 30. 1449-1171).

**ჯავარაშვილი ბახია** – მ ო წ მ ე ყარაბუდახის მიერ ქრისტეფორე ბარათაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1665 წ. Sd-622).

**ჯავარაშვილი სარქისა** – მ ო წ მ ე შუაბოლნელ მამასახლის სამებას მიერ მეფის კარის ყაფიჩ ალიხანა [იაგულაშვილისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. III. 13. 1450-9/133).

**ჯავაშერ** – შ ვ ი ლ ი პაპუნა გოსტაშაბისშვილის შვილიშვილის, თინათინისა, იხ.

**ჯავახ** – ძლევისჯვარს მცხოვრები. [მაჩაბლების] ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ ი გ ი ერგო ბადურ [მაჩაბლის] შვილს ([1688-1703 წწ.] Qd-8674).

**ჯავახ** – მ ი ს მიწამდე მიჰყიდა ბაატა პიპიაშვილმა პაპუნა ამირბეგაშვილს ულალო სახატე მიწა (1657 წ. Hd-6428).

**ჯავახ** – მეჯვრისხევში მცხოვრები, ბოგანო. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVIIს. II ნახ. 1448-5032).

**ჯავახ** – მ ი ს მინამდე მიჰყიდა დათუნა ვარძიელასშვილმა შოშიტა მიქელაშვილს მინა ქვემო ძვიმლეთში (1690-იანი წწ. Hd-765).

**ჯავახ** – მოხსენიებულია როსებ ტატიშვილის ყმების დავთარში (XVII ს. II ნახ. სეიძ. II, 41).

**ჯავახასშვილი//ჯავახაშვილი//ჯავახთ**

**ჯავახაშვილი** – მ ი ს გ ა ნ ნასყიდი მინა იაკობიშვილებმა მიჰყიდეს ბატონ გედალს (1700 წ. IX. 2. Qd-8517).

**ჯავახასშვილი** – კარალეთში მ ი ს მამულზე ესახლა გოდერაძე (1700 წ. 1448-3602).

**ჯავახაშვილი** – ნახშირგორში მცხოვრები. წილში ერგო თამაზ [ბარათაშვილს] ([1633-1658 წწ.] 1448-2318).

**ჯავახასშვილი** – მ ი ს გ ა ნ ნასყიდი მინა ელიზბარ გეგუტუსშვილმა მიყიდა ზურაბ ჯავახიშვილს ([1672-1699 წწ.] Hd-2404).

**ჯავახაშვილი** – ლუდაში მცხოვრები. ციცი [ციციშვილის] და მამუკა მაღრაძის სამამულე დავის განჩინებით, ი გ ი მამულით მამუკა მაღრაძეს დარჩა (XVII ს. ბოლო. Hd-821).

**ჯავახაშვილი ავთანდილ** – მ ი ს კუთვნილ ადგილზე დასახლებულა ტორაკაბიძე ([1688-1703 წწ.] სს. II. №89).

**ჯავახაშვილი ალექსა** – ქალაქში მცხოვრები. მოხსენებულია ყმების ნუსხაში (XVII-XVIII სს. Hd-819).

**ჯავახასშვილი გიორგი** – ძევერაში მ ა ს ეკუთვნოდა გაბრიელა ხუცისშვილი (1700 წ. 1448-3602).

**ჯავახასშვილი გოგია** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] შოშიტა ჯავახასშვილისა, იხ.

**ჯავახაშვილი ირემა** – წინავენახში მცხოვრები. წილში ერგო ხოსია ბარათაშვილს (1640 წ. 1450-11/99).

**ჯავახაშვილი ირემა** – ჰყავს გ ა ნ ა ყ ო ფ ი პაპუნა. მასთან ერთად მ ო წ მ ე ა თევდორე ქუდრეგვენაშვილის მიერ ზურაბ ლარაძისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. XII. 1. 1450-10/119).

**ჯავახთ მაზიტა** – მ ო წ მ ე მაზიტა თევდორესშვილის მიერ ბახუტა ჩივაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. Hd-6795).

**ჯავახაშვილი ნადირა** – ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ა] ოტია, ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ე ბ ი: ქიტუა, პაპუნა. მ ი ჰ ყ ი დ ა გიორგი ლარაძეს საგუბრის მინა-ნაფუძარი ([1689-1700 წწ.]. 1450-10/124).

**ჯავახაშვილი (ვარ. ჯავახიშვილი)ოტია** – [1689], 1690-1693, [1700] წწ. [ძ მ ა] ნადირა ჯავახაშვილისა, იხ., მ ო წ მ ე: თაყა ბარათაშვილის მიერ შიოშ ლარაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. VII. 1450-10/136), პაპუნა გოსტაშაბიშვილის მიერ გიორგი ლარაძისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. IV. 20. 1450-10/134).

**ჯავახაშვილი პაპუნა** – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ირემა ჯავახაშვილისა. მასთან ერთად მ ო წ მ ე ა ქიტია მოლოდინაშვილის მიერ ზურაბ ლარაძისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1655 წ. XI. 15. 1450-10/127).

**ჯავახაშვილი პაპუნა** – ამილახვრის მ დ ი ვ ა ნ - მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი. დ ა მ წ ე რ ი: გივი ამილახვრის მიერ ოთია კუპატაძისათვის მიცემული თარხნობის წიგნისა (1689 წ. VII. 18. 1448-527), ავთანდილ მირიმანიძის მიერ გივი თუმანიშვილისათვის მიცემული შამირზას ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. XI. 11. Hd-403), იოთამ ამილახორის მიერ დათუნა მხალაძისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1698 წ. II. 18. Ad-1059).

**ჯავახაშვილი პაპუნა** – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ნადირა ჯავახაშვილისა, იხ.

**ჯავახასშვილი პაპუნა** – ამილახორის აზნაურისშვილი, ძევერაში მ ა ს ეკუთვნოდა მახარებელ კოლიასშვილი, ბარამა ბიბიასშვილი, ბერუკა მამიასშვილი (1700 წ. 1448-3602).

**ჯავახაშვილი პაპუნა** – ნახშირგორში მცხოვრები. ი გ ი წილად ხვდა თამაზ [ბარათაშვილს] ([1633-58 წწ.] 1449-590).

**ჯავახაშვილი ქიტუა** (ვარ. ქიტია) – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ჯავახაშვილ ნადირასი იხ. მ ო წ მ ე თაყა ბარათაშვილის მიერ შიოშ ლარაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. VII. 1450-10/136).

**ჯავახაშვილი ხუცია** – მ ო წ მ ე პაპუნა გოსტაშაბისშვილის მიერ გიორგი ლარაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. IV. 20. 1450-10/134).

**ჯავახაძენი** – ქვიტირში ჯვარისათვის შეწირულნი. ოტია ჩხეიძემ ი ს ი ნ ი გაათავისუფლა სამოურავო გადასახადისაგან (1682 წ. 1448-1522).

**ჯავახი ბიძინა** – საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ა ს ჰყავდა ყმები ბოლში: ცხოტელი ივანა, ბაქრაძე სუხიტა, მორბედაძე მაზიტა, ხარაშვილი ნადირა, დათუნა, ფურცელაძე ბერიკა, ბოგანო წიწია, ბოგანო ბასილა; საშვებში – ოთხი კომლი. აქედან ორს ევალებოდა შუბით და დანარჩენ ორს – თოფით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჯავახი გოგია** – ძევერაში მცხოვრები. საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ერთ კაცს ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჯავახი მიქელა** – 1689-1691 წწ. მ ო წ მ ე სულხან გოგალაძის მიერ არდაშელ ბუნიათიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. Hd-811), პაატა უზნაძის მიერ ბააკა ბუნიათიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. Hd-813).

**ჯავახია წინაკოჩი** – მოწმე და „მაშუალი“ გიორგი ლიპარტიანის მიერ გიორგი ფაღავასათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (XVII ს. მიწურული. ქმ. №1178).

## ჯავახიანნი // ჯავახიშვილები // ჯავახისშვილი // ჯავახიშვილი შდრ. თორელი // თორელ-ჯავახიშვილი

ჯავახიანნი – მ ა თ გ ა ნ მოურავ სააკაძეზე მისყიდული სოფელი ნოდორეთი როსტომ მეფემ დაუმკვიდრა ყორღანაშვილებს (1635 წ. IX. 10. Qd-2432).

ჯავახიშვილები – ჰყავდათ ყმა არჯევანასშვილი, რომლის ცოლ-ყოფილი სამი შვილით ტფილისის სიონის ღმრთისმშობლის ეკლესიის ყმაზე გათხოვდა. ჰ ქ ო ნ დ ა თ დ ა ვ ა არჯევანასშვილის შვილებზე ტფილელ მთავარეპისკოპოს ბარნაბასთან. დავის გარიგების შედეგად ბარნაბა მთავარეპისკოპოსმა ჯავახიშვილებს სადავო ყმების ნაცვლად უბოძა: ერთი ჯორი, ერთი ქამხა და ერთი თასი (1580 წ. VII. 20. 1449-1552).

ჯავახიშვილები – მ ა თ უორგულეს ერეკლე მეფეს, რის გამოც მეფემ მოურავისშვილ თარხან გიორგის უბოძა ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს ოძისში მცხოვრები ყმები ურუმბეხაშვილითურთ, გარდა საამ [ჯავახიშვილის] ყმებისა (1692 წ. IX. 27. Hd-2166).

ჯავახისშვილი – კრეფას მცხოვრები. ი გ ი მამულით ნილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537-1538 წწ.] VIII. 16. 1450-11/12).

[ჯავახიშვილი] – ჩვის ბჭეებთან ქაიხოსრო [ჯავახიშვილზე]: სვიმონ მეფემ გორის ალებისას მამაჩემი მახარობლად გაგზავნა ყაენთან და კლიტეებიც თან გაატანაო. შემდგომ სვიმონ მეფე ურუმებმა დაატყვევეს და პაპაჩემი ყაენთან დარჩა, სადაც ხშირად ხვდებოდა ყაენთან მყოფ ბაგრატ მეფესო. ქაიხოსრო [ჯავახიშვილს] მომჩივანის ოჯახი გიორგი მეფესთან და დედოფალთან დაუბეზღებია – სვიმონ მეფეს კახეთის ლაშქრობისას თან ახლდა შალვა [ჯავახიშვილი], რომელმაც სვიმონი მიატოვა და ქალაქში მყოფ დავით მეფესთან მივიდაო. ამის გამო მომჩივნის ოჯახი დასჯილა. მომჩივნის პაპისათვის ყაენს უბოძებია ორმოცდაათი თუმანი და ორმოცდაათი თუმნის ფართალი. ეს საქონელი და ცხენ-იარაღი გიორგი მეფემ მომჩივნის პაპას ჩამოართვა და თავისთან მიატანინა, ხოლო მომჩივნის მამა-ბიძანი დაიჭირა და გორში საკანში ჩაყარა. ამასობაში დავით კახთ ბატონმა გიორგი მეფეს კაცი გაუგზავნა და მის გამო დატყვევებული ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს გამოშვება სთხოვა. ამის შემდგომ ქაიხოსრო [ჯავახიშვილი] მომჩივნის ოჯახს თავს დაესხა და ნაუხდინა „საბადებელი": სამი ქვაბი, ოცი სპილენძის თეფში, ხუთი ორხოვა (დედაკაცის), ნარიმანი, ორი თასი, თუნგი, თორმეტი ცხენი, იარაღი, ასი კოკა ღვინო და ორი კოდი პური ([1615-1619 წწ.] Hd-2272).

ჯავახიშვილი – ნახშირგორს მცხოვრები. ი გ ი წილში ხვდა თამაზ [ბარათაშვილს] ([1633-1658 წწ.] 1450-11/69).

ჯავახიშვილი – ბ ა ტ ო ნ ი. მ ი ჰ ყ ი დ ა წოდორელ მახარებელ სულხანიშვილს ორი დღის მიწა, რაც აღნიშნულია მახარებელ სულხანიშვილსა და მერაბს შორის მამულზე დავის გარიგების წიგნში (1741 წ. Sd-496).

ჯავახიშვილი – როსტომ მეფემ ხოსია ბარათაშვილს უწყალობა ნოსტის ოძისი, რომელიც ხოსიას მ ი ს გ ა ნ სანახშირედ ჰქონია მიღებული (1642 წ. Ad-1138).

ჯავახიშვილი – მ ი ჰ ყ ი დ ა პაპუნა თუხარელს ახალქალაქთან მდებარე ნავენახარი მინის ნახევარი, რაც აღნიშნულია ნიკოლოზ აბულვარდიშვილის მიერ პაპუნა თუხარელისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნში (1661 წ. Sd-49).

ჯავახიშვილი – ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა ნაზარალი-ხანის მიერ პაპუა, გუგუნა და ვარაზა გერმანოზისშვილებისათვის მიცემული დავის გარიგების წიგნში: თუ გუგუნა ბარათს წარადგენდა, რომ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს საკომლოდ მათ ეკუთვნოდათ ქიტია, მაშინ, ბუდახა გუგუნას დარჩებოდა ([1688-1703 წწ.] Sd-577ა)

ჯავახიშვილი – მ ი ს მინამდე მიჰყიდა ელიბა ფეტურაძემ ბერი კვალინიძეს მინა ძლევიჯვარს (1696 წ. 1448-5301).

ჯავახიშვილი ავთანდილ – შ ვ ი ლ ი ფარემუზ ჯავახიშვილისა, იხ.

[ჯავახიშვილი] ბახუტა – [ ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ივანე [ჯავახიშვილისა], იხ.

ჯავახიშვილი (ვარ. ჯავახისშვილი) ბახუტა – 1663-1680, [1688] წწ. შვილი ქაიხოსრო ჯავახიშვილისა, იხ. (1671 წ. დ-6777), ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ბეჟან, კახა, ელიზბარ (1670 წ. სს. II. №67, 1680 წ. Hd-8485, XVII ს. III მეოთხ. Hd-14987), ნიკოლოზ (XVII ს. მე-3 მეოთხ. Hd-14987), დურმიშხან, იასე (1671 წ. Hd-6777). უ წ ყ ა ლ ო ბ ა: თავის ყამებს, [ბერ] და [გიო]რგი [დათვიასშვილებს] ყარაღაჯულში ოთხი დღის მინა, ხანდაკს – ზუბიტას ნაქონი ორი დღის მინა, საკუთარი ნაზვრევი და მამუკასშვილის ნავენახები, ზოგი ლიპუაშვილის მინაზე გაცვლილი და ზოგიც მათგან ნასყიდი, მამუკასშვილის დღენახევრის მინა, მისივე ნაფუძარი (1670 წ. სს. II. №67); თავის ყმებს: ბერ, თამაზ, პაპუნა, დათუნა, მამისა, ივანა და გიორგი დათვიასშვილებს ყარაღაჯულში ოთხი დღის მინა, ხანდაკს – მალციური, ზუბიტას ნაქონი მინა რუს შუა, [ჯავახიშვილების] ნაზვრევი და მამუკასშვილის ნავენახევი, ზოგი ლიპუაშვილის მინაზე გაცვლილი და ზოგი [ჯავახიშვილების] ნასყიდი, დღენახევრის მინა მამუკაშვილისაგან, ნადირა ლიპუასშვილის მინის ნაცვალი, მამუკასშვილის ნაქონი ნაფუძარი, ორი დღის [მინა] ნადირა ლიპუაშვილის ნაქონი-გაცვლილი (1680 წ. Hd-8485); ა მ ო უ კ ვ ე თ ა ღ ა ლ ა და უ წ ყ ა ლ ო ბ ა წოდორელ ხუცეს იასეს კახეთს წასული ლაზარას ნაქონი სასახლე ადგილი სულხან ქურციკაულისა და მგელიტას საზღვრებამდე. თუ ლაზარა დაბრუნდებოდა, მათ სანაცვლო მამულს მისცემდა (XVII ს. III მეოთხ. Hd-14987); შ ე ა რ ი გ ა პაპუნა გოსტაშაბიშვილი და მისი სიძე დურმიშხან [ბარათაშვილ]-ფალევანხოსროსშვილი, რომლებსაც დავა ჰქონდათ სანისქეილეზე (1688 წ. ახლო. Hd-2017); მ ო წ მ ე: თაყა ასანბეგისშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბისშვილისათვის მიცემულ ყმა-მამულის გაცვლის წიგნისა

(1671 წ. II. 12. Hd-6777), დურმიშხან ფალ[ვ]ანხოსროშვილის მიერ მამუკა გოსტაშაბიშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის გაცვლის წიგნისა (1676 წ. IX. 5. Hd-2104).

ჯავახიშვილი (ვარ. ჯავახაანთ, ჯავახისშვილი) ბეჟან – 1573-1606 წწ. ძ მ ა მასურ ჯავახიშვილისა, იხ. მ ი ჰ ყ ი დ ა ქაიხოსრო [ჯავახიშვილს] თხლიური მიწა (1606 წ. Hd-9319).

ჯავახიშვილი (ვარ. ჯავახისშვილი) ბეჟან – 1663-1609 წწ. ა ზ ნ ა უ - რ ი შ ვ ი ლ ი (1690 წ. Hd-2753), შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო ჯავახიშვილისა, იხ., ძ მ ა ბახუტა ჯავახისშვილისა, იხ., ნიკოლოზ [ჯავახიშვილისა], იხ. მ ო წ მ ე ფარსადან ციციშვილის მიერ ბებურ ვაჩნაძისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. I. 22. Hd-2753).

ჯავახიშვილი ბერი – 1663-1675 წწ. შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო ჯავახიშვილისა, იხ. მ ო წ მ ე მღვდელ გიორგი რამაზაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული თავნასყიდობის წიგნისა (1675 წ. VII. 6. H-13-25. 23ab-569).

ჯავახიშვილი ბერუკა – მ ო წ მ ე ელისბარ სოლაღაშვილის მიერ პაპუა მაღალაძისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1565 წ. IX. 25. 1448-5087ბ).

[ჯავახიშვილი] ბერუკა – ჰყავს: ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი როინ (1656 წ. Hd-14677), [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ქაიხოსრო ჯავახიშვილი (1620 წ. Hd-6259). ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა: ქაიხოსრო ჯავახიშვილისა და მოურავ [გიორგი სააკაძის] სასისხლო დავის წიგნში: ი გ ი მოურავ [გიორგი სააკაძეს] შვილივით გაუზრდია. როდესაც მოურავი ქაიხოსრო ჯავახიშვილს დამოყვრებია, ბ ე რ უ კ ა მოურავს გადაკიდებია და ლუარსაბ მეფესთან მისი დაბეზღება დაუწყია. ბატონი მოურავი ქაიხოსრო ჯავახიშვილს აბრალებდა ესტანწმიდიდან ნახირის წასხმას, რომელიც, ქაიხოსროს მტკიცებით, ბ ე რ უ კ ა ს ეკითხებოდა. მოურავი თავისი ციხე-სიმაგრის – ფელის – დარბევას ჩიოდა. ქაიხოსროს მტკიცებით, ფელის დარბევაც ბ ე რ უ კ ა ს ბრალი იყო. ფელელთ მ ი ს ი ცხენი ემართათ და ბ ე რ უ კ ა ს ყმას, გორგაძეს, ფელიდან ეს ცხენი წამოუყვანია, ამიტომ ზარალი მ ა ს უნდა გადაეხადა (1620 წ. IV. 15. Hd-6259), როსტომ მეფემ როინ ჯავახიშვილს საჯავახიანოში უწყალობა მათი ამოვარდნილი ნათესავის მამული – თეძამს გაღმა და გამოღმა, რომელიც ადრე ლუარსაბ მეფეს ბ ე რ უ კ ა ს ა თ ვ ი ს ჰქონდა ნაბოძები (1656 წ. Hd-14677).

ჯავახიშვილი ბერუკა (ვარ. ბერი) – ძ მ ა დავით ჯავახიშვილისა, იხ.

ჯავახიშვილი (ვარ. ჯავახისშვილი) ბესფაზ (ვარ. ბესფას, ფეზბატ, ფეზია, თეზია) – 1580 წ. ძ მ ი ს წ უ ლ ი იოთამ ჯავახიშვილისა, იხ., ჰყავს: შ ვ ი ლ ი როსებ (1606 წ. 1449-1777, 1669 წ. 1449-1825ა), გ ა ნ ა ყ ო ფ ი იესე ჯავახიშვილი (1608 წ. Hd-14700). ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა: საჯავახიშვილოში მ ი ს ი და მისი შვილის, როსების კუთვნილი მამული: ზაქუს – ტაველიშვილი ნადირა ძმებითურთ და მამულით, ფიცეს – ხატია მამისხარაშვილი ძმისწულებითა და

განაყოფი მაზმანათი, მისი შვილებითა და ძმისწულებით, კრკონს – ბასილა და შაქარა შვილობილაძე და ტატია გიორგაძე მათი მამულებით, ზესს – გიგუტა და ამირა მამულებით, ქუენადრისს – ფეზიას კუთვნილი შალვა და ამბრია ჭყვაპიაშვილები, სიონში – ცამეტი დღის მინა სიმონ მეფემ შესწირა მანგლისის ღმრთისმშობლის ეკლესიას (1606 სიც [1478-1600 წწ.] 1449-1777), დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა მ ი ს ი კუთვნილი მიწები სამებასა და ცხირეთში უწყალობა სახლთუხუცესს ზურაბ [საავაძეს] (1607 წ. Hd-14417), ლუარსაბ მეფემ იესე ჯავახიშვილს უწყალობა წოდორეთში მისი განაყოფის – ფ ე ზ ი ა ს კუთვნილი მამული (1608 წ. IV. 7. Hd-14700). შაჰნავაზმა შესწირა მანგლისის ღმთრისმშობლის ეკლესიას საჯავახიშვილოში მ ი ს ი კერძი ყმა-მამული: ზაკუს – ნადირა ტაველიშვილი ძმებით და მამულით, ფიცეს – ხატია მამასხარაშვილი ძმისწულებით, მისი განაყოფი მაზანა შვილებით და ძმისწულებით მათი მამულიანად; კრკონს – ბასილა და შაქარა შვილობოლიძე, ტატია გორგაძე მათი მამულით; ზესს – გეგუტა მისი მამულით, აბანოს – ზვარი და საწნახელი; ქუენანდრისს – ამბრია ჭყუაპიაშვილი ძმისწულებით და მამულით; სიონს – ცამეტი დღის მინა ფ ე ზ ი ა ს ე ე კერძი და ხანსულთანს მათი კუთვნილი მიწები გლეხებით (1669 წ. 1449-1825ა).

**ჯავახიშვილი ბიძინა** – ძ მ ა შანშე ჯავახიშვილისა, იხ.

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **გაბრიელ** – 1633-1699 წწ. მ ა ნ გ ლ ე ლ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი//მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ([1662], 1672-1699 წწ. ქრ. II. 480, Hd: 1880, 3592, 9404, Ad-967, 1449-1187, Hd-2629, Ad-948, Hd-7229, 6270, ქკის. №2922, 1449-1826, 1448-1177, 1450-30/135, Sd-569, Ad-173, Hd:15059, 14083, 14083, 1448-69, Hd-6021, 8265, 1450-31/132, 1448-5382, Ad-647, Hd: 6242a, 14964, 6242b, Ad-722), შ ვ ი ლ ი პაატა ჯავახიშვილისა, იხ., პ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ზურაბ ჯავახიშვილი, იხ., შერმაზან ჯავახიშვილი, იხ., ([1686-1699 წწ.] Hd-6270, 1694 წ. Hd-14083, [1699 წ.] Hd-6242ა), ჯავახ ([1699 წ.] Hd-6242a), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ე ბ ი: გოშფარ ჯავახიშვილი, იხ. ([1672-1699 წწ.] Hd-3592, [1699 წ.] Hd-6242a), ფარსადან, მანუჩარ ([1699 წ.] Hd-6242ა), ფარემუზ (1694 წ. Hd-14083). მ ი ს ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ო ბ ი ს დროს: ნაზარალი-ხანმა გაათავისუფლა სამეფო გადასახადებისაგან საჯავახიანოში მანგლისის ღმრთისმშობლისათვის შეწირული მამულები და სოფლები: მანგლისი და მეთრევანა (1689 წ. 1448-1177), ხვარეშან დედოფალმა მანგლისის ღმრთისმშობლის ეკლესიას მისცა შეწირულების წიგნი და გაუჩინა ულუფა – „მანგლელის ყაბზი": ყოველ-წლიურად შუა ბოლნისიდან თხუთმეტი საპალნე ტკბილი, საკულუხო კოკით და სანთელ-საკმევლისათვის წინწყაროდან 500 შაური. ამის სამაგიეროდ ხვარაშანმა დაიწესა ჟამისწირვა (1694 წ. 1448-69); ქართლის კათალიკოსმა იოვანე დიასამიძემ მ ა ს სამწყსოდ უწყალობა აბაშის და დავითის კერძი მა-მული, ალგეთს „გალმართი": ვაკე, ღორისთავი, გუდარეზი, ცოვრეთი, გარსი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი, უგუდეთი, გოგასგვერდი, ახალდაბა, მანგლისის

გარშემო ოძისი და კველთა. ამას გარდა, დაუმტკიცა [დომენტი] კათალიკოსის მიერ მისთვის და დმანელისათვის მიცემული დავის გარიგების წიგნი (1699 წ. V. 26. Ad-647); მ ა ნ მ ი ს ც ა ე რ თ გ უ ლ ე ბ ი ს პ ი რ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი: დომენტი კათალიკოსს ეპისკოპოსად კურთხევასთან დაკავშირებით ([1662 წ.] ქრ. II. 480), მდივან გივი [თუმანიშვილს] ([1686-1699 წწ.)Hd-6270); მ ო წ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო: ზურაბ და შერმაზან ჯავახიშვილებსა და ოთია გოგიბედაშვილს შორის სამამულე დავის გარიგებაში (1695 წ. IV. 6. Hd: 8265, Hd-6021), რამაზას შვილების: არდაშელისა და გიორგის ძმებთან გაყრის საქმეში ([1695-1697 წწ] 1450-31/132); დ ა ა მ ტ კ ი ც ა გიორგი მეფის მიერ მანგლისის ღმრთისმშობლისათვის მიცემული მამულის შეწირულების წიგნი (1688 წ. 1449-1826); გ ა ა თ ა რ ხ ნ ა: გოგიტა [რაჟამაძე] ლალისა და საბალახისაგან (1672 წ. ახლო. Ad-722); მ ი ს ც ა თარხნობის განახლების წიგნი შოშიტას, მოძღვარ გაბრიელს და მათ შვილებს (1692 წ. VIII. 24. Ad-173); მ ო წ მ ე: ჯანო ენდრონიკესშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1673 წ. IV. 5. 1449-1187), მღვდელ გიორგი რამაზაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული თავნასყიდბის წიგნისა (1675 წ. VII. 6. ლაი H13-25. 23 აб. 569), ბახუტა ელიოზისძის მიერ სახლთუხუცეს რევაზ მაღალაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. 1450-30/135); ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა: გოშფარ ჯავახიშვილთან ერთად მიითვისა ავთანდილისა და ერასტი ყაფლანიშვილის საქონელი და ფული ([1672-1699 წწ.] Hd-3592); ჰ ქ ო ნ დ ა დ ა ვ ა ერთ არეკალ ვენახზე ოთარ გერმანოზიშვილის ცოლ-ყოფილ მარიამთან (1692 წ. ახლო. Hd-15069); გ ა უ ც ვ ა ლ ა თავის ბიძაშვილ ფარემუზ [ჯავახიშვილს] ნაბერლიშვილის ზვრისა და წერეთელაშვილის მიწის მოსაზღვრე ზვარი ხოვლეში მდებარე კორდიგლეჯაშვილის ვენახზე, რომელიც ემიჯნებოდა თაყაურის და ბეგიაშვილის ვენახებს (1694 წ. VIII. 3. Hd-14083); ფარსადან [ჯავახიშვილმა] მ ი ს გ ა ნ ისესხა 6 თუმანი და მისცა თამასუქი (XVII ს. 90-იანი წწ. Hd-14964); ი ყ ი დ ა თავისი ბიძაშვილებისაგან: ფარსადან, გოშფარ და მანუჩარ [ჯავახიშვილებისაგან] საკომლო და ზვრის ჩამონაჭერი. ფარსადანს ემართა მ ი ს ი 3 თუმანი და 2 მინალთუნი, მან ვალი 4 თუმნამდე შეავსო და მ ა ნ გ ლ ე ლ ს მისცა 4 დღის მიწა. ფარსადანს ჰქონია მუშრიბისა და მისი შვილის, სარქისას, 6 თუმნის ღირებულების თამასუქი. ეს თამასუქი ფარსადანმა ვენახის ნაფუზვრისა და სასოფლო ზვრისთვის მ ა ნ გ ლ ე ლ ი ს ა გ ა ნ აიღო იმ პირობით, რომ, თუ მევალეები ფარსადანს აპატიებდნენ სარგებელს, მაშინ მასაც უნდა ეპატიებინა მუშრიბისათვის; სხვა შემთხვევაში ფარსადანი იღებდა სარგებელს 6 თუმანზე, დანარჩენს კი მ ა ნ გ ლ ე ლ ს აძლევდა; თუ მუშრიბი არ გადიხდიდა ვალს, მაშინ ფარსადანი აგვისტოს ნახევრამდე თამასუქს მ ა ნ გ ლ ე ლ ს დაუბრუნებდა და აიღებდა 10 თუმანს. ვადის გადაცილების შემთხვევაში, ვენახი მ ა ნ გ ლ ე ლ ს დარჩებოდა ([1699 წ.] VII. II. Hd-6242ა); მ ა ნ მისცა თამასუქი ფარსადან [ჯავახიშვილს, რომლითაც ფარსადანმა ვალი ვერ

აილო. ხელმწიფის ბრძანებით, რევაზ ხერხეულიძემ მათ ერთმანეთისათვის მისაცემი მიაცემინა და გაარიგა ზვარზე და გოგიაშვილზე (1699 წ. Hd-6242b); მისი ხელრთვა აქვს საბუთს – Ad-173.

ჯავახიშვილი გამრეკელ – ჰყავს: შვილი სარიჯან, ბიძაშვილი შალვა. „ურდოს ლაშქარსა შინა და გარე“ ერთგული სამსახურის სანაცვლოდ, [გიორგი მეფემ] მას უწყალობა კაგიოსის მცხოვრები ორი გლეხი: კომნაკომისძე და ბორტყოლა მიწითა და საქონებლით, რომლებიც „საქმის შეკაზმამდის“ მისი ბიძაშვილის შალვას შვილს ექნებოდა (1345 წ. X. 12. Hd-11627).

ჯავახიშვილი გამრეკელ (ვარ. გარეკელ) – 1440-1454 წწ. გორის მოურავი (1454 წ. Qd-9221), ატენის მოურავი იხს. [1466-1478 წწ.] Sd-1242). ჰყავს შვილები: ზაქარია, კახა, ზაზა (1440 წ. Hd-1991, 1454 წ. Qd-9221, [1466-1478 წწ.] Sd-1242), სოლა (1440 წ. Hd-1991)და სამი ქალიშვილი ([1466-1478 წწ.] Hd-1801), მეორე თანამეცხედრე – გულსურაბ, [ციციშვილთა სახლიდან] (1466-1478 წწ] Hd: 1570, 1801). მას უწყალობა: ალექსანდრე მეფემ მათი განაყოფისეული მკვიდრი მამული ციხით, მონასტრით, სასახლით, აზნაურიშვილებითა და გლეხებით (1440 წ. II. 20. Hd-1991), გიორგი მეფემ – ცხირეთის გვერდი ციხე-სიმაგრით, ზემო და ქვემო ცხირეთი, ხანდაკი, ოძისი, ახალშენი, ზემო და ქვემო ელდისი (1454 წ. Qd-9221); გამრეკელის საჩივრის წიგნში აღნიშნულია: მას მეორე ცოლად შეურთავს გულსურაბი იმ იმედით, რომ „ჩემნი შვილნი ასრე უყუარდებიან, ვითამც მისნი შვილნი არიანო“. გულსურაბს ცოლქმრობის მეოთხე წლისთავზე უთანხმოება მოუვიდა გამრეკელთან და ქმარი, მისი მშობლები და შვილები აითვალისწუნა. საბაბად გამოიყენა ქმრის მიერ მირთმეული ორი კალმახი, – ეს იცოტავა და განაწყენებულმა ტყეში ქოხი აიგო, სადაც ოცი დღე იმყოფებოდა ([1466-1468 წწ.] Hd-1801), გულსურაბმა მოინდომა გამრეკელისა და მისი სამი ვაჟის დახოცვა [ვახტანგ ან გიორგი] მეფის ხელით. მან სთხოვა თავის მეყვისს, ამირეჯიბის შინაყმა რუამს, რათა ამირეჯიბის სახელით ცილისმწამებლური წერილი შეეთხზა, რომელშიც ამირეჯიბი თითქოს სთხოვდა გამრეკელს დანაპირების შესრულებას – ამირეჯიბისათვის გორის ციხის მიცემას. სამაგიეროდ ამირეჯიბი მეფეს ჰპირდებოდა, „რასაც მე შენ დაგპირებივარ, ბაგრატს მეფესა შენთვის გავათაებინებო“. გულსურაბს იმედი ჰქონდა, რომ ამ წერილს მეფეს აჩვენებდა და გამრეკელსა და მის შვილებს დაახოცვინებდა, მაგრამ რუამმა საგია თურმანიძის პირით აცნობა ეს ამბავი გამრეკელს. მისი სიტყვით, იგი, თაყა, ფავნელი და ზაზა [ციციშვილების] „გულისათვის“ უთმობდა გულსურაბს, რომელიც მოკვლის ღირსი იყო ([1466-1478 წწ.] Hd-1570); იხსენიება: თაყა და ზაზა [ფანასკერტელ-ციციშვილებისადმი] გამრეკელის შვილების საჩივრის წიგნში აღნიშნულია: როდესაც ვახტანგმა სამეფო ტახტი დაიჭირა და „წყალს

იქით" მხარე თავის ძმას დემეტრეს მიანება, მასში თაყას მამული არ შედიოდა. მეფეს თაყას მამული და ციხე ჩიჟავაძისთვის უნდოდა. გ ა მ რ ე კ ე ლ ი დაეხმარა თაყას და მისი „მამული ვახტანგისად შექმნა და თაყა პატრონსა დემეტრად დაარჩუნვა და მოარჩინა ნაბდენას". თაყა, პატრონი დემეტრე და გ ა მ რ ე კ ე ლ ი ატენის წყალზე იდგნენ, როცა მიუვიდათ ჩიჟავაძის მიერ სამწევრისის დარბევის ამბავი. ვინაიდან მთვრალები იყვნენ და თაყამ ეს ამბავი ვერ შეიტყო, ჩიჟავაძესთან შესაბრძოლებლად გ ა მ რ ე კ ე ლ ი წასულა თავისი სამი ვაჟით, მაგრამ ველარ მიუსწრია. როცა ბაგრატ მეფე ქართლს ჩავიდა და ციციშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა, გ ა მ რ ე კ ე ლ ი, გიორგი მეფის ნებადაურთველად, მასთან საბრძოლველად წავიდა, შვიდჯერ შეება და დაამარცხა. მესხებმა დაარბიეს ციციშვილის მამული. ზაზა [ფანასკერტელ-ციციშვილი] მესხებს სამძივის ხევში შეება, სადაც [ გ ა მ რ ე კ ე ლ ი ს ] ძე ზაქარიაც მიეხმარა თავისი ლაშქრით. გიორგი მეფემ ატენის მოურაობა გ ა მ რ ე კ ე ლ [ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ] მისცა. თაყამ მეფეს ატენი სთხოვა, რაზეც გიორგი გ ა მ რ ე კ ე ლ ს დაეკითხა. მ ა ნ ატენი და მოურავის სახელი თაყასთვის დათმო. ბადაბეთს მდგომი ვახტანგ მეფე თაყას შეპყრობას აპირებდა. თაყა და გ ა მ რ ე კ ე ლ ი „ერთმესადგომენი" ყოფილან. ვახტანგი გააფრთხილა ივანე წამალაშვილმა, რომ, თაყაზე თავდასხმის შემთხვევაში, ი გ ი თაყას დაეხმარებოდა. ამის გამო ვახტანგს თავის განზრახვაზე ხელი აუღია ([1466-1478 წწ.] Sd-1242).

ჯავახიშვილი გამრეკელ – XVI ს. III მეოთხ. 1597 წ. [ ძ მ ა ] ჯავახ ჯავახიშვილისა, იხ., ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: თამაზ, შანშერ, შამანდუხ; ს ი ძ ე – ივანე [სააკაძე] (1597 წ. Hd-14425), გ ა ნ ა ყ ო ფ ი – იესე ჯავახიშვილ (1608 წ. IX. 7. Hd-14700). თავისი ასული შამანდუხი მ ა ნ მიათხოვა ივანე [სააკაძეს], სახლთუხუცეს ზურაბის ძმას და მზითვში გაატანა სოფელი ცხირეთი, გოჩიას კუთვნილი მამულის გარდა (1597 წ. Hd-14425); ლუარსაბ მეფემ უწყალობა: გიორგი სააკაძეს მ ი ს ი კერძი ცხირეთს მცხოვრები ერთი კომლი გოჩია ურუმბეხაშვილი და საჯავახოში სოფელი ხანდაკი (1608 წ. VII. 12. Hd-13052); გ ა მ რ ე კ ე ლ ი ს განაყოფ იესე ჯავახიშვილს – მ ი ს ი მამულები ყარალაჯში, სიონსა და ქვენადრისში (1608 წ. IX. 7. Hd-14700).

ჯავახიშვილი გიორგი – 1634-1636 წწ. ძ მ ა: ამიშაშვილის ცოლ-ყოფილ მარეხისა, იხ., როინ ჯავახიშვილისა, იხ.

ჯავახიშვილი გოშფარ – [1527]-1590 წ. მ ე კ ო ბ რ ე თ მ ძ ე ბ ნ ე ლ ი (1590 წ. Hd-1993). [ ძ მ ა ] ჯავახ ჯავახიშვილისა, იხ., [ ბ ი ძ ა ] როინ [ჯავახიშვილისა] ([1527-1556 წწ.] Qd-605). ყარაიგათ ლაიასძესთან ერთად მ ა ს უწყალობა სიმონ მეფემ დიღმის ზემოთ და მტკვრის გამოღმა მეკობრეთმძებნელობა (1590 წ. Hd-1993); გ ა ე ყ ა რ ა როინ [ჯავახიშვილსა] და მის ბიძაშვილებს. ს ა უ ფ რ ო ს ო დ ე რ გ ო: ქუეშელის ციხე, აზნაურიშვილებიდან ფირყაით მისი მამულით; წ ი ლ ა დ ე რ გ ო: აბულვარდ და თათარაი ბეჟანიშვილები

მათი მამულით, ოქრა მისი მამულით, ლიპარიტა მისი მამულით, მხთისია ლაგრასძე მამულით, გიორგი ნახევარი მამულით, სამნია მამულით, ღამბარა მახუილასძე მამულით, სურამელას მამულის გარდა; გლეხები: სკრაში – ნიორაძე, მშვიდობაძე შალვა და დავითა მამულით, სულია მახატელაშვილი ნახევარი მამულით, ოქროპირ თიბელაშვილი, კუირიკა პეტრიაშვილი, იმედა სამსონაშვილი მამულით, ფუტურაული მამულით, ორი განაყოფი ილარაშვილნი მამულით, მახარაშვილი, თანდილა, არზანა მამულით, ზაქიტა ოსიაშვილი მამულით, იმარინდო მამულით, ჯანია მისი მამულით, მამუჩა მამულით, ლიპარიტა ბაციცაშვილი მისი მამულით, გულია დოლასძე მამულით, ცხადია, საალაპოს გარეშე, მისი მამულით, დედისმამას ნაოხარი „საალაპოს გარეთ“, მარკოზას ნაოხარი, გიორგი კაკაშვილი ბეშქენას მამულზე, მამისასშვილი, ნარიმანა თეგასძე მამულით, გიორგი უზნაურ მამულზე, ძმარაშვილი მამულით და ქოქუა უმამულოდ; ხოვლეში – მახარა ხარებასძე, ბასილაურის მამული, ორი [კომლი] წერეთელაშვილი, ბადრიას მამული, ღამბარა კაკნიაშვილი, ამილბარა მჭედლიშვილი, მახარა ბაკურაშვილი, ამირა, ფოცხუერა, მამისა მესხისშვილი, ნარიმანას მამული დვალით, ქოჩაური მამული, ლომის მამული, იმედა ცხადიაშვილი ტატია ლულაურის ნახეერით; კრკონის მონასტერს: ოქროპირ გორგასძე საალაპოს გარეშე, შიო კოშასძე, გიორგი სთუელაშვილი ძმებით, მანასე ქუენა იკის (?)მამულის გარეშე, ავგაროზა, ჭანგასძე ნადირა, ბუჩაშვილი, ბართლომაშვილები ნახევარი მამულით; გარგალში – ივანა, ირემა, კუირისა, დვალის ოხერი; საყავრეს – კუირიკაულის ნახევარი, ძაბილა ესმინაშვილი მამულით, შალიკა ძაგანაშვილი, ღუინია გულიაშვილი ნახევარი მამულით; ზაკეში: ბახტასძე მიქელა და ბასილა ნახევარი მამულით, ნადიმაშვილი მთელი მამულით; ფიცეში – კაკუაშვილი, ტატუაშვილი, ამილბარა ნარიაშვილი, ფერისაშვილი; სიონთაში – აბრამაშვილი, ალა, ასანა, სკანდარა, ამირა, სარუბაბა, საგინა, ხუგაზაური მამული, ეარსია; ხანდაკში – გულია შავშიშვილი, მეტეხელა ბეჟანიშვილი, ზაქა საპონაშვილი, ნადირა იოსებაშვილი ცხადაური მამულით, გოგორაული მამული, არჯევანიშვილი, ვირშელაშვილი, მჭედლიაურის მამულის ნახევარი ტარიელის კაცის გარეშე. ქუენადრის და მელესში – მხთისია ღორიჭედაშვილი და მისი განაყოფი მამისა, ესმინდაური მამული, ნარიმანა ნიკოლოზაშვილი მამულით, დარისპანა ნანიტაშვილი მამულით; ოძისში – ასპანა ბალანაშვილი ძმებით და განაყოფით, ნარიმან კაჯაშვილი, ნახევარი ნიორაული, დავითულიანი მისი მამულით, კაჯაშვილი, გრიგოლაშვილი მახარა, სუიმონაშვილი გოგოტაურის მამულით, საალაპოს გარეშე, მაჩხაურის ნახევარი, ნიორაული მეორთხედი; ახალშენში და ცხირეთში – ბასილა, გაბილა, ზაქარა, ნახევარი თეგაური მამული, ონიაური მამული, მამია კახაკისძე მამულით, ტატია სიქანელი მამულით, ნასრაული მამული, ბახაური მამული, ფასაური მამული, ქუბიაური მამული, დევნოლისძე ([1527-1556 წწ.] Qd-605); მ ი ს ი მინა ემიჯნებოდა ფარსადან და

შერმაზან ჯავახიშვილების მიერ გიორგი სააკაძისათვის მისყიდულ ვენახს (1607 წ. Hd-14690).

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **გოშფარ** (ვარ. **გოშპარ**) – [1672], 1682-1700 წწ. მ ე ღ ვ ი ნ ე თ უ ხ უ ც ე ს ი, ატენისა და ბოლნისის მ ე ს თ ვ ლ ე (1693 წ. 1448-9929). ჰყავს: ძ მ ე ბ ი: ფარსადან ჯავახიშვილი, იხ., ურბნელი [იოსებ] ჯავახიშვილი, იხ., მანუჩარ ([1697 წ-მდე] Sd-65), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი მანგლელი [გაბრიელ] ჯავახიშვილი, იხ. (1696 წ. 1448-5382); გ ა ნ ა ყ ო ფ ი ფარემუზ ჯავახიშვილი, იხ. მ ა ს განუახლა ნაზარალი-ხანმა მეღვინეთუხუცესის სახელო და უბოძა ატენისა და ბოლნისის მესთვლეობა (1693 წ. 1448-8829); [გაბრიელ] მანგლელთან ერთად მიქელ კოშაძეს მ ი ჰ ყ ი დ ა ჯვარისა კოკუაშვილისაგან დახსნილი მინა. მ ა ს ფრანგ ოანასგან ვალად თეთრი აუღია, მაგრამ შემდგომ თეთრი ვერ უშოვია და იძულებული გამხდარა მინა გაეყიდა (1696 წ. 1448-5382); მ ა ს მისცა კეთილმოყვრობის პირობა იოთამ ამილახორმა ([1697-1698 წწ.] Qd-604); მ ო წ მ ე: ლამექ [თუხარელის] მიერ გიორგისათვის მიცემული ნაშვილობის წიგნისა ([1697 წ.-დე] Sd-65), დავით ფირალიშვილსა და დავით [სააკაძეს] შორის წისქვილზე დავის განჩინების წიგნისა ([XVII ს. ბოლო მეოთხ. Hd-2023).

**ჯავახიშვილი გუ[შფ]არ** – დ ა ა მ ო წ მ ა, რომ ჯალდამი და ღორისთავი მდივანბეგ ვახტანგ [ბარათაშვილ]-ორბელიშვილის ცოლ-ყოფილ თამარ ზაალ ერისთავის ასულის ნამზითევით იყო ნაყიდი და მათ შვილებს კანონიერად ეკუთვნოდა (1700 წ. Sd-2301).

**ჯავახიშვილი დავით** – 1652-1661 წწ. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი. შ ვ ი ლ ი როინ ჯავახიშვილისა, იხ.

**ჯავახიშვილი დავით** – 1690-1694 წწ. დ ე კ ა ნ ო ზ ი (1694 წ. Sd-561). ჰყავს ძ მ ე ბ ი: ბერუკა//ბერი, ივანე, პაპუნა (1690-1694 წწ. Hd: 554, 561). ი ყ ი დ ა შიო კოლიაშვილისაგან სამი დღის მინა ჭალის პირს, რომელიც ესაზღვრებოდა კოლიაშვილებისავე მინას, კეჩხუაშვილის რუსა და ჯავახიშვილის ხოდაბუნს (1690 წ. II. 12. Sd-554); მ ი ჰ ყ ი დ ა აბრამა ბიბიაშვილს ორი დღის მინა ბიძაანთ ვენახთან, მამიაშვილის მინამდე (1694 წ. VI. 12. Sd-561).

**ჯავახიშვილი დათია** – მ ო წ მ ე გუგუნა გერმანოზიშვილის მიერ ბერუა დიარასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. 1450-53/212).

**ჯავახიშვილი დურმიშხან** – შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო ჯავახიშვილისა. მ ო წ მ ე თაყა ასანბეგისშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბისშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის გაცვლის წიგნისა (1671 წ. II. 12. Hd-6777).

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი, ჯავახიანთ**) **ელიზბარ** (ვარ. **ელისბარ**) – [1532-1534 წწ.]. [ ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ]: როინ ჯავახიშვილისა, იხ., ივანე [ჯავახიშვილისა] ([1561-1612 წწ.] Qd-8584), მამა იოთამ ჯავახიშვილისა, იხ. ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა: მ ი ს შვილებთან, ჯავახიანთ როინთან და ივანესთან ჰქონდათ

დავა სასისხლო საქმეზე. მ ი ს შვილებს შემოკვდომიათ ბარათაშვილი, რაშიც ბრალს ივანე [ჯავახიშვილს] სდებდნენ. ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს შვილების მტკიცებით, ივანეს საჯავახიანოში მათი და საკუთარი მამული დაურბევია, რის გამოც „დაცურცილი" გლეხები ბატონთან მისულან საჩივლელად. ბატონს ამ საქმის გამო მოურავად ბარათაშვილი დაუნიშნავს. ივანე და ბახუტა [ჯავახიშვილებს] საზღვრებისა და მამულის გამო დავა მოსვლიათ და ივანეს ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს შვილებთან ერთსახლობა მოუნდომებია. ვინაიდან მათი ერთსახლობა ვერ მოხერხებულა, ივანეს კეთილმოყვრობის პირობა მიუცია ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს შვილებისათვის. მათი თქმით, ისინი ბარათაშვილებს ივანეს ხარის გულისათვის ნაპკიდებიან. ბარათაშვილებს ნაუყვანიათ ივანეს და ბახუტას სანახევრო ხარი, ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს შვილები ივანეს გამოსარჩლებიან და ერთ-ერთი ბარათაშვილი შემოკვდომიათ. ივანე მათ ნაამბობს უარყოფდა და ბარათაშვილებთან სასისხლო დავის მიზეზად კაკაბასძის დარბევას ასახელებდა. განაჩენის თანახმად, ივანეს ორი შესახელებული კაცით, სამი შეუსახლებელი აზნაურიშვილით და ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს შვილების მიერ შესახელებული სამი მსახურით უნდა დაეფიცა. თუ ვერ დაიფიცებდა სასისხლო და სანახშირე მეხუთედი მას უნდა გადაეხადა. ვინც განაჩენს არ შეასრულებდა, ხუთი კომლი კაცი უნდა მიეცა ბატონისათვის ([1561-1612 წწ.] Qd-8584).

ჯავახიშვილი ელისბარ – ძ მ ი ს წ უ ლ ი იოთამ ჯავახიშვილისა, იხ.

ჯავახისშვილი ვაძია – მძოვრეთში მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს, ი გ ი მამულით ერგო ედიშერს ([1688-1703 წწ.] Hd-1636).

ჯავახიშვილი ვახუშტი – ძ მ ა იოთამ ჯავახიშვილისა, იხ.

ჯავახიშვილი ვირშელ – [შ ვ ი ლ ი ან ძ მ ი ს წ უ ლ ი] ჯავახ ჯავახიშვილისა, იხ.

ჯავახიშვილი (ვარ. ჯავახისშვილი) ზაზა – შ ვ ი ლ ი გამრეკელ ჯავახიშვილისა, იხ., [ძ მ ა] ზაქარია ჯავახიშვილისა, იხ.

ჯავახიშვილი (ვარ. ჯავახისშვილი) ზაქარია – 1440-1468, [1476] წწ. შ ვ ი ლ ი გამრეკელ ჯავახიშვილისა, იხ., ჰყავს [ძ მ ე ბ ი]: კახა, ზაზა (1463-1468 წწ. Hd: 1347, 2007, H-2830), შ ვ ი ლ ი – ჯავახ (1466 წ. Hd-2007). მ ა ს განუახლა გიორგი მეფემ მათივე მკვიდრი სოფლების, ავკეთისა და იისციხის წყალობა და გაათარხნა გამოსაღებებისაგან (მათ შორის გორული და ატენურისაგან) (1463 წ. IX. 2. Hd-1347); მ ა ს უწყალობა: ერთგული სამსახური გაუწია კონსტანტინე მეფეს გორისა და ქუთათისის ციხეების გამაგრებისას ყვარყვარე [ჯაყელის] წინააღმდეგ, რომელმაც იმხანად კონსტანტინეს ბიძას, გიორგი მეფეს უღალატა. გაწეული სამსახურის სანაცვლოდ კონსტანტინე მეფემ მ ა ს უბოძა გაბაშვილების მკვიდრი მამული: ცხირეთის გვერდი, ხანდაკი და ცხირეთის შესავალი, ქალაქის პირას სოფელი თხილოვანა მისი შესავლით.

ეს მამულები ჯავახიშვილებს სამართლიანად ეკუთვნოდათ, რადგანაც ისინი გაბაშვილებს უშვილებიათ (1466 წ. Hd-2007), ბაგრატ მეფემ განუახლა სომხითს ქვეშის ციხის, ბაყისა და სოფელ რატევანის წყალობა, მას შემდეგ, რაც მ ა ნ ნარუდგინა თამარ მეფისა და სხვა მეფეებისაგან მიღებული სიგლები და გაიღო „დიდი ფასი და საქონელი" (1468 წ. XI. 20. H-2830).

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **ზაქარია** – 1607-1624 წწ. ჰყავს: ძ მ ა იესე (1607-1624 წწ. 1449-2226, Hd-14693), შ ე ყ რ ი ლ ი ნ ა თ ე ს ა ვ ი – შერმაზან, შალვას შვილი (1624 წ. Hd-14693). მ ა ს „უჯერო" ცოლი შეურთავს, რის გამოც დომენტი კათალიკოსი გასწყრომია. ს ა კ ა ნ ო ნ ო დ შ ე ს წ ი რ ა სვეტიცხოველს ქვენ[ა]დრისს მცხოვრები ქერობინ ღორიჭედასშვილი მისი შვილითა და მამულით, მეჭურჭლე გიორგი ტატუაშვილი და მისი ძმა ჯიმშერა (1607 წ. 1449-2226); შ ე ყ რ ი ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი მ ი ს ც ა ბატონ [გიორგი სააკაძეს], დაუთმო მას თავისი შეყრილი და გარდაცვლილი ნათესავის შერმაზან შალვას შვილის ყმა-მამული: აზნაური აბულვარდიშვილი – სასახლითა და ათი კომლი კაცით, თაყა შოთაშვილი – სასახლითა და ოთხი კომლი კაცით, გიორგისშვილები – სასახლითა და ხუთი კომლი კაცით, ბეჟიტა იორამისშვილი – სასახლით, ორი კომლი კაცით და ორი საკომლოთი; სკრას გლეხები: ორი კომლი კაცი საზუტა და პაპანა მამულით, სამსონაური მამულით, თიბელაური მამული, ნახევარი სასახლე ქვევრებით, ზვრის ნახევარი და ხოდაბუნები; ხოვლეს – ერთი კომლი კაკნიაშვილი მამულით და სასახლით; ზესს – სასახლე მარნით და ღელაურის მამულით; ფიცეს – ტატუაშვილები მამულით და სახასო ხოდაბუნებით, საყავრეს – ძაგანაშვილი, ვარდანაშვილი მამულით, ირემა გულიაურის მამულით; ზაკუს – დევლინისძე, ნადიმაშვილი, ბახტასძე, ტაველიშვილის მამული; ქუენადრისს სახასო ციხე; რკონს – ორი [კომლი] დუღასძე, ორი სთველიაშვილი, ერდგულა მათი მამულებით; წოდორეთს – სვიმონა, გულია და ხიმშია მამულით და გარგლის ნახევარი (1624 წ. Hd-14693); ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა: სულხანიშვილების მიერ მდივან ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული წოდორეთის მამულის ნასყიდობის წიგნში: ი გ ი უშვილოდ გარდაცვლილა და მ ი ს ი ყმა-მამული როსტომ მეფის განკარგულებაში გადასულა. მ ი ს ი ყმები ყოფილან წოდორეთში მოსახლე სულხანიშვილები: ბასილა, ჟოჟონა, დათუნა, პაპუნა, სვიმონ, გუგუნა, ძამა, მაზიტა, ბასილა, ხოსიტა, რომლებიც ავლაბარში გადასახლებულან (1673 წ. Ad-2246); სულხანიშვილების მიერ ზურაბ თუმანიშვილსათვის წოდორეთს და ლისს მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია,რომ ზ ა ქ ა რ ი ა ს უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ მისი ყმები, წოდორეთში მცხოვრები ულხანიშვილები: ჟოჟონა, დათუნა, პაპუნა, გუგუნა, ივანა, გიორგი მღვდელი როსტომ მეფეს სახასოდ დაუჭერია და ავლაბარში დაუსახლებია (1681 წ. III. 15. Qd-9027იბ); იგივე ცნობა მეორდება გიორგი მეფის მიერ ზურაბ

თუმანიშვილისათვის მიცემულ სულხანიშვილებისაგან ნასყიდი მამულების დამტკიცების წიგნში (1681 წ. VII. 20. Hd-2602).

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **ზურაბ** – [1609], 1633-1700 წწ. ფარეშთუხუცესი (1651-1671 წწ. Hd-14426, 1450-53/86). [შვილიშვილი] შანშე ჯავახიშვილისა, იხ., შვილი პაატა ჯავახიშვილისა, იხ.; ჰყავს ძმები: ჯავახ (1666-1692 წწ. სს. II. №65, 1450: 53/86, 35/133, Ad-967, Hd: 9404, 14090, 2629, Ad-948, Hd-7229, Sd:552ა, 569), შერმაზან (1666-1700 წწ. სს, II, №65, 1450: 53/86, 35/133, Ad-967, Hd: 9404, 1490, 2629, Ad-948, Hd-7229, Sd: 552ა, 569, 1448-8819, Hd: 8265, 6021, H-2830$_{155}$, 1450-37/235, 1448-633ა, Qd-1037), მანგლელი გაბრიელ ჯავახიშვილი, იხ., (1672-1692 წწ. Ad-967, Hd: 9404, 1629, Ad-948, Hd-7229, Sd-569), ბიძაშვილები: ფარსადან (1692-1700 წწ. Sd-569, 1448-8819, H-2830$_{155}$, 1450-37/235), გოშფარ (1692-1700 წწ. Sd-569, H-2830$_{155}$, 1450-37/235), მანუჩარ (1692 წ. Sd-569): შვილი შანშე ჯავახიშვილი, იხ. იყიდა: თევდორე სალუყაზანაშვილისაგან თევდორე როსაშვილის ნაქონი და ესტატე სალუყაზანაშვილის კერძი მამულები (1666 წ. VI. 27. სს. II, №65); ბასილა სულხანიშვილისაგან – წოდორეთში ორი ძმის კუთვნილი სასახლე, ხუდადური სავენახე ნასყიდას და ჟამიერასშვილის საზღვრამდე; საქორიას – მგელიასეული ორი დღის მიწა, საკირის მიწა ერთი დღისა, ბერის ორი დღის მიწა, ერთი დღის ნაფუძარი, ორი დღის მიწა; ზედაკრავას სამი დღის მიწა და სამი დღის ახო (1672 წ. V. 9. Ad-967), ელიზბარ გეგუტაშვილისაგან – ჯავახისშვილისაგან ნასყიდი მიწა ([1672-1699 წწ.] Hd-9404), თევდორე სალუყზანასშვილისაგან – ჩორიაშვილისაგან ნასყიდი და ესტატეს კერძი მიწები (1676 წ. VII. 27. Hd-14090), სვიმონ და ბასილა სულხანაშვილებისაგან – წოდორეთში სასახლე და მამული, ხუდადური სავენახე ნასყიდას საზღვრამდე, საქორიას მგელიასეული ორი დღის მიწა, საკირის ერთი დღის მიწა, ბერის ორი დღის მიწა, ერთი დღის ნაფუძარი, ზედაკრავას სამი დღის მიწა, საყდართან ორი დღის მიწა, სამი დღის ახო, ლისურში კოდაზე მიქელაშვილისეული ორი დღის მიწა (1680 წ. V. Hd-2629), თავისი ყმის, სვიმეონ სულხანაშვილისაგან – განაყოფისაგან წილში ნარგები მამული წოდორეთში (1680 წ. VI. 22. Ad-948), ზურაბ შალიკაშვილისაგან – ჭვიროსში მცხოვრები ნანიტაშვილები და ივანისშვილები მათი მამულებით (1686 წ. Hd-7229), ფარსადან, გოშფარ და მანუჩარ ჯავახიშვილებისაგან – ზვრის ჩამონაჭერი, ლაგრაძისაგან ნასყიდი მიწა, იმელისს – დათუნას ნაქონი ვენახი, ნასყიდი ჭაჭიაშვილის მიწა, ერდგულაშვილის მიწის საზღვრამდე, ჭვიროს – გოგიაშვილის სახლ-კარი (1692 წ. VII. 1. Sd-569); მიჰყიდა: ქალაქის მოურავ მეითარ მანუჩარსა და მის შვილებს ყმები: ხატია, მისი შვილი თევდორე, ძმა ნონიკა და მისი შვილი ესტატა, რომლებიც აყრილიყვნენ, ქალაქს შეხიზნულიყვნენ და კანონიერად ისევ ჯავახიშვილებს დაბრუნებოდნენ (1671 წ. 1450-53/86), გორელ ხითარა კიტარაშვილის სკრაში თავისი მკვიდრი ყმები: გიორგი, ინაურია და ლელა

ბადურაშვილები (1690 წ. 6. Sd-552ა), რომლებიც შემდგომ კიტარაშვილმა საკა გრიქორაშვილს მიჰყიდა (1697 წ. VII. 10. Sd-552ბ), ყალანდარ თუმანიშვილს – ტატინას მონახევრის, პაპუნა მირიანასშვილის მამული წოდორეთში – თოთხმეტი დღის მიწა (1696 წ. VII. 23. 1450-3/6), მამასახლის ხოჯას – სიონში მიწა (XVII ს. ბოლო მეოთხ. 1448-633[ა]); წ ი ლ ა დ ხ ვ დ ა: ხოვლეში ქაიხოსროსაგან მზითვში გამოტანებული კაკნიაშვლის მამული და მახარა (XVII ს. II ნახ. Qd-1039), შერმაზან ჯავახიშვილთან ერთად, ქვენანდრისს ციხე და ნახევარი ჭალა (XVII ს. II ნახ. Qd-1037); ჰქონდა ს ა მ ა მ უ ლ ე დ ა ვ ა ჭვიროსის მამულზე ოთია გოგიბედაშვილთან: მანგლელ [გაბრიელ] და ფარემუზ [ჯავახიშვილების] გარიგებით, გოგიბედაშვილებმა მ ა ს დაანებეს ნასყიდი მჭედლისშვილის სახლ-კარი, ქვევრები და წყარო, ხოლო ნახევარი სასაფლაო და ნაფუძარი ოთიას დარჩა; თელასთან მჭედლისშვილის მიწა და სოფლის წყარო ოთიამ ჯავახიშვილებს დაანება; მაზიტას ნაქონი წყაროდან სამი წილი ოთიას დარჩა და ერთი – მჭედლიშვილს (1695 წ. IV. 6. Hd-8265); გიორგი მეფის ბრძანებით, საქმე გაარიგეს [გაბრიელ] მანგლელმა, ფარემუზ ჯავახიშვილმა და დათუნა თუმანიშვილმა. ოთიას ჭვიროსში მჭედლიშვილის სახლ-კარი ეყიდა, მასვე მაზიტას ბევის პირას სახლის ადგილი „გაეჭრა“, რაც დაუშლიათ ზ უ რ ა ბ და შერმაზან ჯავახიშვილებს. გარიგების შედეგად, მაზიტას საქონი წყაროს სამი წილი ოთიას დარჩა, მეოთხედი – მჭედლიშვილს. მაზიტას ბევსა და სამების ბევს შუა ადგილი ოთიასა და მის ძმებს დაანებეს, მათვე ერგოთ ჭვიროსში მჭედლისშვილის ნასყიდი სახლ-კარი. სოფლის წყარო და ქვევრები მჭედლიშვილს დარჩა, სასაფლაოს ნახევარი და ნაფუძარის ნახევარი – ოთიას, თელასთან მიწა – ზ უ რ ა ბ და შერმაზან ჯავახიშვილებს (1695 წ. Hd-6021); მ ი ს ც ა პ ი რ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი იბაშერ შალიკაშვილს შაჰნავაზ მეფის მიერ ჩამორთმეულ სკრის მამულზე უდავობისა შესახებ, რაშიც მას ფასი გადაუხადეს (1700 წ. 1450-27); ფარსადან და გოშპარ ჯავახიშვილებმა მეფის ნებართვით, გამოიხსნეს მათი ბიძაშვილის, ზ უ რ ა ბ ი ს კუთვნილი წოდორეთს მსახლობელი ყმები, რომლებიც მ ა ს ავთანდილა მისაჯანისაშვილთან ჰყავდა დაგირავებული (1697 წ. IV. 26. H-2830[155]); მ ი ს ი ნაქონი ყმა-მამული სკრაში შაჰნავაზ მეფემ უწყალობა პაპუნა შალიკაშვილს (1676 წ. 1450-35/133), ნაზარალი-ხანმა – ზ უ რ ა ბ ი ს ვ ე განაყოფს, ფარსადან ჯავახიშვილს (1692 წ. 1448-8819), შაჰნავაზმა – ბეჟან ჩხეიძეს ([1658-1675 წწ.] 1450-35/100); მ ო წ მ ე შიოშ ბარათაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1670 წ. Hd-2296); მ ი ს ი ბ ე ჭ ე დ ი ლეგენდით „ზურაბა“ უზის საბუთს Sd-552[ა].

ჯავახისშვილი თამაზ – შ ვ ი ლ ი გამრეკელ ჯავახისშვილისა, იხ.

ჯავახ[ის]შვილი თვალწითელ – [ ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] კახა ჯავახ[ის]შვილისა, იხ.

ჯავახიშვილი (ვარ. ჯავახისშვილი) იესე – 1607-1641 წწ. ჰყავს: მ ა მ ა იოთამ (1614 წ. Hd-1561), ძ მ ა ზაქარია ჯავახიშვილი, იხ., გ ა ნ ა ყ ო ფ ი – ფეზია, გამრეკელ (1608 წ. Hd-14700), [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] როინ ჯავახიშვილი, იხ. გ ა ნ უ ა ხ ლ ა: ლუარსაბ მეფემ მისი მკვიდრი მამულების წყალობა ყარაღაჯში, სიონში, ხანდაკში, ქვენადრისში და საბარათიანოში. უ წ ყ ა ლ ო ბ ა ნოდორეთში მ ი ს ი განაყოფის, ფეზიას მამული, ხოლო ყარაღაჯში, სიონსა და ქვენადრისში მისივე განაყოფის – გამრეკელის მამულები (1608 წ. Hd-14700); მ ა ნ მ ი ს ც ა სითარხნის წიგნი ელიასა და მის სახლიკაცებს (1614 წ. Hd-1561); შ ე ს წ ი რ ა რკონის მონასტერს დეკანოზისშვილი პეტრე და მისი ძმები: მარკოზა, იოანე და ზაზუტა, რომელთაც მისი სულის სამლოცველოდ ყოველწლიურად უნდა გამოეღოთ თითო ლიტრა სანთელი და ორი ლიტრა ზეთი (XVII ს. I ნახ. Sd-2859 მინაწ.).

ჯავახიშვილი იესე (ვარ. იასე) – 1671-1676 წწ. ჰყავს: მ ა მ ა ქაიხოსრო, ძ მ ე ბ ი: ბახუტა, დურმიშხან 1671 წ. Hd-6777). მ ო წ მ ე: თაყა [ბარათაშვილის] მიერ: პაპუნა გოსტაშაბიშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის გაცვლის წიგნისა (1671 წ. II. 12. Hd-6777), გიორგი [ბარათაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. III. 16. 1450-51/139).

ჯავახიშვილი ივანე – XVI ს. III მეოთხ. [1612] წ. [ძ მ ა] ჯავახ ჯავახიშვილისა, იხ., ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: ბახუტა, როინ და ელიზბარ ჯავახიშვილები ([1561-1612 წწ.] Qd-85845). ჰქონდა ს ა ს ი ს ხ ლ ო დ ა ვ ა ჯავახიანთ როინთან და ელიზბარის შვილებთან. ელიზბარის შვილებს შემოკვდომიათ ბარათაშვილი, რაშიც ბრალს ი ვ ა ნ ე ს სდებდნენ. ელიზბარის შვილების მტკიცებით, მ ა ს საჯავახიანოში მათი და საკუთარი მამული დაურბევია, რის გამოც „დაცურცული" გლეხები ბატონთან მისულან საჩივლელად. ბატონს ამ საქმის მოურავად ბარათაშვილი დაუნიშნავს. ამის შემდგომ ი ვ ა ნ ე და ბახუტა [ჯავახიშვილებს] საზღვრებისა და მამულის გამო მოსვლიათ დავა და ი ვ ა ნ ე ს ელიზბარის შვილებთან მოუნდომებია ერთსახლობა. ვინაიდან ერთსახლობა ვერ მოხერხებულა, მ ა ს კეთილმოყვრობის პირობა მიუცია ელიზბარის შვილებისათვის. ელიზბარის შვილების თქმით, ისინი ბარათაშვილებს ი ვ ა ნ ე ს ხარის გამო წაჰკიდებიან. ი ვ ა ნ ე ს ბახუტასთან ერთად სანახევრო ხარი ჰყოლია, რომელშიც ორ ცხვარს აძლევდა ბახუტას. მ ა ს ხარი წაუყვანიაა და პირობა აღარ შეუსრულებია. ი ვ ა ნ ე ს არყოფნაში ბარათიანთ ხარი წაუყვანიათ და ელიზბარის შვილები ი ვ ა ნ ე ს გამოსარჩლებიან, რის დროსაც ერთ-ერთი ბარათაშვილი შემოკვდომიათ. ელიზბარის შვილების ნაამბობი ი ვ ა ნ ე მ უარყო და ბარათაშვილებთან სასისხლო დავის მიზეზად კაკაბასძის დარბევა დაასახელა. განაჩენის თანახმად, მ ა ს ორი შესახლებული კაცით, სამი შეუსახლებელი აზნაურიშვილითა და სამი ელიზბარის შვილების მიერ შესახლებული მსახურით უნდა დაეფიცა.

თუ ვერ დაიფიცებდა, სასისხლო და სანახშირე მეხუთედი ი ვ ა ნ ე ს უნდა გადაეხადა. ვინც განაჩენს არ შეასრულებდა, ხუთი კომლი კაცი უნდა მიეცა ბატონისათვის ([1561-1612 წწ.] Qd-8584).

**ჯავახიშვილი ივანე** – ძ მ ა დავით ჯავახიშვილისია, იხ.

**ჯავახიშვილი** (ვარ. ჯავახისშვილი) **იოთამ** – ჰყავს მ ა მ ა ელისბარ, ძ მ ა – ვახუშტი, ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: ელისბარ, ფეზბატ (1580 წ. 1449-1552); შ ვ ი ლ ი იესე ჯავახიშვილი, იხ. შ ე ს წ ი რ ა სიონის ღმრთისმშობრლს, ტფილელ მთავარეპისკოპოს ბარნაბას დროს, თავისი ძმის, ვახუშტის სულის სამლოცველოდ მამულა, ბატკუა და დათუა არჯევანასშვილები. მათი ყმის არჯევანასშვილის ცოლ-ყოფილი სამი შვილით შეურთავს სიონის ღმრთისმშობლის საყდრის ყმას, ღოლოვნელ კაცს. ამის გამო ჯავახიშვილები ტფილელ ბარნაბას არჯევანასშვილის შვილებზე შედავებიან. ქართლის კათალიკოს ნიკოლოზის ჩარევის შედეგად, ტფილელმა ჯავახიშვილებს მისცა ერთი ჯორი, ქამსა და თასი (1580 წ. VII. 20. 1449-1552).

**ჯავახიშვილი იოსებ** – 1697-1700 წწ. უ რ ბ ნ ე ლ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი // მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი . ჰყავს ძ მ ე ბ ი: ფარსადან ჯავახიშვილი, იხ., ([1697-1700 წწ.] Hd-2185, Qd-604), გოშფარ, მანუჩარ ([1697-1700 წწ.] Hd-2185). მ ი ს ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ო ბ ი ს დროს ურბნისის სტეფანწმიდის ტაძარს შესწირეს: ერეკლე მეფემ და კათალიკოსმა იოანე დიასამიძემ რუისში ხუთი კომლი გლეხი: მახარაშვილი ბასილა, ხუციანიძე იაკობ და მისი ბიძაშვილები – ივანე და ბერი, ნადირაშვილი ივანე და შიო, სულთამაშვილი ივანე, მრაჭულიშვილი ივანე (1697 წ. 1448-9999 ფრაგმ.), ამავე მეფემ – დედოფლის სახასო ყმა თევდორა ხანიშვილი და მისი ძმები ბერი და გიორგი, გაიჩინა ალაპი თავისთვის და დედოფლისათვის. განუახლა აგრეთვე მეფის მიხელეთაგან უკანონოდ დაკავებული ურნყავი საჯვარის ხოდაბუნისა და ნონასქედის წყალობა (1698 წ. XII. 14. 1449-1846); გ ა ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა ბეგარა-გადასახადებისაგან პაპუნა ყორყოლაძე და მისი შვილი რევაზა, რომლებიც ურბნისის საყდრისათვის ლევან ბატონიშვილს შეუწირავს. დაუტოვა მხოლოდ ყველიერს წმინდა სტეფანესათვის ნახევარი ლიტრა სანთლისა და ნახევარი „ქსანი" საკმელის მირთმევა და თითო დღე მკა და ბარვა (1700 წ. VIII. 27. 1448-1193); ძმებთან ერთად მ ი ს ც ა პ ი რ ო ბ ა ყალანდარ თუმანიშვილს საქონლის დაბრუნების შესახებ ([1697-1700 წწ.] Hd-2185).

**ჯავახიშვილი** (ვარ. ჯავახიშვილი) **კახა** – 1440-1468, XV ს. II ნახ. შ ვ ი ლ ი გამრეკელ ჯავახიშვილისა, [ძ მ ა] ზაქარია ჯავახიშვილისა, იხ., ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] თვალნითელ. უ წ ყ ა ლ ო ბ ა გიორგი და ესაია კოშაძეებს მათივე ნასყიდი [მამული]: „კლდეკარს აქათ, ძირთას ზევძნელას წყალს აქათი, სასადილოს წყლამდისი, ბიდს დამწვრის წყლამდისი", კრკონს – ღვთისმშობლის [საყდრის] დეკანოზობა, სასაფლაო; ფიცეს – ერთი საკომლო მამული. კოშაძეებს მათთვის მიურთმევიათ ერთი შეკაზმული და მოჭედილი

ჯორი, რისთვისაც უბოძა საყავრულის შარას ზემო სამოლოზნო დიდუბე (XV ს. II ნახ. 1448-5191).

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **კახა** – 1670-1700 ნნ. ძ მ ა ბახუტა ჯავახიშვილისა, იხ., მ ო წ მ ე ზურაბ ჯავახიშვილის მიერ იბაშერ შალიკაშვილისათვის მიცემული სოფელ სკრაზე უდავობის წიგნისა (1700 წ. 1450-37/235).

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **მანუჩარ** – 1682-1699, [1700] წწ. ჰყავს ძ მ ე ბ ი: ფარსადან ჯავახიშილი, იხ., ურბნელი იოსებ ჯავახიშვილი, იხ., გოშფარ ([1697 წლამდე] Sd-65). მ ო წ მ ე ლამექ [თუხარელის] მიერ გიორგისათვის მიცემული ნაშვილობის წიგნისა ([1697 წლამდე] Sd-76).

**ჯავახიშვილი მარეხ**, ამიშაშვილის ცოლ-ყოფილი – იხ., მარეხ

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახაანთ როინიშვილი**) **მასურ** – 1573-1590 წწ. ჰყავს: მ ა მ ა როინ (1573-1590 წწ. 1450: 18/78, 27/153), ძ მ ა ბეჟან (1573-1590 წწ. 1450: 18/78, 18/78, 27/153). მ ი ჰ ყ ი დ ა: მჭედელ მიკირტიჩას, ფირიას, ლადაბას, რაგულს, ჰოსკიასა და ხეჩატურას თავისი მკვიდრი ბეჟიაური სასახლე ბაღჩით ყარადისშვილის სახლთან, სამარნე ადგილი და კარი უთრულაშვილის კარისაკენ (1573 წ. 1450-18/79), მიკირტინა ჰოდიკაშვილს ბეჟიაური ბაღჩა, ნაოხარი სასახლით ხარატუათ მურადას შარასაკენ, რაც თავისი განაყოფებისაგან წილად შეხვდა (1573 წ. 1450-18/78), სახლთუხუცეს ზურაბ [სააკაძეს] თავისი მამის, როინის წილი ზემო და ქვემო ცხ[ი]რეთი და მის გარშემო, ცუცუბანი, ოძისის ხევს გამოღმა და ზემო ნასოფლარები: ცხავერი, [კაჟ]ათუბანი, ჯვარა და მადლა (1590 წ. I. 29. 1450-27/153).

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **ნიკოლოზ** – 1680-1700 წწ. ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ე ბ ი – ბახუტა, ბეჟან (1680 წ. Qd-610), გ ა ნ ა ყ ო ფ ი ფარემუზ ჯავახიშვილი (1695 წ. Hd-6442). მ ა ს ბეჟანთან ერთად ჰყავდა ყმები საყავრეს, ფიცეს, ზენადირს, მელეს, აბანოს, ხანდაკს, ყარალაჯს, ხოველს, წოდორეთს, ოძისს, ორი კომლი ფეიქრიშვილები. სულ სამოცდაცხრა კომლი (1680 წ. Qd-610); მ ი ს ც ა პ ი რ ო ბ ა მოურავ ავთანდილ [სააკაძეს], რომ „თუ ამ საქმეს" მორჩებოდა, ოძისში ერთ საკომლოს მისცემდა, ხოლო თუ გამტყუნდებოდა, გადაწყვეტილების მიხედვით, ნასყიდობის წიგნს მიართმევდა (XVII ს. 80-იანი წწ.] Hd-9341); მ ო წ მ ე: პაპუა ტერტერასშვილის მიერ ფარემუზ ჯავახიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. Hd-6442), ფარსადან ციციშვილის მიერ გორელთათვის და მდივან დავითისთვის მიცემული ტყით სარგებლობის გარდაწყვეტილების წიგნისა (1699 წ. II. 24. Hd-13151), ზურაბ ჯავახიშვილის მიერ იბაშერ შალიკაშვილისათვის მიცემული სოფელ სკრაზე უდაობის წიგნისა (1700 წ. 1450-37/235).

**[ჯავახიშვილი] ოთარ** – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ფარემუზ ჯავახიშვილისა. მ ო წ მ ე პაპუა ტერტერასშვილის მიერ ფარემუზ ჯავახიშეილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. Hd-6442).

ჯავახიშვილი (ვარ. ჯავახისშვილი) პაატა – [1609], 1626-1654, [1675] წწ. ფარეშთუხუცესი (1633-1654, [1675] წწ. Hd-14450. Qd-2188. Hd:14426. 14662. Qd-9368. Hd:14691. 14534ბ), ახალდაბის მოურავი (1633 წ. Hd-14450), თრიალეთს ოლთისის მოურავი (1654 წ. Hd-14662). შვილი შანშე ჯავახიშვილისა, იხ., ([1633-1658 წწ.] Sd-795). ჰყავს: ძმა ქაიხოსრო (1633-1651 წწ. Hd: 14450. 14426), შვილები: ზურაბ, ჯავახ, გაბრიელ (1633-1651 წწ. Hd-14450, Qd-2188. Hd-14426), ბიძაშვილი შანშე (1626 წ. Hd-14431), განაყოფი მდივანბეგი როინ (1653 წ. Ad-951, [1638-1658 წწ.] Hd-14691). მას უწყალობა: სვიმონ მეფემ ნოდორეთში მისი და მისი ბიძაშვილის, შანშეს კერძი ყმა-მამული (1626 წ. VIII. 2. Hd-14431), თეიმურაზ მეფემ – ცხირეთის წყალობა (1630 წ. Qd-994a-b); როსტომ მეფემ ახალდაბის მოურავობა (1633 წ. Hd-14450), როსტომ მეფემ ერთგულების საფასურად მათი მკვიდრი სოფლები – იისციხე და ავკეთის ნახევარი. მან გამოააშკარავა როსტომის წინაალმდეგ ზაალ არაგვის ერისთავისა და ნოდარ ციციშვილის მიერ მოწყობილი შეთქმულება (1643 წ. Qd-2188), როსტომ მეფემ ნოდორეთს მათი კერძი მამული არდაზიანდისშვილის მისყიდული მამულით, მკერვალისა და გულიასშვილის გარდა. ისინი ჯავახიშვილების ყმები ყოფილან, მაგრამ იმჯერად მათთვის ვერ მიუცია. მათ სდომებიათ ქართლში კახთ ბატონის თეიმურაზის გამეფება, ამიტომ ჩხეიძეებთან ერთად ხოვლეში პაატასთან მისულან და დახმარება უთხოვიათ. პაატა ქალაქიდან ყმის ჯარით მომავალ როსტომ მეფეს მიგებებია და მასთან ერთად ბრძოლაში გაუმარჯვია. მასვე ტყვედ ჩაუგდია ხუცია ჩხეიძე, რომელიც როსტომისათვის მიუგერია (1651 წ. Hd-14426), როსტომ მეფემ მას განუახლა თრიალეთში ოლთისის მოურავობა (1654 წ. Hd-14662); მოსაურე ყმების ნუსხის მიხედვით, მას ზესში ჰყავდა ორი კომლი მოსაურე ყმა, სკრას ექვსი კომლი, ხანდაკს – ოთხი, სიონს – ერთი, ჭუიროსს – აზნაურიშვილის ყმიანად ოთხი კომლი, ფიცეს – ორი, ქენადრისს – ერთი კომლი, ზაკუს – ორი კომლი ([1658-1675 წწ.] Hd-14534b); ჰქონდა სამამულე დავა როჭიკა [შალიკაშვილთან] [სკრაში] [წაი]ონჯევის, ნაციხვარას სასახლის, იტყუილაშვილის, საბატის, სააღაპო მიწის, ქებაძისა და კოკაზას ადგილის გამო ([1633-1658 წწ.] Sd-795); როსტომ მეფის ბრძანებით, ქალაქის მოურავმა მანუჩარმა და მდივანმა ბირთველ თუმანიშვილმა პაატას და მის განაყოფ მდივანბეგ როინ [ჯავახიშვილს] შუაზე გაუყვეს მამული. ჭუირ[ო]სში ორი გლეხი ერგო როინს, სხვა პაატას; საუფროსოდ მასვე მიეცა ელიაზარას მამული ([1638-1658 წწ. Hd-14691); სხვადასხვა: ვალში მისცა როსტომ ხითარიშვილს სახლი და მიწა, რომელიც თვითონაც ვალში ჰქონდა მიღებული სუხიტასა და ყალაბეგასაგან (XVII ს. I ნახ. 1450-53/112); როსტომ მეფემ უბრძანა ბოქაულთუხუცესს ედიშერს, რათა [ნოდორეთში] არ აეყარა პაატას ყმა გოგობაშვილი ან სხვა გლეხი ([1633-1658 წწ.] Qd-9368); როსტომ მეფემ როინ ჯავახიშვილს ნოდორეთში უწყალობა ჯავახიშვილების

ნაქონი მამულები, პ ა ა ტ ა ს კუთვნილის გარდა (1653 წ. Qd-994a-ბ); მ ი ს ი საფიცრის წიგნი იხსენიება გორჯასპ [ბარათაშვილისათვის] მიბარებული წიგნების ნუსხაში (1691 წ. XI. 2. Sd-1931).

**ჯავახიშვილი პაპუნა** – ძ მ ა დავით ჯავახიშვილისა, იხ.

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **რევაზ** – 1652-1677 წწ. შ ვ ი ლ ი როინ ჯავახიშვილისა, იხ., ძ მ ა ქაიხოსრო ჯავახიშვილისა, იხ., ფარემუზ ჯავახიშვილისა, იხ., ([1665-1669 წწ. 1450-26/120, 1449-1825ბ); მ ი ს ი აზნაურია სეხნია მახვილაძე (1669 წ. 1449-1825ბ); ი გ ი ბატონია გოგია ლიპუასშვილისა (1665 წ. 1450-26/120). შაჰნავაზ მეფის ბრძანებით, მანგლისის ღმრთისმშობლის ეკლესიას შ ე ს წ ი რ ა აბანოურში ექვსი დღის მიწა მანგლისის კუთვნილ იმ ცამეტი დღის მიწის სანაცვლოდ, რომელიც უკანონოდ ეჭირა მ ი ს აზნაურ სეხნია მახვილაძეს; დაუბრუნა ექვსი დღის მიწა, რომელიც ეჭირა შოშიტა კორდიგლეჯიშვილს (1669 წ. 1449-1825ბ); მ ა ს და ფარემუზს სიონში ერგოთ ლიპუაშვილი მამულით (1665 წ. ახლო. Qd-1044); მ ი ს ი დასტურით, გოგია ლიპუასშვილმა ნოსტელ ბეჟუა ბარამიძეს მიჰყიდა სანისქვილე გასადინარით (1665 წ. 1450-26/120), მ ი ს ი ბ ე ჭ ე დ ი ლეგენდით „რევაზ" უზის საბუთს: Hd-6295.

**[ჯავახიშვილი] რევაზ** – შ ვ ი ლ ი ფარემუზ [ჯავახიშვილისა], იხ.

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახაანთ**) **როინ** – 1527-[1556] წწ. [ძ მ ი ს წ უ ლ ი ან შ ვ ი ლ ი] ჯავახ ჯავახიშვილისა, იხ., მ ა მ ა მასურ ჯავახიშვილისა, იხ., პყაეს: [ბ ი ძ ა] გოშფარ ჯავახიშვილი ([1527-1556 წწ.] Qd-605); [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ელიზბარ ჯავახიშვილი, იხ., ([1532-1534 წწ.] 1449-1647); გ ა ნ ა ყ ო ფ ი ჯიმშერ ჯავახიშვილი (1586 წ. Qd-8624). მ ა ს და ელიზბარ ჯავახიშვილს მეფემ აღარ გამოართვა ნასიძისათვის ადრე ნაბოძები სოფელი გომნი და სხვა საყდრიშვილების მსგავსი სამსახური დააკისრა ([1532-1534 წწ.] 1449-1647); მ ა ს ა და მის ბიძაშვილებს გაეყარა გოშფარ [ჯავახიშვილი]. ბიძაშვილებთან ერთად წ ი ლ შ ი ე რ გ ო: აზნაურიშვილები – ბეჟანიშვილი სამანა და უჯარმელი მათი მამულებით, ფარსიაშვილი მისი მამულით, ერთ წილად მახულასძე ზაზა ძმებითა და მამულით, გეგა მამულით, მახულასძე როსტია მამულით, მახულასძე სურამელა მამულით; გლეხები სკრაში – იტყუილაშვილი მამულით, გორგომიჭისძე ოქრუა ნახევარი მამულით, დავითაშვილი მამულით, გიორგი სპანდიერაშვილი მისი და კარაპეტას მამულებით, შოშია პეტრიაშვილი მამულით, თიბელაშვილი გაბრიელა და მაისა მამულით, შოშია მინდაშვილი მამულით, მახარა სამსონაშვილი, მახატელაშვილის ნახევარი მამული, ნონია მამულით, სტეფანაშვილი, არაზა, ოსიყმა ოსიაშვილი, საზუერელი, ივანე და გოგიჩა მათი მამულებით, მახარა დულასძე, კაკაშვილი მამულით, ვარასა მამულით, როსტევანაშვილი, ზამთარაძე; ხოვლეში – ზაქუტა ტარიკასძე, მახარა მჭელიშვილი, კუპრაული მამული, სურხანა ბეგაშვილი, სურხანა კოკნიაშვილი, იოვანე იორდანაშვილი, აბრამა ჟამიერაშვილი, მამულა,

ხახულა და მუნჯური მამული, ანანია, გაბრიელა ყაჯალაშვილის მამული; კრკონის მონასტერს – დეკანოზი იოანე გორგასძე საალაპოს გარეშე, ზოსიმე გორგასძე საალაპოს გარეთ, იოვანე კოზიაშვილი, იაგულა გაბრიელაშვილი, მიქელა შვილობულისძე ნახევარი მამულით, ესაიაშვილი; გარგალში – იანვარაშვილები, დევიაჭედი; საყავრეში – გიორგი, შიოური მამული, აბულა, კუირიკაულის ნახევარი, სუთია გულიაშვილი ნახევარი მამულით; ზაკეში – ვირიკა დვალაური მამულით, სუიმონასშვილები, თევდორა ნახევარი მამულით, ჟამიერა ფაჩუიაურით, მელაური მამული; ფიცეში – ბელიაშვილი, კოშასძე, გულისადები ნარიაშვილი, ყიზილა; სიონში – მირიჯანაშვილი, ყანდილაშვილი, ბაბა, ჯანბაბა, თანთანა და თუმანა, ქაიყუბათა; ხანდაკში – ნარიმანა, ზურაბა, გოგნიაშვილი, მახარა სულაიაშვილი, შავშიშვილი ნავროზა და გიორგი, სულმამაშვილის მამულზე დედანაშვილი საალაპოს გარეშე, მჭედლიაურის მამულის ნახევარი ტარიელის კაცს გარეშე, ზაქა შავშიშვილი; ქუანადრისში და მელეში – ივანა ნანიტაშვილი, მამისბედა ვარამაშვილი მამულით, ოსია, გახაბაზდაშვილი ნადირა, ჭყუაპიაშვილი მახარა; ოძისში – გულია ძმებით და განაყოფით, იამარა, გოგოლა, კბილაშვილი, მანაგასძე მახარებელი მამულით, ნადირა კაჯაშვილი, ხიშრაული მამული, გოგია ლორიჭედაშვილი, მაჩხაურის ნახევარი, ნიორაული მამულის მეოთხედი და ნმალა; ახალშენში და ცხირეთში – ივანა ჯორჯასძე, დავითა, ნახევარი თეგაური მამული, ტაბარჯანული მამული, ესტატე მალაცისძე მამულით, ნადირაშვილი მამულით, სუიმონას კერძი მამული, გოგორაული მამული, იმედა მალაცისძის მამული, სუთია მამულით, ქაფქიაური მამული ([1527-1556 წწ.] Qd-605); მ ო წ მ ე თაყა ამილახვრის სამამულო დავის გარიგების წიგნისა ([1527-1558 წწ.] Hd-13750); [სიმონ] მეფემ ჯიმშერ ჯავახიშვილს უწყალობა მ ი ს ი განაყოფის, როინის შვილების მამული (1586 წ. Qd-8624).

**ჯავახიშვილი (ვარ. ჯავახისშვილი) როინ (ვარ. როინბეგ, როვინ)**[1] – [1623], 1630-1669 წწ. ბ ო ქ ა უ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი (1634-1656 წწ. Qd-8235, Hd:14652, 14677), მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ([1633], 1638-1669 წწ. Qd-9814ბ, Qd-9638, Sd: 496, 1014, Hd-14663, 1450:48/131, 2/143, 53/107, 38/30, Hd-8584, 1805, Ad-951, Hd: 8765, 14664, 14421, 14657, 14677, Qd-2153, 1450-15/140, Hd-2113, Sd-523, Ad-1687, 1450-38/4, 1449-1825ა, Hd-14642, 1448-2788, Hd: 14691, 14659, 14660, 1450-31/21, 1450-31/201, Sd: 794, 498, Hd-14534b). ჰყავს: ძ მ ა გიორგი (1636 წ. Hd-14652); შ ვ ი ლ ე ბ ი: ბოქაულთუხუცესი ქაიხოსრო (1636-1661 წწ. Hd:14652, 8584, Ad-951, Hd-14677, Sd-523, Ad-1687), რევაზ (1652-1659 წწ. Hd: 8584, 14677, Sd-523), ფარემუზ (1652 წ. Hd-8584), დავით (1652-1661 წწ. Ad-1687, Hd-8584); ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ბერუკა (1656 წ. Hd-14677), [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] იესე (1641 წ. Qd-9638); გ ა ნ ა ყ ო ფ ი პაატა ([1633-1658 წწ.] Hd-14691, 1653 წ. Ad-951). მ ა ს განუახლა თეიმურაზ

---

[1] სახლთუხუცეს რევაზ ბარათაშვილის სიძე (რედ.)

მუხრანის ბატონმა მისი მკვიდრი მამულის წყალობა (XVII ს. 20-იანი წწ. Hd-2259), მ ა ს უნალობა: [თეიმურაზ მეფემ] – [საჯავახიშვილოში] მკვიდრი სამანგლელო მამულის წყალობა (1630 წ. Qd-1045, ფრაგმ.), როსტომ მეფემ: გორის ციხეში განეული ერთგულების საფასურად – მამულის წყალობა (1641 წ. II. 24. Qd-9638), ნახევარი ხოვლესა და აბანოს თარხნობა (1636 წ. Hd-14652), ნოდორეთში – ჯავახიშვილების ნაქონი მამული, გარდა პაატა [ჯავახიშვილის] კუთვნილისა, მარკოზ ხუცესი ძმებით, რომლებიც დროებით გარსევან და ფრიდონ ყორღანაშვილებს ეკუთვნოდათ (1653 წ. Ad-951), საჯავახიანოში – მათი ამოვარდნილი ნათესავის მამული თეძამს გაღმა და გამოღმა. ამას გარდა ის, რაც ლუარსაბ მეფეს რ ო ი ნ ი ს ბიძაშვილის, ბერუკასათვის ჰქონდა ნაბოძები. რადგან ი გ ი როსტომ მეფისა და მის ძმისწულ სიმონის დიდი „ნამსახური" ყოფილა, თეიმურაზ მეფეს დაუტყვევებია და ხორნაბუჯის ციხეში ჩაუგდია, სადაც ბორკილმა და უდრეკმა ფეხი დაუზიანა. მისთვის უნდა გაეყოთ რ ო ი ნ ი ს მამის მიერ მისი სიმონ-ხანის მიერ ყაენთან გაგზავნის წინ დანატოვარი მამული; მათვე უბოძა ყარაღაჯი, როგორც საჭირნახულოდ დადებული და – ხახულას ნახევარი (1656 წ. Hd-14677), [მამული] ([1633-1658 წ. Hd-14692 ფრაგმ.); შაჰნავაზ მეფემ განუახლა მ ა ს მამულის წყალობა (1659 წ. Sd-523); შ ე ს წ ი რ ა რკონის მონასტერს თავისი კერძი მამული რკონში (XVII ს. I ნახ. Sd-2859 მინაწ.); მოსაურე ყმების ნუსხის მიხედვით, მ ა ს ე კ უ თ ვ ნ ო დ ა: სკრას – ოთხი კომლი, ყარაღაჯს – საურის გამომღებ პაპუჩათი ჩვიდმეტი კომლი, ხანდაკს – მოლაშქრე გიორგი და სხვა რვა კომლი, სიონს – მესაურე ლიპუაშვილი, ღულს – ერთი კომლი, ქვენადრისს – ოთხი კომლი, მელეს – ერთი კომლი, ზესს – ორი კომლი მესაურე ლაგრაძე და შოშიტა ([1758-1675 წწ. Hd-14534 ბ); გ ა ა რ ი გ ა ს ა მ ა მ უ ლ ე დ ა ვ ა: შანშე ერისთავსა და იოთამ ამილახორს შორის ([1623-1632 წწ.] Hd-14669), დავით და რამაზ დავითისშვილებს შორის (1634 წ. X. 23. Qd-8235). შაეერდა არდაშელაშვილს, მექვაბიშვილებსა და ალმურაშვილებს შორის (1638 წ. III. 20. Qd-9814ბ), მერაბსა და მახარებელ სულხანაშვილს შორის (1641 წ. Sd-496), პაატა და სხვა ყორღანაშვილებსა და მახარებელ სულხანიშვილს შორის (1642 წ. II. 12. Sd-1014), ყმების თაობაზე დავა ალიხანა შალიკაშვილსა და ალავერდას შორის (1645 წ. 1450-48/131), სამამულე დავა ფალევანხოსრო და პაპუნა ბარათაშვილებს შორის (1646 წ. 1450-2/143), ყმის თაობაზე დავა მთავარეპისკოპოს [დომენტისა] და როსტომა ხითარიშვილს შორის (1649 წ. 1450-53/107), სამამულე დავა ყაფლან ბარათაშვილსა და მის განაყოფ იოთამის შვილებს შორის (1651 წ. VIII. 30. 1450-38/30), სასისხლო დავა გივი და სვიმონ ზევდგენიძეებს შორის (1652 წ. Hd-1805), სამამულე დავა სეხნია თურქისტანიშვილსა და დავით სოლაღაშვილს შორის (1656 წ. I. 3. Hd-14421), სამამულე დავა მამუკა ბლორძელსა და პარუნ სარქისაშვილს შორის (1656 წ. VI. 28. Hd-14567), სამამულე დავა ბერიკა, ავთანდილ და მათ განაყოფ გივი რევიშვილებს შორის (1656 წ. 1450-32/363),

სამამულე დავა აბაშ ბარათაშვილსა და ზურაბ ელიოზისშვილს შორის (1657 წ. Qd-2153), სამამულე დავა ყაფლან ბარათაშვილსა და ისახან სულთანს შორის (1657 წ. 1450-15/140), სამამულე დავა კათალიკოსს, ელიზბარ ქსნის ერისთავსა და გივი ამილახორს შორის (1659 წ. Hd-2113), სამამულე დავა საკუთარ ყმებს, ივანას და ამბრიას შორის (1661 წ. Ad-1687), სამამულე დავა ბარათაშვილ-აბაშისშვილებსა და იოთამისშვილებს შორის (1662 წ. V. 20. 1450-38/4), სასისხლო დავა რჩეულაშვილებსა და ოსიას შორის ([1633-1658 წწ.] 1448-2788), ყმის თაობაზე დავა იორამ ოქრომჭედელსა და ნონია მახანაშვილს შორის ([1638-1658 წწ.] 1450-31/211), სამამულე დავა კაცია დიასამიძესა და იორამ ოქრომჭედელს შორის ([1638-1669 წწ.] 1450-3/201), სამამულე დავა ყაფლან, პაატა და პაპუნა ბარათაშვილებს შორის ([1646-1658 წწ.] Sd-694); ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა: როსტომ მეფე ყარაიაში ნადირობისას დაშავებულა. ამასთან დაკავშირებით მ ა ნ აბანოელ ნასყიდას დაავალა, რათა ყოველი წელინადის ნათლისღებას მეფის სადღეგრძელოდ ორ მღვდელს ეწირა და ამისთვის საკლავი დაეკლა, რისთვისაც იგი გაათარხნა საბატონო გამოსაღებისაგან, ხოლო საურის გამოღება (ყმის ნაცვლად)თვითონ იკისრა (1642 წ. Hd-14663); მ ი ს ი სამკვიდრო მამული ჰქონია მანგლისის ღვთისმშობელს „ბატონისაგან". ამ მამულის დაბრუნების შემდეგ მ ა ნ მანგლისის ეკლესიას 40 კოკა ღვინო გაუჩინა. ნიკოლოზ მანგლელმა მისცა გარდაწყვეტილების წიგნი (1652 წ. III. Hd-8584), შ უ ა მ ა ვ ა ლ ი და მ ო წ მ ე დოლმაზ გოგიბაშვილსა და ოთარ ბარათაშვილს შორის მიწის გაცვლილობის წიგნისა (1653 წ. Hd: 14664, 8765), მ ა ნ ხელში ჩაიგდო მანგლისის ღმრთისმშობლის ეკლესიის კუთვნილი მამულები, რომლებიც შაჰნავაზმა ჩამოართვა და კვლავ მანგლისის ღვთისმშობელს შესწირა: ზაკუს – მახარა ტაველიშვილი, მისი განაყოფი გოგილა, ზაზუნა; ფიცეს – ხატია მამისხარაშვილი, მისი განაყოფი ბასილა, ავგაროზა; კრკონს – გიორგი გორგაძე, ფოცხვერა შვილობოლიძე, ზესს – შოშიტა ამირაშვილი, ელიზბარა გეგუტაშვილი, ქუენანდრისს – ამბრია ჭყუპიაშვილი, აბანოს – ზვარი და საწნახელი, სიონს – 13 დღის მიწა, ხანსულუთანს – მანგლისის ღვთისმშობლის კუთვნილი მიწები (1669 წ. 1449-1825ა); როსტომ მეფე მ ა ს უგზავნის ბარათს, რომელშიც უბრძანებს გამოეძია იესე ერისთავის მოკვლის ამბავი ([1638-1658 წწ.] Hd-14660), უჩიოდა გლურჯიძეებს, თუ ისინი მათი 12 ამხანაგის აზნაურიშვილით და 6 შესახლებულით ვერ დაიფიცებდნენ, მაშინ მ ი ს თ ვ ი ს უნდა ეზღოთ საქონელი და სასისხლო ([1638-1658 წწ.] Hd-14659), როსტომ მეფის ბრძანებით, მერიქიფეთუხუცესმა, ქალაქის მოურავმა მანუჩარმა და მდივანმა ბირთველ თუმანიშვილმა, მ ა ს ჭვირ[ო]სში გაუყვეს მამული მისივე განაყოფ ფარეშთუხუცეს პაატა (ჯავახიშვილთან]. გაყოფისას ორი გლეხი ერგო რ ო ი ნ ს, დანარჩენი – პაატას ([1638-1658 წწ.] Hd-14691), მესტუმრის საშუალებით შაჰნავაზმა მ ა ს უბრძანა: როსტომ მეფის მიერ ლამექ [თუხარელისათვის] ნაბოძები და მ ი ს მიერ უკანონოდ წართმეული

მინების დაბრუნება ([1658-1669 წწ.] Sd-498), მას საუფროსოდ ერგო ყარალაჯს დათუნა ასლანიშვილი მისი მამულით (XVII ს. Hd-14979); მისი ბეჭედი ლეგენდით „როინ" უზის საბუთებს: Sd-496, Hd-14657, 1448-1788, Hd-14659.

**ჯავახიშვილი როინ** – 1688-1700 წწ. შვილი ფარემუზ ჯავახიშვილისა, იხ. მას და მის ძმებს ნაზარალი-ხანმა დაუმტკიცა საჯავახიშვილოში სამანგლელო მამულები (1690 წ. Qd-1011); უბრძანებს შაქარაშვილებს, ჭყვა[პია]შვილს, კახპატაშვილს, ნაღებასშვილს, ამრუზაშვილსა და გიორგი სალუყაზანაშვილს, რათა ემსახურონ სახლთუხუცესს ამილამბარ [მაღალაძეს]. აქვს ბეჭედი ლეგენდით „მ[ო]ნა ღ[ისა] რ[ო]ინ" (XVII ს. ბოლო. Hd-12244).

**ჯავახიშვილი როინ** – მიჰყიდა ბეჟან ბითაძეს მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა გულისაშვილის ვენახს (XVII ს. Hd-14996).

**ჯავახიშვილი როსებ** (ვარ. **როსაფ**) – შვილი ბესფაზ//ფეზია//თეზია ჯავახიშვილისა, იხ., (XVII ს. IV მეოთხ. 1449-1931). სვიმონ მეფემ მანგლისის ღვთისმშობელს საჯავახიშვილოში შესწირა როსებისეული მამული: გრკონს – ფრიდონ შვილებულასძე მისი მამულით, ტატია გორგასძე მამულით, ზაკვს – ნადირა ტაველისშვილი მამულით, ზესს – გუგუტა გიგაშვილი მამულით, ფიცეს – ნავსაძარ მამისშარაშვილი და მისი განაყოფი ხატია მამულებით, ხოვლეს – ზვარი და სამი დღის ხოდაბუნი (1595 წ. VIII. 9. 1449-1557); სვიმონ ბატონიშვილის მიერ მანგლისის ტაძრისათვის განახლებული შეწირულების წიგნის მიხედვით, სვიმონ მეფეს მანგლისის საყდრისათვის საჯავახიანოში შეუწირავს როსაფისეული მამული: კრკონს – ფრიდონ შვილობილაძე და ტატია გორგაძე მამულებით, ზაკვს – ნადირა ტაველიშვილი მამულით, ფიცეს – ნავსაძარ მამისხარაშვილი და მისი განაყოფი ხატია მამულებით, ზესს – გუგუტა გიგაშვილი მამულით, ხოვლეს ზვარი და სამი ხოდაბუნი; ქვენადრისს – ამბრია ჭყოპიაშვილი ძმისწულებითა და მამულით; სიონს – თეზიას კუთვნილი 13 დღის მიწა და ხანსულთანის ნაქონი მიწები (XVII ს. ბოლო მეოთხ. 1449-1931).

**[ჯავახიშვილი] საამ** – ერეკლე მეფემ მოურავეიშვილ თარხან გიორგის უწყალობა ოძისში ორგული ჯავახიშვილების ყმები, საამის ყმების გარდა (1692 წ. IX. 27. Hd-2166).

**ჯავახიშვილი სარგის** – [შვილი ან ძმისწული] ჯავახ ჯავახიშვილისა, იხ.

**ჯავახიშვილი სარიჯან** – შვილი გამრეკელ ჯავახიშვილისა, იხ.

**ჯავახიშვილი სოლა** – შვილი გამრეკელ ჯავახიშვილისა, იხ.

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **ფარემუზ** – 1652-1700 წწ. არჯავნის ყორული (1690 წ. Hd-9269), ბატონიშვილის სახლთუხუცესი (1699 წ. Hd-13151). შვილი როინ ჯავახისშვილისა, იხ., ჰყავს: ძმა რევაზ ჯავახიშვილი, იხ., (1677 წ. Hd-6295); შვილები: როინ (1688-1700 წწ. 1450-35/22, Hd: 14493, 14084, 2447, 2639, 14083, 6442, 2521, 1450-35/25), რევაზ (1694 წ. Hd-14083),

ავთანდილ (1795-1700 წწ. Hd: 6442, 2521, 1450-35/25); ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ე ბ ი: გაბრიელ მანგლელი (1694 წ. Hd-14083), [1686-1699 წწ.] Hd-6270), ზურაბ, შერმაზან (1694 წ. Hd-14083); გ ა ნ ა ყ ო ფ ე ბ ი: ნიკოლოზ, ოთარ (1695 წ. Hd-6442), ფარსადან, გოშფარ (1692 წ. 1448-8819, 1697 წ. Hd-10386), მანუჩარ (1692 წ. 1448-8819). მ ა ს უწყალობა: ნაზარალი-ხანმა თეძამის ხანდაკში ერთი კომლი გულისა, ივანე და აბრამა გოგიბედაშვილები მათი მამულით (1686 წ. XI. 15. Hd-14493), ნაზარლი-ხანმა მესტუმრის პირით მ ა ს აცნობა, რომ განუახლა არჯავნის ყორულობა. ეს სახელო მას შაჰნავაზისა და მეფე გიორგის დროსაც ჰქონია (1690 წ. IV. 27. Hd-9269), ნაზარალი-ხანმა უწყალობა აგრეთვე თრიალეთში მდებარე სახასო სოფელი თეზი გლეხებითა და მამულით (1692 წ. I. 24. Hd-2447), უცნობმა პირმა – როსტევან მახვილაძე და მისი შვილები ([1697-1721 წწ.] Hd-7574, ფრაგმ.); მ ა ს გაუთარხნა: გიორგი მეფემ მისი კერძი ჭვარები და ჭვარების ნასოფლარები სამეფო გამოსაღებებისაგან, საურის, სამეკობროსმძებნელოს და ლაშქარ-ნადირობის გარდა (1692 წ. XII. 5. Hd-2639), ნაზარალი-ხანმა – ჭვარები სამეფო გამოსაღებებისა და სათათრო საურისაგან, გარდა ლაშქარ-ნადირობისა, იმ პირობით, თუ მას ააშენებდა და დაასახლებდა (1697 წ. Hd-2521); მ ი ჰ ყ ი დ ა: ბერუკა ნინიასშვილის შვილებს: თამაზას, გიორგისა და იასეს თავისი მკვიდრი ნაზვრევი, რომელიც ესაზღვრებოდა სეხნიას ბაგას, ჭაჭიაშვილის ლობეს, ოთიას და თევდორეს მიწებს (1688 წ. XII. 10. 1450-35/22), თამაზა ნონიაშვილს – ამოწყვეტილი ყმის, თევდორა დვალიშვილის ნაქონი ვენახი, „მანაგაძიურის" ნასყიდი ბაგის გვერდით (1700 წ. 1450-35/25); ი ყ ი დ ა: მახარა ბაკურასშვილისაგან სოფელ ბაგაში იორდანული მამული (1689 წ. X. 30. Hd-14084), პაპუა ტერტერასშვილისაგან – დოესის თავს მიწა „ნამგალა", რომელიც ესაზღვრებოდა ციციშვილების მიწას (1695 წ. Hd-6442); მ ი ს ც ა პ ი რ ო ბ ა: მეჯინიბეთუხუცეს ავთანდილ [სააკაძეს] კეთილმოყვრობის შესახებ, რაც ადრე მათ მამებსაც ჰქონიათ ერთმანეთისათვის მიცემული (1677 წ. Hd-6295), მ ა ს მისცეს პირობა ლიპარიტ ანდერმანიშვილმა და იონათამ აბულვარდიშვილმა, რომ არ შეურიგდებოდნენ მ ი ს განაყოფებს – ფარსადან და გოშფარ ჯავახიშვილებს და მის გარდა სხვა ბატონს არ ინდომებდნენ (1697 წ. III. 17. Hd-10386); გ ა ა რ ი გ ა ს ა მ ა მ უ ლ ე დ ა ვ ა ჭვიროსში ზურაბ და შერმაზან ჯავახიშვილებსა და ოთია გოგიბედაშვილს შორის (1695 წ. IV. 6. Hd-8265, 1695 წ. Hd-6021); მ ო წ მ ე: ზურაბ ჯავახიშვილის მიერ ყალანდარ თუმანიშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. VII. 3. 1450-3/6), ფარსადან ციციშვილის მიერ ერთობილ გორელთათვის და მდივან დავითისათვის მიცემული გარდაწყვეტილების წიგნისა ტყით სარგებლობის შესახებ (1699 წ. II. 24. Hd-13151), ზურაბ ჯავახიშვილის მიერ იბაშერ შალიკაშვილისათვის მიცემული სოფელ სკარზე უდაობის წიგნისა (1700 წ. 1450-37/235); ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა: ნაზარალი-ხანმა მ ი ს ი ნაქონი ყმები სოფელ ზესში: ლაგრაძეები, ჭაჭიაშვილი, კორდიგლეჯიაშვილი უბოძა ფარსადან,

გოშფარ და მანუჩარ ჯავახიშვილებს (1692 წ. 1448-8819); მან გაუცვალა თავის ბიძაშვილებს, გაბრიელ მანგლელს, ზურაბსა და შერმაზანს ხოვლეში მდებარე ნაბერლიშვილის ზვრის გვერდით მდებარე მკვიდრ ზვარზე თაყაურის და ბეგიაშვილის ვენახების მოსაზღვრე კორდიგლეჯაშვილის ვენახი (1694 წ. III. 3. Hd-14083), მას ლიპარისთვის მიუბარებია ხორამზე ბატონიშვილის ქალის, ელენეს კუთვნილი 11 თუმანის რვა თვის სარგებელი – 13 მინალთუნი (XVII ს. 80-90-იანი წწ. Hd-15002); მისი ბეჭედი უზის საბუთს: Hd-6270.

**ჯავახიშვილი ფარსადან** – 1607-1609 წწ. სუფრაჩი (1607 წ. Hd-14690). ჰყავს: მამა შალვა; ძმები: შერმაზან (1607 წ. Hd-14690), შანშე ჯავახიშვილი, იხ. მიჰყიდა გიორგი სააკაძეს სიონშიავისი მკვიდრი ვენახი „შაველაური“, რომელიც ესაზღვრებოდა საკუთარ, აგრეთვე შერმაზან და გოშფარ [ჯავახიშვილების] მიწებსა და ლიპუაშვილის ვენახს (1607 წ. Hd-14690).

**ჯავახიშვილი (ვარ. ჯავახისშვილი) ფარსადან** – 1633-1700 წწ. შვილი ქაიხოსრო ჯავახიშვილისა, იხ., ჰყავს: ძმები: გოშფარ (1682-1700 წწ. Hd-2370, Sd-569, 1448-8819, H-2830$_{1სყ}$, Qd-604, Hd-6242ა, 1450-37/235), მანუჩარ (1682-[1699] წწ. Hd-2370, Sd-569, 1448-8819, Hd-6242$^{ა}$), ურბანელი [იოსებ] ჯავახიშვილი, იხ. ([1697-1698 წწ.] Qd-604), ბიძაშვილები: ზურაბ (1692-1700 წწ. Sd-569, 1448-8819, H-2830$_{1სყ}$, Hd-6242$^{ა}$, 1450-37/235), [გაბრიელ] მანგლელი (1692-[1699] წწ. Sd-569. Hd-6242$^{ა}$), ჯავახ (1692 წ. Sd-569), შერმაზან (1692-1700 წწ. Hd-569, 1448-8819, H-2830$_{1სყ}$, Hd-6242ა, 1450-37/235); განაყოფი ფარემუზ ჯავახიშვილი, იხ. (1792 წ. 1448-8819). მას უწყალობა ნაზარალი-ხანმა მისივე განაყოფების//[ბიძაშვილების], ზურაბისა და შერმაზანის ყმა-მამული: ზესს – აბულვარდიშვილი და ფარემუზ [ჯავახიშვილის] კერძი ლაგრაძეები, ჭაჭიაშვილი, კორდიგლეჯიაშვილი, ზურაბის კერძი გელიაშვილები, ჭვიროსს – ბეჟანისშვილები, ხანდაკს – მჭედლისშვილები. აგრეთვე ყმა-მამული ქვენადრისს, სიონს, მელეს, რკონს, ფიცეს, ზაკვს, საყავრეს, ჯვარებს, ნოდორეთს, ხოვლეს, ფიცეს (1692 წ. 1448-8819); მას მისცეს კეთილმოყვრობის პირობა ავთანდილ და იოთამ ამილახორებმა ([1697-1798 წწ. Qd-604); მიჰყიდა: თავის ბიძაშვილებს: ზურაბს, ჯავახს, მანგლელ [გაბრიელს] და შერმაზანს ლაგრაძისაგან ნასყიდი მიწა, აგრეთვე მელეს დათუნას ნაქონი ვენახი, ნასყიდი ჭაჭიაშვილის მიწა ერდგულაშვილის მიწის საზღვრამდე, ჭვიროსს – გოგიაშვილის სახლ-კარი (1692 წ. VI. II. Hd-569), მანგლელ [გაბრიელ ჯავახიშვილს] – საკომლო და ზვრის ჩამონაჭერი, გაზარდა ეს ვალი 4 თუმნამდე, რაც უნდა გადაეხადა ოთხი დღის მიწით. მასვე ვენახის, ნაფუზრის და სასოფლო ზვრისათვის 6 თუმნის თამასუქი აუღია მუშრიბისა და მისი შვილის სარქისასაგან. თუ მოვალეები ფარსადანს აპატიებდნენ სარგებელს, მაშინ იგი, თავის მხრივ, თანახმა იყო, რომ ეპატიებინა მუშრიბისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი 6 თუმანზე აიღებდა სარგებელს და იქიდან პირდებოდა ვალის გადახდას მანგლელს. იმ შემთხვევაში, თუ მუშრიბი ვალს არ გადიხდიდა, მაშინ

ფ ა რ ს ა დ ა ნ ი აგვისტოს ნახევრამდე თამასუქს მანგლელს დაუბრუნებდა და აიღებდა 10 თუმანს. ვადის გადაცილების შემთხვევაში, ვენახი მანგლელს დარჩებოდა ([1699] წ. VII. 11. Hd-6242 ა),; სასამართლოზე დ ა ა მ ო წ მ ა, რომ ჯალდამი და ღორისთავი მდივანბეგ ვახტანგ [ბარათაშვილ]-ორბელიშვილის ცოლ-ყოფილ ზაალ ერისთავის ასულ თამარის ნამზითვით იყო ნასყიდი და მათ შვილებს კანონიერად ეკუთვნოდათ (1700 წ. Hd-2301); ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა: ვალში მისცა ივანგულ[ა]ანთ გასპარას მამუკა დოლუნჯასშვილი (1682 წ. VIII. 20. Hd-2370), გამოუხსნია თავისი ბიძაშვილების, ზურაბისა და შერმაზანის მიერ ავთანდილა მისაჯნისაშვილისათვის მიგირავებული ყმები წოდორეთში. ეს ყმები მას მეფისაგან წყალობად ჰქონდა მიღებული (1697 წ. IV. 26. H-2830$^{155}$); მ ა ს მაგნლელმა [გაბრიელ ჯავახიშვილმა] მისცა თამასუქი, რომლითაც ვალი ველარ დაიბრუნა. ხელმწიფის ბრძანებით, რევაზ ხერხეულიძემ მათ მიაცემინა ერთმანეთისათვის მისაცემი და გაარიგა ზვარზე და გოგიაშვილზე (1699 წ. Hd-6242ბ); ი ს ე ს ხ ა [გაბრიელ] მანგლელისაგან ექვსი თუმანი და მისცა თამასუქი (XVII ს. 90-იანი წწ. Hd-14964), ნაზარალი-ხანს მ ი ს თ ვ ი ს უბოძებია შალიკაშვილებისათვის ჩამორთმეულია სოფელი სკრა, რომელიც იბაშერ შალიკაშვილსა და მის ძმებს უკან გამოუხსნიათ (1700 წწ. 1450-37/235); მ ი ს ი ბ ე ჭ ე დ ი ლეგენდით: „ფარსადან" უზსი საბუთებს: Sd-569, Hd-6242, Hd-14964; „მონა ღ(თი)სა ფარსადან" – Hd-6242ბ .

ჯავახიშვილი ქაიხოსრო – მ ო წ მ ე ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გიორგი გლურჯიძისათვის მიცემული მიწების გაცვლილობის წიგნისა ([1527-1556 წწ.] 1448-522).

ჯავახიშვილი ქაიხოსრო – 1602-1620 წწ. შ ვ ი ლ ი ივანესი (1602 წ. XII. 8. Hd-522). გიორგი მეფემ მ ა ს მიაბარა მამამისის მიერ ჯიმშერის დედის, თუხარისათვის ნაბოძები მამული, რომელიც თუხარის გარდაცვალების შემდეგ მ ა ს უნდა დარჩენოდა. ი გ ი არ უნდა შეცილებოდა ჯიმშერის ცოლ-ყოფილ ულუმპიას გიორგის მამის, [სიმონ მეფის] მიერ ნაწყალობევ მამულზე (1602 წ. XII. 8. Hd-522); ი ყ ი დ ა: ბეჟან ჯავახიშვილისაგან „თხლიური" მიწა (1606 წ. Hd-9319), აბულვარდ ფიყნიაშვილისაგან – ზესის ბოლოს ხოდაბუნი (1607 წ. XII. 1. Hd-6598); მ ა ს ბჭეებთან უჩიოდა უცნობი ჯავახიშვილი: სვიმონ მეფემ გორის აღებისას მამაჩემი მახარობლად გაგზავნა ყაენთან და კლიტეებიც თან გაატანაო. შემდგომ სვიმონ მეფე ურუმებმა დაატყვევეს და პაპაჩემი ყაენთან დარჩა, სადაც ხშირად ნახულობდა ყაენთან მყოფ ბაგრატ მეფესო. მომჩივანის ოჯახი ქ ა ი ხ ო ს რ ო ს გიორგი მეფესთან და დედოფალთან დაუბეზღებია: კახეთში ლაშქრობისას სვიმონ მეფეს თან ახლდა [მომჩივნის პაპა] შალვა [ჯავახიშვილი], რომელმაც სვიმონი მიატოვა და ქალაქში მყოფ დავით მეფესთან მივიდაო. მ ი ს ი დაბეზღების გამო მომჩივნის ოჯახი დაისაჯა. ყაენმა მომჩივნის პაპას უბოძა ორმოცდაათი თუმანი და ამავე თანხის ფართალი. ეს საქონელი და ცხენ-იარალი გიორგი მეფემ მომჩივნის პაპას

თავისთან მიატანინა, ხოლო მისი მამა-ბიძანი დაიჭირა და გორში საკანში ჩაყარა. ამასობაში დავით კახთ ბატონმა გიორგი მეფეს კაცი გაუგზავნა და ჯავახიშვილების გათავისუფლება სთხოვა. ამის შემდგომ ქაიხოსრო მომჩივნის ოჯახს თავს დასხმია და მათი საბადებელი, რომელშიც შედიოდა სამი ქვაბი, ოცი სპილენძის თეფში, ხუთი ორხოვა, დედაკაცის ნარიმანი, ორი თასი, თუნგი, თორმეტი ცხენი, იარაღი, ასი კოკა ღვინო და ორი კოდი პური წაუხდენია ([1615-1619 წწ.] Hd-2272); პქონდა დავა მოურავ [გიორგი სააკაძესთან]. მოურავის მტკიცებით, მას შვილივით ჰყავდა გაზრდილი ბერუკა [ჯავახიშვილი]. მას შემდგომ რაც მოურავი ქაიხოსროს დაემოყვრა, ბერუკამ ლუარსაბი მოურავს გადაკიდა. მოურავის აზრით, მისი გარდახვეწა, სახლ-კარის აოხრება ქაიხოსროსთან დამოყვრების გამო მოხდა. ქაიხოსრომ ეს ბრალდება არ მიიღო. ბჭეთა გადაწყვეტილებით, მას უნდა დაეფიცა სამი დასახელებული და ოთხი დაუსახელებელი კაცით. თუ ვერ დაიფიცებდა, ორმოცი თუმანი თეთრი უნდა გადაეხადა მოურავისათვის. მოურავი ბრალს სდებდა, რომ ერთაწმინდიდან ნახირი წაასხა და მამული და სასაფლაო დაურბია, რომ ქაიხოსროს დავალებით მანაგაძემ თეძმის პირიდან თამარის (გიორგის დედის)ცხვარი წაასხა. ქაიხოსრო ერთაწმინდიდან ნახირის წასხმას ბერუკას აბრალებდა, რადგან ეს ბერუკას ქართლში ყოფნის დროს მოხდა. ქაიხოსროს მტკიცებით, ფელელებს ბერუკას ყმის, გორგაძის ცხენი ემართათ; გიორგაძეს ცხენი წაუყვანია. ბჭეთა გადაწყვეტილებით, ბერუკას ყმის ჩადენილი საქმე ბერუკას უნდა გადაეხადა. მოურავის მტკიცებით, ქაიხოსრომ მისი ხუთი მსახური და აზნაურიშვილი: ცალქალამნიძე, მახარებელა ჩივაძე, ქვლივიძე მათია, ხოსიტა, ადილა და მისი შვილი დააბეზღა თეიმურაზთან, დაარბია და დააჭერინა ცოლ-შვილით. ქაიხოსრომ განაცხადა, რომ ეს არდაშელისშვილის ბრალი იყო, რადგანაც იგი ავადმყოფობის გამო დაეთხოვა არდაშელიშვილს, რომელმაც კავთისხევამდე თან გამოატანა მსახურები; ქაიხოსროს მტკიცებით, იგი შინ წავიდა, ხოლო ისინი ჭულფანისშვილს მიაბარა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ საქმეზე ქაიხოსროს ექვს მსახურს უნდა დაეფიცა, თუ ვერ დაიფიცებდნენ, ასი მარჩილი უნდა გადაეხადათ. მოურავის მტკიცებით, ქაიხოსრომ მას ქალი სთხოვა, მაგრამ შემდეგ თავის შვილს სხვა ქალი უთხოვა, მისი კი გამოაგდო. ქაიხოსრომ ამაზე უპასუხა, რომ მას მოურავის მოყვრობა სურდა და კიდეც გაუგზავნა მას ბატონი ალათანგი ქალის სათხოვნელად, მაგრამ მათგან პასუხი ვერ მიიღო; შემდეგ ერისთავს (მოურავის ცოლისძმას)სთხოვა შუამავლობა, მაგრამ ვერც მისგან მიიღო პასუხი; რადგან მოურავმა უფროსი ქალი გაათხოვა, მან ორი წლის შემდეგ სხვა ქალი უთხოვა თავის შვილს. ქაიხოსროს მტკიცებით, მან მახარე ჩივაძეს დაავალა, რათა მოურავის უმცროსი ქალი მისი უმცროსი შვილისათვის ეთხოვა, მაგრამ პასუხი ვერც ამჯერად მიიღო. მოურავი ამტკიცებდა, რომ

ალათანგის და ჩივაძის პირით ქაიხოსროს თანხმობა შეუთვალა და ქალიც მისცა, რასაც ალათანგი და ჩივაძეც დაემოწმნენ. სასამართლო გარიგებით, მას უნდა დაეფიცა, რომ მოურავს მისთვის ქალი არ მიუცია და ის არც გამოუგდია. თუ ვერ დაიფიცებდა, ქალის სისხლის საფასური ქაიხოსროს უნდა გადაეხადა.

მოურავი ედავებოდა, რომ მან ზურაბი – მისი მოყვარე – მოყვრობიდან „გამოყარა", მისი ქალი ითხოვა, მოურავისა კი გამოაგდო. შურისძიების შიშით ქაიხოსრო აიყარა და სურამში წავიდა, მაგრამ მან ბიძინა დაადევნა, უკან დააბრუნა და საციციშვილო მისცა. ქაიხოსრო ამტკიცებდა, რომ მან მოურავის თანხმობის შესახებ არ იცოდა. სასამართლოს გარიგებით, ქაიხოსროს უნდა დაეფიცა. თუ ვერ დაიფიცებდა სისხლის საფასური უნდა გადაეხადა. მოურავის ბრალდებით: როცა თეიმურაზი ქართლში ჩამოვიდა და სურამში დადგა, თვითონ, ყაენისაგან მობრუნებული, თავის მამულში ნოსტეში დაბრუნდა. ქაიხოსრომ ფარსადანს ლაშქარი სთხოვა მის მოსაკლავად, რომელმაც 300 კაცი გამოატანა. მოურავი ერთგულ კაცებს გაუფრთხილებიათ ამის თაობაზე და იგი ხანდაკში წასულა. ქაიხოსრომ ამ ბრალდებაზე უარი განაცხადა და ხმლით ორთაბრძოლა მოითხოვა. სასამართლოს გარიგების თანახმად, ქაიხოსროს ორი დასახელებული და ორი დაუსახელებელი კაცით უნდა დაეფიცა, რომ ფარსადანისთვის ლაშქარი არ უთხოვია. თუ ვერ დაიფიცებდა, მაშინ ხუთი კომლი გლეხი ან ორმოცდაათი თუმანი უნდა გადაეხადა. მოურავის მტკიცებით, როცა ის გადახვეწილი იყო, ქაიხოსროს კაცი მიუგზავნია თეიმურაზთან, რომ მოურავის დედა თამარი „გამაბრჭეო". თეიმურაზს მანუჩარი მიუგზავნია თამარისათვის, მაგრამ მიტროპოლიტს, შერმაზანს და ნოდარს არ დაუნებებიათ; ქაიხოსრო ამ საქმეს უარყოფდა. სასამართლოს გარიგებით, ქაიხოსროს უნდა დაეფიცა, რომ თეიმურაზისთვის კაცი არ მიუგზავნია. წინააღმდეგ შემთხვევაში, რადგან ადრე თამარის ცხვარი წამოესხა, ერთი კომლი გლეხი, ან ორასი მარჩილი უნდა გადაეხადა, ხოლო რაც ქაიხოსროს და მისი ყმების ხელში თამარის საქონელი და პირუტყვი იყო უკან დაებრუნებინა. მოურავის ოთხი მსახური და ცალქალამნიძე ბრალს სდებდნენ ქაიხოსროს დაბეზღებასა და აოხრებაში. სასამართლოს გარიგებით, ქაიხოსროს უნდა დაეფიცა. თუ ვერ დაიფიცებდა, მიყენებული ზარალის ნახევარი უნდა აენაზღაურებინა. ქაიხოსროს მოურავის ნახირი წაუყვანია, მაგრამ მოურავის ყმებმა ხოვლედან თავიანთი პირუტყვი უკან წაასხეს. ქაიხოსრო ჩიოდა, რომ მათ მისი პირუტყვიც გაიყოლიეს. რადგან ქაიხოსრო პირველი მიუხდა მოურავს, ამ უკანასკნელს გამრიგეებმა პასუხი არ მოსთხოვეს. ქაიხოსროს მტკიცებით, მოურავის კაცი ცალქალამნიძე სახლში მიუხტა მას, დაურბია სახლ-კარი და ცოლ-შვილით გარდახვეწა. სასამართლოს გარიგების თანახმად, მოურავს მისთვის ორმოცდაათი თუმანი უნდა გადაეხადა და საქონელი

დაებრუნებინა (1620 წ. IV. 15. Hd-6259); მას გიორგი სააკაძემ მისცა დავის გადაწყვეტილების წიგნი (1620 წ. VII. 15. Hd-14424).

**ჯავახიშვილი ქაიხოსრო** – [1609], 1633-1651 წწ. შვილი შანშე ჯავახიშვილისა, ძმა პაატა ჯავახიშვილისა, იხ., ჰყავს შვილი ფარსადან. მისი 20 მარჩილი ემართა მისავე სიონელ ყმას, თედიას, რომელმაც ვალის გადახდის მიზნით პაპია ჭყოპიაშვილს მიჰყიდა სამი დღის მიწა ყარაღაჯულ რუმდე და ვარსიაშვილის მიწამდე (1633 წ. Ad-1802).

**ჯავახიშვილი ქაიხოსრო** – 1636-1671 წწ. ბოქაულთუხუცესი (1656 წ. Hd-14677), შვილი როინ ჯავახიშვილისა, იხ., ჰყავს ბიძა რევაზ ბარათაშვილი (1663 წ. Hd-14435); შვილები: ბახუტა (1663-1671 წწ. Hd-14435, Sd-2859 მინაწ., Hd-6777), ბერი, ბეჟან (1663 წ. Hd-14435), დურმიშხან, იასე (1671 წ. Hd-6777). განუახლა რკონის ღმრთისმშობელს სვიმონ მღვდლის ავგაროზული მამულისა და მასზე მცხოვრები კაცების შეწირულება, რომელთაც ევალებოდათ ნელინადში თითო ლიტრა სანთელისა და ორი ლიტრა ზეთის გამოღება. რკონისათვის შეწირული მღვდელი დავითი მისი ავგაროზული მამულით გაათარხნა გამოსაღებებისაგან (1669 წ. Sd-2859 მინაწ.); შაჰნავაზ მეფის ბრძანებით, მან იორამ თარხან მოურავიშვილის ვაჟს – გიორგი [სააკაძეს] მისცა თავისი ქალი. დამოყვრების შედეგად მათ დაუბრუნა მათივე სამკვიდრო ოძისის ნახევარი, რომელიც ადრე ჯავახიშვილების სახლს „მეპატრონეთაგან“ ჰქონდა „ნაშოვი“ (1663 წ. Hd-14.435); მოწმე თაყა ასანბეგისშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბისშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის გაცვლის წიგნისა (1671 წ. Hd-6777).

**ჯავახიშვილის ქაიხოსრო** – [მეფის] ბრძანებით, ვინც მის გლეხს არ დააბრუნებდა, მუბაშირს გაუსევდნენ და ისე დააბრუნებდნენ (XVII ს. Hd-15087).

**ჯავახიშვილი ქეეშელ** – ძმა ან შვილი ჯავახ ჯავახიშვილისა, იხ.

**ჯავახიშვილი შალვა** – 1339-1345 წწ. მეაბჯრეთუხუცესი (1339 წ. Hd-11626). ჰყავს: ბიძაშვილი გამრეკელი, ბიძაშვილიშვილი სარიჯან (1345 წ. Hd-11627). მას უწყალობა: [გიორგი მეფემ] ყმა-მამული (1339 წ. VI. 6. Hd-11626), [გიორგი] მეფის ბრძანებით, „საქმის შეკაზმამდე“ კაგიოსოს მცხოვრები ორი გლეხი: კომნაკომისძე და ბორტყოლა მიწითა და საქონებლით მის შვილს ეყოლებოდა, შემდეგ კი გამრეკელ ჯავახიშვილს მფლობელობაში გადავიდოდნენ (1345 წ. X. 12. Hd-11627).

**ჯავახიშვილი შალვა** – 1588 წ. მამა: ფარსადან ჯავახიშვილისა, იხ., შანშე ჯავახიშვილისა, იხ., შერმაზან [ჯავახიშვილისა] იხ. მას განუახლა სვიმონ მეფემ მისი და მისი ძმების კუთვნილი ოძისის წყალობა (1588 წ. XI. 2. Hd-14416); იხსენიება უცნობი [ჯავახიშვილის] საჩივრის წიგნში, როგორც მომჩივნის პაპა. ურუმთაგან სვიმონ მეფის დატყვევების შემდგომ იგი ყაენის კარზე დარჩენილა, სადაც ხშირად ხვდებოდა ყაენთან მყოფ ბაგრატ მეფეს.

ქაიხოსრო [ჯავახიშვილს] მომჩივნის ოჯახი გიორგი მეფესთან და დედოფალთან დაუბეზღებია: სვიმონ მეფეს კახეთის ლაშქრობისას თან ახლდა შალვა [ჯავახიშვილი], რომელმაც სვიმონი მიატოვა და ქალაქში მყოფ დავით მეფესთან მივიდაო. ამის გამო მომჩივნის ოჯახი მეფისაგან დაისაჯა. ყაენმა შალვას უბოძა ორმოცდაათი თუმანი და ორმოცდაათი თუმნის ფართალი. ეს საქონელი და ცხენ-იარაღი გიორგი მეფემ შალვას თავისთან მიატანინა, ხოლო მისი შვილები დაიჭირა და გორში საკანში ჩაყარა ([1615-1619 წწ.] Hd-2272).

ჯავახიშვილი შალვა – შვილი შანშე ჯავახიშვილისა, იხ.

ჯავახიშვილი შამანდუხ, ასული გამრეკელ ჯავახიშვილისა, იხ., ივანე [სააკაძის] თანამეცხედრე – იხ. შამანდუხ

ჯავახიშვილი შანშერ – შვილი გამრეკელ ჯავახიშვლისა, იხ.

ჯავახიშვილი შანშე – 1607-1616 წწ. ჰყავს: მამა შალვა, ძმები: ბიძინა, ფარსადან (1609 წ. Hd-1656), შერმაზან (1609-1616 წწ. Hd: 1656. 1583, 1576). შვილი შალვა (1616 წ. Hd-1576), ბიძაშვილი პაატა (1626 წ. Hd-14431). მიჰყიდა: გიორგი სააკაძეს არჯევნული სასახლე, მამული და ტურიაული ვენახი (1609 წ. IV. 7. Hd-1656), მამისედ გოგიჩასშვილს – ქებათკარს გოჩიას ველი, ორი დღის მიწა (1616 წ. Hd-1576); ამოუკვეთა ბეგარა ძებან// გებან (sic)მამუკას, დაუტოვა ორი დღე მკა და ბარვა, უბოძა ზესს სავენახე „ფლიმანაური", საყავრეს – ჯილინა მიწა „კოშაური" ([1619 წ. ახლო.] Hd-1583); მოწმე: აბულვარდ ფიყნიაშვილის მიერ ქაიხოსრო ჯავახიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1607 წ. XII. 1. Hd-6598); მისი ყმა აბრამა მოწმეა ფარსადან და შერმაზან ჯავახიშვილების მიერ გიორგი სააკაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1607 წ. Hd-14690); მისი კერძი მამული სვიმონ მეფემ უწყალობა მის ბიძაშვილს, პაატა ჯავახიშვილს (1626 წ. VIII. 22. Hd-14431).

ჯავახიშვილი შანშე (ვარ. შამშე) – [1609]-[1658] წწ. ჰყავს: ძმა ხოსიტა ([1633-1658 წწ.] Hd-8580), შვილები: შალვა ([1609 წ. ახლო.] Hd: 3295, 8506), ქაიხოსრო ([1609 წ. ახლო] Hd: 3295, 8506, 10264), პაატა ([1609 წ. ახლო] Hd: 10264, [1633-1658 წწ.] Sd-795, Hd-8580), [შვილიშვილები]: ზურაბ, ჯავახ ([1609 წ. ახლო] Hd-10264). მიჰყიდა: გიორგი ცალქალამანიძესა და მის შვილებს, იოთამსა და სეხნიას, სკრაში მცხოვრები პაატა ბესალაშვილი და მისი ძმა გიორგი, შვილი შოშია და ძმისწულები: ზუბია და სვიმონა მათი მამულით. აიღო ფასი 280 მარჩილი ([1609 წ. ახლო] Hd-3295), ამავე პირებს – სკრაში მცხოვრები გლეხი ზაქარია შოგიაშვილი, მისი ძმისწული დავითი და მისი ძმები მათი მამულებით, კოშკი სასახლითა და 4 დღის მიწით, თიბელური ვენახი და სამსონაური საბოგანო სახლ-კარი ([1609 წ. ახლო] Hd-8506), იოთამ ცალქალამანიძის მამას, [გიორგის], მამული, რომელიც შემდგომ იოთამისაგან დაიხსნა და უკან დაიბრუნა ([1609 წ. ახლო] Hd-10264), თევდორე კოპინაშვილს

– ჩაგარმანში მინა (1618 წ. 1448-2832); მას მისცა პირობა ნოდარ ციციშვილმა, რომ არ ჩაიდენდა როსტომ მეფის საზიანო საქმეს ([1633-1658 წწ.] Hd-8580); იხსენიება პაატა [ჯავახიშვილსა] და როჭიკა [მალიკაშვილს] შორის სამამულო დავის გარიგების წიგნში: თუ ბესალაშვილი დაიფიცებდა, ნ(ა) იონჯევი შანშემ მომყიდაო, იგი როჭიკას დარჩებოდა და პაატას მასთან ხელი არ უნდა ჰქონოდა ([1633-1658 წწ.] Sd-795).

**[ჯავახიშვილი] შანშე** – ჰყავს მამა: ზურაბ. დამსწრედ იყო ღორისთაველთა და გუდარეხელთა შორის სასაზღვრო დავის გარჩევისას (1653 წ. VII. 10. Hd-1467).

**ჯავახიშვილი შერმაზან** – 1607-1616 წწ. ჰყავს: მამა შალვა [ჯავახიშვილი] (1624 წ. Hd-14693); ძმები: ფარსადან ჯავახიშვილი, იხ., შანშე ჯავახიშვილი, იხ. მისი შეყრილია ზაქარია ჯავახიშვილი. ზაქარიამ მისი გარდაცვლილი შეყრილის – შერმაზანის მამული მიართვა მოურავ [გიორგი სააკაძეს] (1624 წ. Hd-14693).

**ჯავახიშვილი შერმაზან** – 1666-1700 წწ. ძმა: ზურაბ ჯავახიშვილისა, იხ., (XVII ს. Qd-1037), მანგლელ გაბრიელ ჯავახიშვილისა, იხ., ბიძაშვილი: ფარსადან [ჯავახიშვილისა], იხ. მიჰყიდა: ოთია გოგიბედაშვილს ახალკაციშვილის ნავენახობი, რომელიც ესაზღვრებოდა მისივე და სალუყაზანაშვილის ვენახებს (1700 წ. III. 15. 1448-4105), რამაზ მანელასშვილს – ცხენი, მაგრამ მყიდველს ვერ მოურიგდა და ფული უკან დაუბრუნა. რამაზს დარჩა ნასყიდობის წიგნი, რომლის ბათილამაც მისცა ([1687-1700 წწ.] Hd-8038); მას ზურაბ ჯავახიშვილთან ერთად წილში ერგო ქვენანდრისის ციხე და ნახევარი ჭალა (XVII ს. Qd-1037); ჰქონდა დავა: თუმანიშვილებთან ზაქარია ჯავახიშვილის ყოფილი ყმების, სულხანიშვილებისაგან წოდორეთში 1673 წელს ნასყიდი მამულის მეხუთედ წილზე, რომლის ფასიც ნაზარალიხანმა თუმანიშვილებს ხელახლა გადაახდევინა (1699 წ. VI. 25. Ad-2246 მინაწ.), მდივან გივი და შიოშ თუმანიშვილებთან – ზურაბ და სულხან თუმანიშვილების მიერ წოდორეთში სულხანიშვილების ნასყიდი მამულის მეხუთედ წილზე. ამ მამულში, შერმაზანის მტკიცებით, ჯავახიშვილებს 8 თუმანი გადაუხდიათ. რადგანაც სულხანიშვილებისაგან ნასყიდი მამული 20 თუმნად იყო შეფასებული, ხოლო ამ მამულის მეხუთედის ნასყიდობის წიგნი შერმაზანს ჰქონდა, გივი და შიოშ თუმანიშვილებმა მას დაუბრუნეს 4 თუმანნახევარი (1699 წ. Hd-9343).

**ჯავახიშვილი ხორაშან** – თანამეცხედრე ლამექ თუხარელისა – იხ. **ხორაშან**

**ჯავახიშვილი ხოსიტა** – ძმა შანშე ჯავახიშვილისა, იხ.

**ჯავახიშვილი ჯავახ** – შვილი ზაქარია ჯავახიშვილისა, იხ.

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **ჯავახ** – 1543-XVI ს. III მეოთხ. ჰყავს: ძმები გოშფარ, ივანე, შვილები//[ძმისწულები]: გამრეკელი,

სარგის, ვირშელ, ქვეშელ და როინ. ი გ ი „ცოდვის საქმეს შეესწრო" და ქართლის კათალიკოსმა დორეთეოსმა უბრძანა საყდრის სამსახური. საკუთარი ნება-სურვილით სვეტიცხოველს შ ე ს წ ი რ ა: მაცხოვრის ხატი, ვერცხლის მოჭედილი კანდელი, ოცი ლიტრა ზეთი, ახალშენს ყოველწლიურად ნახევარი ლიტრა საკმეველი; ქალაქელ დარვეშასა და მისი სახლისაგან ერთი სუფრის ნოხი და ოცი ფლური. ამას გარდა, ნიაბელ მეტეხელ ხიზან გლეხებს მ ი ს საკუთარ მამულში მოკაფული შეშის და სარის საბალახე და ღალა არ გამოერთმეოდათ (XVI ს. მე-3 მეოთხ. 1449-1657); ესწრებოდა ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილების მამულის გაყოფის საქმეს (1543 წ. IV. 20. Hd-10381).

**ჯავახიშვილი** (ვარ. **ჯავახისშვილი**) **ჯავახ** – [1609], 1633-1692 წწ. [შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი] შანშე ჯავახიშვილისა, იხ., შ ვ ი ლ ი პაატა ჯავახიშვილისა, იხ., ძ მ ა ზურაბ ჯავახიშვილისა, იხ., ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ფარსადან [ჯავახიშვილისა], იხ.

**ჯავახიშვილი ჯიმშერ** – 1586 წ. ჰყავს: დ ე დ ა თუხარ, იხ., ც ო ლ - ყ ო ფ ი ლ ი ულუმპია (1602 წ. Sd-522), გ ა ნ ა ყ ო ფ ი როინ (1586 წ. Qd-8624). მ ა ს უწყალობა [სვიმონ მეფემ] მისი განაყოფის, როინის შვილების მამული (1586 წ. XI. 30. Qd-8624).

**ჯავახიშვილი ხეჩუა** – წერაქვს მცხოვრები. მ ი ს ი მამულით წილად ხვდა ბეჟან [ბარათაშვილს] (XVII ს. Hd-13630).

**ჯაველ** – ხუნწში მცხოვრები. ლიპარტიანმა შესწირა ი გ ი ხონის საყდარს და დააკისრა: ორი საკლავი, ორი ქათამი, ერთი ჭური ღვინო, შინ ჩაჯდომა და მასპინძლობა, აგრეთვე სამსახური (XVI ს. ბოლო, 1448-5034).

**ჯაველიძე** – თაგოეთში მცხოვრები, ერთი კომლი, ყმა-გლეხი. მაღრაძეთა და ციციშვილთა შორის დავის გარიგებისას იგი ერგო ბამან მაღრაძეს (1678 წ. 1450-14/62).

**ჯავიაშვილი** – შაბიანში მცხოვრები. მ ი ს ი ყმები – ივანე და მაზიტა შეტანილია სვეტიცხოველის საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449-1792).

**ჯავნარაანთ ბაინდურასშვილი ბერიკა** – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ნადირა, შოშიტა, ებიტა და ზალა. პაპუნა მარიამულისაგან ი ყ ი დ ა მისი სამკვიდრო მამული, რომელიც დავითა და პაპუა ფირიასშვილების, მარიდა ჩაჩასშვილისა და ქიტია თბილელაშვილის მამულებს ესაზღვრებოდა (1667 წ. V. 1. 1450-28/244).

**ჯავნარაანთ ბაინდურასშვილი ებიტა** – ძ მ ა ჯავნარაანთ ბაინდურასშვილ ბერიკასი, იხ.

**ჯავნარაანთ ბაინდურასშვილი ზალა** – ძ მ ა ჯავნარაანთ ბაინდურასშვილ ბერიკასი, იხ.

**ჯავნარაანთ ბაინდურასშვილი ნადირა** – ძ მ ა ჯავნარაანთ ბაინდურასშვილ ბერიკასი, იხ.

**ჯავნარაანთ ბაინდურასშვილი შოშიტა** – ძ მ ა ჯავნარაანთ ბაინდურასშვილ ბერიკასი, იხ.

**ჯავნარაშვილი-თვალიშვილი ბერია** – შ ვ ი ლ ი ჯავნარაშვილ-თვალიშვილ პატატასი, იხ.

**ჯავნარაშვილი-თვალიშვილი შერმაზანა** – შ ვ ი ლ ი ჯავნარაშვილ-თვალიშვილ პატატასი, იხ.

**ჯავნარაშვილი-თვალიშვილი პატატა** – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ბერია და შერმაზანა. მ ი ჰ ყ ი დ ა მარინდაშვილს ამირასეული უკულუხო და უღალო ვენახი ახალკაცის, ნეკევიშვილისა და თავისივე განაყოფის – გიუტას მიწებამდე (1685 წ. 1450-28/245).

**ჯავნარაშვილი ბასილა** – მ ო წ მ ე გიორგი ზანდარაშვილის მიერ დილმის წმინდა გიორგისათვის მიცემული მამულის შეწირულების წიგნისა ([1606-1615 წწ.] Hd-1051ბ).

**ჯავნარაშვილი გოგია** – შ ე ს წ ი რ ა დილმის წმინდა გიორგის ზაზიაშვილისეული ვენახი და ერთი კოკა კულუხი ([1606-1615 წწ.] Hd-1051ე).

**ჯავნაშია** – ნაგვაზაუს მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: გოჭკომური, ორი საკლავი მისი ქათმით, სამი მახათელი ღომი, შვიდი გუდა ღვინო, ბეგარა – ცამეტი კოკა ღვინო, თორმეტი კოდი ღომი, ორი საკლავი, ლაშქრობა. იგივე ვალდებულება ჰქონდა მის განაყოფს (1621 წ. ქსძ. III. №91).

**ჯავრაშვილი** – კორთხაში მისეულ პარტახტ მამულზე მცხოვრებს ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტი თეთრი, ერთი ლიტრა სანთელი, ერთი ურემი ღომი, ოთხი ნაოთხალი ქერი, ერთი ნაოთხალი პური, ექვსი კოკა ღვინო, ოთხი კვერცხი (1578 წ. H-626).

**ჯავრაშვილი გიორგი** – ფერსათში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდაშვიდი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ქათამი, ორი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ღომი, ერთი საბელი, ყოველდღე მუშაობა (1578 წ. Hd-626).

**ჯავშანაშვილი მიქელა** – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ი ჯავშანა, ძმისწული ნურალ. სვიმეონ მეფემ მ ა ს უწყალობა ზემო ხანდაკში გოგიჩა იორდანაშვილის მამული (1571 წ. 1448-5497).

**ჯავშანაშვილი ნადირა** – მ ო წ მ ე ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ ვარსიმესა და თევდორესათვის მიცემული წყალობის წიგნისა ([1584-1589 წწ.] 1449-2340).

**ჯავშანაშვილი ნურალ** – ძ მ ი ს წ უ ლ ი მიქელა ჯავშანაშვილისა, იხ.

**ჯავშანაშვილი ჯავშანა** – შ ვ ი ლ ი მიქელ ჯავშანაშვილისა, იხ.

**ჯაზდან** – ბ ჭ ე. სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ზაალ, გურასპ, ყანდურალ და ანდერმან ჩოლოყაშვილების სამამულე დავის გარჩევაში ([1514-18 წწ.] 1449-248).

**ჯაზდან** – ბ ო ქ ა უ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი. მონაწილეობა მიიღო შანშე ერისთავსა და იოთამ ამილახვარს შორის დავის გარიგებაში ([1623-1632 წწ.] Hd-14669).

ჯაზდან – შ ვ ი ლ ი როსებ ოხიაყორჩისა, იხ.

ჯათნიძე – ტბეთში მცხოვრები. წილში ერგო არდაშელ [ზუმბულიძეს] ([1695-1697 წწ.] 1450-31/132).

ჯაიანი დეისმა – მ ო წ მ ე კათალიკოს დავით [ნემსაძის] მიერ ბიჭვინტისა და ხოფის ღმრთისმშობლისათვის მიცემული შეწირულების წიგნისა ([1673-1680 წწ.] Hd-1551გ). პირობის წიგნი მისცა კათალიკოს დავით ნემსაძეს, რომელთანაც ადრე დამდურებული ყოფილა, რომ ხორგაში მის ყმებს არც გადასახადს გამოართმევდა და არც ქურდობაზე საზღაურს, არც კათალიკოსის ნავების ბაჟს არ მიითვისებდა. დავით კატალიკოსს მისთვის შერიგებაში მამულის „საბუჩარგო" გამოურთმევია ([1673-1696 წწ.] Hd-11208).

ჯაკობია გუგუტია – ე მ ა რ თ ა საკათალიკოსო გამოსაღები: ორი საკლავი, ორი ქათამი, ორი გუდა ღვინო, ორი გობი ღომი, მეთორმეტე წელიწადს ძროხა და ლაშქრობა (XVI ს. II ნახ. 1448-3326).

ჯაკობია თოლიოქრო – ნაჟანეულს მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: გოჭკომუ-ბეგარა, ტილო, ორი ქათამი, ერთი ღომი, ექვსი კოკა ღვინო, ნავტეობა, ყანობა, საძროხე (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯაკობია ხუხინია – ხოირს მცხოვრები. მ ო ი ნ ა ლ ე. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ბარგის ზიდვა, ერთი თევზი, სამეჯინიბოდ თივა, ღომი, ფეტვი (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯაკონია ბაბადიში – მუხურს მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო და ლაშქრობა (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯაკონია ვაჟობა – მუხურში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: უფროს-უმცროსი საკლავი: ერთ წელიწადს ერთი ქანდაქი და მეორე წელიწადს ორი ქანდაქი, ერთი გუდა ღვინო, ერთ წელიწადს მთელი გუდა ღომი, მეორე წელიწადს – ნახევარი (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯაკონია თენა – მუხურში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო და ლაშქრობა (1621 წ. ქსძ. №91).

ჯაკონია კაკა – მუხურში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო, ლაშქრობა, უფროს-უმცროსი საკლავი, ერთ წელიწადს ერთი ქანდაქის და მეორე წელიწადს ორი ქანდაქის ღირებულების უფროს-უმცროსი [საკლავი], ერთი გუდა ღომი და მეორე წელიწადს ნახევარი გუდა, ერთი გუდა ღვინო (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯაკონია მაჭაჭეია – მუხურს მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო და ლაშქრობა (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯაკონია პაპაშია – მუხურში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო და ლაშქრობა (1721 წ. ქსძ. III. №91).

ჯაკონია სკუამილი – მუხურს მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო და ლაშქრობა (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯაკონია ქოძირა – მუხურში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო და ლაშქრობა (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯალაბაშვილი – მინობში მცხოვრები. ციცი [ციციშვილის] და მამუკა მაღრაძის სამამულო დავის გარიგებით, ი გ ი მამულით დარჩა მამუკა მაღრაძეს (XVII ს. ბოლო. Hd-821).

ჯალაბაძე – გლეხი. ქართლის კათალიკოსმა ნიკოლოზ [ამილახვარმა] ი გ ი მამულიანად უწყალობა სარდალ გიორგი გედევანისშვილს (1694 წ. X. 5. Hd-13999).

ჯალაბაძე – ონჭევში მცხოვრები. ერისთავმა მირიან ჭარელისძემ ი გ ი მამულით უწყალობა თავის აზნაურ გიორგი შერაზანიშვილს [1484-1510 წწ.] ქმ. № 1024).

ჯალალა – ვეზირის ძმა. სხვებთან ერთად გაარიგა დავა ჭანდრის რუების გამო საამ ბოქაულუხუცესს, გუგუნა ქავთარიშვილსა და ქაიხოსრო ზაზუნაშვილს შორის ([1690-იანი წწ.] 1450-11/166).

ჯალაღანია ნასხიდა – ხონს მცხოვრები. გიორგი მეფემ ი გ ი უწყალობა დავით წულუკიძეს (1570 წ. Hd-2270).

ჯალაძე გიორგი – ჩუნეშში მცხოვრები, ერთი კომლი. გიორგი მეფემ ი გ ი შესწირა გელათის წმინდა გიორგის ეკლესიას (1569 წ. II. 4. 1448-3327).

ჯალიასშვილი – მ ი ს მიწამდე მიჰყიდა გიორგი მაზიტაშვილმა ტყე ოთია ინანასშვილს (XVII ს. შუა ხანები. Sd-1784ა).

ჯ[ა]ლინა ქიტა – სხალნარში მ ი ს ი მამული ეკუთვნოდა [ბარათაშვილს] (XVII ს. ბოლო. 1450-33/286).

ჯამალ-ხანი – იხსენიება მარიამ დედოფლის არზაში შაჰის ვეზირისადმი: როდესაც როსტომის გარდაცვალების შემდეგ მარიამმა გლოვა გამოაცხადა, მ ა ს დედოფლისათვის შაჰის რაყამი მიუტანია ([1658 წ. Par. georg. №26).

ჯამასპ – მ ო წ მ ე გიორგი ამირეჯიბის მიერ ლუარსაბ მაყაშვილისათვის მიცემული ყმების ჩუქების წიგნისა (1651 წ. 1450-48/109).

ჯამასპ – შ ვ ი ლ ი შოშიტასი, იხ.

ჯამასპ – შ ვ ი ლ ი ხოსროსი, იხ.

ჯამასპ – საქობოს ქ ე მ ხ ა. ნაზარალიხანთან და სხვებთან ერთად მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო ბოდბის წმინდა ნინოს ყმა-მამულის და გადასახადების საქმის გადაწყვეტაში (1700 წ. 1449-1461).

ჯამასპ – მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი. გაარიგა სამამულე დავა გოშფარსა და როსებს შორის ([1658-1675 წწ.] Ad-62).

ჯამასპ – ნ ა ც ვ ა ლ ი. მ ო წ მ ე სახლთუხუცეს ოთარ [ჩოლაყაშვილის] მიერ ნიკოლოზ ალავერდელისათვის მიცემული პირობის წიგნისა სადავო მამულის დათმობის შესახებ ([1685-1700 წწ.] 1449-1854).

**ჯამასპაშვილი** – საბუზარაში მ ი ს ი მამული ეკუთვნოდა [ბარათაშვილს] (XVII ს. ბოლო. 1450-33/286).

**ჯ[ა]მასპაშვილი პაატა** – მოხისში მცხოვრები. კათალიკოსის წინაშე მ ა ს თავმდებად დაუდგა პაპუნა შავნადირასშვილი: თუ პ ა ა ტ ა მოხისიდან აიყრებოდა, კათალიკოსს მის სანაცვლოს მიართმევდა (1686 წ. 1449-2680).

**ჯამბეგაშვილი** – გორში მცხოვრები. როდესაც დავით მეფე ბერად შედგა, ი გ ი სვეტიცხოველს შესწირა და დააკისრა ოთხი წლის განმაელობაში ოთხასი გორული ლიტრა მატყლის, ოცდაოთხი ლიტრა ზეთის, ცხრა ლიტრა ცვილის გადახდა ([1526 წ.] 1449-1495).

**ჯამბეგაშვილი** – ყაია, ყორჩიბაშ ბადურ, სარდალ პაპუნა [ციციშვილების] სამამულო დავის წიგნში აღნიშნულია, რომ მ ა ს ეჭირა ციციშვილების სამი დღის მიწა ([1633-1658 წწ.] 1448-2316).

**ჯამბოაშვილი** (ვარ. **ჯანბოასშვილი, ჯამობიანთ, ჯანახუანთ**) **იარაზიზა** – მ ო წ მ ე: მანდენაანთ მამუკას მიერ ზაქარია მასაჯანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ. III. 26. 1448-1496), პაპოა სეფოასშვილის მიერ ზარაფთუხუცეს ხოჯა ბეპბუდასათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. IV. 27. 1450-22/119), ხოჯა ბეპბუდას მიერ სევანის ანაპატისათვის მიცემული ქულბაქის შეწირულების წიგნისა (1658 წ. II. 17. 1450-21/101), სარუხანთ ხოსინას მიერ ქაფანაკანთ ფარსადანასათვის მიცემული ქულბაქების ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. VI. Sd-754).

**ჯამბოანთ ჯანალა** – მ ო წ მ ე სარუხანთ ხოსინას მიერ ქაფანაკაანთ ფარსადანასათვის მიცემული ქულბაქების ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. VI. Sd-754).

**ჯამბუა** – [ც ი ც ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს]: ყაიას, ყორჩიბაშ ბადურის, სარდალ პაპუნას შორის სამნევრისის მამულებზე დავის წიგნში აღნიშნულია, რომ გომის გზაზე ასატურას და პეტროზას ჰქონდათ ციციშვილების თორმეტი დღის მიწა ([1633-1658 წწ.] 1448-2316).

**ჯანა** – ლანუჩში მცხოვრები, გლეხი. ლეონ [კახთა] მეფემ სხვა გლეხებთან ერთად ი გ ი უწყალობა ანდერმან, როშაქ, გოშფარ და ჯიმშერ ჩოლაყაშვილებს (1568 წ. Hd-14430).

**ჯანა** – ზემო ლანუჩში მცხოვრები. ლეონ კახთა მეფემ ი გ ი შესწირა სვეტიცხოველს (1569 წ. 1448-5529).

**ჯანა** – ჯიმითში მცხოვრები. ალექსანდრე [კახთა] მეფემ ი გ ი სახლით შესწირა სვეტიცხოველს (1601 წ. 1448-5526).

**ჯანა** – ქრეშში მცხოვრები. მ ი ს ი მამული ჯაჰანბანუმ დედოფალმა უწყალობა შერმაზან შერმაზანაშვილს (1628 წ. II. 28. 1450-36/134).

**ჯანაანი** – მცხოვრებნი ბარაუნში. ალექსანდრე მეფემ ი გ ი შესწირა სვეტიცხოველს (1579 წ. 1448-5530).

**ჯანაანი** – მცხოვრებნი ბარაუნში. თექვსმეტი კომლი. ალექსანდრე მეფემ ი გ ი უბოძა არსლან ჯანდიერიშვილს (1584 წ. VII. 7. 1448-5528).

**ჯანაბოანთ პაპა** – შ ვ ი ლ ი ჯანაბოანთ გასპარასი, იხ.

**ჯანაბოანთ პაპინასშვილი გასპარა** – ჰყავს შ ვ ი ლ ი ჯანაბოანთ პაპა. თავის ბიძებს – დავით, ბეჟან და ფასოა ჯანღაშვილებს მ ი ჰ ყ ი დ ა საზიარო ადგილი (1680 წ. XII. 1450-53/118).

**ჯანაზარა** – მ ე კ ო ნ დ ა ხ ე. მ ო წ მ ე სარქის ხეჩუაშვილის მიერ მეარყე შერმაზანასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. XI. 1. 1450-5/51).

**ჯანაიზაშვილი** – მ ი ს მიწამდე მიჰყიდა უმეკა დონდარასშვილმა პაპუნა ხითარასშვილს ალაურა მიწა (1699 წ. Hd-1582).

**ჯანაიზაშვილი ბერიკა** – მ ო წ მ ე უმეკა დონდარასშვილის მიერ პაპუნა ხითარასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. Hd-1582).

**ჯანასშვილი ამირანა** – [ძ მ ა] ბერუკა ჯანასშვილისა, იხ.

**ჯანასშვილი ასიტა** – [ძ მ ა] ბერუკა ჯანასშვილისა, იხ.

**ჯანაშვილი ტერ-ბარსეღა** – მ ო წ მ ე დურმიშხან დემურაშვილის მიერ თავის ბიძაშვილ ალიხანასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. X. 15. 1450-9/149).

**ჯანასშვილი ბერუკა** – ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ე ბ ი]: ასიტა, ამირანა, გოგიტა; [შ ვ ი ლ ე ბ ი]: ქიტია, ზუბია. გ ა უ ც ვ ა ლ ა თავის მამიდასშვილებს: პაპუნა, ზაქარია და ნასყიდა ჯ[ა]ნასშვილებს მირჯანაულის ბოლოს, ბერიულის გზამდე მდებარე ნაფუძარი (1656 წ. Hd-1585).

**ჯანაშვილი გოგინა** – ღუროში მცხოვრები. მოხსენიებულია ყმათა ნუსხაში (XVII ს. Hd-14912ი).

**ჯანასშვილი გოგიტა** – [ძ მ ა] ბერუკა ჯანასშვილისა, იხ.

**ჯ[ა]ნასშვილი ზაქარია** – [ძ მ ა] პაპუნა ჯ[ა]ნასშვილისა, იხ.

**ჯანასშვილი ზუბია** – [შ ვ ი ლ ი] ბერუკა ჯანასშვილისა, იხ.

**ჯანაშვილი თევდორა** – მ ო წ მ ე დათუნა მარუშაშვილის მიერ გიორგი დევალიძისათვის მიცემული ნაფუძრის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს-ის 70-იანი წწ. 1450-38/136).

**ჯ[ა]ნასშვილი ნასყიდა** – [ძ მ ა] პაპუნა ჯ[ა]ნასშვილისა, იხ.

**ჯ[ა]ნასშვილი პაპუნა** – ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ე ბ ი] ზაქარია, ნასყიდა. ბერუკა, ასიტა და სხვა ჯანასშვილებმა მას გაუცვალა მირჯანაულის ბოლოს მდებარე ნაფუძარი ბერიულის გზამდე (1656 წ. Hd-1585).

**ჯანაშვილი ტერ-სარქისა** – მ ო წ მ ე ალაბეგ დემურაშვილის მიერ ალავერდა [იაგულაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. IV. 17. 1450-9/141).

**ჯანასშვილი ქიტია** – [შ ვ ი ლ ი] ბერუკა ჯანასშვილისა, იხ.

**ჯანალაანთ როსტომა** – მ ო წ მ ე ენიბეგაანთ არუთინას მიერ იავანგულაანთ მურადასათვის მიცემული ქულბაქების ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. I. 1. 1450-19/60).

**ჯანაშაშვილი** – ტყვიავში მცხოვრები, ერთი კომლი. ი გ ი უბოძა ქსნის ერისთავმა დავითმა ფარსადან ზედგენიძისშვილს (1695 წ. II. 4. Hd-1314).

**ჯანბა** – ქვემო ბოლნისში მცხოვრები. მ ო წ მ ე იარალის მიერ სალმახანა მელიქსეთაშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის განახლების წიგნისა (1683 წ. I. 5. 1448-1291).

**ჯანბახშა** – გოგიტა არდაშელისშვილის მეზობელი. მ ო წ მ ე ნიკოლოზ პალატისშვილის მიერ გოგიტა არდაშელიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1477 წ. VII. 4. Qd-9814ა).

**ჯანბეგა** – ტაბახმელაში მდებარე მ ი ს ი სასახლის ადგილი უწყალობა ბეჟან სოლაღაშვილმა გოგია ნაღდიაშვილს (1681 წ. Hd-2927).

**ჯანგაბა** – სიონში მცხოვრები. როინ და გოშფარ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ი გ ი ერგო როინს ([1527-1556 წწ.] Qd-605).

**ჯანგავაძე** – ჯონეთში მცხოვრები, ორი კომლი, გ ლ ე ხ ი. ვამეყ დადიანმა ი გ ი ცოლ-შვილით შესწირა ცაგერის ღმრთისმშობელს და ხვამლის წმინდა გიორგის (1661 წ. Qd-9085ია).

**ჯანგავაძე ჟაჟუა** – ნოღაში მცხოვრები, ხუცია ქელბაქიანის ყ მ ა, ერთი კომლი. დედოფალმა ნესტანდარეჯანმა შესწირა ი გ ი გელათს თავისი მეუღლის ალექსანდრე მეფის სულის მოსახსენიებლად ([1660 წ.] Ad-598).

**ჯანგავიძე** – ჯიმაშტაროს მცხოვრები, ლაღიძის გლეხი (1621 წ. ქსძ. III. № 91).

**ჯანგიაური** – ჯვარისაში მისეულ პარტახტ მამულზე მცხოვრებს ემართა ოცდაერთი თეთრი, ოცდაათი ათიანი კოკა ღვინო, ორი ნაოთხალი ღომი (1578 წ. Hd-626).

**ჯანგირა** – ალაკას მცხოვრები. მ ო წ მ ე კაკაბელთა და შიბლიანელთა სამამულე დავის გარიგების წიგნისა (1700 წ. XI. 15. Ad-574).

**ჯანგირაშვილი** – სვერში მცხოვრები ყმა-გლეხი. მ ი ს მამულზე დასახლებულა ხახუტა ჯირკვალისშვილი (1700 წ. 1448-3602).

**ჯანგიშერიშვილი ბერუკა** – მ ო წ მ ე პაპუნა, დათია და ქიტა [ბალნაშვილების] მიერ პაპუნა დედაბრისშვილისათვის მიცემული ნაფუძარის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. Hd-6775).

**ჯანგიშერასშვილი პაატაი** – მ ო წ მ ე ოძელ პაპუნა დედაბრისშვილის მიერ ბატონ თამარისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. XII. 27. 1450-33/229).

**ჯანგურიძე ყაისერა** – რევაშენში მ ი ს ი მამულის მეოთხედი ეკუთვნოდა [ბარათაშვილს] XVII ს. ბოლო, 1450-33/286).

ჯანდიარა – ა ს ი ს თ ა ვ ი. მ ო წ მ ე სახლთუხუცეს ოთარ [ჩოლაყაშვილის] მიერ ნიკოლოზ ალავერდელისათვის მიცემული პირობის წიგნისა მამულებზე უდაობის შესახებ ([1685-1700 წწ.] 1449-1854).

ჯანდიარასშვილი ჯანდიარა – ქვემო ბოლნისელი. მ ო წ მ ე და დ ა მ - წ ე რ ი დუშია ოზიბეგასშვილის მიერ კ[ა]ხასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1622 წ. IV. 1. Hd-6782).

ჯანდიარიშვილი ბარამ – მ ო წ მ ე დავით კოზმანიშვილის მიერ ბატონ ზურაბ [ენდრონიკაშვილისათვის] მიცემული საწისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. 1461-13/31).

ჯანდიერისშვილი – წინასაგარეჯოელთა და მამუჩი ჭავჭავაძეს შორის სამამულე დავის გარიგების წიგნში ნათქვამია, რომ ვანთა და ბუშატი კათალიკოსის სახასო სოფლები ყოფილა. ჯანდიერისშვილის სამოურაოა (1654 წ. I. 2. Hd-8389).

ჯანდიერიშვილი – ეჭირა ღურაო, რომელიც [ამირინდო] ზედგენიძემ წაართვა (1475 წ. შემდგომ. Hd-14903).

ჯანდიერიშვილი – სვეტიცხოველის მკვიდრი ყ მ ა. მ ი ს ი სახელო ყოფილა ჯიმითის მოურავობა. რადგან ჯიმითი საკათალიკოსო სოფელი იყო, მისთვის ამ სახელოს დატოვება ან ჩამორთმევა მხოლოდ კათალიკოსს შეეძლო (XVI ს. II ნახ. 1449-1787).

ჯანდიერისშვილი ავთანდილ – ჰყავს [ძ მ ა] გორჯასპ. მასთან ერთად იყო მ ო წ მ ე სეხნია შემაზასშვილის მიერ პაპუა [ბარათაშვილისათვის] მიცემული შუა ბოლნისში მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. V. 10. Sd-620).

ჯანდიერისშვილი არსლან – 1576-1584 წწ. ჰყავს [ძ მ ე ბ ი]: ზაქარია, ზურაბ (1576 წ. Ad-1355). შ ვ ი ლ ე ბ ი: დავით, გივი, რევაზ (1584 წ. 1448-5528). ალექსანდრე მეფემ დაბარაუნჩში მ ა ს გაუთარხნა ყმები (1576 წ. Ad-1355); ამავე მეფემ უწყალობა ენისელში გარსევან ჭავჭავაძისეული ექვსი კომლი და ერთი ყორული; საკანში – დანიელაშვილი მისი განაყოფებითა და ყმებით, სამი კომლი კაცი; გორამიყარში – გოგოლლასეული ორი კომლი; ბარაუნში – ქალალდასეული ერთი კომლი; ჯანაანი – თექვსმეტი კომლი და ქამბაათისეული თხუთმეტი კომლი; ახმეტას – ჯოთენურისეული ერთი ვენახი (1584 წ. VII. 7. 1448-5528).

ჯანდიერისშვილი არსლან – ო ხ ი ა ყ ო რ ჩ ი. ჰყავს მამა დავით. [ძ მ ე ბ ი]: გივი, [ხ]ოსიტა. თეიმურაზ მეფემ ლანუხში მ ა ს განუახლა გარსევანის ნაქონი საქევხო ხუდაანის წყალობა (1637 წ. 1448-5592).

ჯანდიერიშვილი ბეჟან – შ ვ ი ლ ი როსებ ჯანდიერიშვილისა, იხ.

[ჯანდიერიშვილი] [ბე]ჟან – [ძ მ ა] გრიგოლ [ჯანდიერიშვილისა], იხ.

ჯანდიერიშვილი გარსევან – ქართლ-კახეთის სხვა მოხელეებთან ერთად მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო ნაზარალიხანის ჭობაში გივი და ფარემუზ

გურამიშვილების ყმა-მამულიდან გურამ გურამიშვილისათვის წილის მიცემის თაობაზე (1694 წ. VI. 4. 1448-57).

ჯანდიერიშვილი გივი – შვილი არსლან ჯანდიერისშვილისა, იხ.

ჯანდიერიშვილი გივი – [ძმა] არსლან ჯანდიერისშვილისა, იხ.

ჯანდიერისშვილი გივი – მონაწილეობდა კაკაბეთელთა და შიბლიანელთა სამამულე დავის გარჩევაში (1700 წ. XI. 15. Ad-574).

ჯანდიერისშვილი გივი – ჰყავს ძმა როსებ, საგარეჯოს მოურავი. იყო მოფიცარი წინასაგარეჯოელთა და მამუჩი ჭავჭავაძეს შორის სამამულე დავის გარჩევისას (1654 წ. I. 2. Hd-8389).

ჯანდიერიშვილი გიორგი – შვილი როსებ ჯანდიერიშვილისა, იხ.

[ჯანდიერიშვილი] გოგიჩა – [ძმა] გრიგოლ ჯანდიერიშვილისა, იხ.

[ჯანდიერიშვილი] გოდერძი – ჰყავს [სახლიკაცები]: როსებ, თამაზ. დათუა ვახტანგიშვილმა ჯანდიერიშვილებს მოსტაცა ორმოცდა-თოთხმეტი მჟაური ხარი და ფური. გამტაცებლებმა უკან დადევნებულ ჯანდიერიშვილ იოსებს და გოდერძის, თამაზს და თამაზის მამას ერთი აზნაური მოუკლეს, ორი მსახური დაუჭრეს, თამაზი კი ძლივს გადაურჩა სიკ-ვდილს (XVI ს. Hd-3683).

ჯანდიერისშვილი გორჯასპ – [ძმა] ავთანდილ ჯანდიერისშვილისა, იხ.

[ჯანდიერიშვილი] გრიგოლ – ჰყავს ძმები: შიოშ, სულხან, [ბე]ჟან, ჯანდიერ, ხო[სრო], გოგიჩა. ჰქონდა დავა იოთამ, შიოშ და ყაფარბეგ [გურამიშვილებთან] გლდანისა და ავჭალის რუების გამო. ჯანდიე-რიშვილებმა მოდავე მხარეს ფიცის გარეშე დაუთმეს ლომსაურთ რუ (XVI ს. 80-იანი წწ. Hd-14977).

ჯანდიერიშვილი გურგენ – შვილი როსებ ჯანდიერიშვილისა, იხ.

ჯანდიერიშვილი დავით – 1584-1637 წწ. შვილი არსლან ჯანდიერიშვილისა, იხ., ჰყავს შვილი არსლან, იხ. ყაენმა მას ჩააბარა კახეთის სამეფო კარის სახლთუხუცესობა, რომელიც ადრე იესეს ჰქონია. დახმარებია თეი-მურაზ მეფეს ქართლ-კახეთის დაჭერაში, რისთვისაც თეიმურაზ მეფეს მისთვის უწყალობებია ლაწუხში გარსევანის ნაქონი საქევხო ხუდაანი (1637 წ. 1448-5592).

ჯანდიერისშვილი დათუნა – [ძმა] თარხან ჯანდიერისშვილისა, იხ.

ჯანდიერიშვილი დარეჯან – იხ. დარეჯან-ხანუმ, როსიტა ჯანდიერიშვილის ასული

ჯანდიერისშვილი ზაალ – მოწმე ალექსანდრე [კახთა] მეფის მიერ იოთამ და ყაფარ გურამისშვილებისათვის მიცემული ფიცის წიგნისა ([1574-1605 წწ.], Hd-14857).

ჯანდიერისშვილი ზ[ა]ალ – გლდანში ჰყავდა ყმები: ერთი კომლი, ერთი თავი, ერთი თოფი; მოხელეები – მამისიმედ ელიოზისშვილი, მამუკა ხუტალასშვილი, აბრამ მუხისგული, გიორგი ლაჟურისშვილი, დათუნა

მჭედლისშვილი, ღვთისია ლომიტასშვილი – ერთი კომლი, ერთი თავი; დემეტრე ხუტალასშვილი, ამოან მუხისგული, ქიტია ლაჟურისშვილი, პეტრია მაზიტასშვილი – ერთი კომლი, ერთი თავი, ორი თოფი; მამაგული ხატისაშვილი (XVII ს. Hd-14912დ).

**ჯანდიერისშვილი ზაქარია** – [ძმა] არსლან ჯანდიერისშვილისა, იხ.

**ჯანდიერისშვილი ზურაბ** – [ძმა] არსლან ჯანდიერისშვილისა, იხ.

**[ჯანდიერიშვილი] თამაზ** – [სახლიკაცი] როსებ ჯანდურიშვილისა, იხ.

**ჯანდიერისშვილი თარხან** – ჰყავს [ძმა] დათუნა. მას მისცა გიორგი მეფემ პირობის წიგნი წყალობისა და უვნებლობის შესახებ ([1678-1688 წწ.], Hd-2159).

**ჯანდიერისშვილი იოვანე** – შვილი როსებ ჯანდიერიშვილისა, იხ.

**ჯანდიერიშვილი პატა** – შვილი როსებ ჯანდიერიშვილისა, იხ.

**ჯანდიერიშვილი რევაზ** – შვილი არსლან ჯანდიერიშვილისა, იხ.

**ჯანდიერიშვილი როსაბ** – ჰყავს შვილები: იოვანე, გურგენ, ბეჟან. ალექსანდრე მეფემ მას უწყალობა ფაფანეთში თერამეტი კომლი კაცი, ბარაუნთაში – ოცდაცხრა და ერთი ნასყიდი კომლი (1584 წ. X. 16. 1448-5571).

**ჯანდიერისშვილი როსებ** – საგარეჯოს მოურავი (1654 წ. 1449-2658), ძმა გივი ჯანდიერისშვილისა (1654 წ. Hd-8389). იყო მოფიცარი ნინასაგარეჯოელთა და მამუჩი ჭავჭავაძეს შორის სამამულე დავის გარიგებისას (1654 წ. I. 2. 1449-2658, Hd-8389).

**ჯანდიერისშვილი როსებ** – ჰყავს შვილები: პაატა, გიორგი, ჯაზდან, ქაიხოსრო. მიჰყიდა ყაფლან [ბარათაშვილს] ყმა-მამული (XVII ს. შუა ხანები. Ad-1204).

**ჯანდიერისშვილი როსებ** – [სახლიკაცი] გოდერძი ჯანდიერიშვილისა, იხ.

**ჯანდიერისშვილი როსიტა** – მამა დარეჯან-ხანუმისა, იხ.

**[ჯანდიერიშვილი] სულხან** – [ძმა] გრიგოლ [ჯანდიერიშვილისა], იხ.

**ჯანდიერიშვლი ქაიხოსრო** – შვილი როსებ ჯანდიერიშვილისა, იხ.

**[ჯანდიერიშვილი] [ში]ოშ** – [ძმა] გრიგოლ [ჯანდიერიშვილისა], იხ.

**[ჯანდიერიშვილი] ხოს[რო]** – [ძმა] გრიგოლ [ჯანდიერიშვილისა], იხ.

**ჯანდიერისშვილი [ხ]ოსიტა** – ძმა არსლან ჯანდიერიშვილისა, იხ.

**ჯანდიერიშვილი ჯაზდან** – შვილი როსებ ჯანდიერიშვილისა, იხ.

**[ჯანდიერიშვილი] ჯანდიერ** – [ძმა] გრიგოლ [ჯანდიერიშვილისა] იხ.

**ჯანდილა** – ქალაქში მცხოვრები, მექვაბე. ალექსანდრე მეფემ შესწირა იგი სვეტიცხოველს (1435 წ. 1449-1659).

**ჯანდილაშვილი** – სიონში მცხოვრები. გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს იგი ერგო როინს და მის ბიძაშვილებს ([1527-1558 წწ.] Qd-605).

**ჯანდილაშვილი დათუნა** – ჯურვალეთში მცხოვრები, ერთი კომლი, ერთი თავი. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჯანდულა** – „ფულჩისტა", ქალაქში მცხოვრები. გიორგი მეფემ განუახლა მ ი ს ი შენირულება სვეტიცხოველს (1447 წ. 1448-5016).

**ჯანელიძე** – იმერთა მეფემ ალექსანდრემ (IV)შესწირა გელათს ჯ ა ნ ე ლ ი ძ ი ს ე უ ლ ი პარტახი, რომელიც მკერვალისშვილს ჰქონდა, იმ პირობით, რო, თუ ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე დაბრუნდებოდა, მაშინ მას უნდა გადაეხადა ორი ჩარექი სანთელი ალექსანდრე III-ის სააღაპედ ([1658-1695 წწ.], Ad-598-ბ).

**ჯანელიძე გოგილა** – მ ი ს თ ვ ი ს მიუცია „ბოლო წიგნი" (გადაწყვეტილების საბუთი)ივანაშვილს (XVI-XVII სს. S-421, 9v).

**ჯანელიძე დავით** – წყალაფორეთში მცხოვრები, ხ ე ლ ო ს ა ნ ი . კოხურის ბეგრის ნუსხის მიხედვით, მას ედო გამოსაღები ორი ლიტრა სანთელი (1570 წ. ახლო. დსსს. I. 27-28).

**ჯანელიძე ინანა** – წყალწითელაში მცხოვრები. კოხურის ბეგრის ნუსხის მიხედვით, ედო გამოსაღები [ორი] ლიტრა სანთელი, ორი გვერდი ღომი, ერთი გვერდი პური, სამი კოკა ღვინო, ათი თეთრის საკლავი, ძღვენი (1570 წ. ახლო. დსსს. I. 27-28).

ჯანელიძე მახარებელი – მ ი ს თ ვ ი ს მიუცია „ბოლო წიგნი" ივანაშვილს (XVI-XVII სს. S-421.9v).

**ჯანელიძე მახარობელი** – ნოღას მცხოვრები, ხუცია ქელბაქიანის ყ მ ა, ერთი კომლი. დედოფალმა ნესტანდარეჯანმა შესწირა იგი გელათს თავისი მეუღლის, ალექსანდრე მეფის სულის მოსახსენიებლად (1660 წ. ახლო. Ad-598-ა).

**ჯანელიძე მისლია** – მ ი ს თ ვ ი ს მიუცია „ბოლო" წიგნი ივანაშვილს (XVI-XVII სს. S-421. 9v).

**ჯანელიძე ოტია** – ქვანეთში მცხოვრები. ალექსანდრე მეფემ ი გ ი შვილებითურთ უბოძა გაბრიელ ცაგერელს, ამ უკანასკნელმა კი შესწირა ცაგერის ღმრთისმშობლის (1656 წ. Qd-9085ვ).

**ჯანელიძე იოვანე** – როკითში მცხოვრები, ეჭირა საამ გოგანაძის მამული. ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ცხენით სამსახური, ლაშქრობა და პურის ჭამა (1578 წ. H-626).

**ჯანთუაშვილი დათუნა** – მ ო წ მ ე სულხან გოგალაძის მიერ არდაშელ ბუნიათიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნში (1689 წ. Hd-811).

**ჯანი** – ლორეში მცხოვრები. საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს დავთრის მიხედვით, მ ა ს ევალებოდა: სააღდგომო გამოსაღები – ერთი ცხვარი და ბატკანი; შობას – ერთი ცხვარი და თოხლი (XVII ს. II ნახ. Hd-1365).

**ჯანია** – შ ვ ი ლ ი ალავერდასი, იხ.

ჯანია – თეთრი-სოფელში მცხოვრები. ჰ ყ ა ვ ს ძმისწულები კაკოზა და პაპია. ი გ ი სახლ-კარითა და ცოლ-შვილით დაეით ბატონიშვილმა უწყალობა შულავერის მამასახლის ყარახანა [ყარახანაშვილს] (1631 წ. XII. 1450-20/85).

ჯანია – ვანქში მცხოვრები. ი გ ი ძმებთან და სხვა ყმა-მამულთან ერთად პატა ბარათაშვილმა გაუცვალა შაპყულა იაგულაშვილს რატევანის ყმა-მამულში (1656 წ. XII. 13. 1450-9/150).

ჯანია – ჰყავს შვილები: ზურაბ და წერეთელა. მისცა ყ მ ო ბ ი ს პ ი - რ ო ბ ი ს წიგნი გიორგი ყორღანაშვილს, რომელსაც ი გ ი შიმშილობის წლებში ცოლ-შვილითურთ შეუნახავს (1672 წ. II. 15. 1450-16/1).

ჯანია – ქაიხოსრო აბამისშვილის ყ მ ა. მ ი ს ი ნაქონი ორი დღის მიწა პაპუა ლამაზასშვილმა მიჰყიდა ქაიხოსროვ აბაშისშვილს (1690 წ. V. 23. 1450-15/49).

ჯანია – სკრაში მცხოვრები. გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით გოშფარს ერგო ([1527-1558 წწ.] Qd-605).

ჯანია – ბ ი ძ ა ნასყიდასი, იხ.

ჯანიაშვილი – ენაგეთში მცხოვრები აზნაური. [ბარათაშვილების] გაყრისას ი გ ი ერთ წილად ერგო ძმებს: თაყა, გოსტაბ, ფალავანხოსრო ბარათაშვილებს (1523 წ. Ad-1299ა).

ჯანიაშვილი – მ ი ს ი ვენახის გვერდით ესტატემ თავის განაყოფ ფარსადანს მისცა ვენახი (1665 წ. Qd-195).

ჯანიაშვილი ამირანა – მ ო წ მ ე გრიგოლ ჩხუტიაშვილის მიერ ბატონ ანასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1666 წ. Sd-533).

ჯანიაშვილი გიორგი – კალაურში მცხოვრები, ერთი კომლი. შეტანილია სვეტიცხოველის საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449-1792).

ჯანიაშვილი დათუნა – ერეკლე მეფემ ი გ ი ჭალაანში დაასახლა და ალავერდის წმინდა გიორგის შესწირა (1699 წ. II. 25. 1449-1852).

ჯანიაშვილი მამისბედა – მ ო წ მ ე ნასყიდა ბანცაძის მიერ გელათის მოძღვართ-მოძღვარ ილარიონის და წინამძღვარ მელქიზედეკ აბაშიძისათვის მიცემული პირობს წიგნისა ბეგარის მოუშლელობის შესახებ ([1505-1519 წწ.] 1449-1670).

ჯანიაშვილი მამუკა – მ ო წ მ ე გიორგი ლიპარტიანის მიერ გიორგი ფალავასათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (XVII ს. მიწ. ქმ. №1178).

ჯანიაშვილი მახარა – მ ო წ მ ე პაპუნა მარიამულის მიერ ქიტია თბილელაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1669 წ. II. 1450-28/244).

[ჯანიაშვილი] მიქელ – ძ მ ი ს წ უ ლ ი ქრისტეშია ჯანიაშვილისა, იხ.

ჯანიაშვილი პაპოა – მ ო წ მ ე ელენე-ხანუმის მიერ შერმაზან სულოაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1658 წ. 1448-2341).

ჯანიაშვილი პატია – [სარეკში მცხოვრები]. ი გ ი ცოლ-შვილითა და მამულით ტყვეობიდან დახსნის საფასურად გიორგი ფალავანდიშვილმა მიჰყიდა ქაიხოსრო წერეთელს ([1680 წ. ახლო. Hd-2527).

ჯანიაშვილი როსტევან – ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი. წილში ერგო იოთამ ბარათაშვილს თავისი ყმა-მამულით ([1537/1538 წ. 1450: 11/112, 58/59). მ ი ს ი ყმა-მამულის წყალობა განუახლა დავით მეფემ გიორგი ბარათაშვილს (1569-1578 წწ. 1450-38/60), იგივე წყალობა განაახლა [სვიმონ] მეფემ ([1581-1591 წწ.] 1450-38/58).

ჯანიაშვილი ქრისტეშია – მ ო წ მ ე ნასყიდა ბანცაძის მიერ გელათის მოძღვართ-მოძღვარ ილარიონისათვის მიცემული პირობის წიგნისა ბეგრის მოუშლელობის შესახებ ([1505-1519 წწ.] 1449-1670).

ჯანიაშვილი ჯანიბეგა – სასხორში მცხოვრები. მ ო წ მ ე ყულიას მიერ ტერტერა ეზიაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1544 წ. I. 10. 1448-9233).

ჯანიბეგ – ამირეჯიბ ქუცნას მიერ ულუმბოს მონასტრისათვის ბოძებული შენირულების წიგნის მიხედვით, მამია ასანიძესთან ერთად მ ა ს უნდა აელო საალაპე გამოსაღები გუჯარას და ჯრუჭულას შუა [მდებარე მამულიდან] (1401-1415 წწ. ქრ. II. 212).

ჯანიბეგ – [ზევდგინის ძე], იხ. [ზევდგინისძე] ჯანიბეგ

ჯანიბეგა – ჩარადანაგი. მ ო წ მ ე დავით ბერისძის მიერ ელიოზ კათალიკოსისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1411 წ. X. 25. 1449-1651).

ჯანიბეგა – ზაალ პალატისშვილის ყ მ ა . მ ო წ მ ე ნიკოლზ პალატისშვილის მიერ გოგიტა არდაშერასშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1477 წ. VII. 4. Qd-9814ა).

ჯანიბეგა – ცოვრეთში მცხოვრები. წილში ერგო იოთამ ბარათაშვილს (1537/1538 წ. VIII. 16. 1450-11/112).

ჯანიბეგა – სასხორში მცხოვრები. მ ი ს ი ვენახი ესაზღვრებოდა ყულიას მიერ ტერტერა ეზიაშვილისათვის მიყიდულ ვენახს (1544 წ. I. 10. 1448-9233).

ჯანიბეგა – როსტომ ყორღანაშვილს მ ი ჰ ყ ი დ ა ერთი დღის მიწა (1678 წ. 1450-1/113).

ჯანიბეგაური – ბეთანიაში მცხოვრები. ბარათაშვილების გაყრის დროს ერგო გერმანოზსა და მის ძმებს: თაყას, გოსტასაბს, ფალავანხოსროს (1523 წ. Ad-1299ა).

ჯან[ი]ბეგაშვილი – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა მამუკა ჯომარდიშვილის მიერ შერმაზან ხაშარაძისათვის მიყიდულ მამულს (1687 წ. 1448-8765).

ჯანიბეგაშვილი ღვინია – მ ო წ მ ე გიორგი კობიაშვილის ჯალაბ ქეთიას მიერ ოთია შაბურიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. Sd-761).

ჯანიკაშვილები – ენაგეთში მცხოვრებნი, სამი კომლი. მ ა თ მამულზე და პაპისგორში ხუთი დღის მინაზე გაუცვალა პაპუნა გოსტაშაბისშვილმა თაყა ასანბეგისშვილს ტბისში თავისი სამკვიდრო მამული (1671 წ. II. 12. Hd-2236, Hd-6777).

ჯანიკაშვილი – ბოლნისში მცხოვრები. მ ი ს ნაცვლად ყორჩიბაშ ბადურ ციციშვილს წილში ერგო იათარაშვილი (1651 წ. 1450-37/165).

ჯანიკაშვილი – მ ი ს გ ა ნ ნასყიდი ჩოხლიკაური მინა ბოგისხევში გოგია ქოსაშვილმა მიჰყიდა ოთარ ყორღანაშვილს (1688 წ. VI. 1. 1450-16/159).

ჯანიკაშვილი ევანეზა – ენაგეთში მცხოვრები. როსტომ მეფემ ი გ ი მამულით უბოძა თავის დისწულს – ასანბეგ [ბარათაშვილს] (1647 წ. 15. III. 1450-11/1).

ჯანიკასშვილი კაკობა – თეთრი-უბანში მცხოვრები. ულუხანა ჯანიკაშვილთან ერთად შაჰაბაზ ყაენმა ი გ ი უბოძა შულავერის მამასახლის ყარახანას. შემდგომ გიორგი და იორამ ბატონიშვილებმა მ ი ს ი წყალობა განუახლეს ყარახანას შვილს – წოვანშას ([1633-1658 წწ.] IX. 22. 1448-5154).

ჯანიკაშვილი მიტიჩა – სარქისსთან და პაპიასთან ერთად ი გ ი ცოლშვილითა და მამულით უსუფბეგ ასანბეგიშვილმა მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბისშვილს (1653 წ. V. 25. Hd-10026).

ჯანიკაშვილი პაპია – სარქისსთან და მიტიჩასთან ერთად ი გ ი ცოლ-შვილითა და მამულით უსუფბეგ ასანბეგიშვილმა მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბისშვილის (1653 წ. V. 25. Hd-10026).

ჯანიკაშვილი პაპუა – მ ო წ მ ე ჯანიას მიერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული ყმობის წიგნისა (1672 წ. II. 1450-16/1).

ჯანიკაშვილი სარქისა – პაპიასთან და მიტიჩასთან ერთად ი გ ი ცოლშვილითა და მამულით უსუფბეგ ასანბეგიშვილმა მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბისშვილს (1653 წ. V. 25. Hd-10026).

ჯანიკასშვილი ულუხანა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] კაკოზა ჯანიკასშვილისა, იხ.

ჯანიკასშვილი ხიზუა – ენაგეთში მცხოვრები. პაპუნა ბარათაშვილმა ი გ ი ტბისის სასახლეზე და ყმა-მამულზე, ასევე ენაგეთის სხვა ყმა-მამულთან ერთად გაუცვალა თავისი განაყოფის, ასანბეგის შვილებს, თაყას და ასლამაზს (1671 წ. Hd-4151).

ჯანინა – მ ო წ მ ე დილარგეთიშვილის მიერ ამირასლანა შარუაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1613 წ. XII. 12. 1450-51/241).

ჯანინამანა – მ ო წ მ ე მეითარიანთ პაატაბეგის შვილ ასლანას მიერ ბალაბულაანთ ავეტისასათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. II. 15. 1450-10/139).

ჯანოაანთ გრიქორა – მ ი ს ი ნაქონი მინა ზაქუმბეგ ალიყულაშვილმა მიჰყიდა ზალინა დალალაშვილს (1690 წ. 1450-48/150).

**ჯანოაანთ ულუხანა** – მ ო წ მ ე სარუხანა არაქელაშვილის მიერ ზალინა ხოსროვასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. V. 7. 1450-48/142).

**ჯანსაოშა** – კრეფაში მცხოვრები. ი გ ი მამულითურთ წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს (1537/1538 წ. VIII. 16. 1450-11/112).

**ჯანუა** – გაეყარა თავის ძმებს, ნასყიდას და ბალდასარას (1672 წ. III. 8. Sd-34).

**ჯანუასშვილი//ჯანუაშვილი//ჯანუანთ**

**ჯანუასშვილი** – [ადამ მალალაძის] ყმა. ადამ და ერასტი [მალალაძეების] სამამულე დავის გარჩევის შედეგად, ერასტის მიერ ღობეშემოცლილი ზვრის გარეთ მდებარე [ვენახი] ჯ ა ნ უ ა ს შ ვ ი ლ ს დარჩა (XVII ს. ბოლო მეოთხ. Ad-1787).

**ჯანუანთ** – ზაქუმ [ზაქუმიშვილმა] მიჰყიდა ალავერდა იაგულაშვილს ჯ ა ნ უ ა ნ თ მიწა გორულის ტყის პირამდე (1699 წ. V. 10. 1450-9/119).

**ჯანუაშვილი** – კასპში მცხოვრები, ამილახვარის ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჯანუასშვილი გოგია** – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ხუცია. ი გ ი ხუციასთან ერთად სეხნია [საგინაშვილმა] გაუცვალა აბულმაგისეულ მამულში და ბოგის მამულის ნახევარში თავის ძმისწულს – საამ [საგინაშვილს] (1666 წ. VIII. 1449-1309).

**ჯანუაშვილი თამაზა** – მ ო წ მ ე მანუჩარ ყორღანაშვილის მიერ ვახტანგ [ბარათაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683. II. 17. 1450-26/256).

**ჯანუაშვილი მამუკა** – კასპში მცხოვრები, ამილახვარის ყ მ ა . საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა მისი კომლიდან ოთხ კაცს (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჯ[ა]ნუაშვილი მამულა** – მ ო წ მ ე უცნობ პირებს შორის დადებული მიწის ნასყიდობის გარიგებისა (1690 წ. V. 15. Hd-14815 ფრაგმ.).

**ჯანუაშვილი [მკრ]ტიჩა** – გ ა ა რ ი გ ა შავერდა არდაშელაშვილის დავა მექვაბიშვილებთან და აღმურაშვილებთან მამულის თაობაზე (1638წ. II. 20. Qd-9814ბ).

**ჯანუასშვილი ხუცია** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] გოგია [ჯანუასშვილისა], იხ.

**ჯანუმაშაშვილი მარქარა** – მ ო წ მ ე დავით ადიკაშვილის მიერ ალავერანა საფარაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. 1450-28/33).

**ჯანქანასძე** – იხსენიება ბოცო [ბოცოსძის] მიერ ალის მონასტერში სანირავის განწესების წიგნში (XIV ს. S-1245, 6-23).

**ჯანღაშვილი ბეჟან** – [ძ მ ა] დავით ჯანღაშვილისა, იხ.

ჯანლაშვილი ბეჟუა – მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი ზურაბ წყარაძის მიერ შენუაანთ პაპინაშვილ ოჰანასათვის მიცემული მარნის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. VII. Ad-1220).

ჯანლაშვილი დავით – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ბეჟან, ფასოა, მ ი ს ი ბ ი ძ ა ა – ჯანაბოანთ პაპინასშვილი გასპარა. ჯანაბოაანთ პაპინაშვილმა გასპარამ მ ა ს მიჰყიდა თავისი საზიარო ადგილი (1680 წ. XII. 1450-53/118).

ჯანლაშვილი ფასოა – [ძ მ ა] დავით ჯანლაშვილისა, იხ.

ჯანლ[ოა]ნთ ბეჟოა – მ ო წ მ ე ბალაბულაანთ პაზოასშვილ საქოას მიერ ქეფინაანთ კარაპეტასშვილ არუთინასთვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. VII. 20. Hd-13022).

ჯანყელაშვილი – შინდისში მცხოვრები. ი გ ი მამულით უბოძა [როსტომ მეფემ] პაპუა მაღალაძეს (1658 წ. Sd-2975).

ჯანყულა – მ ო წ მ ე გარსევან ყორღანაშვილის მიერ თავისი ძმის, მერაბისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. VII. 1450-1/4).

ჯანყულა – რატევანში მცხოვრები. მამულით წილში ერგო იოთამ ბარათაშვილს (1537/1538 წწ. VIII. 16. 1450-11/112).

ჯანშაშვილები – [არმანისს] მცხოვრებნი. საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების დავთრის მიხედვით, მ ა თ უნდა გამოეღოთ საყველიერო: ერთი ლიტრა ერბო, ერთი ლიტრა ყველი, ათი კვერცხი. თარხანს „კაი კვამლზე" ევალებოდა სამასპინძლო – ორი ცხვარი, სამი კოდი პური, სამი კოდი ქერი, ორი ქათამი, ათი სტილი ერბო, ერთი ლიტრა მარილი. ამაზე უფრო „დაბალ" კომლს – ცხვარი, ხუთი სტილი ერბო, ათი სტილი მარილი, ერთ პირ ცხვარზე – ერთი მოთალი ყველი, სალორე ღორი – ორმოცზე ერთი, ნიუკა – სამარხო გალა ოცი (XVII ს. II ნახ. Hd-1365).

ჯანშაშვილი – [არმანისს] მცხოვრები. ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] მანუკა. საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს დავთრის მიხედვით, უნდა გამოეღო სააღდგომო ძღვენი – ერთი ცხვარი, მის ძმას და მანუკას – ერთი თოხლი და ერთი ქათამი (XVII ს. II ნახ. Hd-1365).

ჯანშაშვილი ასატურა – ყურში მცხოვრები, ამილახვარის ყ მ ა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა ლაშქრობა მ ი ს ი კომლიდან სამ კაცს (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

ჯანშაშვილი ედიშერ – 1658-1670 წწ. ხელმწიფის მ ო ლ ა რ ე. დ ა მ - წ ე რ ი: გიორგი ამირეჯიბის მიერ ლუარსაბ მაყაშვილისათვის მიცემული ყმების ჩუქების წიგნისა (1651 წ. 1450-48/109), რამაზა ყორღანაშვილის მიერ თავის განაყოფ ზა[ა]ლ [ყორღანაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1658 წ. Qd-2024), ერთობილთ სამწერელების, ალიხანა უსუფაშვილისა და სხვათა მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1663 წ. V. 5. 1450-10/9ა), თაყა ასანბეგიშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1663 წ. XII. 1.

1450-1/108), დათია ფირიაშვილის მიერ ეჯუბა ყორღანაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1664 წ. V. 8. 1450-19/4); დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე: თაყა ასანბეგიშვილის მიერ გიორგი ბარათაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. II. 9. 1450-38/45), ზაალ ბარათაშვილის მიერ ზაალ ყორღანაშვილისათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. VI. 1450-1/52), თამაზ სომხისშვილის მიერ ეჯუბა ყორღანაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1664 წ. V. 8. 1450-17/21), ბოლნელ იოსებ რევიშვილის მიერ დოლმაზა და ელიზბარა შანშიაშვილებისათვის მიცემული მინების გაცვლილობის წიგნისა (1670 წ. VIII. 2. Hd-11242).

ჯანშაშვილი მანუკა – [ ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ჯანშაშვილისა, იხ.

ჯანშაშვილი მატუა – მ ო წ მ ე ფიბუა მჭედლიშვილის მიერ პაპია ნამალასშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. V. 1450-51/45).

ჯანშაშვილი პაპუნა – 1682-1699 წწ. ყ ა ფ ი ჩ ი. დ ა მ წ ე რ ი: დავით ურდუბეგაშვილის მიერ შავერდ გამრიგიძისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1686 წ. 1450-6/88), პაპუა იელიკაშვილის მიერ ნაზირ ბაინდურ [შანშიაშვილისათვის] მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. IV. 10. 1450-10/42), ბაინდურ ვახტანგაშვილის მიერ ბერუა [ყორღანაშვილისათვის] მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. VI. I. 1450-16/84), დალაქ მერაბ ადიბეგაშვილის მიერ ნაზირ ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. VII. 15. 1450-7/16); ვარაზ გერმანოზიშვილის მიერ ბერუა ყორღანაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. VII. 24. 1450-16/106); მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი: ავთანდილ ესტატაშვილის მიერ თავის განაყოფ პაპია [შანშიაშვილისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. VII. 1. 1450-10/24), შერმაზან [ყორღანაშვილის] მიერ ბერი [ყორღანაშვილისათვის] მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. 1450-19/15), სომხითის მელიქ ავთანდილის მიერ სოიბათიასაულ ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. 1450-10/18), ზაქუმა [ზაქუმისშვილის] მიერ ალავერდა იაგულაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. V. 10. 1450-9/119); მ ო წ მ ე თაყა ბარათაშვილის მიერ მეგოდრთუხუცეს ბერი ყორღანაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. IV. 6. 1450-16/85).

ჯანშაშვილი სუნბატ – მ ო ლ ა რ ე. დ ა მ წ ე რ ი თამაზ ბარათაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. XI. 12. 1450-1/95); დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე შერმაზან ჯავახისშვილის მიერ ოთია გოგიბედაშვილისათვის მიცემული ნავენახარის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. III. 15. 1448-4105), ბაინდურ ხოსიტაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. IV. მეოთხ. 1450-1/98).

ჯანშიარასშვილი ავთანდილ – შ ვ ი ლ ი თამაზ ჯანშიარასშვილისა, იხ.

ჯანშიარასშვილი ბაინდურა – შ ვ ი ლ ი თამაზ ჯანშარასშვილისა, იხ.

ჯანშიარასშვილი ბაირამ – ძ მ ა თამაზ ჯანშიარასშვილისა, იხ.

ჯანშიარასშვილი ველია – შ ვ ი ლ ი თამაზ ჯანშიარასშვილისა, იხ.

ჯანშიარასშვილი ზაალ – შ ვ ი ლ ი თამაზ ჯანშიარასშვილისა, იხ.

**ჯიშკარიანი ხახუტა** – ჰყავს შ ვ ი ლ ი მამუკა და ძ მ ა ხოხონა. ი ყ ი დ ა თავისი ძმის ხოხონასაგან მისი ყმა – აფრასიონი (1663 წ. XII. 18. 1448-2945).

**ჯიშკარიანი ხოხონა** – დედოფლის შ ა თ ი რ ი. ჰყავს ძ მ ა ხახუტა, ძ მ ი ს წ უ ლ ი მამუკა. თავის ძმას, ხახუტას, მიჰყიდა თავისი ყმა – აფრასიონი (1663 წ. XII. 18. 1448-2945).

**ჯიხვაძე მამისთვალა** – როკითში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ცხრა კოკა ღვინო, ერთი საკლავი – ყველით, კვერცხით, თევზით, გოჭი, ქათამი და ლაშქრობა (1578 წ. H-626).

**ჯიხვაძე ნასყიდა** – როკითში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი კოკა ღვინო, ერთი საკლავი ყველით, კვერცხით, თევზით, გოჭი, ქათამი და ლაშქრობა (1578 წ. H-626).

**ჯიჯავაძენი** – იხ. ჩიჯავაძენი

**ჯიჯგუტაშვილი მახარებელი** – მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი არდაშელ სოლაღაშვილის მიერ ბართლომე შეშაბერიძისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1603 წ. IV. 8. 1448-5432).

**ჯიჯნიტაშვილი აბრამა** – [ძ მ ა] ნავროზა ჯიჯნიტაშვილისა, იხ.

**ჯიჯნიტაშვილი ნადირა** – [ძ მ ა] ნავროზა ჯიჯნიტაშვილისა, იხ.

**ჯიჯნიტაშვილი ნავროზა** – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ნადირა, აბრამა. მ ი ჰ ყ ი დ ა გიორგი [ბატონიშვილს] თავისი ნასყიდი ვენახი, რომელიც ესაზღვრება მახარებლისათვის ადრე მიყიდულ ვენახს (1547 წ. 1448-353).

**ჯლიასშვილი** – მ ი ს მინამდე მიჰყიდა გიორგი მაზიტაშვილმა ოთია ინანასშვილს ტყე (XVIII ს. შუა ხანები, Sd-1784ა).

**ჯმუხაძე თადუა** – ძ მ ა ხოხუა ჯმუხაძისა, იხ.

**ჯმუხაძე ხოხუა** – ჰყავს ძ მ ა თადუა. ი გ ი ძ მ ა ს თ ა ნ ერთად შესწირა იოსებ წულუკიძემ ნიკორწმინდის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას თავისი მამის სულის საალაპედ. მათ ყოველ ხორციელ შაბათს ეკლესიაში უნდა მიეტანათ ერთი ცხვარი, სამი კასრი ღვინო, ორი ყვერული, გამომცხვარი პური, ნახვარი

ჩარექი სანთელი. ამ აღაპის გადასახდელად ხოხუა ჯმუხაძეს და მის ვაჟს ეჭირათ ერთი პარტახტი ბაგეულში, უთმელ[იძე] მისი ვენახით და საყანით (XVII ს. II ნახ. 1448-1531).

**ჯობაძე** – მის მამულთან მდებარეობდა ის ერთი დღის მიწა, რომელიც ბაინდურ უმლამაშვილმა მიჰყიდა დათუნა თოფჩიაშვილს (1698 წ. 1448-928).

**ჯობაძე გოგია** – მოწმე სორაზანა ბებიაშვილის მიერ თავის განაყოფ ნიკოლოზ [ბებიაშვილისათვის] მიცემული პირობის წიგნისა სასაფლაოზე უდავობის შესახებ (1675 წ. Hd-8481).

**ჯობაძე პაპია** – მოწმე ზაზა აბაზაძის მიერ იასე მურვანისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. I. 9. Hd-14927).

**ჯობია** – მძოვრეთში მცხოვრები. წილში ერგო თამაზ [ბარათაშვილს] ([1633-1658 წწ.] 1448-2318).

**ჯობიაშვილი თამაზა** – უჯარმაში ან ხაშმში მცხოვრები. გარეჯის ნათლისმცემლის ყმებთან ერთად არჩილ მეფემ იგი მიაბარა წმ. დავითისა და ნათლისმცემლის წინამძღვარს (1672 წ. Ad-2060).

**ჯობიაშვილი ოთარა** – მოწმე ამილბარ ამილბარაშვილის მიერ ესტატე ხახანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1613 წ. III. 31. Hd-2966).

**ჯობისშვილი თამაზა** – დვანელი. მოწმე პაპუნა ფავლენისშვილის მიერ ზაალ იორამისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. V. 9. 1450-31/220).

**ჯოეშვილები** – ტბისში მცხოვრებნი. ისინი მამულიანად თაყა ასანბეგისშვილმა გაუცვალა პაპუნა გოსტაშაბისშვილს (1671 წ. ახლო. II. 12. Hd-7592), თაყა ასანბეგიშვილმა ისინი მამულებით გაუცვალა პაპუნა გოსტაშაბიშვილს ენაგეთში მცხოვრებ სამ კომლ ჯანიკაშვილებზე, ცამეტ თუმან თეთრზე და პაპისგორში ხუთი დღის მიწაზე (1671 წ. II. 12. Hd-6777).

**ჯოეშვილი** – ბარათაშვილების გაყრის დროს თურქისტანიშვილი ბარათაშვილებს ეცილებოდა ჯოეშვილზე. თურქისტანიშვილის მტკიცებით, ჯოეშვილი მისი პაპის და მამის ყმა იყო. გამრიგეების გადაწყვეტილებით, თუ თურქისტანიშვილი და მისი ორი მკვიდრი ყმა დაიფიცებდნენ, რომ მჰეცისძეს ელენესათვის (ქავთარ ბარათაშვილის მეუღლე)მიუცია ჯოეშვილი, ხოლო ელენეს – თურქისტანიშვილისათვის, მაშინ იგი თურქისტანიშვილს დარჩებოდა (1523 წ. Ad-1299ა).

**ჯოეშვილი** – გარყლობს მცხოვრები. საუფროსოდ წილში ერგო დავით [თურქისტანიშვილს] (1626 წ. 1450-50/70).

**ჯოესშვილი** – სანირეში მცხოვრები. იგი მამულით შესწირა გელათს ვახტანგ მეფემ ([1442-1446 წწ.] 1448-5023).

**ჯოეშვილი ბერა** – მოწმე ბესალა ჯოეშვილის მიერ პაპუნა ბეგისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. IV. 3. Hd-1794).

ჯოეშვილი ბერუკა – ტბისში მცხოვრები. მამულით წილში ერგო ქაიხოსრო [ბარათაშვილს] XVII ს. I ნახ. Hd:13615, 13619).

ჯოეშვილი ბერუკა – მ ო წ მ ე ირემა კახიშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბიშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([1688-1696 წწ.] Hd-2478).

ჯოეშვილი ბესალა – ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: პაპია, ქიტია, გურგენა. მ ი ჰ ყ ი დ ა პაპუნა-ბეგს ბეროას ვენახი და აიღო ოცდაათი მარჩილი თეთრი (1672 წ. IV. 3. Hd-1794).

ჯოეშვილი გურგენა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბესალა ჯოეშვილისა, იხ.

ჯოეშვილი თევდორა – ერტისში მცხოვრები, უშვილოდ გარდაცვლილი დურმიშხან [თურქისტანიშვილის] ყ მ ა. ნაზარალიხანმა ი გ ი უბოძა დურმიშხანის ბიძაშვილს, იორამ [თურქისტანიშვილს] (1688 წ. I. 10. 1450-2/149).

ჯოესშვილი ივანა – 1669-16[96] წწ. მ ო წ მ ე თაყა ასანბეგისშვილის მიერ პაატა გერმანოზისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1669 წ. VI. 20. Hd-1880), პანია ისპანაშვილის მიერ ბატონ ოთარ [ბარათაშვილისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. Hd-2184), ირემა კახიშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბისშვილისთვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([1688-1696 წწ.] Hd-2478).

ჯოეშვილი იმედა – ერტისში მცხოვრები. ერთ წილად ერგო დავით [თურქისტანიშვილს] (1626 წ. 1450-50/90).

ჯოეშვილი ირემა – სხალნარში მცხოვრები. ი გ ი ვენახით წილში ერგო ბეჟანს (1693 წ. 1450-18/93).

ჯოეშვილი მაგლია – ძარწემში მცხოვრები, ბადურ მაჩაბელის ყ მ ა (1700 წ. 1448-3602).

ჯოეშვილი პაპია – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბესალა ჯოეშვილისა, იხ.

[ჯოეშვილი] სამუტა – 1626-1646 წწ. გარყლობში მცხოვრები, გ ა ნ ა ყ ო ფ ი შოშიტა ჯოეშვილისა (1646 წ. III. 12. 1450-28/89). ი გ ი მამულითურთ, ახალდაბელი მამიაშვილის მამულის სანაცვლოდ, ერგო [თურქისტანიშვილს] (1626 წ. 1450-50/79).

ჯოეშვილი ქიტია – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბესალა ჯოეშვილისა, იხ.

ჯოეშვილი შერმაზანა – მ ო წ მ ე გოგია ბურთისშვილის მიერ სიონის ღმრთისმშობლისათვის მიცემული მიწის გირავნობის წიგნისა (1676 წ. IX. 1. 1449-1823).

ჯოეშვილი შოშიტა – 1626-1646 წწ. გარყლობში მცხოვრები. ჰყავს გ ა ნ ა ყ ო ფ ი – სამუტა. ი გ ი მამულით საუფროსოდ ერგო დავით თურქისტანისშვილს (1626 წ. 1450-50/70), თავის განაყოფთან ერთად წილში ერგო ლეონ თურქისტანიშვილს (1646 წ. III. 12. 1450-18/89).

ჯოესშვილი ჯოია – მ ო წ მ ე ავთანდილ უსუბეგასშვილის მიერ დომენტი გერმანოზისშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. V. 7. Hd-1707ა).

ჯოვაშვილი – მ ო წ მ ე ყოჟე მამისაშვილის მიერ თბილელ ეპისკოპოს [ელისე] საგინაშვილისათვის მიცემული ფიცის წიგნისა (1638 წ. 1450-26/83).

ჯოთენური: ჯოთენურისეული – ალექსანდრე მეფემ უწყალობა არსლან ჯანდიერიშვილს ახმეტაში ჯ ო თ ე ნ უ რ ი ს ე უ ლ ი ერთი ვენახი (1584 წ. VII. 7. 1448-5528).

ჯოთიშვილი მეზმანა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ხახიტა ჯოთიშვილისა, იხ.

ჯოთიშვილი ხახიტა – ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] მეზმანა. ბატონის მოძლვართ-მოძღვარ ბარნაბეს ბრძანებით, მ ი ჰ ყ ი დ ა შიო ეცადაშვილს დუდეთში ორი დღის მიწა, რომლის საფასურად აილო ერთი ძროხა, სამი ცხვარი, სამი კოკა ღვინო, სამი კოდი პური (XVII ს. გსიემ-1927).

ჯოისშვილი ამზია – ჰყავს შ ვ ი ლ ი დათუნა. გიორგი თურაზაშვილმა ი გ ი ცოლ-შვილითა და მამულით მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბისშვილს (1670 წ. II. 15. Hd-10025).

ჯოისშვილი დათუნა – შ ვ ი ლ ი ამზია ჯოისშვილისა, იხ.

ჯოლბორდი გოგი – მ ო წ მ ე რევაზ ერისთავის მიერ ნინია ოდიშელიძისათვის ბოძებული მეღაპეობის წიგნისა (1678 წ. III. 6. 1449-1809).

ჯოლბორდი (ვარ. ჯორბოდი) ლაზარე – მ ო წ მ ე აბრამ ბიბიაშვილის მიერ დავით ჯავახიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1694 წ. VI. 12. Sd-561).

ჯოლია ხახუ – მ ო წ მ ე დეისმა ჯაიანის მიერ კათალიკოს დავით [ნემსაძისათვის] მიცემული ფიცის წიგნისა ხორგის სასახლისა და იქ მოსახლე ყმების ხელშეუხებლობის შესახებ ([1673-1696 წწ.] Hd-11208).

ჯომარდაშვილი – ყაიას, ყორჩიშაბ ბაადურსა და სარდალ პაპუნა [ციციშვილებს] შორის სამნევრისის მამულებზე დავის წიგნში აღნიშნულია, რომ მ ა ს ეჭირა ციციშვილების ორი დღის მიწა. ამავე საბუთის მიხედვით, ჯ ო მ ა რ დ ა შ ვ ი ლ ს ეჭირა ციციშვილების ოთხი დღის მიწა და ბიბიშვილის ორი დღის მიწა ([1633-1658 წწ.] 1448-2316).

ჯომარდაშვილი – მ ი ს ი ორი დღის მიწა ბოსტნებად ყოფილა გამოყენებული, – აღნიშნულია ზაზა და ქაიხოსრო ციციშვილების სამამულე დავის გარიგების წიგნში (1666 წ. ახლო. Hd-802).

ჯომარდაშვილი – ბაადურ [ციციშვილის] სამნევრისში გამოფიცული მიწების ნუსხაში აღნიშნულია, რომ წმინდა გიორგის კუთვნილი ჯ ო მ ა რ - დ ა შ ვ ი ლ ი ს ორი დღის მიწა მეხრეს ეჭირა (1671 წ. Hd-833).

ჯომარდაშვილი გიორგი – შ ვ ი ლ ი მამუკა ჯომარდაშვილისა, იხ.

ჯომარდაშვილი ზაზუტა – შ ვ ი ლ ი მამუკა ჯომარდაშვილისა, იხ.

ჯომარდაშვილი მამუკა – ბადურ [ციციშვილის] სამნევრისში გამოფიცული მიწების ნუსხაში აღნიშნულია, რომ ხუციშვილის ნაქონი სახლ-კარი, კალო და საბძელი მ ა მ უ კ ა ჯ ო მ ა რ დ ა შ ვ ი ლ ს ეჭირა (1671 წ. Hd-833).

ჯომარდაშვილი მამუკა – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: გიორგი, ზაზუტა. თავისივე ვენახის ბოლოს შერმაზან ხაშარაძეს მ ი ჰ ყ ი დ ა მკვიდრი მამული – ორი დღის მიწა ჯანბეგაშვილის და ოთელაშვილის მიწებამდე (1687 წ. 1448-8765).

ჯომარდაშვილი შანშე – გიორგის ყ მ ა, ერთი კომლი. შეტანილია [ალავერდის ტაძრის] კომლების ნუსხაში (XVII ს. Ad-848).

ჯომარდიძე – მ ი ს მიწამდე მიჰყიდა გაბიტა ელგემიძემ მაწნაძეს სავენახე მიწა (1674 წ. 1448-5397).

ჯომარდიძე – ნ ა ც ვ ა ლ ი. მ ო წ მ ე სორზანა ბებიაშვილის მიერ თავის განაყოფ ნიკოლაოზ [ბებიაშვილისათვის] მიცემული პირობის წიგნისა სასაფლაოზე უდავობის შესახებ (1675 წ. Hd-8481).

ჯომარდიძე ავთანდილ – მ ო წ მ ე ფარსადან ციცისშვილის მიერ მდივან დავით [თუმანიშვილისა] და სხვა გორელებისათვის მიცემული პირობის წიგნისა ტყით სარგებლობის უფლების შესახებ (1699 წ. II. 24. Hd-13151).

ჯომარდიძე ბერუკა – შ ვ ი ლ ი ზაალ ჯომარდიძისა, იხ.

[ჯომარდიძე] ბირთველ – მ ი ს თ ვ ი ს და ჯიმშედ [ჯომარდიძის] სულისათვის შალვა და გიორგი ჯომარდიძეებმა ყმა-მამული შესწირეს გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიას (1539 წ. II. 27. 1448-8739).

ჯომარდიძე გიორგი – [ძ მ ა] შალვა ჯომარდიძისა, იხ.

ჯომარდიძე გიორგი – შ ვ ი ლ ი ზაალ ჯომარდიძისა, იხ.

ჯომარდიძე დათუნა – გოგია შავნადირაშვილს მ ი ჰ ყ ი დ ა კეპეულაზე, ტყემალთან მდებარე ქიტიაშვილის ნაქონი მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა სულიასშვილის და ზაქარია კაპანაძის მიწებს (1621 წ. 1450-25/86).

ჯომარდიძე დათუნა – მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი პატა სონღულაშვილის მიერ ზოსია [სონღულაშვილისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. Hd-14005).

ჯომარდიძე ზაალ – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: პაპუნა, ბერუკა, ქაიხოსრო, ჯიმშერ და გიორგი. როსტომ მეფემ მ ა ს სამკვიდროდ უბოძა სოფელი გორისა (1633 წ. IV. 21. Hd-14675).

[ჯომარდისძე] ოქუროი – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ქუ[ა]ფქუა ჯომარდიძისა. ამოვარდნილი. დარჩენია ორი გათხოვილი და ერთი გაუთხოვარი ასული. მ ი ს ი მამული ბეგა სურამელმა მისცა ქუ[ა]ფქუა ჯომარდიძეს და მის ძმას იმ პირობით, რომ თუ ო ქ უ რ ო ი ს ძმისწული გამოჩნდებოდა. მ ი ს ი კერძო მამული ქუ[ა]ფქუას ამ უკანასკნელისათვის უნდა დაებრუნებინა, ხოლო ო ქ უ რ ო ი ს გასათხოვარი ქალი გაეთხოვებინა ([1260-1300 წწ.] Hd-1358ა).

ჯომარდიძე პა[პ]ტა – გოგია ბითაძეს მ ი ჰ ყ ი დ ა ქიტიაშვილის ნაქონი მიწა კეპეულაზე მშვიდობაშვილის, სულიასშვილის და გორიხაულის მიწებამდე (1622 წ. 1450-25-85).

ჯომარდიძე პაპუნა – შ ვ ი ლ ი ზაალ ჯომარდიძისა, იხ.

ჯომარდიძე ქაიხოსრო – შ ვ ი ლ ი ზაალ ჯომარდიძისა, იხ.

ჯომარდიძე ბქუ[ა]ფქუა – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა ჯიშო. ბეგა სურამელმა მ ა ს და მის ძმას გამოართვა მათი მკვიდრი მამული „საჯდომად" და მის სანაცვლოდ მისცა მათივე განაყოფის, ოქუროი [ჯომარდისძის] მამულები, იმ პირობით, რომ იგი ოქუროის გასათხოვარ ქალს გაამზითვებდა და, თუ ოქუროის ძმისწული გამოჩნდებოდა, მამულს დაუბრუნებდა ([1260-1300 წწ.] Hd-1358ა).

ჯომარდიძე შალვა – ჰყავს [ძ მ ა] გიორგი. შ ე ს წ ი რ ა გორიჯვრის წმინდა გიორგის მათია პეტეტაშვილი ძმებითურთ. ამ უკანასკნელთ უწყალობა თავისი მკვიდრი მამული – ოთხი დღის საჸენახე მიწა გუფთას ჭაობში, ხიდისთავთან. დააკისრა მათ წელიწადში ერთხელ წირვა-აღაპის გადახდა ბირთველ და ჯიმშედ [ჯომარდიძეების] სახელზე (1539 წ. II. 27. 1448-8739).

[ჯომარდიძე] ჯიმშედ – მ ი ს სახელზე წირვა-აღაპის გადახდა დააწესა გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიაში შალვა ჯომარდიძემ (1539 წ. II. 27. 1448-8739).

ჯომარდიძე ჯიმშერ – შ ვ ი ლ ი ზაალ ჯომარდიძისა, იხ.

ჯომარდიძე ჯიშო – ძ მ ა ბქუ[ა]ფქუა ჯომარდიძისა, იხ.

ჯომნია გამიგონა – ხოირში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ოთხი ჯამი ღომი, სამი კოკა ღვინო, სამეჯინიბოდ თივა, ღომი, ფეტვი (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯომნია გამიგონა – ხოირში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო, ერთი საკლავი, მუშაობა, ყურძნის კრეფა, ლაშქრობა, სამსახური, სამეჯინიბოდ თივა, ღომი, ფეტვი (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯომნია ვაჟიკოჩა – ხოირში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ოთხი ჯამი, ღომი, სამი კოკა ღვინო, სამეჯინიბოდ თივა, ღომი, ფეტვი (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯომნია ვაჟიკოჩა – ხოირში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო, მუშაობა, ყურძნის კრეფა, ლაშქრობა, სამსახური, სამეჯინიბოდ თივა, ღომი, ფეტვი (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯომნია თოთიბია – ნაჟანეულში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა საკათალიკოსო ბეგარა: გოჭკუმუ, ოცი მწყრთა ტილო, ნახევარი ძროხა, ორი ბათამი, სამი ჯამი ღომი, ხუთი ფოხალი ღვინო, მოინალობა (1621 წ. ქსძ. III. №91).

ჯორაშვილი – მ ო წ მ ე ფინეზას მიერ პაპია გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1675 წ. II. 24. 1450-5/42).

ჯორაშვილი გაბრიელ – გიორგი მეფის კარის მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი და ჯ ვ ა რ ი ს მ ტ ვ ი რ თ ვ ე ლ ი. დ ა მ წ ე რ ი გიორგი მეფის მიერ გიორგი ჟურულისშვილისათვის ბოძებული სასისხლო სიგელისა (1460 წ. Ad-7118).

ჯორაშვილი ზურაბ – დ ა მ წ ე რ ი შემახა ქალბათაშვილის მიერ გიორგი ცალქალამნიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. ბოლო მეთორ. 1450-35/173).

ჯორაშვილი სეხნია – მ ო წ მ ე გიორგი მოურავისშვილის მიერ მდივან ბეგთაბეგ მარტიროზისშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა მინის ბოძების შესახებ (1686 წ. Hd-2418).

ჯორიშვილი ელიკა – შ ვ ი ლ ი სეხნია ჯორიშვილისა, იხ.

ჯორიშვილი სეხნია – თარხნის აზნაურიშვილი. ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ი ელიკა. მასთან ერთად იყო მოწმე ფარსადან [ჯავახიშვილის] მიერ თავის ბიძაშვილ ზურაბისათვის მიცემული მინის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. VII. II. Sd-569).

ჯორიშვილი შიო – მ ო წ მ ე მერაბა ვარდანაშვილის მიერ სუხიტა [ვარდანაშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა ([1689-1717 წწ.] Hd-10357).

ჯორჯასძე // ჯორჯაძე

ჯორჯაძე – ი გ ი მიუბარებია ნიკოლაოზ კათალიკოსს ჭერემის ეპისკოპოს ეგნატესათვის და მოუთხოვია, რომ, სანამ ი გ ი „წესსა და სანირავს" არ შეასრულებდა, მანამ მ ი ს თ ვ ი ს არც ჟამი ეწირა და არც სანირავი გამოერთმია (1562-1584 წწ. Ad-1626); ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს შესახებ ასეთივე შინაარსის პირობის წიგნი წარუდგინა ნიკოლაოზ კათალიკოსს ანტონ ჭერემელმა ([1562-1584 წწ.] Ad-1632).

[ჯორჯაძე] – ე ნ ი ს ე ლ თ მ ო უ რ ა ვ ი. ნაზარალიხანმა მ ა ს განუახლა სახელოს წყალობა ([1688-1703 წწ.] 1461-1/7).

ჯორჯაძე არსენ – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] პაპუა ჯორჯაძისა, იხ.

ჯორჯასძე ბებურ – ბ ა ზ ი ე რ თ უ ხ უ ც ე ს ი. ძ მ ა დავით ჯორჯაძისა, იხ.

[ჯორჯაძე] გივი – შ ვ ი ლ ი დავით [ჯორჯაძისა], იხ., [ძ მ ი ს წ უ ლ ი] სულხან [ჯორჯაძისა] იხ.

ჯორჯაძე გიორგი – 1636-1655 წწ. შ ვ ი ლ ი სახლთუხუცეს იესე ჯორჯაძისა, იხ., ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა ნოდარ; შ ვ ი ლ ე ბ ი: იესე, ონანა (1655 წ. Ad-2136). ენდრონიკაანთ დემეტრე მ ა ს ეცილებოდა თელას ნასოფლარზე. დავის გარიგების შემდეგ ჯ ო რ ჯ ა ძ ე ე ბ ს დარჩათ ნასოფლარის ერთი მეოთხედი (1655 წ. I. 3. Qd-2136).

ჯორჯასძე დავით – 1577-[1605] წწ. ე ნ ი ს ე ლ თ მ ო უ რ ა ვ ი. ჰყავს ძ მ ე ბ ი: ბებურ, სანჯარ, როშნევან. მ ა ს თავის [ძმებთან] ერთად დიდი სამსახური გაუწევია ალექსანდრე მეფისათვის, როდესაც ამ უკანასკნელს ტახტზე ძმისწულები ეცილებოდნენ. ამ სამსახურის სანაცვლოდ ალექსანდრე მეფემ მ ა ს ამოუკვეთა მალი (1577 წ. I. 5. 1448-540); მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ იოთამ და ყაფარ გურამისშვილებისათვის მიცემული მფარველობის პირობის წიგნისა ([1574-1605 წწ.] Hd-14857).

ჯორჯაძე დავით (ვარ. დათუნა) – [1664]-[1675] წწ. ე ნ ი ს ე ლ თ მ ო უ რ ა ვ ი. ჰყავს ძ მ ა სულხან; შ ვ ი ლ ე ბ ი: მერაბ, გივი (1669 წ. 1448-613). არჩილ მეფემ მ ა ს ჩამოართვა გავაზში დაკარგული ყარალაშვილის ნაქონი მამული და დაუბრუნა პატრონს. სანაცვლოდ დ ა ვ ი თ ს უწყალობა სახასო

და სამოურავო ა[...]რანი (1669 წ. 1448-613); შაჰნაზარ მეფემ მ ა ს განუახლა ყარნუს მამულის წყალობა ([1664-1675 წწ.] 1448-2303).

ჯორჯაძე დიმიტრი (ვარ. დემეტრე) – XVII ს. II ნახ. ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ი სვიმონ ([1662-1675 წწ.] 1448-748). ერეკლე ბატონიშვილმა მ ა ს უწყალობა გავაზში სუფრაჯის ნაქონი მამული ([1662-1675 წწ.] 1448-748); გარსევან ჩოლაყაშვილთან ერთად მ ა ნ არსენ ალავრედელს მისცა ერთგულების პირობის წიგნი (XVII ს. II ნახ. 1461-3/83).

[ჯორჯაძე] ზაალ – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] სულხან ჯორჯაძის, იხ.

ჯორჯაძე ზაქარია – იხ. ზაქარია ჯორჯაძე, კათალიკოსი

[ჯორჯაძე] ზურაბ – [1688]-1700 წწ. შ ვ ი ლ ი ენისელთ მოურავის, ნოდარ ჯორჯაძისა (1700 წ. Ad-574); [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] სულხან ჯორჯაძისა, იხ. მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო კაკაბელთა და შიბლიანელთა შორის სამამულე დავის გარიგებაში (1700 წ. XI. 15. Ad-574).

ჯორჯაძე იესე – 1630-1636 წწ. ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი (1636 წ. 145-31/173). ჰყავს მ ა მ ა ნოდარ (1636 წ. Qd-1787); ძ მ ა ონანა (1636 წ. Qd-1787, 1450-31/173); შ ვ ი ლ ე ბ ი: გიორგი (1636 წ. ახლო. Qd-1787, 1450-31/173, 31/174), ნოდარ (1636 წ. ახლო. 1450-31/174); [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] პაპუა ჯორჯაძე, იხ., ბ ი ძ ა ზაქარია კათალიკოსი (1636 წ. Qd-1787). თეიმურაზ მეფემ მ ა ს განუახლა წყალობა ყმა-მამულისა: ლეკეთელი კაცები, საჯილდაოდ ლანუჭში მამული – მამრეხი და გოდბარექი; ი ე ს ე ს ბიძასთან გაყოფილი გოსტაშაბისეული მამული, გარდა თამარის მამულისა; ერასტიშვილის ყმა-მამულის ნაწილი, ალმატლისშვილის ნაოხარი, ყუდრო და სხვა მამულები; ყანდაურიანში – ბაგრატისშვილისეული ნაოხარი (1636 წ. Qd-1787), თეიმურაზმა უწყალობა აგრეთვე იესეს უშვილოდ გარდაცვლილი ბიძის მამული – საბუე შემატებული სასახლით, რაც ასლამაზ ბულალაშვილს ჰქონდა; ჩუმლაყში – ქაშბათის კერძი ერთი კომლი კაცი და ნაოხარი; ბაზარში – ერთი კომლი ურია, მოურავის ნაყმევი. აგრეთვე – ურია ჩუმლაყში. ამ ყმა-მამულზე იესეს უფლებები ვრცელდებოდა დაჯიას (იესეს ბიძის ქვრივის)გათხოვების ან გარდაცვალების შემდეგ (1636 წ. 1450-31/173); თეიმურაზ მეფემ მისცა მ ა ს პირობა, რომ თუ მისი (იესეს) „რძალი" (ბიძის მეუღლე)გარდაიცვლებოდა, მხოლოდ მ ა ს მისცემდა ბიძის ნაქონ ყმა-მამულს (1636 წ. ახლო 1450-31/174); თეიმურაზ მეფის მიერ შანშე ჩოლაყაშვილისათვის ბოძებულ მამულის წყალობის წიგნში აღნიშნულია, რომ ნაწყალობევი მამული ადრე იესე [ჯორჯაძისათვის] უბოძებია (1630 წ. Hd-14482).

ჯორჯაძე იასე (ვარ. იესე) – შ ვ ი ლ ი გიორგი ჯორჯაძისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი ნოდარ ჯორჯაძისა, იხ.

ჯორჯასძე ივანა – ახალშენში ან ცხირეთში მცხოვრები. გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ი გ ი წილად ხვდა როინსა და მის ბიძაშვილებს ([1527-1556 წწ.] Qd-605).

ჯორჯაძე მერაბ – [1623]-1654 წწ. ე ნ ი ს ე ლ თ მ ო უ რ ა ვ ი ([1648]-1654 წწ. 1448: 721, 259). მამა მარიამის, ოთარ ერისთავის თანამეცხედრისა, იხ., როსტომ მეფემ მ ა ს უწყალობა ალაზნის პირას, საენისლოში მამული (1654 წ. 1448-259); მანვე მისცა მფარველობისა და წყალობის პირობა, იმ შემთხვევაში, თუ მ ე რ ა ბ ი მეფეს ერთგულად ემსახურებოდა ([1648-1652 წწ.] 1448-721); მ ო წ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო შანშე ერისთავსა და იოთამ ამილახორს შორის დავის გარიგებაში ([1623-1632 წწ.] Hd-14669).

ჯორჯაძე მერაბ (ვარ. მერებ)– 1669-1699 წწ. ე ნ ი ს ლ თ მ ო უ რ ა ვ ი (1698 წ. 1448-2938, 2943, Hd-5187), შ ვ ი ლ ი ენისელთ მოურავ დავით ჯორჯაძისა იხ., [ძ მ ი ს წ უ ლ ი] სულხან ჯორჯაძისა იხ., ქალბალი-ხანმა მ ა ს უწყალობა ენისელთ მოურავობა, რაც დროებით ნოდარ ჯორჯაძეს ეპყრა (1698 წ. 1448-2938); ქალბალი-ხანმა უწყალობა მ ი ს ი ვ ე მკვიდრი მამული – ყორნავის სახნავი შირაქის, ყოთურ-ბულახის, მუფარაქის, ზილიჩას, ახარას, ბახარის, ჩაი-ბულახის, ყაბან-ბულახის საზღვრებამდე (1699 წ. 1448-2943). მ ო წ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო [ჩოლაყაშვილ]-რომაქიშვილების სამამულე დავის გარჩევაში ფირან და ოთარ ჩოლაყაშვილებთან (XVII-XVIII სს. მიჯნა. Hd-5187).

ჯორჯაძე ნოდარ – 1618-1636 წწ. მ ა მ ა იესე ჯორჯაძისა, იხ., თეიმურაზ მეფემ მ ა ს უწყალობა დედოფლის ს ა ლ თ უ ხ უ ც ე ს ო ბ ა და დაუნიშნა სარგო – საერთო შემოსავლის ნახევარი (1618 წ. ახლო. 1448-618).

ჯორჯაძე ნოდარ – 1636 წ. ახლო-1700 წწ. არჩილ მეფის ს ა ხ ლ - თ უ ხ უ ც ე ს ი (1684-1700 წწ. 1461-1/9, 1448-9995, Sd-15), ე ნ ი ს ე ლ თ მ ო უ რ ა ვ ი (1694-1700 წწ. 1448:57, 2938, Ad-574); შ ვ ი ლ ი სახლთუხუცეს [იასე] ჯორჯაძისა, იხ., ჰყავს ძ მ ა ჯორჯაძე გიორგი იხ., შ ვ ი ლ ი ზურაბ (1700 წ. Ad-574); ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: ონანა, იასე (1639 წ. Sd-15). თან ახლდა არჩილ მეფეს „თერგის ქვეყანაში" და ასტრახანში. არჩილმა ი გ ი მოსკოვში თან გააყოლა თავის შვილებს, ალექსანდრესა და მამუკას, თან აღუთქვა, რომ უშუამდგომლებდა რუსეთის ხელმწიფეების (პეტრე, ივანე)წინაშე, რათა ი გ ი მალე გამოეშვათ უკან. არჩილი შეჰპირდა აგრეთვე, რომ, როცა თავად სამეფოს დაიბრუნებდა, ნ ო დ ა რ ს მამულისა და სახელოს წყალობას არ მოაკლებდა ([1684 წ.] 1461-1/9); არჩილმა მისცა მ ა ს პირობის წიგნი იმის შესახებ, რომ თუკი იგი ან მისი (არჩილის)შვილები საქართველოში ტახტს დაიბრუნებდნენ, ნოდარ ჯორჯაძეს წყალობას არ მოაკლებდნენ (1684 წ. 1448-9995); ნაზარალიხანი შეჰპირდა მ ა ს ენისელთ მოურავობასა და ყორნავის საყმოს იმ შემთხვევაში, თუ „ყეენი" მას კახეთს უწყალობებდა (1693 წ. Sd-15); ქართლ-კახეთის დიდმოხელეებთან ერთად მ ო წ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო ნაზარალიხანის მიერ მოწვეულ ბჭობაში გივი და ფარემუზ გურამიშვილების ყმა-მამულიდან გურამ გურამიშვილისა და მისი ძმებისათვის წილის მიცემის თაობაზე (1694 წ. VI. 4. 1448-57), აგრეთვე – შიბლიანელებისა და კაკაბელების

სამამულე დავის გარჩევაში (1700 წ. XI. 15. Ad-574); ქალბალი-ხანმა მ ა ს ჩამოართვა ენისელის მოურავობა და მისცა მერაბ [ჯორჯაძე] (1696 წ. 1448-2938).

ჯორჯაძე ონანა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] პაპუა ჯორჯაძისა, იხ., ძ მ ა სახლთუხუცეს იესე ჯორჯაძისა, იხ.

ჯორჯაძე ონანა – შ ვ ი ლ ი გიორგი ჯორჯაძისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი ნოდარ ჯორჯაძისა, იხ.

ჯორჯაძე პაპუა – 1630-1636 წ. ბ ო ქ ა უ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი (1630 წ. Hd-14482), მ ო უ რ ა ვ ი (1636 წ. 1448-621), ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: იესე 1630, 1636 წწ. Hd-14482, 1448-621), ონანა, არსენ (1636 წ. 1448-621). მ ი ს ი ნაქონი მამული თეიმურაზ მეფემ უწყალობა შანშე ჩოლაყაშვილს (1630 წ. Hd-14482), მ ა ს უწყალობა თეიმურაზ მეფემ როსტევან მოურავის ნაქონი მამული (1636 წ. 1448-621); [მ ი ს ი] ნაქონი ყმა-მამული – ორი კომლი გლეხი თიანეთში, ქორდში – ნემსაშვილი მახური და ჩურუხული, ქოილაშვილები პაპუნა და სოზიკა, – როსტომ მეფემ უწყალობა შანშე [ჩოლაყაშვილს] (1656 წ. Hd-14672).

ჯორჯასძე როშნევან – [ძ მ ა] დავით ჯორჯასძისა, იხ.

ჯორჯასძე სანჯარ – [ძ მ ა] დავით ჯორჯასძისა, იხ.

ჯორჯაძე სვიმონ – შ ვ ი ლ ი დიმიტრი ჯორჯაძისა, იხ.

[ჯორჯაძე] სულხან – 1669-[1703] წწ. ე ნ ი ს ე ლ თ მ ო უ რ ა ვ ი. ძ მ ა დავით ჯორჯაძისა, იხ., ჰყავს [ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი]: გივი, მერებ; [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: ზაალ, ზურაბ ([1688-1694 წწ.] 1448-4683); ი გ ი იყო ბიძა გიორგი ერისთავისა (1688-1694 წწ.] 1448-4683). სახლთუხუცეს და მდივან ონანასთან ერთად მ ა ნ გ ა ა რ ი გ ა ზაალ საგინაშვილის დავა დუდაურების მამულზე ნინოწმინდელთან და გარეჯის წინამძღვარ ონოფრე [მაჭუტაძესთან] ერთად ([1690-1703 წწ.] 1449-1859); გიორგი ერისთავმა მიართვა მ ა ს თავისი მკვიდრი ყმები: გიორგი ძმითა და ცოლ-შვილით, ძინძონებაშვილი ნადირა ცოლ-შვილით, ბუჩუკური ნადირა ცოლ-შვილით, ხუციანიძე ხუცია ძმითა და ცოლ-შვილით, მაისაშვილი ნასყიდა ცოლ-შვილით; არღუნელები: თამაზა, ჩიტო და გოდერძი ცოლ-შვილებით, ქურციკიძეები – ფოცხვერა და გიორგი, ფარეში გიორგი ძმითა და ცოლით, ბატატა ძმითა და ცოლ-შვილით, შალიკაშვილი გოგი, პავლეური ბერო ცოლ-შვილით ([1688-1694 წწ. 1448-4683).

ჯორჯიკია ხახუტა – მ ო წ მ ე კათალიკოს დავით ნემსაძის მიერ იოვანე ქავთარაძისათვის მიცემული ყმის წყალობის წიგნისა ([1673-1696 წწ.] Qd-9659).

ჯორჯოლაძე ბექსოლთანა – მ ო წ მ ე მიცახელთა მიერ სეტიელებისათვის მიცემული დაწერილისა ჩარქასთა შემოსევის დროს ასაბიობის გაწევის სანაცვლოდ საბეგრო ხარების მიცემის შესახებ (XV ს. დასაწყ. სსძ. II. №37).

ჯოღორია ზარიამ – ქაიხოსრო შანგულიასთან ერთად მისცა ერთგულების წიგნი ლევან დადიანს ([1611-1657 წწ.] Hd-11204).

**ჯოხასძე** – ერგნეთში მცხოვრები, გ ლ ე ხ ი. რამინ და საჰამ გაბელისძეებმა ი გ ი მამულით შესწირეს სვეტიცხოველს დავით კათალიკოსის დროს (1451 ნ. III. 8. 1449-1481).

**ჯოხაძე** – მ ო წ მ ე ახალბედა კოპაშვილის მიერ ბატონ თაყასათვის მიცემული ყანის ნასყიდობის წიგნისა ([1615-1619 წწ.] Qd-7013).

**ჯოხაძე ბერი** – შ ვ ი ლ ი მამუკა ჯოხაძისა, იხ.

**ჯოხაძე გიორგი** – ზემოხვითელი. მ ო წ მ ე ნინია ბაბუსიძის მიერ აშოთან [მუხრანბატონისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1681 ნ. III. 1461-3/131).

**ჯოხაძე გიორგი** – ფცაში მცხოვრები. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II ნახ. Qd-7018).

**ჯოხაძე გიორგი** – შ ვ ი ლ ი ოსიტა ჯოხაძისა, იხ.

**ჯოხაძე გიორგი** – თორმანეულში მცხოვრები, ერთი კომლი. მოხსენიებულია ზემო ქართლის საკომლოების ნუსხაში (XVII ს. დამდ. Qd-7014).

**ჯოხაძე დათუა** – ბრონლეთში მცხოვრები, მ ო ყ ა ლ ნ ე გ ლ ე ხ ი, ერთი კომლი. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: პაპუნა, თვალია და ამათი ნაშენი ერთი ვაჟი. მოხსენიებულია ზემო გართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II ნახ. Qd-7017).

**ჯოხაძე დათუნა** – ნულში მცხოვრები, ერთი კომლი. ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: პაპუნა, შიო და ამათი ნაშენი სამი ვაჟი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II ნახ. Qd-7017).

**ჯოხაძე დათუნა** – შ ვ ი ლ ი მამუკა ჯოხაძისა, იხ.

**ჯოხაძე ივანე** – თორმანეულში მცხოვრები, ერთი კომლი. მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XVII ს. დამდეგი. Qd-7014).

**ჯოხაძე კაცია** – შ ვ ი ლ ი ოსიტა ჯოხაძისა, იხ.

**ჯოხაძე მამუკა** – ბრონლეთში მცხოვრები, მ ო ყ ა ლ ნ ე გ ლ ე ხ ი, ერთი კომლი. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ნანიტა, შალვა, ბერი, შიო, დათუნა. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II ნახ. Qd-7017).

**ჯოხაძე ნანიტა** – შ ვ ი ლ ი მამუკა ჯოხაძისა, იხ.,

**ჯოხაძე ოთია** – შ ვ ი ლ ი ოსიტა ჯოხაძისა, იხ.

**ჯოხაძე ოსიტა** – თორმანეულში მცხოვრები, ბ ო გ ა ნ ო, ერთი კომლი. ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ოთია, საბა, კაცია, გიორგი და ამათი ნაშენი ორი ვაჟი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XVII ს. II ნახ. Qd-7017).

**ჯოხაძე პაპუნა** – ძ მ ა დათუნა ჯოხაძისა, იხ.

**ჯოხაძე საბა** – შ ვ ი ლ ი ოსიტა ჯოხაძისა, იხ.

**ჯოხაძე-საბიაშვილი** – თორმანეულში მცხოვრები, ერთი კომლი. მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XVII ს. დამდეგი. Qd-7014).

**ჯოხაძე შალვა** – ბრონლეთში მცხოვრები, ერთი კომლი. მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XVII ს. დამდეგი, Qd-7014).

**ჯოხაძე შალვა** – შ ვ ი ლ ი მამუკა ჯოხაძისა, იხ.

**ჯოხაძე შიო** – შ ვ ი ლ ი მამუკა ჯოხაძისა, იხ.

**ჯოხაძე შიო** – ძ მ ა დათუნა ჯოხაძისა, იხ.

**ჯოხირეცხაშვილი ბერუა** – რუისპირში მცხოვრები, ობოლი, [სამებელის] ყმა. [სამებელს] მისთვის მიუცია ერთი თოფი და ერთი ხარი (XVII ს. ბოლო. 1449-1841).

**ჯოხირეცხაშვილი კაკა** – რუისპირში მცხოვრები, ობოლი. შეტანილია სამებელის ყმების ნუსხაში. [სამებელს] მისთვის მიუცია ორი თოფი და ერთი ხარი (XVII ს. ბოლო. 1449-1841).

**ჯოხტობერიძე კიკო** – მ ო წ მ ე მარიამ დედოფლის მიერ სეხნია და ივანე შუბითიძეებისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (XVII ს. I მეოთხ. Hd-11461ბ).

**ჯოჯიკ** – მ თ ა ვ ა რ ი. მ ა ს მიუყიდია სოფელი აგარა შიომღვიმის მონასტრისათვის, ეს ნასყიდობა გიორგი მეფემ ხელახლა დაუმტკიცა მონასტერს (1170 წ. Hd-1351).

**ჯუანა** – კაკელაში მცხოვრები, გ ლ ე ხ ი. თეიმურაზ მეფემ ი გ ი თავისი მეუღლის, ანას სულის საალაპედ შესწირა ალავერდს (1612 წ. V. 10. 1448-5017).

**ჯუარაშვილი ამირანა** – შ ვ ი ლ ი ბახია ჯუარაშვილისა, იხ.

**ჯუარაშვილი ბარხუდარა** – მ ო წ მ ე ტერ-გრიქორ ტერ-ვართანაშვილის მიერ პაპოა გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1668 წ. I. 21. 1450-6/49).

**ჯუარაშვილი ბახია** – შუა ბოლნისში მცხოვრები. ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ყორხმაზა და ამირანა, ძ მ ი ს წ უ ლ ი სარქისა. მ ი ჰ ყ ი დ ა ლევანის ზვრის გვერდით მდებარე ორი დღის მიწა შანშიაშვილს (1676 წ. 1450-9/12).

**ჯუარაშვილი სარქიზა** – მ ო წ მ ე შუა ბოლნისის მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს სამებისას მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიცემული ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა (1648 წ. VIII. 22. 1450-5/35).

**ჯუარაშვილი სარქისა** – 1676-16[89] წწ. ძ მ ი ს წ უ ლ ი ბახია ჯუარაშვილისა, იხ., მ ო წ მ ე ვერანა ზეგალასშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. ახლო. Hd-1779), სარუხანას მიერ სოიბათიასაულ ბაინდურ პაპიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. I. 1. 1450-9/11).

**ჯუარაშვილი ყორხმაზა** – შ ვ ი ლ ი ბახია ჯუარაშვილისა, იხ.

**ჯუარია** – ძმასთან ერთად ნახევარი მამულით და ერთი ხატის ვენახით ერგო ზურაბ [სააკაძეს] (XVII ს. ბოლო მეოთხ. Hd-12031).

**ჯუარისა** – ზარათში მცხოვრები. ერთი კომლი. იაკობ დეკანოზმა [გელათის] ხახულის ღმრთისმშობელს შესწირა ნასყიდი ხოჟელისძისეული მამული და 6 კომლი გლეხი (მათ შორის ერთი კომლი ჯუარისა ([1259-1293 წწ.] 1449-1586).

ჯუბია – ცხუკურში მცხოვრები. გიორგი მეფემ ი გ ი შესწირა გელათს (1568 წ. VIII. 30. Sd-2901).

ჯუბიბია – თაფანში მცხოვრები, ბ ო გ ა ნ ო. წილში ერგო თამაზ [ბარათაშვილს] ([1633-1658 წწ.] 1449-5901).

ჯუბილეი – კათალიკოსს დავით ნემსაძეს ი გ ი შეუწირავს სხვებთან ერთად ბიჭვინტის ღმრთისმშობლისათვის. ჟამთა ვითარებაში გამოუწირავთ, შემდგომ მამია დადიან-გურიელმა კვლავ შესწირა ი გ ი ბიჭვინტის ღმრთისმშობელს ([1689-1714 წწ.] 1448-2151).

ჯუგიაშვილი დათუნა – შაბიანში მცხოვრები, ერთი კომლი. შეტანილია სვეტიცხოველის ყმათა ნუსხაში (1689 წ. 1449-1791).

ჯულაბა – მ ი ს ი სახლი გორში ესაზღვრებოდა იმ მიწას, რომელიც როსტომ მეფემ გაუცვალა გიორგი გორგიჯანაშვილს (1653 წ. 1449-1873).

ჯულაბასშვილი // ჯულაბაშვილი // ჯულაბაანი

ჯულაბასშვილი ბაინდურა – ფარსადან ციციშვილმა ერთობილთ გორელებს, მათ შორის ბ ა ი ნ დ უ რ ა ჯ უ ლ ა ბ ა ს შ ვ ი ლ ს, უბოძა ზედაველს მთაში, სანიაყორში და ყურიულში ხე-ტყით სარგებლობის უფლება (1699 წ. II. 24. Hd-13151).

ჯულაბაშვილი ბარამა – მ ი ს გ ა ნ ნასყიდი სასახლე სუხიტა მექუაბიშვილმა მიჰყიდა როსტომა ხითარიშვილს (1636 წ. VIII. 2. 1450-53/113).

ჯულაბაშვილი ბეჟან – მ ო წ მ ე ნაზარა ხოჯუასშვილის მიერ ამირაღანთ ფარსადანისათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1677 წ. X. 10. გსიემ-7601/13).

ჯულაბასშვილი ბეჟან – მ ო წ მ ე ამირან სუნბატასშვილის მიერ ასატურა ბეჟანისშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IV. 1450-49/101).

ჯულაბასშვილი გაბრიელა – მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი იასე ტერტერაშვილის მიერ თეიმურაზ მუხრანბატონისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. XI. 15. Hd-3135).

ჯულაბასშვილი დავით – დ ა მ წ ე რ ი დომენტი კათალიკოსის მიერ ხუდადა ხოჯაშვილისათვის მიცემული მოურავობის და ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1660 წ. ახლო. Sd-2913).

ჯულაბასშვილი მამუკა – მ ო წ მ ე ენდრონიკაანთ ელიზბარის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული სუელნეთის მიწის ნასყიდობის წიგნისა (1675 წ. III. 1. Sd-6).

ჯულაბასშვილი პაპუნა – XVII ს. 80-იანი წწ. გორში მცხოვრები. მ ო წ მ ე პაპინა ბასტამასშვილის მიერ სიმონგულ მამუკასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. I. Hd-5304), მამუკა ამირალასშვილის მიერ მდივან ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული სუელნეთის თავში ხახანასეული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. I. 20. Sd-10), ნასყიდა არჩუკაშვილის მიერ

დავით [გარსევანისშვილისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. I. 30. გსიემ-7601/28), მაზანა იმრასშვილის მიერ გარსევან ქარუმიძისათვის მიცემულ მიწისა და საწისქვილოს ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. VII. 4. Hd-2031), ლალინას მიერ შაკილა პარკაძისათვის მიცემული სააღაპე წიგნისა (XVII ს. 80-იანი წწ. 1450-35/202).

**ჯულაბაანთ როსტომა** – მ ო წ მ ე ბაბინა მილიტოლმაშვილის მიერ მირიან და ელიზბარ ანდრონიკასშვილებისათვის მიცემული სუელნეთში მიწის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. I. 20. Sd-16ა).

**ჯულაბაანთ როსტიმასშვილი ესტატე** – მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი დათუნა შატბერაშვილის მიერ ასატურა ბეჟანისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. III. 1450-49/124).

**ჯულფანისშვილი** – ქაიხოსრო არდაშელიშვილმა ქაიხოსრო ჯავახიშვილს კავთისხევამდე გამოატანა მსახურები, რომლებიც ქაიხოსრომ მიაბარა ჯ უ ლ ფ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს, მ ა ნ კი ისინი თავიანთ ბატონს მიუყვანა (1670 წ. IV. 15. Hd-6259).

**ჯუმაური** – ფერსათში მისეულ პარტახტზე მცხოვრებს ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდაცხრა კოკა ღვინო, თორემტი თეთრის საკლავი, ორი ქათამი, ორნახევარი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ღომი და საბელი (1578 წ. H-626).

**ჯუმუანი ბეშქენ** – თ ა ვ მ დ ე ბ ი რაფაელ კილამუშელის მიერ ივანე სეტიელისათის მიცემული გაუყრელობის დაწერილისა (XV ს. დასაწყ. სსძ. II. №151).

**ჯუმუთიანი** – ი გ ი გამხდარა იაკობ სეტიელის მამინაცვალი. იაკობ სეტიელმა მ ა ს მოახსენა პირობის დაწერილი, რომლის თანახმადაც, „რაიც ჰიდის იქით" იყო, იაკობ სეტიელს ჯ უ მ უ თ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს არ უნდა ეთხოვა, ხოლო, თუ იაკობი დედას თავისთან წაიყვანდა, დედის უკითხავად მ ი ს თ ვ ი ს არაფერი არ უნდა ეთხოვა (XV ს. დასაწყ. სსძ. II. №98).

**ჯუტარაქელა[ან]თ ალექსა** – ჰყავს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] შტელა. მასთან ერთად იყო მ ო წ მ ე ანტონ ეეციკაშვილის მიერ ქოქოლასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1623 წ. II. 5. Sd-39).

**ჯუტარაქელასშვილი გიორგი** – შ ვ ი ლ ი თაყინა ჯუტარაქელასშვილისა, იხ.

**ჯუტარაქელასშვილი ელიზბარ** – შ ვ ი ლ ი თაყინა ჯუტარაქელასშვილისა, იხ.

**ჯუტარაქელასშვილი თაყინა** (ვარ. თაყა)– ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ფარემუზ, გიორგი, ელიზბარ (1612 წ. Hd-1567), ეპისკოპოს ანდრონიკისშვილ-თაყასშვილ ტერ-ანდრიას და ტერ-ფარსელ თუმანიშვილს მ ი ჰ ყ ი დ ა მიწა, რომელიც პარუნბეგას და იზა-აკოფას მიწებს ესაზღვრებოდა (1612 წ. Hd-1567);

დ ა მ წ ე რ ი პაატა ჯავახიშვილის მიერ როსტომ ხითარასშვილისათვის მიცემული ვალის გადახდის წიგნისა (XVII ს. I ნახ. 1450-53/112).

ჯუტარაქელაშვილი როსტევანა – იყო მ ო ფ ი ც ა რ ი როსტომა ხითარიშვილის და მთავარეპისკოპოს [დომენტის] სადავო საქმის გარჩევისას (1649 წ. 1450-53/107).

ჯუტარაქელასშვილი ფარემუზა – შ ვ ი ლ ი თაყინა ჯუტარაქელასშვილისა, იხ.

ჯუტარაქელა[ან]თ შტელა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ჯუტარაქელა[ანთ] ალექსასი, იხ.

ჯუღელი ალადა – შ ვ ი ლ ი მანველა ისაიასშვილ ჯუღელისა, იხ.

ჯუღელი ალმალა – მ ო წ მ ე ნორაშენის ხუცეს ტერ-მიკირტიჩას მიერ მანველა ისაიასშვილ-ჯუღელისათვის მიცემული სახლის ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. Qd-283ა).

ჯუღელი ისაია – შ ვ ი ლ ი მანველა ისაიასშვილ-ჯუღელისა, იხ.

ჯუღელი-ისაიასშვილი მანველა – ჰყავს შ ვ ი ლ ე ბ ი: ისაია, ალადა, ოჰანეზა. იყიდა ტერ-მიკირტიჩასაგან ორი სახლის ადგილი, ერთი სახლი, ზაქარიას მიერ აშენებული ქერსხანის ადგილი, ზარაფხანისა და ფასულხანის კედლებამდე, უკანა მხრიდან ბასილას სახლის კედლამდე (1678 წ. Qd-283ა).

ჯუღელი ოჰანეზა – შ ვ ი ლ ი მანველა ისაიასშვილ-ჯუღელისა, იხ.

ჯუხარიძე – ზემოყურში მცხოვრები. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XVII ს. II. ნახ. 1448-5032).

ჯუხაშვილი ბასილი – ჰყავს შ ვ ი ლ ი ფირუა. მასთან ერთად იყო მ ო წ მ ე თაყა ბარათაშვილის მიერ თამაზა ალავერდასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. II. 27. 1450-19/13).

ჯუხაშვილი ფირუა – შ ვ ი ლ ი ბასილ ჯუხაშვილისა, იხ.

ჯუჯიდაიძე ირუგაი – თ ა ვ მ დ ე ბ ი მიქაელ კუჭაიძის მიერ სეტის მთავარმოწამის და სვანეთის ხევისათვის მიცემული დაწერილისა უფნაშის მონასტრის შეწირულების შესახებ (XV ს. II ნახ. სსძ. II. №30).

ჯლარკავა ნანა – ხაბაზი. გააყოლეს მარიამ დედოფალს მზითვში ([1634 წ.] 1448-3369).

ჯღენტი – ოძისში მცხოვრები. მ ი ს ი წყალობა ელენე დედოფალმა და ნაზარალიხანმა განუახლეს ზაალ აბაზაძეს (1693 წ. VII. 30. Hd-1676).

ჯღენტი – გურიას მცხოვრები, [საეკლესიო გლეხი] (XVII ს. Hd-11221).

ჯღირაძე გიორგი – მ ო წ მ ე ზაზუნა მეფარიძის მიერ ბერი ირემაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. Ad-1343).

ჯლუნია – მ ი ს სახლამდე მიჰყიდა თავისი სახლ-კარი ნასყიდა შანშიაშვილმა ზურაბა გიორგისშვილს (1687 წ. Hd-6112).

# ჰ

**ჰაზარდელა** – სომხითში მცხოვრები, გ ლ ე ხ ი. ი გ ი და დონმაზა ლუარსაბ მეფემ უწყალობა ადოლომიშ გოგიბაშვილს (1608 წ. 1450-10/12).

**ჰაზარდილაშვილი ჰაზარდილა** – მ ო წ მ ე ფარსადან შიხაშვილისა და ხეჩიკაშვილის მიერ ალავერდა ალიხანასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. II ნახ. 1450-9/154).

**ჰამარისძე კლდეა** – მ ა ს შეუწირას ლაბექინის საყდრისათვის საგლეხო მიწა, რომელზედაც გაბრიელ ლაბექინელმა კაცი დაასახლა (XIII ს. A-1563 272r-275v).

**ჰ[ა]მზა** – [კუმელი] მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. მ ო წ მ ე ბაბუჩას მიერ შიოშ სოლაღაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1619 წ. V. 21. Sd-735).

**ჰამზა** – ნაჭიდურში, ამოვარდნილი ჩახრიძის მამულზე მცხოვრები. როსტომ მეფემ ი გ ი უწყალობა ყულ ყარჩიღას (1653 წ. Sd-2).

**ჰამზა** – კუმელი მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. მ ო წ მ ე კუმელ ნავროზაანთ როსტომას მიერ მოქალაქე გედეოაანთ გელოასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. III. 20. 1450-47/27).

**ჰამზა** – მ ი ს ი კედელი ესაზღვრებოდა გიორგი სანჯარაშვილის მიერ მაჰმადასათვის მიყიდულ სახლს (1646 წ. ახლო. 1450-50/120).

**ჰამზა** – ა ღ ა. მ ო წ მ ე როსტომ-ფაშას მიერ ქაიხოსრო ციციშვლისათვის მიცემული სადგერის ხეობის წყალობის წიგნისა (1672 წ. ახლო. 1449-2224).

**ჰამზა** – ქალაქში მცხოვრები, ამილახვარის ყ მ ა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან სამ კაცს ევალებოდა ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448-5032).

**ჰამზაბეგ** – [1633]-[1657] წწ. ს უ ფ რ ა ჩ ი ([1633]-[1658] წწ. Ad-551, Sd-484), ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი ([1633-1658 წწ.] 1448-2316). როსტომ მეფის ყ მ ა (1658 წ. Ad-551). მდივან ბირთველ თუმანიშვილთან ერთად გ ა ა რ ი გ ა: დავა შულავრელთა და თეთრისოფლელთა შორის წყლის საქმეზე. დავა ასე გადაწყვიტეს: თეთრისოფლის მკვიდრს სამი გუთნით მოხნული ანეულის – ქერის, ბამბის, ფეტვის ღალა იორამ ბატონიშვილისათვის უნდა მიერთმია, თუ შულავრელი ან სხვა თემის კაცი მოხნავდა სხვა მიწას, ღალა მელიქ ყორხმაზისათვის უნდა გადაეხადა. წელიწადში ორი მერუე შულავრის

მამასახლისს უნდა დაეყენებინა, ერთი – თეთრი-სოფლის მამასახლისს ([1633-1658 წწ.] Sd-484), ნოდარ ციციშვილთან და მდივან ბირთველ თუმანიშვილთან ერთად – [ციციშვილების] ყაიას, ყორჩიბაშ ბაადურის, სარდალ პაპუნას დავა სამნევრისის მამულებზე ([1633-1658 წწ.] 1448-2316); მ ი ს ი ნაქონი მამული ტინისხიდში როსტომ მეფემ უწყალობა მანუჩარ თუმანიშვილს (1657 წ. III. 1. Qd-8966), როსტომ მეფეს დაუსახლებია ი გ ი თბილისის სიონის მამულში. მ ი ს ი გარდაცვალების შემდეგ კი მ ი ს შვილებს ეს მიწა ჩამოართვეს და სიონის ღმრთისმშობელს დაუბრუნეს. მამულში ნაშენების საფასური ჰ ა მ ზ ა ბ ე გ ი ს შვილებს აუნაზღაურეს (1658 წ. IV. 1. Ad-551).

**ჰამჩენაშვილი** – გორში მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა როსტომ მეფის მიერ გიორგი გორგიჯანაშვილისათვის გაცვლილ მიწას (1653 წ. 1449-1873).

ჰანა – [ძ მ ა] საკასი, იხ.

**ჰასაბეგიშვლი ასლან** – შ ვ ი ლ ი თაყა ჰასაბეგიშვილისა, იხ. ბარათაშვილი ასლან

**ჰასაბეგიშვილი თაყა** – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ი ასლან (იხ. ბარათაშვილი თაყა). მ ო წ მ ე თამაზ ბარათაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. XI. 12. 1450-1/95).

ჰ[ა]სანა – დალეთში მცხოვრები. მ ი ს სანაცვლოდ ბაადურ [ციციშვილს] წილად ხვდა მურადა (1651 წ. ახლო. 1450-37/157).

ჰასანა – უ ს ტ ა. მ ო წ მ ე იმაყულას მიერ ქალაქის მოურავ მანუჩარისათვის მიცემულ ყმის ნასყიდობის წიგნისა (1663 წ. V. 25. 1450-21/2).

**ჰასანა** – მ ე ჯ ო რ ე. მ ი ს ი სახლის გვერდით ქიტუნა მახარაშვილმა მიჰყიდა სახლი კარაპეტა ხეჩატურაშვილს (1687 წ. VIII. 15. 1448-4211).

**ჰასან-აღა** – მ ო წ მ ე როსტომ-ფაშას მიერ ქაიხოსრო ციციშვილისათვის მიცემული სადგერის ხეობის წყალობის წიგნისა (1672 წ. ახლო. 1449-2224).

**ჰასან-ფაშა-ნარიმან** – მ ო წ მ ე როსტომ ფაშას მიერ ქაიხოსრო ციციშვილისათვის მიცემული სადგერის ხეობის წყალობის წიგნისა ([1672 წ.] 1449-2224).

**ჰასანაშვილი პაპუა** – მ ო წ მ ე როსტევან ვართანაშვილის მიერ ბაინდურ პაპიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1665 წ. IV. 25. 1450-7/17).

**ჰასანაშვილი პაპოა** – მ ო წ მ ე დემურა უსუფაშვილის მიერ ბაინდურ პაპიაშვილისადმი მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. VIII. 1450-6/22).

**ჰასანაშვილი ჰერაპეტა** – მ ი ს ი ერთი დღის მიწა მიჰყიდა ზაქუმბეგ ზაქუმიშვილმა იეგულაანთ ბეჟანისშვილ ალიხანას სხვა მიწებთან ერთად (1699 წ. II. 7. 1450-12/2).

**ჰასრათა//ასრათა**

**ჰასრათა** – გივი ამილახვარმა ი გ ი ცოლ-შვილით და მამულით დაიხსნა თათრისაგან და მიჰყიდა ქალაქის მოურავ მანუჩარს (1646 წ. Hd-14911).

**ჰასრათა** – მ ი ს ი სახლის კედელი ესაზღვრებოდა მათაშას მიერ აშოთან

ბატონიშვილისათვის მიყიდულ მამულს (1678 წ. I. 23. 1450-5/101).

**პასრათა** – ჭ ო ნ ი. მ ო წ მ ე გოჭილოდა[აა]ნთ ბაისოლულაშვილ დავითასა და მისი ძმისშვილების გაყრისა (1684 წ. VII. 1. 1450-50/206).

**პასრათა** – ქალაქში მცხოვრები, მანუჩარის ყმა. ნაზარალიხანმა მანუჩარს მ ი ს ი წყალობა დაუმტკიცა (1689 წ. 1450-53/91).

**პასრათა** – მოქალაქე. მ ა ს ემართა ბეჟან რაგვიშვილის ფული, რის საზღაურშიც მ ა ნ მევალეს გირაოდ სახლ-კარი მისცა. მ ი ს ი სიკვდილის შემდეგ ერეკლე მეფემ ეს სახლ-კარი ბეჟან რაგვიშვილს მიაკუთვნა (1699 წ. V. 31. 1449-1861).

**პასრათაშვილი პაპა** – მ ო წ მ ე შანშუანთ ხოსინაშვილ არუთენას მიერ მეგრელ გიორგისათვის მიცემული დუქნის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. III. 21. 1450-8/133).

**პაცთუხაშვილები** – შულავერში მცხოვრებნი. როსტომ მეფემ განუახლა მა თ ი წყალობა თამაზ წოვანმაშვილს (1658 წ. 1448-2319).

**პახვერდა** – მ უ შ რ ი ბ ი. მ ო წ მ ე ბაინდურა ბიძინაშვილის მიერ ბულინ[ან]თ ნაზარასათვის მიცემული გირავნობის წიგნისა (1678 წ. VI. 14. 1448-5108).

**პაპაშვილი გულუა** – მ ო წ მ ე ხარება ნამორაშვილის მიერ მამისიმედ მამუჩასშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. შუა ხანები. Qd-9039ა).

**პეჯუბაშვილი** – მ ი ს მინამდე მიპყიდა ზაქუმ ზაქუმიშვილმა ვახტანგ [ბარათაშვილს] ზემო ბოლნისში ზვარი (1677 წ. Sd-537).

**პეჯუბაშვილი ხეჩიკა** – მ ო წ მ ე ზაქუმ [ზაქუმისშვილის] მიერ ვახტანგ ბარათაშვილისათვის მიცემული ზვრის ნასყიდობის წიგნისა (1677 წ. Sd-537).

**პოგუაშვილი ფირუა** – მ ო წ მ ე გულიფაშაანთ ხუდადაშვილ ზურაბას მიერ ჩითახაანთ მირველასშვილ ფარსადანისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. IV. 19. 1450-57/51).

**პოდიკაშვილი ალაჯანა** – შ ვ ი ლ ი მიკირტინა პოდიკაშვილისა, იხ.

**პოდიკაშვილი მიკირტინა** – ჰყავს [ძ მ ა] ნერუა; შ ვ ი ლ ე ბ ი: ფირუა, ალაჯანა, რაგულა, პოვადელა, ხეჩატურა. ჯავახაანთ მასურასაგან ი ყ ი დ ა ბეჟიაური ბაღჩა და ნაოხარი სასახლე მურადას შარამდე (1573 წ. 1450-18/78).

**პოდიკაშელი ნერუა** – [ძ მ ა] მიკირტინა პოდიკაშვილისა, იხ.

**პოდიკაშვილი რაგულა** – შ ვ ი ლ ი მიკირტინა პოდიკაშვილისა, იხ.

**პოდიკაშვილი ფირუა** – შ ვ ი ლ ი მიკირტინა პოდიკაშვილისა, იხ.

**პოდიკაშვილი ხეჩატურა** – შ ვ ი ლ ი მიკირტინა პოდიკაშვილისა, იხ.

**პოდიკაშვილი პოვადელა** – შ ვ ი ლ ი მიკირტინა პოდიკაშვილისა, იხ.

**პოვადი[ლ]აშვილი დავითა** – მ ო წ მ ე ფარსადან შიხაშვილისა და ხეჩიკაშვილის მიერ ალავერდა ალიხანასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. II ნახ. 1450-9/154).

**პოვათალანთ არაქელაშვილი პოვათალა** – მურადა დათუაშვილისაგან

ი ყ ი დ ა ორი დღის მიწა ანეზას საზღვრამდე (1687 წ. 1450-8/43), აკოსთ[ან]თ მიტიჩასაგან – ორი დღის მიწა (1687 წ. 1450-9/34).

**ჰოვ[ათ]ელაშვილი გოგინა** – კალატოზი. მ ო წ მ ე ხანგოსა[ან]თ აფრიამას მიერ ავთანდილ ბარათაშვილისათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. XII. Qd-8563).

**ჰოვდელა[ა]ნი** – იაგანა აკოფაშვილმა მ ა თ ი მიწა გორის ძირში მიჰყიდა მურადა დაუთასშვილს (XVII ს. მინურული. 1450-8/17).

**ჰოვიაშვილები** – ტაბახმელაში მცხოვრებნი, ერთი კომლი. დათუნა, თამაზა და ბიძინა სოლაღაშვილებს მათივე განაყოფის – ამოვარდნილი სუჯადინის მამულზე დავის გარიგების შედეგად ი ს ი ნ ი წილად ხვდნენ დათუნას და თამაზას (1646 წ. Sd-744).

**ჰოვუა** – მ ო ქ ა ლ ა ქ ე. ჰყავს ძ მ ა მუთოა. ჯაჰანბანუმ დედოფალმა ი გ ი და მისი ძმა უწყალობა ბატონ ხორეშანს. ადრე ი ს ი ნ ი ეკუთვნოდნენ ბატონისშვილ ხანფარვანს (?)(1628 წ. 1450-15/34).

**ჰოსკია** – შ ვ ი ლ ი მჭედელ მიკირტიჩასი, იხ.

**ჰოქილაანთ ზალინა** – მ ო წ მ ე ალბაბასშვილ-რამაზასშვილ ალიჰექაბარას მიერ ფირყულანთ ნაზარასშვილ გიორგისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. X. 7. დთი. I. №53).

**ჰოქილაშვილი ხითარა** – მ ო ქ ა ლ ა ქ ე, ქ ე თ ხ უ დ ა. მ ო წ მ ე ბიძინა მწყერაძის მიერ უთრუთ [ციციშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. II. 5. 1450-51/84).

**ჰოქილუაშვილი** – მ ი ს ი დუქნის გვერდით შანუანთ ხოსინაშვილმა არუთენამ გიორგი მეგრელს მიჰყიდა დუქანი (1697 წ. II. 21. 1450-8/133).

**ჰოქუაშვილი ბეჟუა** – ძ მ ა გოგია ჰოქუაშვილისა, იხ.

**ჰოქუშვილი გოგია** – ჰყავს ძმები ბეჟუა და საქია. გიორგი ყორღანაშვილს მ ი ჰ ყ ი დ ა თავისი მკვიდრი მამულის კალო-საბძელი, რომელიც ევანეზაშვილის, იმედაშვილის და მურადაშვილის მამულებს ესაზღვრებოდა (1678 წ. V. 1. 1450-16/12).

**ჰოქუაშვილი საქია** – ძ მ ა გოგია ჰოქუაშვილისა, იხ.

**ჰარლუნა** – ხოირში მცხოვრები. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საჰურობო, ერთი საკლავი, მუშაობა, ყურძნის კრეფა, ლაშქრობა, სამსახური (1621 წ. ქსძ. III. №91).

**ჰუსეინ** – ა ღ ა. მ ო წ მ ე როსტომ-ფაშას მიერ ქაიხოსრო ციციშვილისათვის მიცემული სადგერის ხეობის წყალობის წიგნისა (1672 წ. ახლო. 1449-2224).

**ჰუსეინა** – ძ მ ა მეჯორეთუხუცეს მაჰმადასი, იხ.

**ჰუსეინაშვილი შერმაზანა** – მ ი ს ი მამულის და სასახლის წყალობა განუახლა ერეკლე მეფემ ნაცვალ შაჟერდას შვილს – გურგენას (1676 წ. Qd-1655).

ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ

ირმა ბერიძე
ლანა გრძელიშვილი
ინგა გოლეთიანი
სოფიო თევდორაშვილი
თეო ირემაძე
თამარ მჭედლიძე
ლიკა სხირტლაძე


ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42

www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge

1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42

NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS